კონკურენციის სამართალი

–

ევროპული მოდელი საქართველოსთვის

ტომი II

გიორგი ცერცვაძე

თბილისი
2022

სარჩევი

წინასიტყვა VI

ავტორისაგან X

A. კონკურენციის ორგანოები 12

I. ევროპული ორგანოები კონკურენციის სფეროში და მათი საქმიანობა 12

1. ევროპის კომისია 12
2. ევროპის კომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორი 44
3. ევროპის ომბუდსმენი 46
4. ევროპული კონკურენციის ქსელი (European Competition Network – ECN) და ევროპული თანამშრომლობა კონკურენციის სფეროში 46
5. კონკურენციის ორგანოების უფლებამოსილების ფარგლები 53

II. საქართველოს სახელმწიფო ორგანოები კონკურენციის სფეროში 66

1. ზოგადი მდგომარეობა 66
2. სააგენტოსათვის მიმართვის წესი 67
3. სააგენტოს მიერ საქმის განხილვის წესი და პირობები 68
4. სანქციების განსაზღვრა 69
5. სააგენტოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება 71

B. კონკურენციის დავების სასამართლო განხილვის სპეციფიკა 73

I. სასამართლოს როლი კონკურენციის დავის გადაწყვეტისას 73

1. სასამართლოების როლი ევროპულ სამართალში 73
2. სასამართლოს როლი საქართველოში 80

3. კონკურენციის დავის სასამართლო წესით განხილვის ძირითადი ევროპული პრინციპები 81
4. სასამართლო პროცესის ევროპული თავისებურებანი კონკურენციის დავის განხილვისას 82
5. ექსტერიტორიულობის პრინციპი კონკურენციის სამართალში 85
6. ECHR 88
7. სასამართლო ხარჯები 88

II. კონკურენციის სამართლის კერძოსამართლებრივი აღსრულება (Private Enforcement) 89
1. კერძოსამართლებრივი აღსრულების არსი 89
2. კერძოსამართლებრივი აღსრულების ევროპული რეგულირება 93
3. კერძოსამართლებრივი აღსრულების ცალკეული საპროცესო საკითხები ევროპულ პრაქტიკაში 104
4. კერძოსამართლებრივი აღსრულება საქართველოში 132

C. კონკურენცია და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები. 134

I. ზოგადი მდგომარეობა 135

II. მოლაპარაკებები/მორიგება 135

III. მედიაცია 137

IV. არბიტრაჟი 139

D. სხვადასხვა კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებული საპროცესო საკითხები ევროპულ პრაქტიკაში 144

I. კარტელთან დაკავშირებული საქმის წარმოების საპროცესო საკითხები ევროპულ პრაქტიკაში 144

1. პროცესის ინიცირება კომისიის მიერ 144
2. საჩივრის განხილვის პროცედურა 147
3. კომისიის გადაწყვეტილება კარტელთან დაკავშირებით 150
4. სანქცია კარტელთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში 150
5. კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება 153

II. შერწყმის (კონცენტრაციის) კონტროლის საპროცესო საკითხები ევროპულ პრაქტიკაში 154

1. ევროპის კომისიის კომპეტენცია შერწყმის (კონცენტრაციის) კონტროლისას 154

III. სახელმწიფო მხარდაჭერის საქმის განხილვის პროცედურული საკითხები ევროპულ პრაქტიკაში 180

1. კომისიის კომპეტენცია სახელმწიფო მხარდაჭერის საქმეებზე 180
2. სახელმწიფო მხარდაჭერად კვალიფიკაციის კრიტერიუმები 181
3. სახელმწიფო მხარდაჭერის საქმის განხილვის პროცედურული საკითხები .. 182
4. კომისიის გადაწყვეტილება სახელმწიფო მხარდაჭერის საქმეზე და მისი აღსრულება 185

E. ბიბლიოგრაფია 188

I. ნორმატიული მასალა 188

1. საქართველო 188
2. ევროპა 189
3. აშშ 190

4. სხვა 190

II. დოქტრინა 190

1. ქართული 191

2. დასავლური 191

III. სასამართლო პრაქტიკა 201

1. ქართული 201

2. ევროპული 201

3. ამერიკული 204

4. სხვა 205

IV. კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებები 205

V. ელექტრონული წყაროები 205

წინასიტყვა

პროფესორ გიორგი ცერცვაძეს ქართული იურიდიული საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. მისი ყოველი კვლევა თანამედროვე კერძო სამართლის აქტუალურ სფეროებს ეძღვნება და ქართველი იურისტებისათვის ახალი ცოდნა და ინფორმაცია მოაქვს. „კონკურენციის სამართლის“ წინამდებარე ნაშრომი ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არ წარმოადგენს. პირველი ტომის მსგავსად ისიც ეძღვნება კონკურენციის ევროპულ მოდელს, ოღონდ ამჯერად გამოკვლეულია კონკურენციის საპროცესო სამართლებრივი საკითხები ქართული სამართლის ანალოგიურ ინსტიტუტებთან მიმართებით. იქიდან გამომდინარე, რომ კონკურენციის სამართლის თუნდაც საუკეთესო მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები საჭიროებენ ძლიერ ინსტიტუციურ და საპროცესო ჩარჩო პირობებს, ზედმეტია წარმოდგენილი კვლევის დიდ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება.

წიგნის პირველ თავში განხილულია კონკურენციის სამართალში ევროპის კავშირის ორგანოების სტრუქტურა, მათი კომპეტენცია და სამართლებრივი საფუძვლები. მასში ამ ორგანოების სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია ევროპის კავშირის კომისიას, რაც პირველ რიგში კონკურენციის ნორმების დაცვაში, მათი დამრღვევების გამოვლენისა და მათზე სათანადო რეაგირების ვალდებულებაში გამოიხატება. ნაშრომი გამოწვლილვით იკვლევს კომისიის ამ ვალდებულების განხორციელების პირობებსა და ფარგლებს. ამ ასპექტში საყურადღებოა კომისიისადმი მიმართვის პროცედურა, მიმართვის უფლების მქონე პირების ანალიზი, ასევე საჩივრის განხილვის ეტაპები. განსაკუთრებით საყურადღებოა მტკიცების ტვირთი, რომელიც კომისიას ეკისრება, თუმცა მტკიცების გარკვეული სტანდარტის შესრულების შემდეგ ეს ტვირთი ეკონომიკურ აგენტზე გადადის.

იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა და ის პირდაპირ და უშუალო ეფექტს და გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების უფლებებსა და მოვალეობებზე, დიდ მნიშვნელობას იძენს სანქციების შერჩევის, მათი შინაარსისა და გამოყენების წინაპირობები, რომლებიც ასევე დეტალურად არის გამოკვლეული ავტორის მიერ.

კონკურენციის ევროპული ორგანოების ანალიზის შემდეგ წიგნის მეორე თავი იკვლევს კონკურენციის სფეროში მოქმედი ქართული სახელმწიფო ორგანოების სისტემას, კომპეტენციასა და იმ გამოწვევებს, რომლებიც ამ ორგანოების წინაშე დგას კონკურენციის სამართლის ევროპული სტანდარტების იმპლემენტაციის. შესწავლილია კონკურენციის სააგენტოში მიმართვისა და საჩივრების განხილვის პროცედურა.

წიგნის გვირგვინს წარმოადგენს კონკურენციის დავების სასამართლო განხილვისადმი მიძღვნილი ნაწილი. ევროპული სასამართლოებისა და ქართული სასამართლოების საქმიანობა გამოკვლეულია კონკრეტული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, რასაც ლოგიკურად მოსდევს კერძო-სამართლებრივი აღსრულება. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ზრდის ნაშრომის ღირებულებას პრაქტიკოსი იურისტებისათვის

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის სამართლით დაინტერესებულ პირებს, განსაკუთრებით მათ, ვინც კონკურენციის სფეროში ევროპული სტანდარტების დანერგვის პროცესში მონაწილეობს, წიგნი უდავოდ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მკითხველი გამოჩენილი ქართველი იურისტისა და მეცნიერის ამ ბრწყინვალე ნაშრომს დიდი ინტერესით მიიღებს.

ლადო ჭანტურია
სტრასბურგი, 2022 წლის ნოემბერი

Foreword

Professor Giorgi Tsertsvadze is well-known in the Georgian legal community and thus needs no introduction. Each of his researches is dedicated to current areas of contemporary private law and provides Georgian lawyers with new knowledge and information. In this regard, the present work of "Competition Law" is not an exception. It is dedicated to the European model of competition, as was the first volume, but this time the paper studies procedural legal issues of competition in relation to similar institutions of Georgian law. Based on the fact that even the best substantive legal norms of competition law require strong institutional and procedural framework conditions, this already indicates the great importance of the presented study, therefore we will no longer focus too much on its discussion.

The first chapter of the book examines the structure of the European Union bodies operating in the field of competition law, as well as their competence and legal bases. The Commission of the European Union (hereinafter the Commission) holds the central position in the system of these bodies, whose obligation is, first and foremost, to ensure the protection of competition rules, to identify their violators and to respond appropriately to them. The conditions and scope of the Commission's implementation of this obligation are carefully scrutinized in the paper. In this regard, the application procedure to the Commission, the analysis of the persons with the right to apply, and the stages of complaint consideration are noteworthy. Of particular note is the burden of proof that falls on the Commission, though once a certain standard of proof is met, the burden shifts to the undertaking.

Considering that the Commission's decisions are binding and have a direct and immediate effect and impact on the entitlements and obligations of undertakings, the preconditions for the sanctions selection, their essence, and application, which are also examined comprehensively by the author, are of utmost importance.

Afterward analyzing the European competition bodies the second chapter of the book examines the system of Georgian state bodies functioning in the field of competition, the competence, and its faced challenges in the implementation of the European standards of Competition Law. Moreover, the procedure of submitting and investigating complaints at the Competition Agency has been studied.

The core of the book is the part dedicated to judicial consideration of competition disputes. The activities of European and Georgian courts are reviewed based on the specific case law, which is logically followed by the private-legal enforcement of court judgments. All those substantially increase the value of the performed work for practicing lawyers. Without exaggeration shall be highlighted that the book is going to undoubtedly provide invaluable guidance to individuals interested in competition law, exceptionally those who participate in the process of establishing European standards in the competition field. I am quite confident that Georgian readers will welcome this brilliant work of an outstanding Georgian lawyer and academic with great interest.

Lado Chanturia

Strasbourg, November 2022

ავტორისაგან

კონკურენციის სამართლის მეორე ტომის დასრულება დროში საკმაოდ გაიწელა. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები ჰქონდა. მაქს პლანკის ინსტიტუტს ჰამბურგში კიდევ ერთხელ მოუწია ჩემი მასპინძლობა, რათა კონკურენციის სამართალთან დაკავშირებული ქართული და ევროპული საპროცესო ნორმები ერთობლიობაში კიდევ ერთხელ გამეაზრებინა.

ამ წიგნის გამოცემით დაინტერესებული პუბლიკის წინაშე წარდგება იმ ჩანაფიქრის საბოლოო პროდუქტი, რომლის ინსპირაციაც პროფესორ ლადო ჭანტურიას რჩევა გახდა, რომ ჰუბოლდტის ფონდისთვის რამე სამეცნიერო პროექტი შემეთავაზებინა. პირველ ტომზე მუშაობა 2018 წელს დაიწყო, მეორეზე მუშაობა კი 2022 წელს დასრულდა. ვერ ვიტყვი რომ უფრო სწრაფად არ შეიძლებოდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დროში გაჭიანურება საკმაოდ მოცულობითი მასალის ერთიანობაში გააზრებაში ნამდვილად დამეხმარა.

ამ გააზრების პროცესში საკმაოდ ბევრი ადამიანი იღებდა მონაწილეობას. მათი ნაწილი პირველი ტომში პირადად არის მოხსენიებული და განსაკუთრებით მიხარია, რომ აბსოლუტური უმრავლესობა მეორე ტომის შექმნაში არანაკლები ენთუზიაზმით იყო ჩართული. ამიტომ, მათ თავიდან აღარ ჩამოვთვლი და კიდევ ერთხელ მოვიხსენიებ მადლიერების გრძნობით, რომლის გარეშეც ჩემი ღრმა რწმენით ნებისმიერ შრომას მნიშვნელობა ეკარგება.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს წიგნი ქართულ ენაზე კონკურენციის სამართლის საპროცესო ნორმების ერთიანობაში დანახვისა და გადმოცემის პირველი ცდაა. ამის გამო ის ხარვეზებისგან დაზღვეული ვერ იქნება. უდიდესი ინტერესით მივიღებ ყველა შენიშვნას თუ კომენტარს, რომელიც პირველ რიგში მე დამეხმარება ამა თუ იმ პრობლემის განსხვავებულად დანახვაში.

სანამ დავასრულებ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ჩემი უმცროსი კოლეგისა და მეგობრის, ნანა თურმანიძის დამსახურება, რომელმაც ჩემს მიერ გაგზავნილ საბოლოო ტექსტზე იმდენად დიდი სამუშაო შეასრულა, რომ ბოლოს აღმოვაჩინე, რომ თურმე საბოლოო არც თუ ისე საბოლოო ყოფილა.

გიორგი ცერცვაძე

ჰამბურგი თბილისი

2022 წელი

From Author

Completing Volume II of the Competition Law Textbook has taken quite some time. It had its objective and subjective reasons. The Max Planck Institute in Hamburg had to host me again so that I could comprehend the Georgian and European procedural norms related to competition law in their entirety.

The public awaiting the publication of this book will witness the final product of an idea that was inspired by a piece of advice given by Professor Lado Chanturia, who suggested that I could propose some academic project to Humboldt Foundation. I started to work on the first volume in 2018, and the second volume has been completed in 2022. I cannot say that it could not have been finished earlier, however, it should be noted that working longer on the second volume helped me a lot to better understand quite an enormous volume of material in its entirety.

Many have contributed in this working process. Some of them have already been mentioned personally in the first volume, and I am delighted that the vast majority has been involved in the compilation of the second volume with no less enthusiasm. Therefore, I am not going to list them again, but I will once more express my gratitude toward them, since without gratitude any working process losses its sense.

To the best of my knowledge, this book is a first ever endeavor to lend a single understanding to the procedural norms of the competition law in Georgian language. Therefore, it does not purport to be flawless. Consequently, I would welcome with immense interest any notes or comments that will help me to see issues from different perspectives.

Before I write the final note, I should appreciate the merit of my junior colleague and friend, Nana Turmanidze, who put much effort into my final draft that later it revealed that my final draft was not as final as I had imagined.

Giorgi Tsertsvadze

Hamburg, Tbilisi

2022

A. კონკურენციის ორგანოები

I. ევროპული ორგანოები კონკურენციის სფეროში და მათი საქმიანობა

1. ევროპის კომისია

ა) კომისიის ზოგადი კომპეტენცია კონკურენციის სფეროში

TFEU-ის[1] 103-ე მუხლი ევროპის კავშირის საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას მიიღოს შესაბამისი ნორმატიული აქტები და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები, რაც აუცილებელია კონკურენციის სამართლის ეფექტური აღსრულებისათვის. აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით ევროპის კავშირის სხვადასხვა ორგანოებმა მიიღეს რეგულაციები, კომუნიკაციები, რეკომენდაციები, გაიდლაინები, მწვანე თუ თეთრი პუბლიკაციები, რომელთაგან ცენტრალური როლი და მნიშვნელობა ენიჭება 1/2003 რეგულაციას. ენიჭება 1/2003 რეგულაცია თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს კომისიის მიერ კონკურენციის რეგულირების სფეროში დაწყებულ ახალ ეტაპად. [2]

თავდაპირველად ევროპის კომისიის მიერ კონკურენციის ნორმების აღსრულების უფლებამოსილება არ ვრცელდებოდა სატრანსპორტო სექტორზე, თუმცა მოგვიანებით ევროპის კავშირის საბჭომ 101-ე და 102-ე მუხლების გამოყენება შესაძლებლად მიიჩნია სარკინიგზო და შიდა სამდინარო/ტბების სატრანსპორტო, ასევე ავიაციისა და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების მიმართ.[3]

ევროპის კომისიის იურისდიქცია ვრცელდება საკმაოდ დიდი ტერიტორიაზე და მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ეკონომიკაზე. ამიტომ, კომისიის რესურსები მთლიანად მაინც ვერ გასწვდება ყველა საკითხს. კომისია თავისუფალია პრიორიტეტების განსაზღვრასა და კონკურენციის პოლიტიკის გატარებაში.[4] თავისი ფუნქციების განხორციელების პროცესში ევროპის კომისია მუდმივი მონიტორინგის რეჟიმში აქტიურად აკვირდება ევროპის კავშირში და მის გარეთ მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. ინფორმაციის პერმანენტული დამუშავება მას აძლევს

---

[1]Treaty on the Functioning of the European Union - ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება იგივე ლისაბონის ხელშეკრულება.
https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:12012E/TXT:en:PDF [ბოლოს გამოხმობილია 16.07.2022].

[2] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.6-7.

[3] *Ibid,* p.11.

[4] ***Rodger, Barry., MacCulloch Angus.,*** Competition Law and Policy in the EU and UK, Fifth Edition, Routledge Publishing, London, 2015, p.39.

შესაძლებლობას თვითონვე განსაზღვროს მისთვის საინტერესო სექტორები, მიმართულებები და ჩაერიოს იქ, სადაც ამას მიზანშეწონილად და საკმარისად დასაბუთებულად მიიჩნევს.[5]

ევროპის კომისია კონკურენციის სფეროში თავისი საქმიანობის შინაარსით გვევლინება როგორც ორგანო, რომელმაც არა მხოლოდ უნდა გამოიყენოს და აღასრულოს კონკურენციის სამართლის ნორმები კონკრეტულ საქმეებთან მიმართებაში, არამედ, ასევე უნდა განსაზღვროს კომისიის ზოგადი პოლიტიკა კონკურენციის სფეროში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით, კომისია თავის საქმიანობაში ყოველთვის არ არის ფორმალისტური და ზედმეტად შეზღუდული სხვადასხვა ნორმატიული აქტებით. რაც ყველაზე მთავარია, მას თვითონ შეუძლია განსაზღვროს ის პრიორიტეტები, რომლებსაც უნდა მიჰყვეს.[6]

კომისია შედგება 27 წევრისგან, რომელთაგან ეღტი ადამიანი წარმოადგენს წევრ სახელმწიფოს. კომისიის წევრები ინაწილებენ ფუნქციებს და მიმართულებებს. მაგალითად, კონკურენციის სფეროზე პასუხისმგებელია ერთი რომელიმე წევრი, თუმცა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოდის ყველას და არა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კომისიის წევრის სახელით.[7]

კონკურენციის სამართლის კუთხით გამოყოფენ ევროპის კომისიის საქმიანობის სამ ძირითად მიმართულებას:

- TFEU 17-ე მუხლის თანახმად, კომისია არის ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების აღსრულების გარანტი;
- კომისიის მოვალეობაა გაატაროს ევროპის კავშირის პოლიტიკა კონკურენციის სფეროში. უზრუნველყოს ამ პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების სისრულეში მოყვანა;
- კომისიას უფლება აქვს გამოიყენოს სამართლებრივი მექანიზმები 101-ე და 102-ე მუხლების ეფექტური აღსრულებისათვის და ამ მიზნით გამოსცეს შესაბამისი ნორმატიული აქტები.[8] 2003 წლის რეგულირების მე-4 მუხლის თანახმად, ეს კომისიის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.[9]

---

[5] ***Blanco Luis Ortiz (Editor.,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.227.
[6] *Ibid,* p.199.
[7] ***Khan, Nicholas.,*** Kerse&Khan on EU Antitrust Procedure, Sixth Edition, Sweet&Maxwell, London, 2012, p.35.
[8] ***Geradin, Damien., Layne-Farrar, Anne., Petit, Nicolas.,*** EU Competitino Law and Economics; Oxford Univeristy Press, Oxford, 2012, p.323 - 324.
[9] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1 [ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

ამგვარად, TFEU 101-და 102-ე მუხლების აღსრულება ევროპის კავშირის სამართლებრივი აქტებით ევროპის კომისიას აქვს მინდობილი. ხოლო 1/2003 რეგულაცია კიდევ უფრო აკონკრეტებს და ავსებს ზემოაღნიშნული დამფუძნებელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.[10] 1/2003 რეგულაციის მეხუთე თავი (მუხლები 17-22) მთლიანად ეთმობა კონკურენციის შეზღუდვის საქმეების ეფექტური გამოძიებისათვის კომისიისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კომისიის მიერ ადგილზე ინსპექტირებების და ე.წ. dawn raids უფლებამოსილების გამოყენება. მის გარეშე ეფექტური გამოძიება ნაკლებად წარმოსადგენია.[11] მე-20 მუხლი დეტალურად არეგულირებს ევროპის კომისიის უფლებას განახორციელოს ინსპექტირება თავისი უფლებამოსილებების შესრულების მიზნით. 22-ე მუხლი კი ეხება ნაციონალური სააგენტოების კომპეტენციას.[12]

ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები კომისიას მოიხსენიებენ, როგორც „დამფუძნებელი ხელშეკრულებების მცველს“ (guardian of the treaties). შესაბამისად, ამ ხელშეკრულებებით დაცული სიკეთეების, მათ შორის კონკურენციის ნორმების დაცვისა და მისი დამრღვევების გამოვლენის/სანქციის შეფარდების ვალდებულება სწორედ კომისიის უმთავრესი პასუხისმგებლობაა. ამავე დროს, კომისია არ არის მხოლოდ რეპრესიული ღონისძიებების გამტარებელი ორგანო. მისი ვალდებულებაა ევროპის კავშირის მასშტაბით კონკურენციის სამართალთან დაკავშირებული საკითხების ინტელექტუალური ლიდერობა, მათი წამოწევა და აქტიური დისკუსიებისათვის ხელის შეწყობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ბაზრის მონაწილეების ცნობიერების ამაღლება.[13] ამ მიზნით კომისია პერიოდულად აქვეყნებს სხვადასხვა დოკუმენტებს. მაგალითად გამოდგება კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი მისი საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, სადაც დეტალურად არის აღწერილი 101-ე და 102-ე მუხლების დაცვის მიზნით კომისიის მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები და გაიდლაინები.[14] ასეთი დოკუმენტების გამოქვეყნებით კომისია ერთ მხრივ თავს იბოჭავს, რომ ეს მითითებები ასევე შესრულდება მისი მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობისა და განჭვრეტადობის ხარისხის გაუმჯობესებას. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია მხარეთა უკეთეს ინფორმირებულობასა და მათი უფლებების უფრო ეფექტურ დაცვასთან.

---

[10] ***Frese, Michael, J.,*** Sanctions in EU Competition Law, HART Publishing, Oxford, 2014, p. 123.
[11] ***Jephcott, Mark., Spec, Lic.,*** Law of Cartels, Jordan Publishing, Bristol, 2011, p.167.
[12] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:001:0001:0025:EN:PDF [ბოლოს გამოხმობილია 18.01.2018].
[13] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.44-45.
[14] *Ibid,* p.61.

1/2003 რეგულაცია მხარეებს უფლებას აძლევს კომისიას თვითონვე შესთავაზონ კონკრეტული ქმედებები, რომელთა განხორციელებაც დაასრულებს კონკრეტულ ინდუსტრიაში კონკურენციის ნორმების დარღვევას და ხელს შეუწყობს ბაზრის გაჯანსაღებას. კომისიას უფლება აქვს მხარეთა მიერ გაკეთებული შეთავაზებები სავალდებულოდ აქციოს და ამით ხელი შეუწყოს კონკურენციის ნორმების დარღვევით დაზიანებული ბაზრის სწრაფ გაჯანსაღებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შეთავაზებების გაკეთების შემდეგ ეკონომიკური აგენტები მოქმედებენ საკუთარი ნებით და არა იძულებითი მექანიზმების გამოყენებით, რაც ზრდის მათ მიერ მიღებული ზომების ეფექტურობის ხარისხს.[15] კომისიის დისკრეცია კონკრეტული შეთავზებული ქმედების მიღების მიმართ საკმაოდ ფართოა. კომისიის გადასაწყვეტია, რამდენად დაადასტურებს და შესასრულებლად სავალდებულოდ მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებულ ქმედებებს. როგორც გამოცდილება აჩვენებს, იგი მაქსიმალურად უწყობს ხელს ამ პრაქტიკის განვითარებას, რაც საკმაოდ წარმატებულად ითვლება.[16]

კომისიას არ აქვს ყველა საქმეზე კვლევის დაწყების ვალდებულება. ევროპული რეგულირება მას ფართო დისკრეციას ანიჭებს თვითონ მიანიჭოს პრიორიტეტები შემოსულ განცხადებებს და პირველადი რეაგირებაც კვლევის დაწყების/არდაწყების შესახებ ასევე საკუთარი შეხედულებისამებრ მოახდინოს. ასეთ დროს, კომისია, როგორც წესი, ხელმძღვანელობს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე იმ დარღვევების ხარისხის შეფასებით, რომელიც შეიძლება კონკურენციის შეზღუდვის საფუძველი გახდეს.[17]

კომისიის დოკუმენტებზე წვდომას აქვს გარკვეული ფარგლები. მხარეს არ შეუძლია უკლებლივ ყველა დოკუმენტზე წვდომა მოითხოვოს. კომისიას მიაჩნია, რომ შიდა გამოყენების ფაილები, რომელსაც არ აქვს ეკონომიკური აგენტის ბრალდების ან მისი პოზიციის გამყარებისათვის რაიმე მნიშვნელობა, არ უნდა იყოს გადაცემული პროცესის სხვა მონაწილეებისათვის.[18] პრინციპში, პოზიცია ასე თუ ისე დასაბუთებულია. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას შიდა მიმოწერაზე და კომისიის პოზიციის ფორმირებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. თუ მხარე არ არის ვალდებული კომისიას მიაწოდოს საკუთარ კონსულტანტებთან მიმოწერის ან სხვაგვარი ინფორმაციის გაცვლის შესახებ მონაცემები, ანალოგიური უნდა გავრცელდეს

[15] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.180-181.
[16] *Ibid,* p.182-183.
[17] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.517.
[18] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.245.

კომისიაზეც და სანამ მისი პოზიცია ჩამოყალიბებული და საჯარო არ გამხდარა, ამ პოზიციის ჩამოყალიბების პროცესში მიმდინარე შიდა დისკუსიის ამსახველი ინფორმაცია დაინტერესებული ეკონომიკური აგენტებისა თუ სხვა სუბიექტებისათვის ცნობილი არ უნდა იყოს.

კომისიის უარი დოკუმენტებზე წვდომის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში და მაგრამ ეს არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ავტომატურად გაუქმებას. მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ ამ უარით მას არსებითად შეეზღუდა საკუთარი პოზიციის ეფექტურად დაცვის შესაძლებლობა. წარმატებული გასაჩივრებისათვის გადამწყვეტია მხარემ დაამტკიცოს, რომ კომისიის მიერ ფაილზე წვდომის მინიჭება გამოიწვევდა სხვაგვარ შედეგს. თუ კომისია შეძლებს იმის დამტკიცებას რომ შედეგი მაინც არ შეიცვლებოდა, მაშინ გადაწყვეტილების გაუქმება ნაკლებად მოსალოდნელია.[19] ამ შემთხვევაში იმოქმედებს საპროცესო ეკონომიის პრინციპი: საღ აზრს მოკლებულია თავიდან დაიწყო პროცედურა და თავიდან გამოიწვიო დროის ფინანსური თუ სხვა რესურსების ხარჯი თუ აშკარაა, რომ შედეგი მაინც იგივე იქნება და სხვა მტკიცებულებები, რომლებზე წვდომაც მხარეს სათანადო წესით ჰქონდა, აძლევს კომისიას ზემოაღნიშნული მტკიცების საშუალებას.

Statement of Objections – SO არის დოკუმენტი, რომელიშიც კომისიამ უნდა ასახოს საკუთარი პრეტენზიები კონკრეტული ეკონომიკური აგენტების წინააღმდეგ. მხარეებისათვის მისი გაგზავნით იწყება არსებითი განხილვები. როგორც წესი, SO იგზავნება წევრი სახელმწიფოს იმ ენაზე, სადაც კონკრეტული ეკონომიკური აგენტი და SO ადრესატი საქმიანობს. კომისიის სამუშაო ენები ინგლისური ფრანგული და გერმანულია. სხვა ენებზე თარგმნა საკმაოდ აჭიანურებს პროცესებს დროში.[20] ეს ალბათ უფრო ნახევრად პოლიტიკური და ნახევრად საპროცესო მნიშვნელობის საკითხია, რომელსაც კომისია გვერდს ვერ აუვლის და შესაბამის წევრ სახელმწიფოებს (განსაკუთრებთ პროცესში მათი ჩართულობის შემთხვევაში) და მათ სუბიექტებს ვერ შესთავაზებს პროცესის უცხო ენაზე წარმართვას, როგორი გავრცელებული და მიღებულიც არ უნდა იყოს ეს უცხო ენა ევროპის კავშირისა თუ მსოფლიოს მასშტაბით.

1/2003 რეგულაცია საკმაოდ დეტალურად არეგულირებს კომისიის კომპეტენციის ფარგლებს და ანიჭებს უფლებას კომისიის მიერ ავტორიზებულ ოფიციალურ პირებს გამოითხოვონ ნებისმიერი ფინანსური ან სხვა ხასიათის დოკუმენტაცია, შევიდნენ და დაათვალიერონ კომპანიის კუთვნილი სირვცეები, მოსთხოვონ კომპანიას და მის ცალკეულ თანამშრომლებს, ინფორმაცია და დოკუმენტები, ასევე ახსნა-განმარტებები

[19] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.256-257.
[20] *Ibid,* p.235.

ამა თუ იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რაც, მათი აზრით შესაძლოა საქმისათვის მნიშვნელოვანი იყოს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის რეგულაცია კონკრეტულ ჯარიმებსაც ითვალისწინებს. თუ ეკონომიკური აგენტი ჯარიმების მიუხედავად უარს აცხადებს დაემორჩილოს კომისიის მოთხოვნას, მაშინ კომისიას მინიჭებული აქვს უფლება მიმართოს წევრი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს დახმარების მოთხოვნით. ეს უკანასკნელნი ვალდებულები არიან გაუწიონ კომისიას მაქსიმალური დახმარება თავისი კომპეტენციის ფარგლებში. თავისი საქმიანობის პროცესში კომისიის მხრიდან დათვალიერებას შეიძლება დაექვემდებაროს ნებისმიერი მიწის ნაკვეთი, შენობა, სანტრასნპორტო საშულება, დოკუმენტი თუ სხვა სახის მტკიცებულება, რაც კომისიის აზრით მნიშვნელოვანია კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების დასადგენად. [21]

კომისიის მიერ ინფორმაციის გამოთხოვა (მოთხოვნილი ინფორმაციის მნიშვნელობის გათვალისწინებით) შეიძლება მოხდეს „მარტივი მოთხოვნის“ ან „კომისიის გადაწყვეტილების“ ფორმით.[22]

თუ კომისია მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტს, რომ შესაძლოა კონკურენციის ნორმების დარღვევას ჰქონდეს ადგილი. ის უგზავნის თავისებურ საპრეტენზიო განაცხადს (Statement of objections) შესაბამის მხარეებს და სთხოვს მათ რეაგირებას იმ ვარაუდებზე, რაც ამ დოკუმენტებშია გამოთქმული კონკრეტულ დარღვევებზე მითითებით. მხარე(ებ)ს უფლება აქვთ წერილობით უპასუხონ კომისიის ყველა ბრალდებას. ამავე დროს, კომისია აძლევს მხარეებს მაქსიმალურ წვდომას იმ ფაილთან, რომელიც კომისიას აქვს მათ საქმესთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისია კომისიის კომერციული საიდუმლო (Business secrets), სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია და კომისიის შიდა სამსახურებრივი დოკუმენტები, ასევე წევრი სახელმწიფოების კონკურენციის სააგენტოების კუთვნილი ზემოაღნიშნულის ანალოგიური დოკუმენტები.[23]

როდესაც საქმე ბუნდოვანია მისი სიახლის, ან მანამდე გადაწყვეტილი საკითხების გამო, კომისიას შეუძლია ეკონომიკურ აგენტებს მისცეს არაფორმალური კონსულტაცია/გზამკვლევი (Informal Guidance). ამ გზამკვლევის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის კომისიამ 2004 წელს სპეციალური დოკუმენტიც კი გამოაქვეყნა. ამ შემთხვევაშიც კომისიას საკმაოდ ფართო დისკრეცია აქვს მინიჭებული. მას უფლება აქვს

[21] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.518.
[22] *Ibid,* p.519.
[23] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.519.

დაადგინოს, რომ ევროპის კავშირის საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე არ მოხდეს 101-ე და 102-ე მუხლების გამოყენება და დაასრულოს საქმის წარმოება.[24]

კომისიას უფლება აქვს მიიღოს ე.წ. ამკრძალავი გადაწყვეტილება (prohibition decision) და აუკრძალოს კომპანიას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები და დააკისროს შესაბამისი ჯარიმები, ან აუკრძალოს წევრ ქვეყანას გარკვეული მხარდამჭერი ქმედების განხორციელება, თუ ეს ქმედება ეწინააღმდეგება ევროპის კავშირის რეგულირებებს კონკურენციის სფეროში.[25]

კომისიის უფლებამოსილებები საქმის შესწავლის/მოკვლევის პროცესში შეიძლება პირობითად ორ ძირითად ნაწილად დაიყოს: ა) ინფორმაციის გამოთხოვა და ბ) ინსპექტირება ადგილზე. კომისიის ნებისმიერ ქმედება მოკვლევის პროცესში პირდაპირ უკავშირდება ან პირველს ან მეორეს, ან ორივეს კომბინირებულ გამოყენებას.[26]

Ufex and other vs. Commission-ის საქმეზე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განსაკუთრებით გამოკვეთა კომისიის კომპეტენციის ფარგლები. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ კომისია პასუხისმგებელია კონკურენციის სფეროში ევროპის კავშირის პილიტიკის ფორმირებასა და მის ეფექტურ განხორციელებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კომისიას აქვს საკმაოდ ფართო დისკრეცია თვითონ მიანიჭოს პრიორიტეტი იმ საჩივრებს, რომელიც მასთან არის წარდგენილი. თუმცა, ცხადია, ეს არ გულისხმობს კომისიის განუსაზღვრელ და ბუნდოვან ძალაუფლებას. განსაკუთრებით ეხება ეს კომისიის იმ გადაწყვეტილებებს, რომლებითაც ეს უკანასკნელი უარს ამბობს საჩივრის განხილვაზე. უარი უნდა იყოს იმდენად დასაბუთებული, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა შეაფასოს კომისიის არგუმენტაცია და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება უარის თქმის მართლზომიერებასთან დაკავშირებით. ცალკეული საჩივრების შეფასებისას კომისიამ უნდა გაამახვილოს ყურადღება საჩივარში მითითებული დარღვევების სიმძიმეზე და იმ დროზე, რომლის განმავლობაშიც დარღვევები გრძელდება. მაგალითად, კომისიას, განხილვაზე უარის თქმის მოტივად არ აქვს მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითების უფლება, რომ ეკონომიკურმა აგენტმა შეწყვიტეს კონკრეტული ქმედებები. აუცილებელია შეფასდეს უკვე განხორციელებულ ქმედებათა ეფექტი და გავლენა თავისუფალ კონკურენციაზე. ასევე, ცალკე უნდა დასაბუთდეს კონკრეტული ქმედებების

[24] იხ. Commission Notice on Informal Guidance [2004] OJ C 101/78. ასევე: ***Ezrachi, Ariel;.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.522.

[25] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p.5. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[26] ***Khan, Nicholas.,*** Kerse&Khan on EU Antitrust Procedure, Sixth Edition, Sweet&Maxwell, London, 2012, p.103.

შეფასების მიმართ ევროპის კავშირის ინტერესის (ან თუნდაც კომპეტენციის) არარსებობა.[27]

თუ მოკვლევის მიმდინარეობისას კომისია შემთხვევით გადააწყდება რაიმე დოკუმენტს, რომელსაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისათვის და კონკრეტული შემოწმება ტარდება დადაგენილი წესით, მაშინ მას აქვს ამ დოკუმენტის ასლის გადაღებისა და მასზე შესაბამისი ახსნა-განმარტებების მოთხოვნის უფლება. კომისიას აქვს უფლება შეამოწმოს ეკონომიკური აგენტის ოფისები, დოკუმენტები, საწყობებები, ან მის ინფრასტრუქტურაში შემავალი ნებისმიერი ობიექტი, მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა კონკრეტული მითითება, რა შეიძლება აღმოჩნდეს ასეთი შემოწმების შედეგად.[28] ცხადია, კომისიისათვის ასეთი უფლების ჩამორთმევა ხელს შეუშლის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას და არ წაადგება კონკურენციის დაცვის საქმეს. კომისიას და ნებისმიერ სხვა კონკურენციის ორგანოს ყოველთვის ვერ ექნება ზუსტი ინფორმაცია, რა შეიძლება მოჰყვეს შედეგად ამა თუ იმ შემოწმების პროცედურას, და ცხადია, მას არც უნდა ევალებოდეს ამ ეტაპზე თავისი კონკრეტული მოლოდინების დასაბუთება. მეორე მხრივ, ეკონომიკური აგენტი ვალდებულია მაქსიმალურად კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს კომისიასთან. ეს მის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის არ აღიარებს დარღვევას და თვლის, რომ მის მიმართ სანქციების გამოყენების საფუძველი არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში შემოწმებით გამოწვეული დისკომფორტი ვერ და არ უნდა გახდეს ასეთი შემოწმებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საფუძველი.

როდესაც ხდება რომელიმე ოთახის, სივრცის ან კონკრეტული დოკუმენტების დალუქვა, ლუქის მთლიანობის დარღვევა უკვე თავისთავად წარმოადგენს შესაბამისი სანქციის გამოყენების წინაპირობას. არ არის აუცილებელი კომისიის მიერ იმის მტკიცება, რომ კონკრეტული ნივთები თუ დოკუმენტები დალუქული ტერიტორიიდან გაიტანეს ან გადაადგილეს. აღსანიშნავია, რომ E. On Energie-ის საქმეზე სასამართლომ მხარი დაუჭირა კომისიის მიერ დაკისრებულ ჯარიმას და სპეციალურად აღნიშნა, რომ ასეთი პრაქტიკის დამკვიდრება მომავალში პრევენციულ როლს ითამაშებს და ეკონომიკურ აგენტებს დაარწმუნებს, რომ მათ ინტერესებში იქნება, თუ არ მოხდება კონკრეტული მტკიცებულებების განადგურება და გამოირიცხება კომისიის შეცდომაში შეყვანის მცდელობა. ჯარიმის დაკისრება იმ შემთხვევაშიც კი მართლზომიერად ითვლება, თუ მხარე ადასტურებს, რომ ლუქის დაზიანებას მტკიცებულების განადგურების განზრახვა

[27] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.527.
[28] *Ibid,* p.542.

არ ახლდა თან და ეს შემთხვევითობის, ან მხარის გაუფრთხილებლობის ბრალია.[29] საბოლოო ჯამში, სასამართლოსა და კომისიის მიერ განვითარებული პრაქტიკით, კომისიის ლუქის საწინააღმდეგო ქმედება აშკარად არც თუ ისე მიმზიდველად გამოიყურება და აფიქრებინებს ეკონომიკურ აგენტებს, რომ კიდევ უფრო მეტი ფინანსური თუ სამართლებრივი პრობლემების ასაცილებლად უბრალოდ არ შეეხონ იმ მტკიცებულებებს, რომლებზეც შესაძლოა თავადაც იციან, რომ კონკრეტული პასუხისმგებლობა დადგება.

იგივე წესი გავრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც დადასტურდება, რომ ეკონომიკურ აგენტს ჰქონდა წვდომა კომისიის მიერ დაბლოკილ ელექტრონულ ფოსტაზე. ამ შემთხვევაშიც, ჯარიმის დასაკისრებლად საკმარისია დამტკიცდეს, რომ მხარეს ჰქონდა წვდომა კონკრეტულ ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც დაიბლოკა კომისიის მიერ იმ მიზნით, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელს ჰქონოდა ექსკლუზიური წვდომა. არ არის სავალდებულო იმის დამტკიცება, მოხდა თუ არა ელექტრონული ფოსტიდან კონკრეტული მიმოწერის თუ ფაილების წაშლა, ან ნებისმიერი სხვა მანიპულაცია.[30]

კომისია არ არის შეზღუდული კარტელის გამოძიებისას ერთი სუბიექტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები გამოიყენოს მეორის წინააღმდეგ, ან თვით წარმდგენი პირის წინააღმდეგ თუკი არსებობს ამის ობიექტური საფუძველი.[31]

კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს დოკუმენტები და ინფორმაცია ეკონომიკური აგენტებისაგან. განახორციელოს ეკონომიკური აგენტების კუთვნილი სათავსების, საწყობების, ოფისების და სხვა შენობების ინსპექტირება, გამოავლინოს ეკონომიკური აგენტების მხრიდან მოკვლევის პროცესში ჩადენილი საპროცესო დარღვევები,[32] დალუქოს საწყობი, ოფისი, ან კაბინეტი ან ნებისმიერ სხვა ადგილი სადაც შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მოიპოვოს კომპანიის შესაბამისი დოკუმენტაცია, გადაიღოს ასლები და ა.შ.[33] საგულისხმოა, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში დღემდე პრობლემას წარმოადგენს წერილობითი მტკიცებულებების ელექტრონული ფორმით წარდგენა, რაც მხარებს უამრავი ფურცლის ამობეჭდვას

[29] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.544.
[30] *Ibid,* p.545.
[31] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.194
[32] *Ibid,* p.277-392.
[33] ***Jephcott, Mark., Spec, Lic.,*** Law of Cartels, Jordan Publishing, Bristol, 2011, p.168.

ავალდებულებს. ეს მიდგომა სავსებით სამართლიანად არის გაკრიტიკებული დოქტრინაში.[34]

კარგი მართვის (Good administration) პრინციპი ნებისმიერ შემთხვევაში სავალდებულოა კონკურენციის საქმეების განხილვისათვის. ეს პრინციპი გულისხმობს სათანადო გულისხმიერებით ფრთხილად და ნეიტრალურად საქმეების განხილვას და ავალდებულებს კომისიას ეს სტანდარტი დაიცვას თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე.[35]

სამართლიანი განხილვის უფლება ევროპული კონკურენციის სამართლის პერსპექტივიდან სამ ძირითად ასპექტს მოიცავს: ა) მხარის უფლებას წარმოდგენილი იყოს იურისტით და სარგებლობდეს მასთან ინფორმაციის გაცვლისას სრული კონფიდენციალურობით; იურისტის ფიზიკური ყოფნა რაიმე კონკრეტულ ადგილას არ არის რელევანტური. შეფასებისათვის აუცილებელია გაირკვეს, რამდენად ჰქონდა იურისტს კლიენტის დაცვის რეალური შესაძლებლობა და რამდენად იყო უზრუნველყოფილი საამისოდ აუცილებელი ყველა მექანიზმით; ბ) მხარის უფლებას ჰქონდეს საქმესთან კავშირში მყოფ დოკუმენტებთან იგივე წვდომა და შესაძლებლობა მათზე პასუხის გაცემისა, როგორც ეს აქვს თვითონ კომისიას; გ) მხარის უფლება მოახსენოს კონკურენციის ორგანოს საკუთარი პოზიცია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პირადად მას, ან შეიძლება აისახოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მხარეს მიეცეს ყველა მტკიცებულებასა თუ მის მიმართ არსებულ კითხვებზე საკუთარი პოზიციის სრულად დაცვის შესაძლებლობა.[36]

b) კომისიისადმი მიმართვის პროცედურა

კომისიაში საჩივრის წარდგენა შეუძლია როგორც ნებისმიერ ფიზიკურ, ასევე იურიდულ პირს და წევრ სახელმწიფოსაც.[37] დადგენილი მოთხოვნები განსაკუთრებული ფორმალიზმით არ გამოირჩევა. კომისიაში წარდგენილი საჩივარი უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ დამტკიცებულ ფორმას ე.წ. Form C სახით. ამ დამტკიცებული

[34] ***Schrieber, Till., Krüger, Karsten., Burke, Padriac.,*** Practical Challenges for cross-border follow on actions, in: ***Parcu, Pier Luigi; Monti, Giorgio; Botta, Marco;*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.22.

[35] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.969.

[36] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.21-23.

[37] *Ibid,* p.230.

ფორმის სტრუქტურა ასეთია: ა) ინფორმაცია მხარეების შესახებ; ბ)სავარაუდო დარღვევების დეტალები, მათი აღწერა; გ) მხარის კონკრეტული მოთხოვნა კომისიის მიმართ.[38]

კომისია თვითონ წყვეტს საჩივრის დასაშვებობის საკითხს და თვითონვე განსაზღვრავს რა შემთხვევაში მისცეს საქმეს შემდგომი მსვლელობა.[39] ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას კომისია მხედველობაში იღებს როგორც საკუთარ რესურსებს და შესაძლებლობას, ასევე საქმის პრიორიტეტულობას და მის გავლენას თავისუფალი ბაზრის განვითარებაზე. საგულისხმოა, რომ კომისიის ეს უფლებამოსილება სადავო არ არის. ამ მიმართულებით რაიმე მკაცრი რეგულირება და კრიტერიუმები ნაკლებად არსებობს. კომისიას არ სურს საკუთარი უფლებამოსილება საჩივრის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით ვინმეზე დამოკიდებული გახადოს.[40] კითხვები და პრობლემები ნაკლებად წარმოიშობა, როდესაც კომისია უბრალოდ ადგენს, რომ 101-ე და 102-ე მუხლების გამოყენება საჩივარში მითითებული ურთიერთობების მიმართ გამორიცხულია.[41] ასეთი უარი წმინდა ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც ლოგიკურია.

კომისიაში წარდგენილი საჩივარი შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. არაფორმალური საჩივარი სამართლებრივი თვალსაზრისით არ აღიქმება საჩივრად. როგორც წესი, ასეთი საჩივრის ავტორები თვითონ კონფიდენციალურად დარჩენას არჩევენ ხოლმე. Stanley Adams-ის საქმეზე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნა, რომ ეკონომიკური აგენტის მოთხოვნა მისი ვინაობის საიდუმლოდ შენახვასთან დაკავშირებით, როდესაც მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო მოკვლევა - კომისიის სამართლებრივი ვალდებულებაა. ასეთ შემთხვევაში ანონიმური ეკონომიკური აგენტი გვევლინება როგორც მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელი, ამიტომ მას არ აქვს უფლება მოითხოვოს მოკვლევის დაწყება. მისი „საჩივარი“ არ წარმოშობს კომისიის ვალდებულებას განხილვასთან დაკავშირებით და მხოლოდ შესაბამისი თანამდებობის პირთა დისკრეციულ უფლებამოსილებაზეა დამოკიდებული, მისცემენ თუ არა ისინი საქმეს მსვლელობას მხოლოდ ასეთი არაფორმალური მიმართვის საფუძველზე.[42]

იმისთვის რომ კომისიამ რეაგირება მოახდინოს, არ არის აუცილებელი, რომ კონკრეტულ ქმედებას ჰქონდეს დადასტურებული გავლენა წევრ სახელმწიფოებს

[38] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.234.
[39] *Ibid,* p.175.
[40] *Ibid,* p.178.
[41] *Ibid,* p.179.
[42] *Ibid,* p.232.

შორის ვაჭრობაზე. ასეთი გავლენის პოტენციურად მოხდენის შესაძლებლობა უკვე გულისხმობს სრულ საფუძველს საიმისოდ, რომ ევროპის კავშირის კონკურენციის კანონმდელობა მთელი თავისი ეფექტურობითა და სიმძლავრით მოქმედებაში მოვიდეს.[43]

Statement of objections არის საპროცესო მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელსაც კომისია უგზავნის დამრღვევ პირს და ამით იწყებს შესაბამისი საქმის წარმოებას. როგორც მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, მომავალში კომისია შეზღდული არ არის ამ დოკუმენტის შინაარსით და ის მისთვის მბოჭავად არ განიხილება. მართლმსაჯულების სასამართლომ სპეციალურად მიუთითა საერთო იურისდიქციის სასამართლოს შეცდომაზე - მიეჩნია დადგენილად ყველა ის გარემოება, რაც მითითებული იყო statement of objection -ში მაშინ, როდესაც იქ მითითებულ ფაქტებსა და გარემობებს სათანადო წესით დადასტურება სჭირდება.[44]

საქმეზე - Koninklijke Wegenbouw Stevin BV vs. Commission-ი მხარემ გაასაჩივრა კომისიის მიერ კარტელში მონაწილეობისათვის დაკისრებული ჯარიმის 10%-მდე გაზრდა იმის გამო, რომ ეკონომიკურმა აგენტმა 47 წუთის განმავლობაში დააბრკოლა კომისიის ოფიციალური პირების შეშვება მის ტერიტორიაზე. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას არ სურდა კომისიის წარმომადგენელთა შეშვება ადგილზე, ვინაიდან იქ არ იმყოფებოდნენ მის მიერ დაქირავებული იურისტები და მას ჰქონდა უფლება კომისია არ დაეშვა შესაბამისი ადგილზე, სანამ არ იქნებოდა უზრუნველყოფილი მისი ინტერესების სათანადო დაცვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეს აქვს საკუთარი ინტერესების ეფექტურად დაცვის უფლება, მაგრამ ეს უფლება არ შეიძლება იქცეს კომისიასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის გამართლებად. თვით ევროპის ადამიანის უფლების სასამართლომ აღიარა არაერთხელ, რომ ეფექტური დაცვის და იურისტის აყვანის უფლება არ არის შეუზღუდავი და საბოლოო ჯამში, სასამართლო ათვასებს საქმის საერთო კონტექსტს და ისე ადგენს, მიეცა თუ არა პირს საკუთარი უფლებების ეფექტურდ დაცვის შესაძლებლობა. გარკვეულ გარემოებებში ასეთი შეზღუდვა შეიძლება ლოგიკურად გამომდინარეობდეს საქმის საპროცესო კონტექსტიდან. მანამდე, სხვა საქმეზე National Panasonic vs. Commission-ი სასამართლომ დაადგინა, რომ მხარისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გარეშე კომისიის წარმომადგენლების მისვლა კომპანიის ოფისში და იქ დაშვების მოთხოვნა არ შეიძლება განხილულ იქნეს კომპანიის უფლებების არსებით დარღვევად, ვინაიდან ასეთი ქმედება შეიძლება გამართლებული იყოს კონკრეტული საქმის გარემოებების ეფექტურად გამოკვლევის ინტერესით.

[43] ***Wijckamans, Frank., Tuytschaever, Filip.,*** Vertical Agreements in EU Competition Law, Oxford University Press, Third Edition, Oxford, 2018, p.89.

[44] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016, p. 329.

სასამართლომ დაადგინა, რომ კომისიის უარი დალოდებოდა კომპანიის მიერ დაქირავებულ იურისტებს, არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო დაცვის უფლების დარღვევად.[45]

ეკონომიკურ აგენტს აქვს უფლება უჩივლოს კომისიას და მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ დარღვევა კომისიის მხრიდან არსებითი ხასიათისაა და არსებობს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და კომისიის ქმედებებს შორის.[46]

c) კომისიის მიერ საჩივრის განხილვის პროცედურა

კომისიის ხელთ არსებული მექანიზმისა და სამართლებრივი ბერკეტების მოქმედებაში მოსაყვანად საჩივარი აუცილებელი არ არის. კომისიას საკუთარი ინიციატივით შეუძლია ჩაერიოს შესაბამის ბაზარზე განვითარებულ მოვლენებში, თუმცა ეს არ გამორიცხავს ბაზრის მონაწილეთა უფლებას მიმართონ კომისიას და მოითხოვონ მისი დაინტერესება ამა თუ იმ ეკონომიკური აგენტ(ებ)ის საქმიანობით. საჩივრით მიმართვა არ გულისხმობს კომისიის ავტომატურ ვალდებულებას მისი განხილვასთან დაკავშირებით. საჩივრის მიღება და მოკვლევის გაგრძელება ძირითადად ორ კრიტერიუმზეა დამოკიდებული. პირველი პასუხს სცემს კითხვაზე, რამდენად თავსდება ესა თუ ის საჩივარი და მასში მითითებული ფაქტები თუ გარემოებები კომისიის პრიორიტეტებში და რამდენად აქვს კომისიას შესაძლებლობა და რესურსი მოცემული შემთხვევის სრულფასოვანი შესწავლისათვის. საგულისხმოა რომ ამ შემთხვევაში კომისიას აქვს სრული დისკრეცია თვითონ დაადგინოს იმ საქმეთა წრე, რომელსაც ჩარევის ღირსად მიიჩნევს.[47] მეორე მხრივ, ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ან სხვა გაერთიანება რომელიც კომისიას მიმართავს, ვალდებულია აჩვენოს ე.წ. ლეგიტიმური ინტერესი. თუ საჩივრის ავტორი თავის ლეგიტიმურ ინტერესს სარწმუნოდ ვერ დაასაბუთებს, კომისიას უფლება აქვს არ მისცეს შემდგომი მსვლელობა საჩივართან დაკავშირებულ პროცედურას.[48] საჩივრის უარყოფა ასევე შეიძლება მოხდეს იმ საფუძვლით, რომ მხარემ ვერ მიუთითა, ისეთ გარემოებებზე, რომელსაც რიამე კავშირი ექნებოდა დარღვევასთან, ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომელიც შემხებლობაში იქნებოდა მის მიერ მითითებულ ფაქტებთან და გარემოებებთან. კომისიას ასევე შეუძლია უარი თქვას საჩივრის განხილვაზე, თუ მასში მითითებულ ფაქტებსა და

[45] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016, p.538.
[46] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 1034-135.
[47] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.556-557.
[48] *Ibid,* p.559.

გარემოებებს არაფერი აქვთ საერთო 101-ე და 102-ე მუხლების გამოყენებასთან. ასევე გამორიცხულია საჩივრის განხილვა, თუ კონკრეტული ქმედება, რომელსაც ეკონომიკური აგენტი ასაჩივრებს, დაშვებულია კომისიის მიერ რომელიმე Block Examption Regulation ან Regulation 17-ის[49] ფარგლებში. შესაძლოა კომისიის უარი იმათაც იყოს მოტივირებული, რომ არ არსებობს ევროპის კავშირის ინტერესი, თუ საქმე არ ეხება წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობას ან საქმეს უკვე იხილავს რომელიმე ეროვნული კონკურენციის ორგანო.[50]

TFEU ევროპის კავშირის წევრის სახელმწიფოების მოქალაქეებს აძლევს უფლებას უჩივლონ ევროპის კავშირის ორგანოებს, თუ ჩათვლიან, რომ ამ უკანასკნელთ ჰქონდათ ვალდებულება ემოქმედათ, თუმცა ისინი მხოლოდ შესაბამისი პირებისათვის რეკომენდაციის მიცემით, ან მოსაზრების დაფიქსირებით შემოიფარგლნენ (ე.წ. failure to act actions). კონკურენციის სამართლიდან გამომდინარე კომისიის მიმართ ამ უფლების გამოყენებას გარკვეული წინაპირობების შესრულება სჭირდება. უპირველეს ყოვლისა, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ კომისიის უმოქმედობას, მის მიერ კონკრეტული საქმის მოკვლევისაგან თავის შეკავებას პირდაპირი და უშუალო გავლენა ჰქონდა მის ინტერესებზე. საქმეზე Lord Bethell vs. Commision-ი საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ Lord Bethell-ის მიერ წარდგენილი საჩივარი, რომელიც შეეხებოდა კომისიის უარს გამოეყენებინა 101-ე მუხლი და დაეჯარიმებინა ავიაკომპანიები, არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, რადგან ის საქმე მიმართული იყო ავიაკომპანიებისა და არა მოსარჩელის წინააღმდეგ. თუმცა მოგვიანებით სასამართლომ შეარბილა თავისი დამოკიდებულება ამ კრიტერიუმის მიმართ და მიუთითა, რომ შესაძლებელია კომისიის მიერ გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების საფუძვლით საჩივრის შეტანა, თუ მხარე დაამტკიცებს რომ ამ ქმედებას/აქტს პირდაპირი და უშუალო გავლენა ჰქონდა/ექნებოდა მის უფლებებსა და ინტერესებზე, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ასეთი აქტი მიმართული უნდა იყოს/ არის სხვა პირების წინააღმდეგ. ამ საფუძვლით საჩივრის შეტანა არ დაიშვება, როდესაც კომისია იღებს ზომებს, მაგრამ არა ისეთს, როგორიც მოთხოვნილია დაინტერესებული პირების მიერ. ასეთ შემთხვევაში მათ უნდა მიუთითონ არა კომისიის უმოქმედობაზე, არამედ უნდა გაასაჩივრონ კომისიის მიერ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება რომლის შინაარსიც მათ არ აკმაყოფილებთ.[51]

[49] Regulation 17/62/EEC https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex:31962R0017

[50] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.559-563.

[51] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.687-688.

კომისიის მიერ საჩივრის განხილვის პროცედურა სამი ძირითად ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე, ანუ საჩივრის მიღების შემდეგ, კომისია აგროვებს ინფორმაციას და სწავლობს საქმეს. ამავე ეტაპზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორი მსვლელობა შეიძლება მიეცეს საჩივარს და რა რეაგირება უნდა მოჰყვეს მას კომისიის მხრიდან. მეორე მხარისათვის საჩივრის შემოსვლის შესახებ დაუყოვნებლივი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს. კომისიის გადასაწყვეტია და მისი დისკრეციაა, როდის გააკეთებს ამას. შესაბამისად, გაფრთხილებამდე კომისიამ ასევე უნდა იმსჯელოს რა გვერდითი ეფექტები შეიძლება ჰქონდეს მეორე მხარის (მოპასუხის) ინფორმირებას და ამ საკითხის მხედველობაში მიღებით განსაზღვროს შეტყობინების ვადები. ამავე დროს, ევროპული სასამართლოების პრაქტიკა ცალსახად მიუთითებს, რომ კომისიას არ აქვს უფლება საჩივარი საერთოდ რეაგირების გარეშე დატოვოს, როგორი დასაბუთებაც არ უნდა იქნეს მოხმობილი ასეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ. მეორე ეტაპზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რა რეაგირება მოახდინოს შემოსულ საჩივარზე. თუ ის არ აპირებს საჩივრისთვის შემდგომი მსვლელობის მიცემას, მაშინ საჩივრის ავტორის ინფორმირება სავალდებულოა. მას ასევე უნდა მიეცეს დრო და რეალური შესაძლებლობა ამ დროში დააფიქსიროს საბოლოო პოზიცია კომისიის მიერ მის საჩივართან დაკავშირებით გამოთქმული შეფასებების მიმართ. მესამე ეტაპზე, თუ კომისიის არგუმენტების გაცნობის შემდეგაც საჩივრის ავტორი არ ცვლის პოზიციას, მაშინ კომისიას გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.[52]

კომისიის და ნებისმიერი კონკურენციის ორგანოს ვალდებულებაა გადაწყვეტილება მიიღოს გონივრულ ვადაში. მაგალითად, Cement-ის საქმეზე კომისიის მიერ ინიცირებული პროცედურა გაგრძელდა 68 თვეს, ხოლო PVC-ის საქმეზე 62 თვეს. ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში მიღებულად ჩაითვალა. ასეთ კომპლექსურ შემთხვევებში რაიმე აბსტრაქტული ასტრონომიული დროის მონაკვეთის განსაზღვრა და მისი გონივრულად მიჩნევა ნაკლებად დამაჯერებელია. გადაწყვეტილება საკითხის ყოველმხრივ შეფასების შედეგად უნდა იქნეს მიღებული.[53] ცხადია, ეს მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებებს შეიძლება შეეხოს, რომელთა მისაღებად კონკრეტული ვადა გაწერილი არ არის.

[52] ***Khan, Nicholas.,*** Kerse&Khan on EU Antitrust Procedure, Sixth Edition, Sweet&Maxwell, London, 2012, p.70-90.

[53] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.966-967

კომისიას არ აქვს უფლება მოსთხოვს ეკონომიკურ აგენტს ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება, რაც ხელს შეუწყობს მისი ბრალის დამტკიცებასა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. ეკონომიკურ აგენტს შეუძლია თვითონ აირჩიოს, კონკრეტულ მტკიცებულებაზე, ფაქტსა თუ გარემოებაზე გააკეთებს კომენტარს და შეფასებას, თუ დუმილის უფლებას გამოიყენებს. მან რისკიც თვითონ უნდა შეაფასოს, რომ პირველ შემთხვევაში შესაძლოა უფრო მსუბუქი სანქციით დაასრულოს წარმოება, ხოლო მეორემ მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის ხარისხისა და მოცულობის ზრდა გამოიწვიოს. ნებისმიერ შემთხვევაში, მას უნდა მიეცეს ამ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და უკვე გაკეთებული არჩევანის მიყოლა მხოლოდ მისი ნება უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის ზოგადი პრინციპები დარღვეულად ჩაითვლება. [54]

Patere legem quam ipse feciti წევრი ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის ადმინისტრაციული სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი პრინციპია. თუ ადმინისტრაციული ორგანო (ჩვენს შემთხვევაში: კონკურენციის ორგანო იქნება ეს ეროვნული სტრუქტურა თუ ევროპის კომისიის შესაბამისი დაწესებულებები) გამოსცემს გარკვეულ გაიდლაინებს, რომლის მიხედვითაც ახდენს ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სამართლებრივ თუ ტექნიკურ შეფასებას, მაშინ ეს წესები მისთვის (ანუ მიმღები ორგანოსათვის) ასევე სავალდებულო და მბოჭავი უნდა იყოს. თუმცა აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საერთო იურისდიქციის სასამართლოს თვით კომისიის მიერ განვითარებული პრაქტიკის სავალდებულოობას კომისიისთვის არ აღიარებს. შესაბამისად კომისიას არ აქვს განსაკუთრებული ვალდებულება შეეწინააღმდეგოს თავის გადაწყვეტილებას სხვა საქმეზე ერთიანი პრაქტიკის უარყოფის გამო. როგორც მინიმუმ, რაიმე სამართლებრივად სავალდებულო სახელმძღვანელო პრინციპის დაცვას კომისიის მიერ სასამართლო აუცილებლად არ მიიჩნევს. [55] ზემოაღნიშნული ტენდენცია კონკურენციის პრაქტიკის სავალდებულობის არარსებობის შესახებ გარკვეულწილად მართლაც ტოვებს არასტაბილურობის განცდას, თუმცა აქ ალბათ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ თითოეული საქმე იმდენად ინდივიდუალურია, განსაკუთრებით ინტელექტუალური საკუთრების სამართლის პერსპექტივიდან რომ ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპების მიყენება ვერ ხერხდება ხოლმე. ხშირად დაბრკოლებები სწორედ დეტალებში ვლინდება ხოლმე.

კომისია ვალდებულია თავისი საქმიანობა შეუსაბამოს იმ ლეგიტიმურ მოლოდინებს რომელიც შეიძლება მხარეებს ჰქონდეთ მათი საქმეების განხილვასთან მიმართებაში. სტანდარტი ამ შემთხვევაში საკმაოდ მაღალია და მტკიცების ტვირთი, რომ ლეგიტიმური მოლოდინები დარღვეულია, მთლიანად ეკონომიკურ აგენტს ეკისრება. მაგალითად,

[54] *Ibid,* p.965.
[55] *Ibid,* p.961.

Graphite Electrodes-ის და Nedles-ის საქმეებზე კონკურენციის გენერალური დირექტორის განცხადება სასამართლომ არ მიიჩნია ლეგიტიმური მოლოდინის შექმნისათვის საკმარის პირობად. კიდევ ერთი მაგალითი: ეკონომიკურ აგენტს არ შეუძლია მიუთითოს კომისიის მიერ უკვე დაკისრებული ჯარიმების ოდენობაზე და ეს აქციოს ლეგიტიმური მოლოდინის საფუძვლად თუ ნორმატიული აქტებით დადგენილი 10%-მდე ზღვარი კომისიას დაცული აქვს. ამიტომ კომისიის მიერ ჯარიმის შესამცირებლად ან გასაზრდელად გამოყენებული დასაბუთება ერთ საქმეზე არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმური მოლოდინის ფორმირების საფუძვლად სხვა საქმისათვის.[56]

ევროპული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ ფრთხილი და თანმიმდევრულია, როდესაც საქმე ეხება ე.წ. Due Process ძირითად პრინციპების დაცვას. ისევე როგორც ნებისმიერ ადმინისტრაციულ პროცედურაში, რაც ევროპის კავშირის ეგიდით წარიმართება, კონკურენციის საქმის გამოკვლევის დროსაც კომისიამ გარანტირებულად უნდა დაიცვას მხარის უფლება იყოს წარმოდგენილი პროფესიონალი დამცველით. ასევე ზედმიწევნით უნდა იქნეს დაცული ის საპროცესო გარანტიები, რაც პროცესის სამართლიანად წარმართვის საფუძველი უნდა გახდეს. ზოგადი ამოსავალი წერტილია ცნობილი პრინციპი, რომლის თანახმადაც კომისიას არ აქვს უფლება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი დაამყაროს და სანქცია დააკისროს ეკონომიკურ აგენტს ისეთი ქმედებისათვის, რომელიც თვით პროცესის განმავლობაში შეფასებული არ ყოფილა და რომელზედაც მხარეს არ მისცემია შესაძლებლობა გამოეხატა საკუთარი აზრი.[57]

როდესაც საქმე თავისი მოცულობითა და კომპლექსურობით შორდება ერთი წევრი სახელმწიფოს მასშტაბს, როგორც წესი, კომისიის რეკომენდაციაა, რომ საქმეზე რამდენიმე ეროვნულმა ორგანომ პარალელური პროცესი წამოიწყოს.[58] ალბათ ასეთი სცენარი უფრო მეტად იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც კომისია მიიჩნევს, რომ კონკრეტული საკითხი მისი კომპეტენციის სფეროს არ მიეკუთვნება. თუ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობას ეხება, მაშინ დიდი ალბათობით თვითონ მოუწევს კომისიას საქმეზე მუშაობა.

d) უზრუნველყოფის ზომები კომისიის საქმიანობაში

[56] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.970-971.
[57] *Ibid,* p.227.
[58] *Ibid,* p.141.

1/2003 რეგულაცია კომისიას ანიჭებს უფლებას გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენოს უზრუნველყოფის ზომები, თუ დარწმუნდება და დაასაბუთებს, რომ ამ ზომების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს თავისუფალ კონკურენციას.[59] კომისია ასეთ ზომებს იღებს საკუთარი ინიციატივით, როდესაც დარწმუნდება, რომ გაჭიანურებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს თავისუფალ კონკურენციას და ბაზარს. კომისიას აქვს უფლება ასეთი ზომები მიიღოს არაუმეტეს ერთი წლის ვადით, თუმცა საჭიროების შემთხვევაში და შესაბამისი დასაბუთებით ამ ვადის გაგრძელებაც დასაშვებად მიიჩნევა.[60]

კომისია უზრუნველყოფის ზომების მიღებისას ხელმძღვანელობს რამდენიმე კრიტერიუმით, რომელთა არსებობაც სათანადოდ უნდა დაასაბუთოს: ა) საქმის მასალები, რომელიც მოკვლეულია უზრუნველყოფის ზომის გამოყენების ეტაპისათვის უნდა იძლეოდეს prima facie იმის მტკიცების შესაძლებლობას რომ დარღვევა ალბათობის მაღალი ხარისხით სახეზეა; ბ) უზრუნველყოფის ზომების მიუღებლობა უნდა იწვევდეს მნიშვნელოვან და ისეთ ზიანს, რომლის გამოსწორებაც მომავალში შეუძლებელი იქნება. აღნიშნულის პარალელურად Akzo Nobel-ის და შემდგომში სხვა საქმეებზეც კომისიამ ცალსახად მიუთითა, რომ ასევე სავალდებულოა დასაბუთდეს ზომების გადაუდებლად მიღების საჭიროება. სხვაგვარად რომ ითქვას, კომისიამ უნდა მიუთითოს, კონკრეტულ გარემოებებზე, ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მყისიერი ჩარევის გარეშე ზიანი მნიშვნელოვანი და გამოუსწორებელი იქნება.[61]

კომისიის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომები შეიძლება გასაჩივრდეს საერთო იურისდიქციის სასამართლოში.[62] კომისიას აქვს უფლება მხარეს დააკისროს სპეციალური ჯარიმა უზრუნველყოფის ზომების მიღების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის.[63]

ე) კონფიდენციალურობის ფარგლები კომისიის საქმიანობაში

[59] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.640.

[60] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.173.

[61] *Ibid,* p.615-616.

[62] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.621.

[63] *Ibid.*

TFEU 339 უკრძალავს ევროპის კომისიის მოხელეებს გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის სამსახურებრივად გახდა ცნობილი. მეორე მხრივ, ცხადია, რომ ეკონომიკური აგენტების ინტერესია მათი ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა. ამ ინტერესის სათანადო, მაგრამ დაბალანსებული დაცვა ევროპის კანონმდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.[64]

ზოგადი პრინციპის თანახმად, კონკურენციის პროცესში ყოფნა გამორიცხავს ეკონომიკური აგენტის კუთვნილი ინფორმაციის აბსოლუტურ კონფიდენციალურობას. ყოველთვის არის შესაძლებელი, რომ მოხდეს კონფიდენციალური ინფორმაციის გამოცალკევება დოკუმენტის შინაარსიდან, რაც უზრუნველყოფს მისი გაცნობის ინტერესსა და კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესს შორის ოპტიმალურ ბალანსს.[65]

კონფიდენციალურობის მოთხოვნა მხარის მიერ საკმაოდ ხშირი პრაქტიკაა. ეს მოთხოვნა მაშინ კმაყოფილდება, როდესაც ეკონომიკურ აგენტს აქვს შესაბამისი დასაბუთება და შეუძლია წარმოადგინოს კონკრეტული დოკუმენტის ისეთი ვერსია, სადაც კონფიდენციალური ინფორმაცია დაფარულია და ხელმისაწვდომი ვერ გახდება. დოკუმენტის ეს ვერსია კომისიამ მისაღებად უნდა ჩათვალოს.[66] კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული კითხვები ხშირად წამოიჭრება მაშინ, როდესაც ხდება საქმეთა გაერთიანება (joinder). საქმეში მონაწილე ნებისმიერ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი, ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.[67]

კომისიის პრაქტიკა ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი სახის კონფიდენციალურ ინფორმაციას: ე.წ. კომერციული (ბიზნეს) საიდუმლოება და სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია. ამავე პრაქტიკის მიხედვით, პირველში მოიაზრება ის ინფორმაცია, რომლის არა მხოლოდ საჯაროდ გავრცელება, არამედ ნებისმიერის მესამე პირისათვის განდობა და გადაცემა გამოიწვევს ინფორმაციის მომწდებელი მხარისათვის ქონებრივ ზიანს. ასეთი ინფორმაცია შეიძლება იყოს: ნოუჰაუსთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური და ფინანსური ინფორმაცია, ხარჯების შეფასების მეთოდოლოგია, პროდუქციის წარმოების პროცესის შესახებ საიდუმლო ინფორმაცია, მიწოდების

---

[64] *Ibid,* p.207.

[65] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 1003.

[66] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.215.

[67] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 1005.

წყაროები, სამომავლო გეგმები, ხარჯებისა და ფასების სტრუქტურა, გაყიდვების მარკეტინგული სტრატეგია და ა.შ.[68]

კომისია ვალდებულია სამართლიანად და ეფექტურად დააბალანსოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ინტერესი და მხარის უფლება სრულად წარმოადგინოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია პროცესის მიმდინარეობისას.[69]

f) დამოუკიდებელი იურისტის გამოყენების პრივილეგია (legal professional privilege)

ეკონომიკური აგენტის უფლებასთან - დაიცვას საკუთარი ინტერესები, ეფექტურ გარანტიად განიხილება ე.წ. legal professional privilage, რაც გულისხმობს ეკონომიკური აგენტის და მისი იურისტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას და დაცვის ეფექტური სისტემის განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საყრდენ მექანიზმს წარმოადგენს.[70]

Hilti AG-მა გაასაჩივრა კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა მის მიერ TFEU 102-ე მუხლის დარღვევას. საქმეში კომისიის მხარეს ჩაერთო ორი ეკონომიკური აგენტი, Bauko UK-ი და Profix Distribution ltd-ი. Hilti ითხოვდა, რომ გარკვეული დოკუმენტები, ზემოაღნიშნული ეკონომიკური აგენტებისათვის კონფიდენციალური დარჩენილიყო, თუმცა უარი თქვა ამ უფლებაზე კომისიის მიმართ. საქმე ეხებოდა მოსარჩელის მიერ საქმესთან დაკავშირებით დაქირავებულ დამოუკიდებელ იურისტებთან მიმოწერას. სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი პრივილეგია ერთი მხრივ მომდინარეობს დაცვის უფლებიდან და მეორე მხრივ ის ახასიათებს დამოუკიდებელი, ანუ ისეთი იურისტების საქმიანობას, ვინც კომპანიასთან შრომის ხელშეკრულებით არ არიან დაკავშირებულები. სასამართლოს შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხებოდა დამოუკიდებელ იურისტთან მიმოწერას მას შემდეგ, რაც კომისიამ საქმე გახსნა მოსარჩელის წინააღმდეგ, მართლაც არსებობდა იმის იურიდიული ინტერესი, რომ კონკრეტული დოკუმენტები სხვა კომპანიებისათვის,

[68] *Ibid,* p.247.
[69] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.249.
[70] *Ibid,* p.166.

ვინც საქმეში მოსარჩელის წინააღმდეგ იყვნენ ჩართულები, მართლაც კონფიდენციალური დარჩენილიყო.[71]

g) მტკიცების ტვირთი

ევროპულ სასამართლო პრაქტიკაში მტკიცების ის სტანდარტი, რომელიც კომისიამ უნდა დაიცვას, სხვადასხვა ტერმინებით გადმოიცემა ხოლმე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად განიმარტება. ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული უნივერსალური კრიტერიუმები არ არსებობს.[72]

ზოგადი სტანდარტი გულისხმობს, რომ კომისიამ სათანადოდ უნდა დაამტკიცოს დარღვევის შესაბამისი ასპექტების არსებობა (Commission has proved to the requisite legal standard each of the aspects of the infringment). აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთო იურისდიქციის სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს რამდენად ემყარება, და კონკრეტულად რომელ მტკიცებულებებს ემყარება კომისიის დასკვნები და რამდენად იძლევა ეს მტკიცებულებები ამა თუ იმ ფაქტის მტკიცების შესაძლებლობას.[73]

ზოგადი პრინციპია, რომ კონკურენციის შეზღუდვის მტკიცების ტვირთი კონკურენციის ორგანოს ეკისრება. სწორედ მან უნდა დაასაბუთოს და გაამყაროს მტკიცებულებებით, როგორც კონკრეტული ქმედებების არსებობა, ასევე ის დამდგარი თუ პოტენციური შედეგები, რაც ქმედებებს შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მტკიცების ტვირთის ვერ დაკმაყოფილება კონკურენციის შესაბამისი ორგანოს მიერ ევროპული პრაქტიკით მიიჩნევა არსებით საპროცესო დარღვევად რასაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგები უნდა მოჰყვეს.[74]

2003 წლის დირექტივის მეორე მუხლის თანახმად, ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლების (ძველი რედაქციის 81-82 მუხლები) დარღვევაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ორგანოს (კონკურენციის სააგენტოს) ან პირს, ვინც ამტკიცებს ასეთი დარღვევების არსებობას. თუ კომპანია

---

[71] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.563. ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით დამატებით იხ. ***Blanco Luis Ortiz (Editor),*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.486-487.

[72] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.34-35.

[73] *Ibid,* p.909.

[74] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.31.

ითხოვს პრივილეგიას 101 (3) მუხლის მიხედვით, ამ პრივილეგიის დასაბუთების მტკიცების ტვირთი კომპანიას ეკისრება.[75]

2003 წლის რეგულაციის მეორე მუხლიც და არსებული სასამართლო პრაქტიკაც სწორედ კომისიას აკისრებს კონკრეტული დარღვევის მტკიცების ტვირთს. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლშია განმტკიცებული, ნებისმიერი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კომისიის მიერ სათანადო წესით, უნდა გადაწყდეს ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ.[76] მაგალითად, CISAC vs. Commission-ის საქმეში ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ მტკიცების ტვირთის საკმაოდ მაღალი სტანდარტი გამოიყენა, როდესაც დაასკვნა, რომ „ნებისმიერი ეჭვი, რომელიც ვერ დამტკიცდება უნდა გადაწყდეს ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ მიუხედავად იმისა, ამ კონკრეტული ქმედებისათვის კომისიას ჯარიმა აქვს დაკისრებული თუ არა.[77]

უდანაშაულობის პრეზუმფცია კონკურენციის სამართალთან დაკავშირებული პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპია და მისი დაცვის გარეშე საპროცესო უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტი კონკურენციის დავებში წარმოუდგენელია.[78] იგივე შეიძლება ითქვას საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის გამორიცხვასთან[79] და კონკურენციის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების განჭვრეტადობასთან[80] დაკავშირებითაც. ეს უკანასკნელი გულისხმობს კომისიის ვალდებულებას საკუთარი პოზიცია და სამართლებრივი შეფასება ჩამოაყალიბოს მხარისთვის მაქსიმალურად გასაგებად და ლაკონიურად, რათა მისის შინაარსი და კომისიის მიდგომა მაქსიმალურად ნათელი და განჭვრეტადი იყოს ეკონომიკური აგენტებისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდავი ქმედებების მიმართ მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია, თუმცა მტკიცების გარკვეული სტანდარტის შესრულების შემდეგ მტკიცების ტვირთი საჯარო ხელისუფლების ორგანოდან ეკონომიკურ აგენტზე გადადის. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე Hülls AG vs.Comission-ი კომისიამ დაამტკიცა, რომ ეკონომიკური აგენტი მონაწილეობდა სხვა აგენტებთან ერთად შეხვედრებში, სადაც თავისუფალი კონკურენტული გარემოსათვის საზიანო საკითხები განიხილებოდა. ამის შემდეგ უკვე ეკონომიკურმა აგენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ ის არ მონაწილეობდა შეთანხმებულ ქმედებაში. კერძოდ ამ შემთხვევაში Hülls-ს უნდა ემტკიცებინა, რომ ამ

---

[75] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:001:0001:0025:EN:PDF [ბოლოს გამოხმობილია 18.01.2018].

[76] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.78.

[77] *Ibid,* p.79.

[78] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.24-25.

[79] *Ibid,* p.26-27.

[80] *Ibid,* p.35.

შეხვედრაში მხოლოდ იმიტომ მონაწილეობდა, რომ სხვა ეკონომიკური აგენტების წინაშე თავისი განსხვავებული პოზიცია წარმოეჩინა.[81]

Aalborg Portland and others vs. Commission-ის საქმეზე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა 2003 წლის რეგულაციით განმტკიცებულ ზოგად პრინციპზე, რომლის თანახმადაც, კომისია ან საჩივრის წარმდგენი მხარე ვალდებულია დაამტკიცონ ის გარემოებები, რომელთა არსებობასაც მოპასუხეს ედავებიან. თუმცა, სასამართლომ აქვე განმარტა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, თვით მტკიცების პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია კომისიის, ან მხარის მიერ მოყვანილ არგუმენტებზე მეორე მხარის რეაგირება და მის მიერ შესაბამისი ინფორმაციის (დამადასტურებელი ან უარმყოფელი) წარდგენა. თუ უარყოფა ხდება შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე, მაშინ მტკიცების სტანდარტი დაცულად ვერ ჩაითვლება და მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელსაც უნდა მოეხდინა შესაბამისი რეაგირება კომისიის/მხარის მიერ წარდგენილ შესაბამის არგუმენტაციაზე, ფაქტებზე თუ დასაბუთებაზე.[82]

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო არ დაეთანხმა საერთო იურისდიქციის სასამართლო შეფასებას, რომლის თანახმადაც კომისიამ არასწორად მოახდინა მტკიცების ტვირთის დელეგირება კონცენტრაციის მონაწილე სუბიექტებზე, როდესაც ბაზრის დამატებითი კვლევის გარეშე დაეთანხმა მათ მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს. მართლმსაჯულების სასამართლომ ასევე შეცდომად შეაფასა საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოთხოვნა კომისიისადმი, რომ მას კონცენტრაციაში მონაწილე სუბიექტების მიერ statement of objection საპასუხოდ გამოგზავნილი არგუმენტაციის მიმართ გამოეყენებინა მტკიცებულების განსაკუთრებით მაღალი სტანდარტი.[83] როგორც ჩანს, ზემდგომ სასამართლოს მიაჩნია, რომ ერთი მხრივ კომისია თავისუფალი უნდა იყოს თავის შეფასებებში და უნდა შეეძლოს მათი შეცვლა განხილვის სხვადასხვა სტადიაზე, და მეორე მხრივ, მხარეებს არ უნდა მოეთხოვოთ მტკიცების განსაკუთრებით მაღალი სტანდარტი, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში კომისია არ აკმაყოფილებს. ამავე დროს, კომისიას უფლება აქვს შეაფასოს და გაიზიაროს მხარის არგუმენტები, იმის მიუხედავად, თუ როგორი იყო თვით კომისიის პოზიცია ამ არგუმენტების მხარის მიერ გამოყენებამდე. მართალია, ეს პოზიცია სასამართლომ 2008 წელს უშუალოდ კონცენტრაციის შემთხვევის შეფასებისას გამოიყენა, თუმცა ალბათ თავისუფლად

[81] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.75.
[82] *Ibid,* p. 613.
[83] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016, . 329.

შეიძლება მისი უნივერსალიზაცია ზოგადად კონკურენციის სააგენტოს მიერ წარმოებულ ნებისმიერ საქმეზე.

მტკიცების სტანდარტი კარტელებთან მიმართებაში ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. თუ ეკონომიკური აგენტი მონაწილეობს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების თუ შეთანხმებული ქმედებების დასაგეგმად გამართულ შეხვედრებში, თუნდაც პასიურად, არ ემიჯნება ცალსახად და ორაზროვნად ამ შეთანხმებებს და ამით უქმნის კარტელის სხვა წევრებს ვარაუდის საფუძველს, რომ ისიც მონაწილეობს ზემოაღნიშნული შეთანხმებებში/შეთანხმებულ ქმედებებში, მაშინ მისი კარტელში მონაწილეობა დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.[84]

მოწმეთა ჩვენებები მნიშვნელოვანია კონკურენციის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპისათვის, თუმცა, ცხადია, ყველა მოწმის ჩვენებას ერთნაირი მნიშვნელობა არ აქვს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საერთო იურისდიქციის სასამართლოს განმარტების თანახმად, იმ თანამშრომლების ჩვენება ვისაც უფლება აქვს ეკონომიკური აგენტის სახელით ისაუბროს და შესაბამისად მისი პოზიცია აღქმულ იქნეს, როგორც ამ აგენტის პოზიცია, გაცილებით უფრო მაღალი მტკიცებულებითი ღირებულებისაა, ვიდრე ნებისმიერი სხვა თანამშრომლის ჩვენება, როგორი გამოცდილების ან ცოდნის მატარებელიც არ უნდა იყოს ეს თანამშრომელი.[85]

მტკიცების სტანდარტის არა ყველა დარღვევა ჩაითვლება საკმარისად იმისთვის, რომ გადაწყვეტილება გაუქმდეს. დაუშვებელია გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მისი გამოტანის დროს მხარემ სრულფასოვნად ვერ შეძლო საკუთარი პოზიციის წარმოჩენა, თუ მას სასამართლომ მისცა ამ პოზიციის შეუზღუდავად დაფიქსირების საშუალება, თუმცა ეს პოზიცია საკმარისად დასაბუთებული არ აღმოჩნდა გადაწყვეტილების შესაცვლელად.[86]

---

[84] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 919.

[85] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.195.

[86] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.286-287.

h) მორიგების უფლებამოსილება

2003 წლის რეგულაციის თანახმად, კომისია უფლებამოსილია მხარეებს განუსაზღვროს დრო და მისცეს წინადადება, რომ მორიგებით დაასრულონ საქმე და ამით შეიმცირონ ის ჯარიმა, რომელიც მათი ბრუნვის 10%-ს შეიძლება შეადგენდეს.[87]

2008 წლიდან კომპეტენცია გაფართოვდა და კომისიას მიენიჭა უფლებამოსილება, მორიგებით დაასრულოს კარტელთან დაკავშირებული დავები გამარტივებული პროცედურის გამოყენებით. ეკონომიკურ აგენტებს, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს კარტელთან დაკავშირებული საქმის წარმოება, პროცედურა ანიჭებს უფლებას მოითხოვონ მათი საქმის გამარტივებული წესით განხილვა და შესაბამისი შეთანხმება კომისიასთან, რის შედეგადაც შეძლებენ მათთვის დასაკისრებელი ჯარიმის შემცირებას. მორიგების პროცედურა განსხვავდება ლინიენსის პროგრამისგან.[88] ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტი თვითონვე წარუდგენს კომისიას შესაბამის მტკიცებულებებს სხვებთან ერთად კარტელში მონაწილეობის ფაქტის შესახებ და ამის შემდეგ იღებს პროგრამით გათვალისწინებულ შეღავათებს. მორიგების პროცედურის დროს, ეკონომიკური აგენტი, აცნობიერებს რა, რომ შეიძლება მას დაეკისროს პასუხისმგებლობა და სააგენტოს აქვს საკმარისი მტკიცებულებები მის წინააღმდეგ, აღიარებს ჩადენილ დარღვევებს ჯარიმის ოდენობის შემცირების მიზნით.[89]

მე-17 რეგულაცია შესაძლებლობას იძლევა კომისიის მიერ დაწყებული პროცედურა დასრულდეს მორიგების ეკონომიკურ აგენტებთან წარმოების ადრეულ ეტაპზევე, თუ ეს აგენტები დათანხმდებიან საკუთრი საქმიანობის კონკურენციის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას.[90] მოქმედი რეგულაციები კომისიას არც იმას უკრძალავს, რომ გარკვეული არაფორმალური შეთანხმებაც კი დადოს ეკონომიკურ აგენტებთან, თუ ისინი მის მოთხოვნას შეასრულებენ. ამ შემთხვევაში, კომისიის ვალდებულება, რომ საქმე მაინცდამაინც რაიმე ფორმის გადაწყვეტილების მიღებით დაასრულოს -- არ არსებობს და პრაქტიკაშიც ნაკლებად მოსალოდნელია მისი გამოჩენა.[91]

---

[87] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.525.

[88] დაწვრილებით ლინიენსის შესახებ იხილეთ ამავე წიგნის - კონკურენციის სამართალი - ევროპული მოდელი საქართველოსთვის პირველ ტომში, თბილისი, 2020, გვ. 178.

[89] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.171.

[90] *Ibid,* p.571.

[91] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.572.

i) კომისიის გადაწყვეტილება

TFEU 288-ე მუხლის თანახმად, კომისიის გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა და ის პირდაპირ და უშუალო ეფექტს და გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების უფლებებსა და მოვალეობებზე.[92]

1/2003 რეგულაცია კომისიას ავალდებულებს გამოაქვეყნოს თავისი გადაწყვეტილებები. პრაქტიკაში ასევე გავრცელებული და მიღებულია, რომ კომისიამ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად გაავრცელოს პრესრელიზი, სადაც მოცემული იქნება ზოგადი ინფორმაცია გადაწყვეტილებისა და მისი სამართლებრივი შედეგების შესახებ.[93]

კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. პრეამბულა- სადაც ზოგადად არის მოცემული ინფორმაცია მხარეებისა და საქმის არსის შესახებ; 2. პარაგრაფებად დაყოფილი ე.წ. საოპერაციო ნაწილისაგან სადაც მითითებულია კონკრეტულ ფაქტებზე, რაზედაც კომისია ამყარებს თავის გადაწყვეტილებას; 3. ე.წ. recytals სადაც მოცემულია სამართლებრივი შეფასებები და გადაწყვეტილების დასაბუთება; 4. დასკვნით ნაწილში მოკლედ არის შეჯამებული გამოვლენილი დარღვევები და განსაზღვრულია ჯარიმები შესაბამისი ეკონომიკური აგენტებისათვის. კომისიის პრაქტიკა არ კრძალავს ეკონომიკური აგენტების მიმართ საერთო გადაწყვეტილების გამოტანას ოღონდ იმ პირობით, რომ გადაწყვეტილებაში ინდივიდუალიზებადი და იდენტიფიცირებადი უნდა იყოს ყველა ის ქმედება, რომელიც კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს დარღვევად შეერაცხა და ასევე დასაბუთება შეფარდებული ჯარიმის ოდენობის შესახებ.[94] სხვაგვარად რომ ითქვას, საერთო გადაწყვეტილების გამოტანა არ გულისხმობს მხოლოდ ერთგვაროვანი სურათის დახატვას, სადაც ეკონომიკური აგენტების განსაზღვრული რაოდენობა მონაწილეობს. აუცილებელია ამ ერთიან სურათში თითოეულის როლის გამოვლენა, თითოეული მათგანის დარღვევების სიმძიმის ინტენსივობისა და გავრცელების არეალის შეფასება და დასკვნების ისე გამოტანა.[95]

კომისიისა თუ სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება ცალკე გამოიყოს ის აუცილებელი ელემენტები რასაც კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს. ეს ელემენტები შეიძლება განსხვავდებოდეს იმ დარღვევის სახეობისა თუ

---

[92] *Ibid,* p.200.

[93] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.161.

[94] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.276.

[95] იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 10 მაისის N04/117 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება ნავთობპროდუქტების კომპანიების კარტელის შესახებ.

სპეციფიკის მიხედვით, რომელსაც კონკრეტული გადაწყვეტილება ეხება.[96] კომისიის გადაწყვეტილების სტრუქტურასთან დაკავშირებული მკაცრი ფორმალური მოთხოვნები არ არსებობს. პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება ცალკე გამოიყოს გადაწყვეტილების შემდეგი ნაწილები: ა) სათაური; ბ) პრეამბულა, რომელშიც მითითებულია გადაწყვეტილების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები; გ) სამოტივაციო ნაწილი, სადაც აღწერილია ფაქტები და მოცემულია მათი საპროცესო თუ მატერიალურ-სამართლებრივი შეფასება; დ) სარეზოლუციო ნაწილი, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ როგორც გადაწყვეტილებას. ამ ნაწილში კონკრეტულად არის მითითებული განსახორციელებელი ქმედებების შესახებ და ასევე განსაზღვრულია შესაბამისი სანქცია (თუკი გადაწყვეტილებით ხდება სამართალდარღვევის დადგენა).[97]

კომისიის გადაწყვეტილებები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად. კომისია იღებს როგორც პროცედურული ხასიათის გადაწყვეტილებებს, რომლებიც აისახება საქმის განხილვის პროცედურაზე, ასევე საბოლოო, ანუ არსებით გადაწყვეტილებებს, როგორიც შეიძლება იყოს ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის ნორმების დარღვევისათვის დაჯარიმება, აგენტის დავალდებულება შეწყვიტოს გარკვეული ქმედება, ან განახორციელოს ასეთი ქმედება და ა.შ.[98]

კომისიის გადაწყვეტილებებს აღსრულების პერსპექტივის მიხედვით ყოფენ დეკლარაციულ და ბრძანებითი ტიპის გადაწყვეტილებებად. შესაძლოა, მხარეებმა, ვისაც კონკრეტული ღონისძიებები ეხება, მოკვლევის დაწყებამდე, ან უშუალოდ პროცესში შეწყვიტონ კონკურენციის შემზღუდავი მოქმედებები. ასეთ შემთხვევაში, კომისიას შეიძლება ჰქონდეს ლეგიტიმური ინტერესი, რომ მაინც დაადგინოს კონკურენციის სამართლის დარღვევა თავისი დეკლარაციული გადაწყვეტილებით. დადგენის სამართლებრივი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეებმა იგრძნონ პასუხისმგებლობა და გააცნობიერონ დაჯარიმების საფრთხე. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრაქტიკა ადასტურებს, რომ მაღალია ალბათობა დამრღვევმა ეკონომიკურმა აგენტებმა მხოლოდ დროებით შეწყვიტონ კონკრეტული კარტელური ქმედებები და მას შემდეგ, რაც კომისია თავის როლს შესრულებულად ჩათვლის, ისევ გააგრძელონ ისინი.[99]

---

[96] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.283-284.

[97] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.465.

[98] *Ibid,* p.201.

[99] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.466-467.

ე.წ. აღსრულებად გადაწყვეტილებებს მიეკუთვნება როგორც კომისიის დავალებები კონკრეტული ქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ასევე ეკონომიკური აგენტების ვალდებულებები - შეასრულონ ესა თუ ის კონკრეტული ქმედება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის აღდგენისა და მისი დაცვის მიზნით.[100] კომისიის მიერ მიღებული ე.წ. ვალდებულებების გადაწყვეტილება (Commitment decision) იმით განსხვავდება სხვა ფორმით მიღებული გადაწყვეტილებებისაგან, რომ ამ დროს საერთოდ არ ხდება სამართლებრივი შეფასება, ჰქონდა თუ არა დარღვევას ადგილი. კომისია განსაზღვრავს ქმედებათა იმ წრეს, რომელიც კონკრეტულმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა განახორციელოს საკუთარი საქმიანობის კონკურენციის ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.[101]

Akzo-ს საქმეზე მხარე ამტკიცებდა, რომ მას ჰქონდა გადაწყვეტილების კონფიდენციალურად შენახვის დასაბუთებული და კანონიერი ინტერესი, რადგან ეს გადაწყვეტილება გამოიწვევდა სამოქალაქო სარჩელების აღძვრას მის წინააღმდეგ. Evonik-ის საქმეზე ეს არგუმენტი გამეორდა და დაემატა, რომ გადაწყვეტილების გამოქვეყნება უარყოფითად აისახებოდა კომპანიის რეპუტაციაზე. საერთო იურისდიქციის სასამართლომ არც ერთ და არც მეორე არგუმენტი არ მიიჩნია საკმარისად იმისთვის, რომ გადაწყვეტილების გამოქვეყნებაზე უარი ეთქვა. ითვლება, რომ არსებობს საჯარო ინტერესი, რომ ყველამ იცოდეს ვინ არღვევს კანონს და ვინ - არა და ამ ინტერესის გადაწონა მარტივად არ უნდა მოხდეს.[102]

ზოგადი პრინციპია, რომ კომისია, როგორც წესი, აქვეყნებს თავის გადაწყვეტილებებს. ასევე, თვითონ კომისიის გადასაწყვეტია, უარი თქვას ამ უფლებაზე და საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებაზე, თუ არსებობს კერძო ან სხვა ნებისმიერი ინტერესი (მაგალითად ლინიენსის ინტერესი) საიმისოდ, რომ გადაწონოს საჯაროდ გავრცელების ინტერესი და ჩაითვალოს საჯაროდ გამოქვეყნებაზე უფრო მეტი სარგებელის მომტანად.[103]

1/2003 რეგულაციის 16(1) მუხლის თანახმად, თუ კომისიის მიერ უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება კონკურენციის სამართლის სფეროში, წევრი სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებს ან სასამართლოებს არ აქვთ უფლება გამოიტანონ მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება.[104]

---

[100] *Ibid,* p.468.
[101] *Ibid* p.578.
[102] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.163.
[103] *Ibid*, p.164.
[104] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.137.

გადაწყვეტილების დასაბუთების არარსებობა ან/და მისი მხარისათვის გაუცნობლობა საპროცესო სტანდარტის არსებითი დარღვევაა, რომელიც ვერ გამოსწორდება იმ ფაქტით რომ მხარისათვის დასაბუთების შინაარსი ცნობილი გახდა სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ.[105]

Right to be heard დარღვეულად ითვლება მაშინაც, როდესაც დასტურდება, რომ დაჯარიმებულ მხარეს არ მიეცა მისთვის ბრალად შერაცხულ ყველა გარემოებაზე სრულფასოვანი კომენტარის/მოსაზრების წარდგენის უფლება და საკუთარი მოსაზრების შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით გამყარების შესაძლებლობა.[106]

j) კომისიის გადაწყვეტილებით მიღებული ზომები (Remedy)

გადაწყვეტილებით მიღებული ზომები შესაძლოა მისი განმსაზღვრელი კონკურენციის ორგანოს მიერ ისეთი ფორმითა და შინაარსით იქნეს შეთავაზებული, რომ ეს არ იყოს მარტო დარღვევაზე სარკისებური რეაგირება, მიდიოდეს გაცილებით შორს და ასუსტებდეს დომინანტის პოზიციას კონკურენტების სასარგებლოდ, რათა ამ უკანასკნელთ მიეცეთ შესაძლებლობა რეალური კონკურენცია გაუწიონ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამომყენებელ სუბიექტს და არ დაუშვან ერთჯერადი სანქციის განსაზღვრის შემდეგ მის მიერ დარღვევის კვლავ გამეორების თეორიული შესაძლებლობა.[107] კონკურენციის სამართლის ეკონომიკური ეფექტი უშუალოდ ბაზარზე სწორედ მსგავსი მექანიზმების რეალურ ცხოვრებაში დანერგვის ამოქმედებით უნდა გამოიხატოს. ჯარიმა, როგორი მაღალიც არ უნდა იყოს ის, მაინც ვერ შეძლებს გრძელვადიან პერსპექტივაში სრულად თავისი ფუნქციის შესრულებას, თუ ბაზრის მონაწილეების ყოველდღიური ქმედებები (რასაც მათი უმრავლესობა ალბათ დიდი ხნის მანძილზე მიჩვეულია) არ შეიცვლება. სწორედ მათი ქმედებების სტილის, ბაზარზე შექმნილ პირობებზე ეკონომიკური აგენტების რეაგირების მეთოდში ცვლილებით იქნება შესაძლებელი კონკურენციის სამართლის მთავარი მიზნის აღსრულება და მდგომარეობის გაუმჯობესება. მაქსიმალურად თავისუფალი ბაზრის პირობებშიც კი კონკურენცია იდეალური არ შეიძლება იყოს და ვერც იქნება.

---

[105] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.931.

[106] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 938-939.

[107] ***Lianos, Ioannis.,*** Is the Availability of Appropriate Remedies A Limit To Competition Law Liability Under Article 102 TFEU? The Mischiefs of Discretionary Remedialism In Competition Law, in: ***Etro, Federico., Kokkoris, Iohannis.,*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010, p.180.

კონკურენციის სამართლის მიზანია, ის აკმაყოფილებდეს თავისუფლებისა და გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტს და პირობებს, რაც გამორიცხავს ბაზრის სხვა მონაწილეებისათვის მათ შორის მომხმარებლებისათვის ზიანის მიყენებას.

მაგალითად, გერმანული კანონმდებლობა ითვალისწინებს ორი სახის პროცედურას: ა) ადმინისტრაციული პროცესი (Verwaltungsverfahren) როდესაც ხდება მხოლოდ ე.წ. აღდგენითი სანქციების დაკისრება, გარკვეული ქმედების განხორციელების ვალდებულების დაკისრება და ა.შ. და ბ) ჯარიმის დაკისრების პროცესი (Bussgeldverfahren), როდესაც ხდება ფულადი სანქციების დაკისრება. პირველი ძირითადად მიმართულია იმ კომპანიების წინააღმდეგ, ვინც კონკურენციის შეზღუდვაშია შემჩნეული, ხოლო მეორე იმ ფიზიკური პირების წინააღმდეგ, ვინც პასუხისმგებელია დარღვევაზე შესაბამის კომპანიაში. გერმანული კანონი[108] არეგულირებს და აზუსტებს გერმანიაში 101-ე და 102-ე მუხლების აღსრულების საკითხებს. ჯარიმის დაკისრების პროცესი რეგულირდება სხვა კანონის[109] მეშვეობით. ხოლო აღდგენითი პროცედურა ძირითად ზემოაღნიშნული კანონის რეგულირების სფეროში შედის. გერმანიის ეროვნული კონკურენციის ორგანოა Bundeskartellamt, ასევე ლანდების დონეზე არსებობს Landeskartellbehörden. მათ შორის რაიმე სუბორდინაცია არ არსებობს. ისინი არიან ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი და მოქმედებენ დამოუკიდებლად. როდესაც ფიზიკური პირების წინააღმდეგ გასატარებელი სანქციების წარმოება აპელაციის სტადიას მიაღწევს, საქმეში პროკურატურა ერთვება. სწორედ მისი გადასაწყვეტია, უნდა გატარდეს თუ არა სისხლის სამართლით დადგენილი სანქციები დამრღვევი პირების მიმართ და უნდა მიეცნენ თუ არა ეს პირები პასუხისგებაში. ასეთი რეგულირება ცოტა უცნაურად მიიჩნევა დოქტრინაში, რადგან ევროპული კანონმდებლობის მიხედვით, პროკურატურა ვერ ჩაითვლება კონკურენციის ეროვნულ ორგანოდ და შესაბამისად მის მიერ ორგანიზებული საქმის წარმოებაც არ არის კონკურენციიდან გამომდინარე საქმის წარმოება. Bundeskartellamt გერმანული კანონმდებლობის მიხედვით არის დამოუკიდებელი ფედერალური უწყება, რომელიც პასუხისმგებელია თავისუფალი კონკურენციის დაცვაზე ქვეყანაში.[110]

სანქციების განსაზღვრისას კონკურენციის ორგანო მაქსიმალურად ფრთხილად უნდა იყოს, რომ თვითონ არ ჩაერიოს ზედმეტად თავისუფალი კონკურენციის რეჟიმში. მაგალითად, არ ითვლება მიზანშეწონილად ორ ეკონომიკურ აგენტს შორის გარიგების

[108] Gesetz Gegen Wettbewerbsbeschränkungen.
[109] Gesetz Gegen Ordnungswidrigkeiten.
[110] ***Frese, Michael, J.,*** Sanctions in EU Competition Law, HART Publishing, Oxford, 2014, p. 125-126.

დადების განუსაზღვრელი ვადით აკრძალვა,[111] რადგან ეს შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან. გარკვეული ვადით ასეთი ზომის მიღება გამართლებული შეიძლება იყოს და შესაბამისი ანალიზის მერე ამ ზომის მოქმედების ვადა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ერთი მხრივ მნიშვნელოვანი და გამოუსწორებელი ზიანი არ მიაყენოს მხარის უფლებას - თვითონ განსაზღვროს კონტრაქტორი და მეორე მხრივ, უზრუნველყოს ბაზარზე არსებული პათოლოგიური მდგომარეობის შედარებით ჯანსაღი კონკურენტული გარემოთი შეცვლა.

TFEU 268 და 340 (2) მუხლები პირებს ანიჭებენ უფლებას უჩივლონ ევროკავშირის სტრუქტურებს მათ შორის ევროპის კომისიას და მოითხოვონ ამ უკანასკნელის მიერ ევროპული კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.[112]

k) ხანდაზმულობის ვადები კომისიის საქმიანობაში

2003 წლის რეგულაციის 26-ე მუხლი კომისიის მიერ დაწესებული ჯარიმების აღსრულების ხანდაზმულობის ვადას ხუთი წლით განსაზღვრავს.[113] იგივე რეგულაცია მხარის მიერ ინფორმაციის, თუ მასალების მიწოდების ვალდებულების დარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმის აღსრულების ხანდაზმულობის ვადად სამ წელს უთითებს.[114]

ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როცა დარღვევა განხორციელდა, ხოლო, განგრძობადი ან განმეორებადი (continuing or repeated infringements[115]) დარღვევებისას -- იმ მომენტიდან, როცა დარღვევები შეწყდა. ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელებულია კომისიის მიერ დარღვევასთან მიმართებაში წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. შეწყვეტის თარიღად (მომენტად) მიიჩნევა დარღვევაში მონაწილე თუნდაც ერთი ეკონომიკური აგენტისათვის კომისიის მიერ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა. ხანდაზმულობის შეწყვეტა გულისხმობს მისი

---

[111] ***Lianos, Ioannis.,*** Is the Availability of Appropriate Remedies A Limit To Competition Law Liability Under Article 102 TFEU? The Mischiefs of Discretionary Remedialism In Competition Law, in: ***Etro, Federico., Kokkoris, Iohannis.,*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010, p.181.

[112] ***Blanco Luis Ortiz (Editor.,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.802.

[113] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:001:0001:0025:EN:PDF [ბოლოს გამოხმობილია 18.01.2018].

[114] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.523.

[115] კარტელების ხანდაზმულობასთან მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია continuing or repeated infringement ცნება, რომელზეც ევროპული პრაქტიკა არსებობს. იხილე მაგალითად: Trelleborg Industrie SAS vs. Commission (Case:T -147/09 etc.) ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.523.

თავიდან ათვლის დაწყებას შეწყვეტის მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადა ნებისმიერ შემთხვევაში გასულად ითვლება, თუ კომისიის მიერ შესაბამისი ზომების მიღებამდე გასულია ხანდაზმულობის ვადის ორმაგი ოდენობა. სანქციის დაკისრებისათვის ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ დროით, რა დროის განმავლობაშიც საქმე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წარმოებაში იმყოფება.[116]

Ferriere Nord-ის საქმეზე მხარემ მიუთითა, რომ კომისიის მოთხოვნა 1989 წელს დაკისრებული ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებით ხანდაზმული იყო. საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადასტურა კომისიის გადაწყვეტილება 1995 წელს, ხოლო ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ -1997 წელს. კომისია ითხოვდა თანხის გადახდას 2004 წელს და უთითებდა, რომ მხოლოდ გადახდის შემთხვევაში დაუბრუნებდა მოსარჩელეს Banco di Roma-ს მიერ გაცემულ საბანკო გარანტიას ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებით. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ სამართლიანად მიუთითა, რომ ეს იყო კომისიის ადმინისტრაციული ფუნქციებიდან გამომდინარე დავა და არა კერძოსამართლებრივი დავა საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით, როგორც ამას უთითებდა კომისია. სასამართლომ მიუთითა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა 2988/74 (ანუ 1/2003-ის წინამორბედი) რეგულაციის მიხედვით შეწყდა 1997 წელს, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარების მომენტიდან და მისი შეწყვეტა მოხდა მხოლოდ ერთხელ, როდესაც კომისიამ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ უარყო მოსარჩელის მოთხოვნა ჯარიმის შემცირებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადა გავიდა 2002 წელს და კომისიის მიერ ჯარიმის მოთხოვნა 2004 წელს ვერ იქნებოდა სამართლებრივად საკმარისად დასაბუთებული.[117]

ხანდაზმულობის ვადები გამოიყენება კომისიის მიერ სანქციის დაკისრების მიმართ და არა კომისიის ზოგად უფლებამოსილებასთან მიმართებაში დააფიქსიროს დარღვევა. ანუ სხვაგვარად რომ ითქვას, კომისიას ნებისმიერ დროს შეუძლია დააფიქსიროს დარღვევა და მოახდინოს მასზე რეაგირება, მაგრამ სანქციის აღსრულების ვადებმა არ უნდა გადააჭარბოს დროის ზემოთ მითითებულ ლიმიტებს. ეს მიდგომა დამკვიდრდა საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ Sumitomo Chemicals-ის საქმეზე.[118] კომისიის მხრიდან რეაგირება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კონკრეტულ დარღვევასთან

[116] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.523.
[117] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.490.
[118] ***Siragusa, Mario; Rizza, Cesare;*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.645.

მიმართებაში წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას.[119] დაკისრებული სანქციის სასამართლოში გასაჩივრება დაკავშირებულია ხანდაზმულობის ვადის შეჩერებასთან, რომელიც გრძელდება სასამართლო პროცედურების დასრულებასთან ერთად.[120]

2. ევროპის კომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორი

ევროპის კომისიის თანამშრომელთა რაოდენობა 30 000 აღემატება. ცალკეულ მიმართულებებს (დეპარტამენტებს) კომისიაში გენერალური დირექტორები ხელმძღვანელობენ. კონკურენციას ასევე ჰყავს საკუთარი გენერალური დირექტორი და დირექტორატი, რომელიც გენერალურ დირექტორს ეხმარება ყოველდღიურ საქმიანობაში და უზრუნველყოფს კონკურენციის მიმართულებით კომისიის უფლებამოსილებების ეფექტურ განხორციელებას.[121]

კომისიის შიგნით კონკურენციის საკითხებზე პასუხისმგებელი მთავარი ფიგურაა კონკურენციის გენერალური დირექტორი. მისი ძირითადი მოვალეობებია: ა) კომისიის საკარტელო პოლიტიკის აღსრულება ბ) შერწყმის კონტროლი გ) სახელმწიფო მხარდაჭერის (სუბსიდირების) კონტროლი; დ) კონკურენციის კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა, ასევე კონკურენციის სფეროში კომისიის რეპუტაციის განმტკიცება და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენა.[122] ამ ფუნქციებს გენერალური დირექტორი თავისი პირდაპირი აღსრულების აქტებით (Direct enforcement actions) ახორციელებს.

გენერალური დირექტორის ოფისი აერთიანებს ათ დირექტორატს (directorate) რომელთაგან ხუთი დარგობრივი მიმართულებისაა და მოიცავს: ა) ენერგეტიკას და გარემოს დაცვას; ბ) ინფორმაციას, კომუნიკაციებს და მედიას; გ) ფინანსურ სერვისებს; დ) საბაზისო ინდუსტრიებს, წარმოებას და სოფლის მეურნეობას; ე) ტრანსპორტს, ფოსტას და სხვა მსგავს სერვისებს.[123]

კონკურენციის დირექტორატის სტრატეგიული გეგმა 2016-2020 წლებისთვის ითვალისწინებდა შემდეგ მიზნებს: ა) ერთიანი ბაზრის (single market) ღიაობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა; ბ) ბაზრის მონაწილეთათვის თანასწორი შესაძლებლობების და თამაშის თანაბარი წესების უზრუნველყოფა ევროკავშირის

---

[119] *Ibid*, p.646.
[120] *Ibid*, p.648-649.
[121] ***Khan, Nicholas;*** Kerse&Khan on EU Antitrust Procedure, Sixth Edition, Sweet&Maxwell, London, 2012, p.35.
[122] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p.5. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].
[123] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p. 8. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

მასშტაბით (ensruing the level playing field); გ) ევროპის კომისიის პრიორიტეტებში წვლილის შეტანა; დ) ბიზნესისა და მომხმარებლების ხელშეწყობა; ე) კონკურენციის კულტურის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.[124] ეს გეგმა ასევე მოიცავდა 2020 წლის შემდგომი პერიოდისათვის რეგულირების საფუძვლების მომზადებას.[125]

შერწყმის 2004 წლის რეგულაციით მოხდა გენერალური დირექტორის ოფისის რეორგანიზაცია: გაუქმდა კონცენტრაციის ქვეგანყოფილება (Merger Task Force), შემოღებულ იქნა კონკურენციის უფროსი ეკონომისტის თანამდებობა და შეიქმნა თავისებური „ეშმაკის ადვოკატების"[126] კოლეგია. ამ ცვლილებების მთავარი მიზანი იყო კონცენტრაციების შესწავლის პროცედურის და მათზე თანხმობის/უარის გამცემი პროცედურის ტრანსპარენტულობისა და ეფექტურობის ზრდა.[127] კარტელებზე ევროპის კომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორის ოფისში ცალკე სტრუქტურული ერთეული (Directorate G) მუშაობს. [128]

1982 წლიდან კონკურენციის დირექტორატის შემადგენლობაში შედის განხილვების ოფიცერი (hearing officer), რომლის კომპეტენციაა განხილვების ორგანიზება და სხდომების თავმჯდომარეობა. მან უნდა უზრუნველყოს მხარეთა საპროცესო უფლებების როგორც წერილობით, ასევე ზეპირად ეფექტური რეალიზაცია და დაცვა.[129]

დირექტორატი ხშირად იყენებს ე.წ. აუთსორსიგნულ მომსახურებას და საკონსულტაციო კომპანიებს უკვეთს ანგარიშებს, დასკვნებს და ა.შ. რამაც უნდა გაადვილოს კონკურენციის ნორმების გამოყენება და ბაზრის მონაწილეთათვის უფრო

---

[124] *Ibid*, p.4. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[125] *Ibid*, p.40. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[126] კათოლიკურ ეკლესიაში არსებობდა წმინდანის კანონიზაციის (წმინდანად შერაცხვის) საკმაოდ საინტერესო პროცედურა: პროცედურის დაწყების შემდეგ ეკლესია ნიშნავდა ე.წ. „ეშმაკის ადვოკატს" რომელიც, როგორც წესი კანონიკური(საეკლესიო) სამართლის სპეციალისტი უნდა ყოფილიყო. „ეშმაკის ადვოკატის" პირდაპირი მოვალეობა იყო წმინდანობის კანდიდატთან დაკავშირებული ნებისმიერი ნეგატიური ინფორმაციის, მტკიცებულებების და მოსაზრების წარდგენა ეკლესიისათვის. ამ ტრადიციის გათვალისწინებით, „ეშმაკის ადვოკატი" ნიშნავს კონკრეტულ პროცედურაში შესაბამისი პირის ფუნქციას მოაგროვოს ყველა საჭირო ინფორმაცია და მტკიცებულება, რაც დაასაბუთებს ამა თუ იმ საკითხზე ნეგატიური გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას. საერთაშორისო იურიდიული ფირმა Jones Day ერთ-ერთ პუბლიკაციაში კონკურენციის გენერალური დირექტორის ოფისში „ეშმაკის ადვოკატების კოლეგიის" შექმნა შეფასებულია, როგორც „ახალი თვალის" დამატება პროცესში, რაც მის გამჭვირვალობას და კომიისიის ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდას უწყობს ხელს. იხ. http://www.jonesday.com/Antitrust-Alert--EU-Appoints-New-Chief-Competition-Economist-12-14-2010/ [ბოლოს გამოხმობილია: 19.03.2018].

[127] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.61.

[128] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p.8. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[129] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.233.

განჭვრეტადი გახადოს ისინი. მიდგომა ამ შემთხვევაში საკმაოდ ფრთხილია. ასეთი რეპორტები არ ითვლება ოფიციალურ განმარტებებად და მათზე დაყრდნობა ნებისმიერ სუბიექტს მხოლოდ საკუთარი მოსაზრებით და რისკით შეუძლია. რეპორტებში გამოთქმული მოსაზრებები უშუალოდ მის ავტორებს ეკუთვნით და დირექტორატი არ არის შეზღუდული. ერთ-ერთი ასეთი რეპორტია მაგალითად საკონსულტაციო კომპანია Oxera-ს მიერ მომზადებული დოკუმენტი.[130]

3. ევროპის ომბუდსმენი

ევროპის ომბუდსმენს აქვს გენერალური დირექტორის ქმედებების მონიტორინგის უფლება განსაკუთრებით ამ უკანასკნელის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ნაწილში.[131]

4. ევროპული კონკურენციის ქსელი (European Competition Network – ECN) და ევროპული თანამშრომლობა კონკურენციის სფეროში

გლობალურობა კონკურენციის სამართლის ეფექტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია. არ შეიძლება წარმატებული იყოს კონკურენციის ორგანოს საქმიანობა მხოლოდ ერთი იზოლირებული იურისდიქციის პირობებში. ამიტომ ამ მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებას ალტერნატივა არ გააჩნია.[132]

კომისია მოწოდებულია, რომ ნაციონალურ სააგენტოებს დაეხმაროს ევროპული კონკურენციის სამართლის აღსრულებაში უფრო ეფექტური და ინტენსიური როლის

---

[130] http://ec.europa.eu/competition/antitrust/actionsdamages/quantification_study.pdf (ბოლოს გამოხმობილია 28.07.2018); დაწვრილებით რეპორტის მნიშვნელობის და მისი შინაარსის შესახებ იხ: ***Fumagalli, Chiara., Padilla, Jorge., Polo, Michele.,*** Damages for Exclusionary Practices: A Primer, in: ***Etro, Federico., Kokkoris, Iohannis.,*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010, p.203.

[131] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p.7. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[132] ***Geradin, Damien., Layne-Farrar, Anne., Petit, Nicolas.,*** EU Competitino Law and Economics; Oxford Univeristy Press, Oxford, 2012, p.54-55.

თამაშში. ამ მიმართულებით ევროკავშირის მარეგულირებელი კომპეტენციის გამოყენებაც არ გამოირიცხება.[133]

კონკურენციის ეროვნული ორგანოები საკუთარი ინიციატივით საკმაოდ ხშირად იყენებენ 101-ე და 102-ე მუხლებს და მათ საერთო ევროპულ ინტერპრეტაციას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმების გამოყენება მხოლოდ მაშინ დგება დღის წესრიგში, როდესაც ეკონომიკური აგენტების მიერ ჩადენილი პოტენციური, თუ უკვე დამტკიცებული დარღვევები წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობას უშლის ხელს. ამ პირობის არსებობა არ გამორიცხავს ეროვნული ორგანოების უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენონ ევროპული ნორმები და მათი განმარტებები თუ ინტერპრეტაციები მაშინაც, როდესაც ამის ფორმალური სამართლებრივი წინაპირობა (წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობასთან შემხებლობის თვალსაზრისით) არ არსებობს.[134]

2003 წლის რეგულაციის მე-5 მუხლის თანახმად, ეროვნულ სააგენტოებს შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი უფლებამოსილებები: ა) მოითხოვონ კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევის შეწყვეტა; ბ) გამოიყენონ დროებითი ზომები/უზრუნველყოფის ღონისძიებები; გ) დაადასტურონ კომპანიის ვალდებულები და დ) დააკისრონ ჯარიმები, და პერიოდული სახდელები, მათი ეროვნული სამართლის შესაბამისად.[135]

ევროპის კომისიასთან ერთად, წევრი სახელმწიფოების კონკურენციის სააგენტოებმა შექმნეს ევროპის კონკურენციის ქსელი (European Competition Network – ECN). ამ ქსელის ფარგლებში თანამშრომლობის საწყისი საფუძვლები ჯერ კიდევ 2003 წლის დირექტივამ ჩაუყარა. მოგვიანებით ამ საკითხს კომისიამ ცალკე დოკუმენტი (ECN Cooperation Notice) მიუძღვნა. ქსელი და მისი განვითარება ძირითადად ორიენტირებულია ნაციონალურ და ევროპულ დონეზე საქმეების განაწილებაზე, კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლაზე, ეროვნულ დონეზე კონკურენციის ევროპული ნორმების ერთგვაროვან გამოყენებაზე და ა.შ. წარმატებული თანამშრომლობის მაგალითად მიიჩნევა Booking.com საქმე, როდესაც იტალიურმა, შვედურმა და ფრანგულმა სააგენტოებმა წარმატებით ითანამშრომლეს booking.com-ის

[133] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p.24. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[134] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.110-111.

[135] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:001:0001:0025:EN:PDF [ბოლოს გამოხმობილია 18.01.2018].

მიერ შეთავაზებული ფასების შეფასების საკითხში და საბოლოო შედეგებიც კოორდინირებული მუშაობის შემდეგ დადეს.[136]

კომისიამ ზემოაღნიშნული დოკუმენტი (ECN Cooperation Notice) რომელიც დეტალურად ეხება ეროვნულ სააგენტოებსა და კომისიას შორის ასევე თვით ეროვნულ სააგენტოებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარების დეტალებს. პრინციპები, რომლებსაც ემყარება ECN-ის ფარგლებში განხორციელებული ყველა აქტივობა, არის ორმხრივი ნდობა და სოლიდარობა. კომისიას მიაჩნია, რომ ამ თანამშრომლობის ფორმატის პოტენციალი გაცილებით უფრო დიდია კონკურენციის ნორმების ეფექტური აღსრულების თვალსაზრისით.[137]

პარალელური და ერთმანეთისაგან განსხვავებული ქმედებების გამოსარიცხად, ზემოაღნიშნული დოკუმენტი ადგენს კრიტერიუმებს, რაც უნდა დაეხმაროს კონკურენციის ეროვნულ ორგანოებს სწორად განსაზღვრონ მათ კომპეტენციას დაქვემდებარებული საკითხები. ზოგადი პრინციპის თანახმად, იმისათვის, რომ კონკურენციის სააგენტომ საქმის განხილვა და მისი ბოლომდე მიყვანა საკუთარ თავზე აიღოს, სამი ძირითადი წინაპირობა უნდა დაკმაყოფილდეს: ა) კონკურენციის შემზღუდავ ქმედებას აქვს (ან შეიძლება ჰქონდეს) მნიშვნელოვანი გავლენა კონკურენციის ეროვნული ორგანოს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზე. როგორც იტყვიან, სამართლდარღვევის „სიმძიმის ცენტრი“ განთავსებული უნდა იყოს შესაბამის წევრ სახელმწიფოში, რომლის ორგანოსაც აქვს ამ საქმის განხილვის დაწყების განზრახვა; ბ) კონკურენციის ორგანო უნდა იყოს უფლებამოსილი და გააჩნდეს რეალური შესაძლებლობა, რომ აღკვეთოს დაფიქსირებული დარღვევა და თუ საჭიროა შესაბამისი სანქციაც გამოიყენოს ეფექტური აღკვეთისა და კონკურენციის დაცვის მიზნით; გ) კონკურენციის კონკრეტულ ორგანოს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა - შეაგროვოს ფაქტები დარღვევასთან დაკავშირებით.[138] აღნიშნულის საპირისპიროდ, ევროპის კომისია საქმეში ჩაერევა თუ: ა) საქმეში სამზე მეტ წევრ სახელმწიფოსთან დაკავშირებული საკითხები იკვეთება; ბ) არსებობს ევროპული სამართლის ნორმები, რომლებიც ექსკლუზიურად უნდა იქნეს გამოყენებული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ან მათი გამოყენება ხელს შეუწყობს სამართლის უფრო ეფექტურ აღსრულებას; გ) თუ ევროპის კავშირის ინტერესები მოითხოვს ერთიანი ევროპული გადაწყვეტილების

---

[136] ***Wijckamans, Frank; Tuytschaever, Filip;*** Vertical Agreements in EU Competition Law, Oxford University Press, Third Edition, Oxford, 2018, p. 8-9. იხილე ასევე: ***Blanco Luis Ortiz (Editor),*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p. 43-44.

[137] ***Blanco Luis Ortiz (Editor),*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.116-117.

[138] ***Blanco Luis Ortiz (Editor),*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.117.

მიღებას და შესაბამისი მიდგომის ჩამოყალიბებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში წარმოიშობა.[139]

ECN -ის პარალელურად არსებობს ასევე ICN – International Competition Network რომელიც გლობალური მასშტაბის ორგანიზაციაა და მსოფლიოს ქვეყნების თანამშრომლობის პლატფორმას წარმოადგენს.[140]

შემთხვევები, როდესაც კონკურენციის ეროვნული ორგანო საქმეს კომისიას გადასცემს მისი დაწყების შემდეგ - საკმაოდ იშვიათია. ამავე დროს, კომისიის მიერ მოკვლევის დაწყების საფუძველი არაერთხელ გამხდარა სწორედ ეროვნულ ორგანოში შესული საჩივრები, რომლის საფუძველზეც ინფორმაციის გაცვლის შედეგად კომისიამ ჩათვალა რომ მისი მხრიდან ინიციატივის გამოჩენა მართებული იქნებოდა. Flat Glass-ის საქმეზე კომისიამ გამოძიება დაიწყო კონკურენციის რამდენიმე ეროვნული ორგანოს მიმართვის შემდეგ. ამ უკანასკნელთა ბაზაში საკმარისი ინფორმაცია დაგროვდა კარტელის არსებობასთან დაკავშირებით. iTunes-ის საქმეზე კომისიის მიერ მოკვლევის დაწყება გამოიწვია დიდი ბრიტანეთის შესაბამისი ორგანოს (UK OFT) მიერ ერთ-ერთი კლიენტი კომპანიის საჩივრის საფუძველზე დაწყებულმა საქმის წარმოებამ. ეს საქმეები ეროვნული სააგენტოებისა და კომისიის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითებად ითვლება.[141]

საქმეზე - Si.mobil Telekomunikacijske Storitive dd. Vs. Commission-ი ცალსახად დადგინდა, რომ როდესაც კომისია უარს ამბობს განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ კონკრეტული საქმე ეროვნული კონკურენციის ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება, კომისია ამაზე შორს არ მიდის და არ აკეთებს შეფასებას, რამდენად აქვს კონკრეტულ ეროვნულ ორგანოს შესაძლებლობა, რესურსები და უნარი - აიღოს პასუხისმგებლობა კონკრეტულ საქმეზე. ეს უკვე ამ ორგანოს კომპეტენციაა და საკუთარ იურისდიქციაზე ეს უკანასკნელი თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას.[142] ასეთი პრაქტიკით დასტურდება, რომ ევროპის კომისია არ არის ნაციონალური კონკურენციის სააგენტოების „ზემდგომი ორგანო“ და ვერ უბრძანებს მათ განიხილონ, ან არ განიხილონ კონკრეტული საქმე და მით უმეტეს მიიღონ, ან არ მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილება. მათ შორის ურთიერთობას უფრო მეტად აქვს ჰორიზონტალურ დონეზე თანამშრომლობის ხასიათი, რომელიც ურთიერთდახმარებასა და ურთიერთპატივისცემას ემყარება და არა ზემდგომსა და ქვემდგომს შორის სუბორდინაციულ ურთიერთობას.

---

[139] *Ibid*, p.123.

[140] https://www.internationalcompetitionnetwork.org/members/?location=south-america [ბოლოს გამოხმობილია: 11.06.2022].

[141] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.125.

[142] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.531.

გავრცელებული მოსაზრებით, ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოები უნდა მოერიდონ კომისიის მიერ კონკურენციის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებას და მათზე გადაწყვეტილების გამოტანას, რადგან კომისიის აქტების გადახედვის, მათი გაუქმებისა და სხვა მსგავსი ფუნქციები ექსკლუზიურად ეკუთვნის ევროპის კავშირის ერთიან მართლმსაჯულებას და არა რომელიმე წევრ სახელმწიფოს.[143]

კომისიის ურთიერთობას ეროვნულ სასამართლოებთან არეგულირებს კომისიის მიერ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი დოკუმენტი.[144]

ევროპული და წევრი სახელმწიფოების ორგანოების თანამშრომლობა კონკურენციის სფეროში არ გულისხმობს მხოლოდ კონკურენციის ორგანოებისა და კომისიის ერთობლივ ძალისხმევას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წევრი სახელმწიფოების სასამართლოების თანამშრომლობას კომისიასთან. ეს თანამშრომლობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით ვითარდება და არსებობს. პირველ რიგში აქ იგულისხმება ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, რომელიც კომისიას ავალდებულებს მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია გაუზიაროს წევრი სახელმწიფოების სასამართლოებს.[145]

Belgishe Radio en Televisie vs. SV SABAM and NV Fonior-ის (BRT I) საქმეზე კომისიამ დაადგინა, რომ ნაციონალური სასამართლოების კომპეტენცია გამოიყენონ ევროპული სამართალი, გამომდინარეობს ამ უკანასკნელის კონკრეტული ნორმების პირდაპირი ეფექტიდან. ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლები პირდაპირ შეიძლება აისახოს ბაზრის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებზე. ეროვნული სასამართლოებისათვის მათი გამოყენების უფლების ჩამორთმევა ფაქტობრივად იქნებოდა იმ უფლებების რეალურად და ეფექტურად განხორციელებაზე უარის თქმა, რაც ევროპის კავშირის ხელშეკრულებებით არის რეგულირებული და გარანტირებული.[146]

101-ე და 102-ე მუხლები წევრი სახელმწიფოების რაიმე ვალდებულებაზე პირდაპირ არ მიუთითებენ, თუმცა ამავე ხელშეკრულების 4(3) მუხლთან ერთად განმარტების შემთხვევაში ითვლება, რომ წევრ სახელმწიფოებს ასევე ეკისრებათ ვალდებულებები, არ შეუშალონ ხელი კონკურენციას მაგალითად მინიმალური და მაქსიმალური ფასების, დისკრიმინაციული საგადასახადო ტვირთის დაწესებით ან სხვა ისეთი ზომების მიღებით,

---

[143] *Ibid,* p.535.

[144] Commission Notice on the Cooperation between commission and and the courts of the EU Member states in the application of [articles 101 and 102 TFEU] [2004] OJ C101/54.

[145] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.92-95.

[146] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.601.

რაც აშკარად გამოიწვევს მის შეზღუდვას. მათ ასევე თავი უნდა შეიკავონ ისეთი კანონების მიღებისაგან, რაც ეკონომიკურ აგენტებს მისცემს შესაძლებლობას გვერდი აუარონ 101-ე და 102-ე მუხლებით დადგენილ აკრძალვებს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ევროპული კავშირის ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებენ რაიმე პროცედურას, რომელსაც უნდა მიმართოს პირმა, ვინც თვლის, რომ წევრი სახელმწიფოს მხრიდან სწორედ ზემოაღნიშნულ დარღვევას აქვს ადგილი. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შეფასებით, კომისიას აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, მაგრამ არა ვალდებულება მიმართოს შესაბამის ორგანოს, მოითხოვოს მისი მოსაზრება დარღვევასთან დაკავშირებით და მისცეს შესაბამისი რეკომენდაცია. რეკომენდაციის შეუსრულებლობა აძლევს კომისიას უფლებას მიმართოს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წევრი სახელმწიფოს მხრიდან დარღვევის დაფიქსირების მოთხოვნით. ასევე პრობლემურია საკითხი, შეიძლება თუ არა კომისიის დისკრეციული უფლებამოსილება გახდეს სასამართლო კონტროლის ობიექტი. კომისიის უარი მიმართოს წევრ სახელმწიფოს - ნებისმიერ შემთხვევაში გულისხმობს კომისიის მხრიდან კონკრეტული ქეისის სამართლებრივ შეფასებას (რის საფუძველზეც კომისია უარს ამბობს ჩარევაზე). შესაბამისად, ლოგიკური უნდა იყოს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული მისი ეს გადაწყვეტილება გადახედვას ექვემდებარებოდეს. [147] ზემოაღნიშნული საკითხების სენსიტიურობა აშკარაა, ვინაიდან ის წევრი სახელმწიფოების სუვერენული უფლებების ზღვარზე გადასაწყვეტი პრობლემებია. ალბათ ასეთ დროს ყველაზე მომგებიანი იქნება ორმხრივი და ნაკლებად ფორმალური კონსულტაციები კომისიისა და წევრი სახელმწიფოს ჩართულობით. ცხადია, ასეთ კონსულტაციებში ეკონომიკური აგენტების ჩართვა ალბათ ნაკლებად მოხერხდება, მაგრამ მათ უნდა ეცნობოთ იმ შედეგების შესახებ, რაც ამ კონსულტაციებს მოჰყვება და უნდა ჰქონდეთ სასამართლოში წასვლის უფლება.

Kingdom of Spain vs. Commission-ის საქმეზე კომისიამ დაადგინა, რომ იმის მიუხედავად, რომ კომუნიკაციების ბაზარი ესპანეთის სამეფოში რეგულირებად საქმიანობას განეკუთვნება, Telefonica-მ - ადგილობრივმა ინტერნეტ და სხვა სერვისების პროვაიდერმა, მაინც შეძლო ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 102-ე მუხლის დარღვევა. საერთო იურისდიქციის სასამართლომ, რომელიც ესპანეთის სამეფოს სარჩელს განიხილავდა, მიუთითა, რომ კომისიის ეს გადაწყვეტილება არ ლახავს ესპანეთის ადმინისტრაციული ორგანოების უფლებას - იმოქმედონ თავიანთი წესების შესაბამისად და არ უშლის მათ ხელს თავიანთ საქმიანობაში. უფრო მეტიც

[147] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.13.

კონკრეტული დარღვევა, რასაც სასამართლოს და კომისიის აზრით ადგილი ჰქონდა Telefonica-ს შემთხვევაში, არ ლახავს მარეგულირებელი ორგანოს უფლებებს და არ წარმოადგენს მის უფლებებში შეჭრას. სასამართლომ არ გაითვალისწინა ესპანეთის სამეფოს არგუმენტები, რომ რეგულირებული ბაზრის პირობებში margin squeeze-ის დადგენა არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო გონივრულად. სამეფოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ კომისიის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.[148] ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად ავტონომიური და შეიძლება ითქვას საერთო ევროპულია 101-ე და 102-ე მუხლების სამართლებრივი და ეკონომიკური ეფექტი. კომისიის და სასამართლოს განმარტებით, ისინი არ იჭრებიან ნაციონალური კანონმდებლობის თუ ამ კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი ორგანოების კომპეტენციაში და არ ლახავენ მათ უფლებებს. უფრო პირიქით, ეხმარებიან მათ და ხელს უწყობენ ერთიანი ევროპული ბაზრის დაცვას კონკურენციის გაუმართლებელი შეზღუდვებისაგან.

Deutsche Telekom vs. Commission-ის და Kingdom of Spain vs. Commission-ის საქმეებზე ევროპის კავშირის სასამართლოებმა ცალსახად დაუჭირეს მხარი პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, ნაციონალური კანონმდებლობის რეგულირებად სფეროებში კომისიის ჩარევა არ ქმნის რაიმე კონფლიქტს რეგულირების ევროპულ და ნაციონალურ დონეებს შორის, როცა ნაციონალური კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციის საფუძველზე ეკონომიკური აგენტები არღვევენ ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლებს და ამით საფრთხეს უქმნიან ერთიანი ევროპული ბაზრის ეფექტურ და გამართულ ფუნქციონირებას.[149]

1/2003 რეგულაციის მე-15 მუხლი ანიჭებს უფლებას წევრი სახელმწიფოების სასამართლოებს მოითხოვონ წერილობითი მოსაზრება კომისიისაგან კონკურენციის ევროპული ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით. როგორც წესი, კომისიის წერილობითი მოსაზრება უნდა ეხებოდეს სამართლებრივ ეკონომიკურ და პროცედურულ საკითხებს და არა უშუალოდ დავის საგანს და მასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს. კომისიის პოზიციას არ აქვს სავალდებულო ძალა და მისი შემდგომი გამოყენება და გავლენა გადაწყვეტილებაზე მთლიანად სასამართლოს დისკრეციის ფარგლებშია მოქცეული.[150]

კომისიას ასევე შეიძლება დასჭირდეს დახმარება წევრი სახელმწიფოების სასამართლოებისაგან, როდესაც ეკონომიკური აგენტი არ ემორჩილება კომისიის

[148] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.271.
[149] *Ibid,* p.271.
[150] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.100.

მოთხოვნებს, ან მის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებს. ასეთ დროს სასამართლოს ჩარევით შესაძლებელია კონკურენციის ნორმების და კომისიის მიერ განსაზღვრული ვალდებულებების უფრო ეფექტურად შესრულების უზრუნველყოფა, რადგან ეროვნულ სასამართლოებს გაცილებით მეტი ბერკეტები აქვთ „მათი“ ეკონომიკური აგენტების მიმართ, ვიდრე ეს კომისიის შემთხვევაშია დაშვებული ევროპული სტანდარტის მიხედვით.[151]

ბოლო პერიოდის კვლევები ადასტურებენ, რომ უნიფიცირების ტენდენცია კონკურენციის სამართლის აღსრულებაზე და სანქციების დაკისრებაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან მიმართებაში საკმაოდ მძლავრია და ძალებს კიდევ უფრო იკრებს. ამ ტენდენციას 1/2003 რეგულაციის ამოქმედებას და ერთგვაროვანი მიდგომების ჩამოყალიბების თვალსაზრისით კომისიისა და წევრი სახელმწიფოების მიერ გატარებულ ღონისძიებებს ასახელებენ. აქვე არსებობს მოსაზრება, რომ ეს ტენდენცია მანამდეც შეიმჩნეოდა და ბევრად უსწრებდა დროში 1/2003 რეგულაციის ამოქმედებას.[152]

5. კონკურენციის ორგანოების უფლებამოსილების ფარგლები

a) სანქციის განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმები

მიიჩნევა, რომ სანქციის გამოყენების კრიტერიუმები და საპროცესო საკითხების განსხვავებული რეგულირება European Competition Network-ის ECN მასშტაბით სამართლებრივი არასტაბილურობის განცდას ტოვებს და დღემდე ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა. [153]კომისიის მიერ სანქციის განსაზღვრისას კრიტერიუმად ამა თუ იმ გარემოების, ფაქტისა თუ შეფასების მითითება უნდა იყოს თანმიმდევრული და ობიექტურად დასაბუთებული (consistent and objectively justified).[154]

რეგულაცია 1/2003 მნიშვნელოვნად აფართოებს კომისიის უფლებამოსილებას სანქციების დაკისრების ნაწილში, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, ამერიკული სამართალი ამ მხრივ გაცილებით უფრო მკაცრია და მეტ შესაძლებლობებს აძლევს შესაბამის უწყებებს. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა არა მხოლოდ ეკონომიკური აგენტების, არამედ მათი თანამშრომლებისა და მენეჯმენტის სისხლის სამართლის წესით

[151] *Ibid*, p.107-108.
[152] ***Frese, Michael, J.,*** Sanctions in EU Competition Law, HART Publishing, Oxford, 2014, p. 121.
[153] ***Chmeis, Ahmad.,*** Kartellsanktionsrecht Verfahrensrechtliche Konvergenz innerhalb der Europäischen Union unter besonderer Berüchsichtigung des deustchen Rechts, Dunker & Humblot, Berlin, 2018, s.318.
[154] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 951.

პასუხისგებაში მიცემა და მათი ინდივიდუალური დაჯარიმება, რაც უფრო ეფექტურს ხდის კარტელებთან ბრძოლას. ევროპის კომისიას მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნია, თუმცა ფრანგული და ინგლისური სამართალი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ელემენტების ჩართვას კონკურენციის სამართლის მიზნების აღსრულებაში.[155]

Regulation 17-ი პირდაპირ მიუთითებს, რომ კომისიის მიერ გამოყენებული სანქციები არ არის და არც შეიძლება იყოს სისხლის სამართლებრივი ბუნების მატარებელი. ამ რეგულაციით ევროპის კავშირი შეეცადა არ შეხებოდა სისხლის სამართლის საქმეებზე იურისდიქციის წევრი სახელმწიფოებიდან ევროპაზე გადაცემის ძალიან სენსიტიურ საკითხს და ამით ახალი გაუგებრობები თავიდან აეცილებინა.[156]

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეკითხვა, რომელიც პრაქტიკაში ჩნდება, უკავშირდება ეკონომიკური აგენტების მენეჯერებისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობას კომპანიის წინაშე, იმ ზიანისათვის, რომელიც მათ მიაყენეს კომპანიას კომისიის მიერ დაკისრებული ჯარიმის სახით, რაც საბოლოო ჯამში მათი ქმედების პირდაპირი შედეგია. არსებობს მოსაზრება, რომ ერთი მხრივ ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრების რისკმა შეიძლება მენეჯერები თუ სხვა თანამშრომლები უფრო ფრთხილები გახადოს კონკურენციის ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა მეორე მხრივ, ასეთმა პასუხისმგებლობამ შეიძლება ხელი შეუშალოს leniency პროგრამების განხორციელებას და დააკარგვინოს მენეჯმენტს მოტივაცია გახდეს ასეთი კამპანიის ნაწილი. ინგლისურმა სააპელაციო სასამართლომ Safeway Stores Ltd & others vs. Twigger & others-ის საქმეზე ცალსახად მიუთითა, რომ კომპანიას არ აქვს უფლება უჩივლოს დირექტორებს მათ მიერ კონკურენციის ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით.[157] როგორც ჩანს, ასეთი მიდგომის არგუმენტაცია გაცილებით უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს. თანამედროვე გლობალური ბიზნეს ურთიერთობები იმდენად კომპლექსურია, რომ შესაძლოა იყოს შემთხვევები, როდესაც მენეჯმენტს არ შეუძლია გონივრულად ივარაუდოს, რომ კონკურენციის ნორმებს არღვევს. ასეთი დარღვევა ხშირად ხანგრძლივი, სიღრმისეული და უამრავი ექსპერტის ჩართულობით განხორციელებული კვლევის შედეგად დგინდება ხოლმე. შესაბამისად, კონკურენციისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს შეუშლიდა მენეჯერებს ბაზარზე თამამი გადაწყვეტილებებისა და მათი უპირველესი მოვალეობის შესრულებაში - იზრუნონ კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაზე და მომგებიანი პროექტების განხორციელებაზე.

---

[155] *Ibid*, p.635.
[156] *Ibid*, p.644.
[157] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.523.

სანქციები, რომელსაც კომისია იყენებს, შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს: ა) ე.წ. არსებითი ხასიათის სანქციები, რომელიც შემაჯამებელი გადაწყვეტილებით ეკისრება კარტელის მონაწილეს; ბ) საპროცესო სანქციები და გ) პერიოდული ჯარიმები.[158]

სანქციის დაკისრებისათვის განზრახვის ან გაუფრთხილებლობის (ან ზოგადად თუ ვიტყვით - ბრალის) არსებობა ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობაა.[159]

სანქციის განსაზღვრისას გადამწყვეტია პროპორციულობის პრინციპი,[160] რომელიც გულისხმობს დამრღვევის იმ ზომით დაჯარიმებას, რომელიც აუცილებელია კონკურენციის ნორმების ეფექტური აღსრულებისათვის. ეს ეხება არა მხოლოდ ფულად სანქციას (ჯარიმას), არამედ ნებისმიერ სხვა ქმედებას, რომლის შესრულებაც შეიძლება დაეკისროს ეკონომიკურ აგენტს. მაგალითად, ბაზრის მონაწილეს მოეთხოვა გარკვეული ქმედების განხორციელებაზე უარის თქმა და მეორე მხრივ ამა თუ იმ მოქმედების შესრულება, როგორც უარი მოქმედებაზე, ასევე ნებისმიერი დაკისრებული ვალდებულება უნდა გამომდინარეობდეს კონკურენციის ნორმების ეფექტური აღსრულების ინტერესებიდან და არ უნდა იყოს დაკავშირებული გაუმართლებელ ხარჯებთან თუ სხვა სახის დისკომფორტთან, რომელიც არ ემსახურება ზემოაღნიშნული ინტერესების ეფექტურ დაცვას, არის თავისი ბუნებით ბიუროკრატიული და ხელის შემშლელი და წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს დასაბუთებულ ჩარევას.[161] ფორმულირება პრინციპული თვალსაზრისით ნათელია, თუმცა როგორ იმუშავებს ეს პრინციპი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე, მთლიანად კონკურენციის ნორმის შეფარდებაზე და უფლაბამოსილი ორგანოების (სასამართლო, კომისია/კონკურენციის სააგენტო) შეფასებებზეა დამოკიდებული. ამ ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ეს შეფასებები ობიექტური და დაბალანსებული იყოს როგორც კერძო, ასევე საჯარო ინტერესების გათვალისწინებით.

კომისიას არსენალში აქვს ე.წ. პოზიტიური სანქციები, როგორიცაა მაგალითად დაჯარიმებული სუბიექტების დავალდებულება უზრუნველყონ მათი მომხმარებლების ინფორმირება მათ მიერ ჩადენილი დარღვევებისა და კომისიის მიერ გამოყენებული სანქციების შესახებ. თუმცა, ცალკე საკითხია, რამდენად უნდა განვიხილოთ ეს

---

[158] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.643.

[159] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.483.

[160] *Ibid*, p.18.

[161] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 950.

დამოუკიდებელ სანქციად. შესაძლოა, ასეთი ზომები გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულების მექანიზმების სიას უფრო მიეკუთვნებოდეს.[162]

ერთ-ერთი სანქცია, რომელიც კომისიას შეუძლია გამოიყენოს, გულისხმობს კომისიის უფლებამოსილებას, მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტებს გარკვეული ქმედების შეწყვეტა და განახორციელოს ეფექტური მონიტორინგი, მოხდა თუ არა მისი მოთხოვნის შესრულება.[163]

ევროპული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, 101-ე მუხლით დადგენილი ხელშეკრულების ბათილობა, როგორც სანქცია, შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ხელშეკრულების იმ ნაწილებზე, რომლებიც ზღუდავენ, ან პირდაპირ კრძალავენ კონკურენციას. მთელი ხელშეკრულების ბათილობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ იქნება დასაბუთებული, რომ ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე ბათილი რეგულირებების გამოცალკევება და ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის ნამდვილად აღიარება შეუძლებელია.[164]

კომისიას უფლება აქვს ეკონომიკურ აგენტს სანქცია დააკისროს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს უკანასკნელი დაამტკიცებს, რომ კომისიის მიერ გამოძიების დაწყებისას ეს ქმედება შეწყვეტილი ჰქონდა.[165] როგორც ჩანს, ამ დროს ამოსავალი წერტილია თვით ქმედების ჩადენის ფაქტი. ნებაყოფლობითი შეწყვეტა, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, შეიძლება სანქციის ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინონ.

ევროპული პრაქტიკის მიხედვით, თუ კომპანია წყვეტს არსებობას იქიდან გამომდინარე, რომ მას სხვა სუბიექტი ყიდულობს, მაშინ მყიდველი პასუხისმგებელი ხდება კომისიის მიერ დაკისრებული სანქციის აღსრულებისათვის.[166] საერთო იურისდიქციის სასამართლომ ასევე აღიარა შემძენის უფლება შეძენის ხელშეკრულებით აიღოს საკუთარ თავზე კონკურენციის სამართლის დარღვევისათვის დაკისრებული სანქცია. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ადასტურებს მსგავს ტრანზაქციას და შესაბამისად აღსრულებასაც შემძენისაგან მოითხოვს. ასე მოიქცა საერთო იურისდიქციის სასამართლო Krupp Thyssen-ის საქმეზე.[167]

ასოციაციაზე სანქციის დაკისრებისათვის აუცილებელია მას დამოუკიდებელი სამართლებრივი პერსონალურობა - სამართალსუბიექტობა გააჩნდეს. თუ ასოციაცია უბრალოდ მექანიზმი ან პლატფორმაა, რომელიც დამოუკიდებლად არ მოქმედებს და

---

[162] *Ibid*, p.639.
[163] *Ibid*, p.637.
[164] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.130.
[165] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.652.
[166] *Ibid*, p.668-669.
[167] *Ibid*, p.671.

არ ჰყავს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები, მაშინ მისთვის სანქციის დაკისრება ვერ ჩაითვლება პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებულად.[168] ასე მაგალითად, შესაძლოა, პირობითად, ასოციაცია იყოს ონლაინ პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს წევრებს შორის კომუნიკაციას, აკეთებს შეხვედრების ორგანიზებას, გამოიყენება როგორც ინფორმაციის წევრებში გავრცელებისა და გაცვლის წყარო. ასეთ შემთხვევაში გვერდის ადმინი სრულიად საკმარისი „თანამდებობაა“ მსგავსი პლატფორმების სამართავად, რაც გამორიცხავს კონკურენციის სამართლის დარღვევისათვის (და მით უმეტეს კარტელისათვის) ასეთი ასოციაციისათვის სანქციის დაკისრების შესაძლებლობას.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ასოციაციის დაჯარიმება არ გამორიცხავს წევრების დაჯარიმებას და პირიქით. აქ ნებისმიერი სცენარის განვითარება შესაძლებელია. შეიძლება დაჯარიმდნენ მხოლოდ წევრები, მხოლოდ ასოციაცია, ან ორივე - როგორც წევრები, ასევე ასოციაცია.[169]

მეორე მხრივ, ეკონომიკური აგენტების განცალკევებული სამართალსუბიექტობა არ არის პრობლემა კონკურენციის სამართალში ჯარიმის დაკისრებისათვის, თუ მაგალითად მტკიცდება, რომ შვილი კომპანია მოქმედებდა დედა კომპანიის ინსტრუქციების, მისი გადაწყვეტილებების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში სანქცია შეიძლება ორივეს, ან მხოლოდ დედა კომპანიას დაეკისროს, მიუხედავად იმისა, რომ შვილი კომპანია ფორმალურ სამართლებრივად დამოუკიდებელია და თავის საქმიანობაზეც თვითონ აგებს პასუხს.[170]

სამართლის ზოგადი პრინციპის გავლენით, სანქციის განსაზღვრისას კონკურენციის ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები.[171] დამამძიმებლად, როგორც წესი, მიიჩნევა დარღვევის განმეორებით ჩადენა, უარი კონკურენციის ორგანოსთან თანამშრომლობაზე, მისთვის ინფორმაციის დამალვა და ხელის შეშლა, სხვა დამრღვევისაგან განსხვავებით გამოკვეთილი, აქტიური ლიდერის როლი კარტელში, მუქარა და ზეწოლა ბაზრის სხვა მონაწილეებზე.[172] მაგალითად, Belgian Beer -ის საქმეზე დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვალა Danon-ის მუქარა Interbrew-ის წინააღმდეგ, რომ

---

[168] *Ibid*, p.672.

[169] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.672.

[170] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.475.

[171] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.716,

[172] *Ibid*,, p.718-732.

თუ ეს უკანასკნელი არ ითანამშრომლებდა ბელგიურ ბაზარზე და არ დაემორჩილებოდა Danon-ის მიერ დადგენილ წესებს, მაშინ ეს უკანასკნელი მიიღებდა ზომებს Interbrew-ის წინააღმდეგ ფრანგულ ბაზარზე და მას პრობლემებს შეუქმნიდა.[173]

შემამსუბუქებელ გარემოებებად მიიჩნევა, მაგალითად, პასიური და ლიდერის მიმყოლის როლი კარტელში, კარტელური შეთანხმებების აღსრულებაზე უარის თქმა, დარღვევის სწრაფად, დროის მცირე მონაკვეთში შეწყვეტა, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დარღვევა, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც გამოწვეული, ან ხელშეწყობილი იყო საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ, ლინიენსის ფარგლების მიღმა ეფექტური და შედეგიანი თანამშრომლობა კონკურენციის ორგანოებთან, შესაბამისობის (Compliance) პროგრამის შემუშავება და მათი დაცვა, მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილი კარტელის სხვა წევრთა მხრიდან ზეწოლის შედეგად და ა.შ.[174]

b) ჯარიმა, როგორც უმკაცრესი სანქცია და მისი ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები

კომისიის მიერ დაკისრებული ჯარიმები სამ ძირითად მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: დამრღვევის დასჯა, შეკავება და ტრანსპარენტულობა (Retribution Deterrance and Transparency).[175]

ჯარიმის ოდენობის ოპტიმალურად განსაზღვრა არაერთ ეკონოიმიკურ თეორიას თუ მეთოდოლოგიას გაუხდია მიზნად. თუმცა, ერთიანი მიდგომა ამ თვალსაზრისით არ არსებობს. განსხვავებული კრიტერიუმები და ერთეულები, რომელსაც ესა თუ ის თეორია იყენებს, ხშირად იწვევს განსხვავებულ შედეგებს.[176]

ეკონომიკურ თეორიაში გავრცელებული ზოგიერთი შეხედულების თანახმად, სანქციის მიზანია ხელი შეუშალოს მატერიალური სარგებლის მომხმარებლიდან მწარმოებელზე/გამსაღებელზე გადასვლას. ეს მიდგომა კონკურენციის სამართლის ყველა დარღვევისათვის (მათი სიმძიმის მიუხედავად) ითხოვს შესაბამისი ფულადი სანქციის გამოყენებას. აქედან უკვე ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჯარიმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ეფექტური, თუ ის დარღვევიდან ეკონომიკური აგენტის მიერ პოტენციურად მისაღებ შემოსავალზე მეტი იქნება. აქვე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომპანიების მოლოდინი მოსალოდნელ დაჯარიმებასთან

[173] *Ibid*, p.733.
[174] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.734-760.
[175] *Ibid*, p.682-683.
[176] *Ibid*, p.677.

დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკმაოდ პოპულარულია ჯარიმის დათვლის შემდეგი ფორმულა:

Fine= Gain/Probability of a fine being imposed[177]

თუ, მაგალითად, კარტელის აღმოჩენის შანსი ერთი სამთანაა, მაშინ ჯარიმის სახით შეიძლება განისაზღვროს თანხა, რომელსაც მივიღებთ კარტელიდან მოსალოდნელი შემოსავლის სამზე გამრავლებით.[178]

კონკურენციის ნორმების დარღვევიდან მიღებული შემოსავალი შედგება, როგორც უშუალოდ ქეშის სახით მიღებული შემოსავლისაგან, ასევე ნებისმიერი ხარჯების დანაზოგისგან, თუ სხვა სახის არაპირდაპირი სარგებლისაგან, რასაც ეკონომიკური აგენტი დარღვევისგან იღებს ამ დარღვევის გამო ბაზარზე შექმნილი სპეციფიკის გათვალისწინებით (Gain). ქეშის სახით მიღებული სარგებელი ითვლება ფასებს შორის სხვაობით: კარტელის პირობებში არსებულ ფასს უნდა გამოაკლდეს ის ფასი, რაც იქნებოდა, კარტელს ადგილი რომ არ ჰქონოდა და ბაზარი თავისუფალი კონკურენციის რეჟიმში განვითარებულიყო. აქ ორ ძირითად მეთოდს იყენებენ ხოლმე: ა) იმ ფასების ეკონომეტრიკული მოდელის შექმნა და დაანგარიშება, რომელიც იარსებებდა თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ამ მეთოდის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მოითხოვს ძალიან ბევრი ფაქტორის კომპლექსურ გაანალიზებას და გარკვეულწილად ეყრდნობა რაღაც დაშვებებს. შესაბამისად, ასეთ დათვლას სიზუსტეზე პრეტენზია ვერ ექნება და შეიძლება მხოლოდ იმაზე მსჯელობა, რამდენად დამაჯერებლად/დასაბუთებულად გამოიყურება ამ მეთოდის გამოყენება და ბ) უცხოურ ბაზარზე (სადაც ანალოგიურ პროდუქტზე ან მომსახურებაზე არ არის დაფიქსირებული კარტელური შეთანხმება) არსებული ფასების აღება და მათი შედარება იმ შესაბამისი ბაზრის ფასებთან, სადაც კარტელია დაფიქსირებული. ამ მეთოდის უარყოფითი მხარე არის ის, რომ შეიძლება შემფასებელს მხედველობიდან გამორჩეს ის ეროვნული თავისებურებები, რაც ფასების ფორმირებაში იღებს მონაწილეობას.[179]

ეკონომისტთა სხვა ჯგუფი (ამ ჯგუფში ე.წ. ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლებიც შედიან) კონკურენციის სამართლის საერთო მიზნიდან ამოდის. ამ ჯგუფის წარმომადგენლები თვლიან, რომ კონკურენციის სამართლის მიერ დაწესებული აკრძალვები საზოგადოების საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობას ემსახურება და ამ

[177] *Ibid*, p.678.
[178] *Ibid*, p.679.
[179] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.678.

საზოგადოებაში თანაბრად მოიაზრებიან როგორც მწარმოებლები და გამყიდველები, ასევე მომხმარებელი/მყიდველებიც. შესაძლოა არსებობდეს ისეთი დარღვევები, რომლებიც საბოლოო ჯამში ეკონომიკის ეფექტურობას ემსახურებიან. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა კონკურენციის შეზღუდვის შედეგად მიღებული ბენეფიტები აჭარბებს ხარჯებს. შესაბამისად, სანქციას უნდა ექვემდებარებოდეს არა ყველა დარღვევა, არამედ მხოლოდ ის, რაც ეკონომიკის ეფექტურობას უშლის ხელს.[180]

ფორმულა ამ თეორიის მიხედვით, ასე გამოიყურება: ჯარიმის ოპტიმალური ოდენობა უდრის დარღვევით გამოწვეული ზიანის ოდენობა გამრავლებული სანქციის რეალურად დაკისრების შესაძლებლობის შებრუნებულ სიდიდეზე. ზიანი ასევე მოიცავს გაზრდილ ხარჯებს, რაც გამოწვეულია კარტელით და მოთხოვნა მიწოდების ეფექტური ბალანსის დარღვევით. ბალანსის დარღვევა ხდება მაშინაც, როდესაც მომხმარებლებს ზიანი ადგებათ ისე, რომ ყველაფერი მათ ხარჯზე გადადის და მწარმოებლებს არაფერი აკლდებათ. იგივე ხდება ზიანისას, რომელიც დგება კარტელის მონაწილეების მიერ საქონლის ან მომსახურების წარმოებაზე, ან მიწოდებაზე დაწესებული შეზღუდვების შედეგად. დაახლოებით მსგავსი სურათია სახეზე, როდესაც მყიდველები უბრალოდ წყვეტენ შეძენას კარტელის მიერ გაზრდილი ფასების გამო.[181]

ევროკავშირში მოქმედებს ე.წ. Fining Guidelines in Cartels Cases 1998, რომლის თანახმადაც, საკმაოდ დეტალურად არის განსაზღვრული ჯარიმის დადგენისას გამოსაყენებელი ცხრილები თუ მეთოდოლოგია.[182] აღნიშნული გაიდლაინები საფუძვლიანად განახლდა კომისიის მიერ 2006 წელს. 2006 წლის რედაქციის 37-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ ეს წესები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ არის მბოჭავი. კომისიას შეუძლია გადაუხვიოს ამ გაიდლაინებს, თუ ასეთ გადახვევას საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და სანქციის პრევენციული ფუნქციის გათვალისწინებით საჭიროდ მიიჩნევს.[183] გარდა ზემოაღნიშნულისა, 2003

---

[180] *Ibid*, p.679.

[181] the optimal fine should be equal the violation's net harm to other multiplied by the inverse of the probability of a fine being effectively imposed. Ne Harm to others includes overcharge caused by the cartel and dead weight loss. Dead- weight loss corresponds to a loss to consumers without an offsetting gain to producers as in the case of a loss resulting from an output restriction. Dead-weight loss may also occur when because of the price increase potential buyers cease buing products affected by the cartel. ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.679.

[182] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 793.

[183] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.498. ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.704.

წლის დირექტივის 23-24 მუხლები ამოსავალი წერტილია ჯარიმის ოდენობის კრიტერიუმების განსაზღვრისათვის.[184]

ჯარიმის განსაზღვრისას, განსაკუთრებით ე.წ. უხეში (hardcore) დარღვევების შეფასებისას კომისია მხედველობაში იღებს იმ დროს, რომლის განმავლობაშიც დარღვევები გრძელდებოდა და გარკვეულ თანხას ამატებს დარღვევების ყოველი მომდევნო წლისათვის, ამ წლის ბრუნვების გათვალისწინებით. ასეთი მიდგომა ძირითადად განპირობებულია სანქციის პრევენციული ფუნქციით. ეკონომიკურმა აგენტებმა უნდა იცოდნენ, რომ დარღვევას კიდევ უფრო ამძიმებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების დროის მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში ჩადენა.[185]

კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების ბუნებას და შინაარსს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კონკრეტული ქმედების გავლენა კონკურენციაზე სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაგალითად, ფასების ჰორიზონტალური ფიქსაცია და ბაზრების გაყოფა გაცილებით უფრო მკაცრად ჯარიმდება კომისიის მიერ და ეს სტრატეგიულად გამართლებული მეთოდოლოგიური მიდგომაა. ითვლება, რომ ზემოაღნიშნული დარღვევები ყველაზე უხეში დარღვევებია და მათი სანქციაც ადეკვატური უნდა იყოს. ასეთ დროს ჯარიმის ოდენობა გაყიდვების 15% დან იწყება და შეიძლება 30%-საც მიაღწიოს.[186]

დამამძიმებელ გარემოებად ითვლება კომისიის საქმეში ჩარევის შემდეგ დარღვევის შეწყვეტაზე უარის თქმა და პირიქით, მისი უფრო ინტენსიურად გაგრძელება; დაჯარიმების შემდეგ მსგავსი ქმედების განმეორებით ჩადენა; უარი კომისიასთან თანამშრომლობაზე, ან კომისიისათვის ობსტრუქციის მოწყობა; სხვა ეკონომიკურ აგენტებზე ზეწოლა და მათი იძულებითი ჩართვა ქმედებებში, რომელიც არღვევს კონკურენციის ნორმებს და ა.შ.[187] ეს ჩამონათვალი პრაქტიკას ეყრდნობა, თუმცა ამომწურავი ვერ იქნება. კომისია შეზღუდული არ არის შესაბამისი დასაბუთებით და საქმის გარემოებების გათვალისწინებით დამამძიმებელ გარემოებად სხვა ქმედებებიც მიიჩნიოს. ზემოაღნიშნული საპირისპირო ქმედებები კი ლოგიკურად განიხილება შემამსუბუქებელ გარემოებებად. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს კომისიის ჩარევისთანავე კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შეწყვეტა. გაუფრთხილებლობით კონკურენციის სამართლდარღვევის ჩადენა ჯერ კიდევ 1998

---

[184] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:001:0001:0025:EN:PDF [ბოლოს გამოხმობილია 18.01.2018].

[185] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.499.

[186] *Ibid*, p.501-503.

[187] *Ibid*, p.509-516.

წლის გაიდლაინების მიხედვით მიიჩნეოდა შემამსუბუქებელ გარემოებად. ასევე შემამსუბუქებელი გარემოებაა არსებითად ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი კონკურენციის სამართალდარღვევაში, ეფექტური და კეთილსინდისიერი კომუნიკაცია და თანამშრომლობა კომისიასთან, როდესაც ეს თანამშრომლობა არ ხორციელდება ლინიენსის პროგრამის ფარგლებში და არ წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის სამართლებრივ ვალდებულებას; კონკურენციის შემზღუდავი ქმედების წახალისება/ავტორიზაცია სახელმწიფოს მხრიდან ან კანონმდებლობით დადგენილი პროცედურიდან გამომდინარე; [188]

ჯარიმების განსაზღვრის 1998 წლის გაიდლაინების თანახმად, ჯარიმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ორი ძირითადი კრიტერიუმი: ა) დარღვევის სიმძიმე და სერიოზულობა; და ბ) დარღვევის ინტენსივობა და ხანგრძლივობა დროში. როდესაც საუბარია სიმძიმეზე, ყურადღება უნდა გამახვილდეს შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ მოცულობაზე, ბაზარზე კონკრეტული ქმედების გავლენის ხარისხზე და თვით დარღვევის სამართლებრივ ბუნებაზე. ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით გაიდლაინები გამოყოფენ სამი სახის დარღვევებს: მცირე დარღვევებს, სერიოზულ და არსებით დარღვევებს და განსაკუთრებით მძიმე დარღვევებს. გაიდლაინები დეტალებში ჩამოთვლის თითოეული მათგანის ფარგლებს და მაქსიმალურად ზუსტად განმარტავს მას.[189] მოსარჩელის მხრიდან ჯარიმის ოდენობასთან დაკავშირებული საკითხის სასამართლოში დაყენების შემთხვევაში ევროპული სასამართლოები ჯერ ნებისმიერ შემთხვევაში სამართლებრივად აფასებენ კომისიის მიერ წარმოებულ საქმეს. არკვევენ, ხომ არ დარღვეულა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი სანქციის განსაზღვრისას. თუ ფორმალური სამართლებრივი შემოწმების შემდეგ კითხვები მაინც რჩება, სასამართლოებიც ასეთ შემთხვევაში მიმართავენ იმავე გაიდლაინებს, რაც კომისიის მიერაა განსაზღვრული და დაადგენენ, ხომ არ ყოფილა რაიმე დარღვევა უშუალოდ გაიდლაინების გამოყენებასთან მიმართებაში.[190]

სააგენტოს შეუძლია რამდენიმე სახის დარღვევისათვის ერთიანი ჯარიმა დაადგინოს. ასეთი შემთხვევები უფრო გამონაკლისია ვიდრე წესი და მათ მაშინ აქვთ ადგილი, როდესაც დარღვევებს შორის სპექტრული სხვაობის მიუხედავად, აშკარაა რომ, ეს

[188] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.516-527.
[189] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare., (Editors)*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book Two, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 1275-1276.
[190] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.542.

დარღვევები დაჯარიმებული ეკონომიკური აგენტის ერთიანი სტრატეგიის ნაწილი იყო.[191]

როდესაც საუბარია ეკონომიკური აგენტის ბრუნვაზე, როგორც ჯარიმის დაანგარიშებაზე მიბმულ ერთ-ერთ კრიტერიუმზე, იგულისხმება კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მთლიანი ბრუნვა და არა მხოლოდ მისი ერთი სტრუქტურული ერთეულის (თუნდაც შვილობილი კომპანიის) ან მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედი ბიზნესის ბრუნვა. ბრუნვის დაანგარიშება უნდა მოხდეს ეკონომიკური აგენტის საქმიანობიდან სრულად, რა მოცულობის აქტივობებს, ან გეოგრაფიასაც არ უნდა გულისხმობდეს ეს.[192]

თუ დასაჯარიმებელი სუბიექტია ასოციაცია, რომლის გადაწყვეტილებაც ან ქმედებაც არის მიჩნეული კონკურენციის საწინააღმდეგოდ, მაშინ მხედველობაში მიიღება ასოციაციის ბრუნვა, თუ ეს უკანასკნელი თვითონ არის ჩართული კონკრეტულ ბიზნესში და აქვს შესაბამისი ტრანზაქციები. თუ ასოციაციის როლი მხოლოდ წევრთა საქმიანობის ხელშეწყობითა და კოორდინაციით შემოიფარგლება, მაშინ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ წევრების გაერთიანებული ბრუნვა, ვინც მართლსაწინააღმდეგოდ მიიღო სარგებელი ასოციაციის მიერ გატარებული კონკურენციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების თუ სხვა ქმედების შედეგად.[193]

Archer Daniels Midland-ის საქმეზე საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია კომისიამ ჯარიმის განსაზღვრისას არ მიიღო მხედველობაში ევროპის ბაზარზე დამრღვევთა ბრუნვები, თუმცა მის მიერ დაკისრებული ჯარიმა არ არღვევდა პროპორციულობის პრინციპს და ამდენად არც არსებობდა გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი წინაპირობა თუ აუცილებლობა.[194] ეს საქმე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კომისია არ არის ვალდებული დაიცვას გაიდლაინები და უფრო მეტიც გადაუხვიოს მას, თუკი შეძლებს რომ საკუთარი პოზიცია ასეთ გადახვევებთან დაკავშირებით სათანადოდ დაასაბუთოს.

კომისიამ დაადგინა, რომ Sony, Fuji და Maxell-ი მოქმედებდნენ, როგორც კარტელი 1999-2002 წლებში ევროპაში პროფესიონალი ვიდეოგადაღების ბაზარზე. კონკრეტულად, ადგილი ჰქონდა მათ მიერ ფიქსირებული ფასებით მოქმედებასა და მჭიდრო კოორდინაციას. ჯარიმის საერთო თანხამ 74 მილიონი ევრო შეადგინა, თუმცა Sony წილი ამ ჯარიმაში 30%-ით გაიზარდა ორი ინცინდენტის გამო: Sony Europe Holding BV-ის უფლებამოსილმა, პირმა, რომელიც ადგილზე წარმოდგენილი იყო კომპანიის

[191] *Ibid*, p.473.
[192] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.493.
[193] *Ibid*, p.494-495.
[194] *Ibid*, p.661.

იურისტთან ერთად, უარი განაცხადა პასუხი გაეცა კომისიის მიერ დასმულ კითხვებზე და Sony UK-ის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაანადგურა დოკუმენტები ფოლდერიდან, რომელსაც სახელად ეწერა „Competitors Pricing".[195] დაკისრებული ჯარიმის მოცულობით თუ ვიმსჯელებთ, მსგავს პრეცენდენტებს ნამდვილად ექნება პრევენციული ეფექტი ისეთი კომპანიებისათვის, რომლებიც შეიძლება აცნობიერებდნენ რომ დაარღვიეს კონკურენციის პირობებში მოქმედების ევროპული სტანდარტი, მაგრამ მეორე მხრივ აცნობიერებენ, რომ თანამშრომლობა და კომისიისათვის ხელის შეწყობა გაამარტივებს და შეამსუბუქებს მათ საქმეს და პირიქით, დოკუმენტების განადგურება თუ ინფორმაციის გადამალვა მხოლოდ გაართულებს საქმის ვითარებას და გაზრდის იმ ჯარიმას, რომელიც საქმის გარემობებიდან და მსვლელობიდან გამომდინარე, კონკრეტულ სუბიექტს გარდაუვლად ემუქრება.

საქმეზე Kier Group PLC and others vs. Office of Fair Trading-ი ინგლისურმა სასამართლომ 87%-ით შეამცირა ოფისის მიერ დადგენილი ჯარიმის ოდენობა bid rigging[196]-ის ერთ-ერთი სახეობის Cover Pricing-ის გამო. მართალია, სასამართლომ ეკონომიკური აგენტების ქმედება 101-ე მუხლის დარღვევად ჩათვალა, მაგრამ იქვე მიუთითა, რომ დაკისრებული ჯარიმა შეუსაბამოდ მაღალი იყო ბაზრისათვის და მომხმარებლებისათვის მიყენებული ზიანის კონტექსტში.[197]

როგორც წესი, კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებულია ეკონომიკური აგენტის მიერ გადასახდელი ჯარიმის ზუსტი ოდენობა ევროში და მისი გადახდის ვადა, რომელიც პრაქტიკაში სამ თვეს იშვიათად აღემატება. გადაწყვეტილება ასევე განსაზღვრავს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმის ოდენობას, რომელიც შეადგენს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ რეფინანსირების ოპერაციებისათვის დადგენილ განაკვეთს პლუს 3.5%. ევროპის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებას ევროპულ სასამართლოებში არ აქვს სუსპენზიური ეფექტი. შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტს რჩება ორი გზა: ა) წარადგინოს შესაბამისი საბანკო გარანტია და განაგრძოს გასაჩივრება ან გადაიხადოს ჯარიმა და ამის შემდეგ მიჰყვეს გასაჩივრების პროცედურებს. თუ ეკონომიკურ აგენტს არ შეუძლია საბანკო გარანტიის წარმოდგენა, მას შეუძლია გადახდის გადავადება მოითხოვოს უზრუნველყოფის საშუალების სახით. საბანკო

[195] ***Ezrachi, Ariel.*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.547.

[196] დაწვრილებით Bid rigging-ის შესახებ იხილეთ ამავე წიგნის - კონკურენციის სამართალი - ევროპული მოდელი საქართველოსთვის პირველ ტომში, თბილისი, 2020, გვ. 104.

[197] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.167.

გარანტიის ხარჯები ეკონომიკურ აგენტს არ აუნაზღაურდება მაშინაც კი თუ ის საქმეს სრულად მოიგებს.[198]

Microsoft-ის საქმე იყო პირველი საქმე, სადაც კომისიამ გამოიყენა 1/2003 რეგულაციის 24 (1) (a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაჯარიმების მექანიზმი. 2004 წლის მარტში გამოტანილი გადაწყვეტილებით კომისიამ ეკონომიკურ აგენტს განუსაზღვრა ვადა მისი პროდუქტების სპეციფიკაციების შესახებ სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რათა Microsoft-ის კონკურენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ გაეკეთებინათ საკუთარი პროდუქტების ადაპტირება windows-ის სისტემასთან. ტექნიკური დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა ყოფილიყო 120 დღის ვადაში. შესაბამისად, 2005 წლის ნოემბერში კომისიამ დაადგინა ახალი ვადა - 2005 წლის 15 დეკემბერი და მიუთითა, რომ ყოველდღიური ჯარიმა იქნებოდა 2 მილიონი ევრო დღეში. 2006 წლის ივლისში, კომისიამ დააფიქსირა 2005 წლის 16 დეკემბრიდან გადასახდელი ჯარიმა 280 მილიონი ევრო 2006 წლის ივლისამდე და დამატებით განსაზღვრა რომ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა იქნებოდა 3 მილიონი ევრო. ვინაიდან Microsoft-მა არც ამ შემთხვევაში გადაიხადა ჯარიმა, კომისიამ საბოლოო ჯარიმა 2006 წლის 21 ივნისიდან 2007 წლის 21 ოქტომბრამდე დააფიქსირა ჯარიმის ოდენობა 899 მილიონი ევრო.[199] Microsoft-ის მხრიდან ტექნიკური დოკუმენტაციის წარუდგენლობა და შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ვერ აიხსნება კომპანიის დაბალი მართლშეგნებით ან კომისიისადმი უპატივცემულობით, ან მენეჯმენტის გულგრილი დამოკიდებულებით ჯარიმების და ვადაგადაცილების მიმართ. როგორც ჩანს, კომპანიას კარგად ჰქონდა დათვლილი, რომ ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენით და კონკურენტების დაშვებით windows-ის საოპერაციო სისტემასთან გაცილებით მეტს დაკარგავდა მითითებულ ვადაში, ვიდრე ჯარიმის ოდენობა იყო განსაზღვრული. ასეთი საქმეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, როგორი სახიფათო შეიძლება იყოს კონკურენციის ნორმების დარღვევა და რა კოლოსალურ მოგებას იღებენ ასეთი დარღვევით მისი ჩამდენი ეკონომიკური აგენტები. შესაბამისად, ჯარიმის ამოღებისა და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა კონკურენციის სამართლის სისტემური განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად უნდა ჩაითვალოს.

[198] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.548.
[199] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.553.

II. საქართველოს სახელმწიფო ორგანოები კონკურენციის სფეროში[200]

1. ზოგადი მდგომარეობა

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ძალიან აწუხებს და ხელს უშლის სათანადო უფლებამოსილებების ნაკლებობა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სააგენტო პირდაპირ გადაწყვეტილებებში მიუთითებს საკუთარი საპროცესო უფლებამოსილებების არასრულყოფილებასა და შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობაზე.[201]

რეფორმის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ჰოლანდია, სადაც 101-ე და 102-ე მუხლების აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოა Netherlands Competition Authority-ი, რომლის შექმნის და ფუნქციონირების ნორმატიული საფუძველია Netherlands Competition Act 1998. ამ ორგანომ სერიოზული რეფორმა განიცადა 2011 წელს, როდესაც ხარჯების დაზოგვის მიზნით მას შეუერთდნენ შემდეგი უწყებები: ა) Independent Post and Telecommunications Authority, და Consumers Authority. ამით ერთიან სივრცეში მოთავსდა კონკურენციასთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფო ორგანო და 2013 წლიდან სწორედ ეს გაერთიანებული ორგანოა პასუხისმგებელი კონკურენციის სამართლის აღსრულებაზე. ახალ ორგანოს მართავს ბორდი, რომლის წევრებიც ინიშნებიან შესაბამისი პასუხისმგებელი მინისტრის მიერ. ბორდის თავმჯდომარე შვიდი წლით ინიშნება, ხოლო წევრები ხუთი წლით.[202]

2015 წლიდან დაწყებული დისკუსია კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებების რეფორმირების შესახებ 2020 წელს მთელ რიგ ნორმატიულ აქტებში შესულ ცვლილებებში აისახა. ეს ცვლილებები შეეხო როგორც უშუალოდ კანონს კონკურენციის შესახებ, ასევე სააგენტოს მიერ გამოცემულ მთელ რიგ აქტებსაც, რომლებიც საქმის წარმოების საპროცესო მხარეს აწესრიგებენ. პირველ რიგში აქ იგულისხმება სააგენტოს

---

[200] კონკურენციის ორგანოს საქმიანობის ეფექტურობას ეხება 2022 წელს ჰუმბოლდტის ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევა, სადაც დეტალურად არის მოცემული როგორც არსებული ნორმატიული რეგულირების, ასევე სააგენტოს პრაქტიკის ანალიზი, წარმოჩენილია არსებული ნაკლოვანებები და დასახულია მათი გამოსწორების შესაძლო გზები. ვინაიდან ეს კვლევა პირადად ჩემი ხელმძღვანელობით დაორგანიზდა და განხორციელდა, შედეგების სახელმძღვანელოში კოპირება არ მივიჩნიე მიზანშეწონილად. მკითხველს შეუძლია მეტი დეტალები სწორედ კვლევაში იხილოს. აქ ყურადღება გამახვილდება მხოლოდ ფუნდამენტურ საკითხებზე, რაც სახელმძღვანელოს მიზნებისათვის არის მიზენშწონილი და გამართლებული. კვლევა შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://jtconsulting-geo.com/uploads/files/publications/19/konkurentsiis-kanonmdeblobis-samartlebrivi-da-ekonomikuri-gavlena.pdf?fbclid=IwAR2IX1gAz5ZyPD_sKj9qaLKity-eUqoEJ7FI5uRSkPUD59JXUWwvLAdyIFs

[201] იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 14 ივლისის N81 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება ნავთობპროდუქტების კომპანიების კარტელის შესახებ, გვ. 71-73.

[202] ***Frese, Michael, J.,*** Sanctions in EU Competition Law, HART Publishing, Oxford, 2014, p. 132-133.

თავმჯდომარის ბრძანება საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის შესახებ, რომლის 2014 წლის ვერსიაც 2020 წელს სრულად ჩანაცვლდა ახალი რედაქციით.[203]

ზოგადად, ბოლო ათწლეული არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ბევრი ევროპული ქვეყნისთვის იყო კონკურენციის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გადახედვისა და რეფორმების წელი. 2011 წლიდან the Department for Business Innovation and Skills იწყებს აქტიურ კონსულტაციებს ინგლისში იმისთვის, რომ მოხდეს ინგლისში კონკურენციის ნორმების აღსრულების რეფორმირება. 2013 წელს მიიღეს Regulatory Reform Act, რომლის მიზანიც იყო კონკურენციაზე პასუხისმგებელი ორი ორგანოს Office of Fair Trading და Competition Commission შერწყმა. ტრადიციულად სწორედ OFT იყო პასუხისმგებელი ინგლისში 101-ე და 102-ე მუხლების აღსრულებაზე[204]. ცალკე ინტერესის საგანია, როგორ შეიძლება განვითარდეს ინგლისური კონკურენციის რეგულირების მექანიზმი და პრაქტიკა ბრექსიტის შემდეგ.

კონკურენციის სააგენტო ცვლილებებზე მუშაობის პროცესში შეეცადა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესწავლას და მის გაზიარებას. ამ მიზნით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი კონფერენცია, შეხვედრა თუ დისკუსია, სადაც უცხოელი და ქართველი პრაქტიკოსების ჩართულობით ცალ-ცალკე და დეტალურად იქნა განხილული არსებული გამოწვევები და პრაქტიკაში არსებული სირთულეები.

2. სააგენტოსათვის მიმართვის წესი

2020 წლის 23 ოქტომბერს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ გამოსცა N38-ე ბრძანება - საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების შესახებ, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა - განცხადების და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადების და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე ამავე სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-1 ბრძანება.[205]

ამ ბრძანების ცვლილებაც ზემოაღნიშნული ერთიანი რეფორმის ნაწილს წარმოადგენდა. მასში ასახული და გათვალისწინებულია ყველა ის ხარვეზი, რომელიც კონკურენციის სააგენტოს აზრით, ბოლო რამდენიმე წლის პრაქტიკაში აქტიურად და მწვავედ დაფიქსირდა.

---

[203] https://admin.competition.ge/uploads/7b60176e75f04087a9f7899908ea61df.pdf [ბოლოს გამოხმობილია: 22.06.2022]

[204] ***Frese, Michael, J.,*** Sanctions in EU Competition Law, HART Publishing, Oxford, 2014, p. 133-134.

[205] https://admin.competition.ge/uploads/bcfad7454b1748f493bb6cdd96115fd6.pdf [ბოლოს გამოხმობილია: 24.06.2022]

წესებს დაემატა ინფორმაციის კონფიდენციალურად/კომერციულ საიდუმლოებად აღიარების წესი და სააგენტოს მიერ მათი დამუშავების შესაძლებლობის მექანიზმი. სააგენტოს შეუძლია დაახარვეზოს საჩივარი და მოსთხოვოს პირს შესაბამისი ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენა. მსგავსი შესაძლებლობა ადრე არ არსებობდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ეკონომიკური აგენტების მხრიდან სააგენტოსთან თანამშრომლობის რეგულირების მექანიზმისა და შესაბამისი სანქციების არარსებობა. ფაქტობრივად, ეს სფერო მთლიანად ეკონომიკური აგენტების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული, რაც არაეფექტურს ხდიდა სააგენტოს საქმიანობას. წესებს დაემატა ინფორმაციის მიწოდებაზე თავის არიდებისათვის სანქციის დაკისრების შესაძლებლობა, რაც ნებისმიერ შემთხვევაში წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. საგულისხმოა, რომ ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს შესაბამის პირს ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. დეტალურად განიმარტა და დარეგულირდა საქმის მოკვლევაზე უარის თქმის წესი და პირობები. ამით პროცედურა უფრო გამჭვირვალე და განჭვრეტადი გახდა. ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ სააგენტოსგან შესაბამისი დასაბუთება მოითხოვონ და მომავალ საქმიანობაში გაითვალისწინონ ის არგუმენტები, რაზეც კონკურენციის სააგენტო მიუთითებს.[206]

ინფორმაციის გამოთხოვის დეტალური რეგულირება ასევე გვხვდება ბაზრის ანალიზის მეთოდურ მითითებებშიც, რომელიც ასევე 2020 წელს შეიცვალა. როგორც ჩანს, კონკურენციის სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობაში ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავედ მდგარი პრობლემა უნდა ყოფილიყო, რაც ასევე არაერთხელ აღინიშნა სააგენტოს და დონორების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებზე.[207]

3. სააგენტოს მიერ საქმის განხილვის წესი და პირობები

ახალი წესით დაკონკრეტდა და უფრო დეტალურად გაიწერა სააგენტოს თანამშრომლის აცილების პროცედურა, უფრო დეტალური გახდა მხარეთა უფლებების ჩამონათვალი. ხაზი გაესვა სააგენტოს უფლებამოსილებას შესაბამისი საფუძვლების არსებობისას თავისი ინიციატივითაც დაიწყოს მოკვლევა. გაიზარდა საქმის მოკვლევის ხანგრძლივობის ვადები, რადგან პრაქტიკამ დაადასტურა, რომ არსებული რესურსის გათვალისწინებით, სააგენტოს უჭირდა მანამდე არსებული მოკლე ვადების დაცვა და პრაქტიკაში ხშირად ჰქონდა ადგილი ამ ვადების გადაცილებას. მარეგულირებელი ასევე შეეხო აგენტის მისაწოდებელი ინფორმაციის ფარგლებს და გააფართოვა

[206] https://admin.competition.ge/uploads/7b60176e75f04087a9f7899908ea61df.pdf [ბოლოს გამოხმობილია: 22.06.2022]

[207] https://admin.competition.ge/uploads/f378cc39831d4686878cb52e7b84e4ad.pdf [ბოლოს გამოხმობილია: 22.06.2022]

შესაბამისი ნორმის ფორმულირება. ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში პირდაპირ გაიწერა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ჯარიმების დაკისრების შესაძლებლობა, რაც მანამდე ასეთი ნათელი და ერთმნიშვნელოვანი არ იყო. ცალკე თავად გამოიყო ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმება და მთელი რიგი ცვლილებები შევიდა ამ ნაწილში, რომელსაც წინა ბრძანება მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით არეგულირებდა. სააგენტოს მიენიჭა ფართის ან დოკუმენტაციის დალუქვის უფლებამოსილება, რაც მანამდე საერთოდ გამორიცხული იყო მისი უფლებამოსილების კატალოგიდან. ცალკე გამოიყო და სპეციალურად დარეგულირდა ინდივიდუალური ახსნა-განმარტების საკითხი. ეს ცვლილებები პრაქტიკაში ამ კუთხით არსებული პრობლემების გამოძახილად უნდა ჩაითვალოს და დადებითად უნდა შეფასდეს.

ამ ცვლილებების შედეგად, მოკვლევის დასრულების შემდეგ სააგენტოს შეუძლია მის მიერ შედგენილი გადაწყვეტილების პროექტი სრულ ფორმალიზებამდე გააცნოს ეკონომიკურ აგენტს და მისცეს დრო თავისი საბოლოო შეფასების წარმოსადგენად. ასეთი ფორმულირება უდავოდ აძლევს ეკონომიკურ აგენტს მეტ შანსს შეძლოს საკუთარი პოზიციის უფრო ეფექტურად დაცვა და ამავე დროს უადვილებს სააგენტოს ბიზნეს სუბიექტის პერსპექტივის უკეთ აღქმას, რაც საბოლოო ჯამში დასაბუთებული და ეკონომიკურად ეფექტური გადაწყვეტილების გამოტანას უნდა ემსახურებოდეს.[208]

4. სანქციების განსაზღვრა

“ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს მეთოდოლოგიური ხასიათის დოკუმენტს, რომლითაც საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ხელმძღვანელობს პირისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის.”[209] ეს დოკუმენტი, დეტალურად განსაზღვრავს ძირითად და პერიოდულ სანქციებს, რომლებიც, ეკონომიკური აგენტების შემთხვევაში ძირითადად მათ ბრუნვაზეა მიბმული, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში - დგინდება კონკრეტული ფიქსირებული თანხის სახით.

ძირითადად მიიჩნევა სანქცია, რომელიც კონკურენციის კონკრეტული დარღვევის სანაცვლოდ ენიშნება ეკონომიკურ აგენტს, ან ფიზიკურ პირს. ხოლო პერიოდული

[208] https://admin.competition.ge/uploads/7b60176e75f04087a9f7899908ea61df.pdf [ბოლოს გამოხმობილია: 26.06.2022]

[209] https://admin.competition.ge/uploads/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf?fbclid=IwAR01q-W-v80wPh5gs3xXYPb7avlPtz-RObiH-nkJD3q-IThkPz88eWv84MQ [ბოლოს გამოხმობილია: 26.06.2022]

სანქცია ინიშნება დაკისრებული ქმედების შესრულების ვადის გადაცილების გამო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ეს უკანასკნელიც, როგორც წესი ან ფიქსირებული თანხის სახით არის წარმოდგენილი, ან დღიური ბრუნვის გარკვეულ პროცენტზეა მიბმული. დადგენილი ოდენობები ქართული ბაზრისათვის საკმაოდ ეფექტურად გამოიყურება და მათი შესაბამისად და დანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში თავისუფლად შეძლებს შეასრულოს როგორც პრევენციული, ასევე კონკრეტული დარღვევის აღმოფხვრის ფუნქცია.[210]ჯარიმის განსაზღვრის კრიტერიუმებად კონკურენციის სააგენტოს მიერ მიჩნეულია სამართლიანობა, პროპორციულობა და პრევენციულობა. დაკისრებული ჯარიმა სამივე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. სააგენტო ასევე იღებს მხედველობაში დარღვევის შედეგად ბაზრისა და მისი მონაწილეებისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას და დარღვევის ხანგრძლივობას. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ჯარიმის განსაზღვრის ერთ-ერთ ინდიკატორად სააგენტო მიზანშეწონილად მიჩნევს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული წესის გამოყენებას. ამ კოდექსის მოძველებულობის გათვალისწინებით, ასეთი მითითება მაინცდამაინც ეფექტურად და პროგრესულად არ გამოიყურება. დოკუმენტი კრძალავს ერთი და იმავე ქმედებისათვის ჯარიმის ორჯერ დაკისრებას. [211] ჯარიმა, თითოეულ კანონდარღვევაზე, ყველა კანონდამრღვევ პირს ეკისრება ინდივიდუალურად და ჯარიმის ოდენობის განსაზღვრაც ხორციელდება თითოეული პირისთვის ცალ-ცალკე.[212]

ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესი ორ ძირითად ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე ხდება ჯარიმის ზოგადი საზღვრების განსაზღვრა კონკურენციის შესახებ კანონის 33-ე მუხლში მითითებული ზღვრული ოდენობების გათვალისწინებით. მეორე ეტაპზე ხდება ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში ჯარიმის ინდივიდუალიზაცია და კონკრეტული პირისთვის იმ ოდენობის განსაზღვრა, რაც სააგენტოს აზრით იქნება სამართლიანიც, პროპორციულიც და პრევენციულიც. ამ დროს სააგენტო მხედველობაში იღებს როგორც დამამძიმებელ, ასევე შემამსუბუქებელ გარემობებს, დარღვევის ხარისხს, სიმძიმეს და ხანგრძლივობას და ყველა შესაძლო და ინდივიდუალურ ფაქტორს, რომელიც შეიძლება კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი იყოს ჯარიმის ზუსტი ოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით. სააგენტოს მიერ შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, „კონკურენციის შეზღუდვის

[210]https://admin.competition.ge/uploads/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf?fbclid=IwAR01q-W-v80wPh5gs3xXYPb7avlPtz-RObiH-nkJD3q-IThkPz88eWv84MQ [ბოლოს გამოხმობილია: 26.06.2022]
[211]https://admin.competition.ge/uploads/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf?fbclid=IwAR01q-W-v80wPh5gs3xXYPb7avlPtz-RObiH-nkJD3q-IThkPz88eWv84MQ [ბოლოს გამოხმობილია: 26.06.2022]
[212]https://admin.competition.ge/uploads/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf?fbclid=IwAR01q-W-v80wPh5gs3xXYPb7avlPtz-RObiH-nkJD3q-IThkPz88eWv84MQ [ბოლოს გამოხმობილია: 26.06.2022]

ხარისხი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მონაწილე ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და მათი საბაზრო ძალა;

- კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შინაარსობრივი და გეოგრაფიული მასშტაბები (შესაბამისი ბაზრის მთლიანი მოცულობის თუ მისი ნაწილის მომცველი);
- ორგანიზების ხარისხი (მაგ. ზედამხედველობის მექანიზმების არსებობა);
- კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტის როლი და წვლილი დარღვევის განხორციელებაში (მაგ.: ინიციატორი, ორგანიზატორი, რიგითი წევრი, პასიური თანამონაწილე);
- სხვა ეკონომიკური აგენტების კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობის იძულება ან მუქარა (მსგავსი ქმედება იწვევს ჯარიმის ოდენობის გაზრდას);
- დარღვევის სახე. კერძოდ, არის თუ არა დარღვევა კონკურენციის შემზღუდველი მიზნის თუ შედეგის მქონე.“

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ჯარიმის განსაზღვრის მეთოდოლოგია და კრიტერიუმები სააგენტოს დოკუმენტის თანახმად, შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან. საგულისხმოა, რომ მოცემული დოკუმენტი არ გვთავაზობს ეკონომიკურ ფორმულას, რომლითაც ჯარიმის კალკულაცია იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა, საჭიროების და შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტის ცალკეული ნორმების რედაქცია ამის საწინააღმდეგო პირდაპირ დანაწესს არ შეიცავს. ამიტომ ამ კუთხით, ყველაფერი სააგენტოს პროფესიონალიზმზე და კვლევის ხარისხზეა დამოკიდებული. არსებული სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ კარტელთან დაკავშირებული საქმეების გასაჩივრებისას სააგენტოს გადაწყვეტილებაზე შეტევა სწორედ ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის დასაბუთებულობის კუთხით საკმაოდ ხშირად ხორციელდება.[213]

5. სააგენტოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

უზრუნველყოფის ზომების გამოყენება სააგენტოს უფლებამოსილებათა კატალოგში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია პრაქტიკული თვალსაზრისით. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ კუთხით უკვე არსებობს საკმაოდ საინტერესო პრაქტიკა.

[213] 2017 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმე N3/6455-15 ლუკოილი.

ფოთში მოქმედი 14 სატერმინალო კომპანიის ერთობლივი საჩივრის საფუძველზე, სააგენტომ დაიწყო მოკვლევა სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) სავარაუდო დარღვევის თაობაზე.საჩივარი შეეხებოდა ფოთის პორტის მიერ გამოცემულ, 2016 წლის პირველი ივლისიდან ასამოქმედებელ ბრძანებას, რომელიც გულისხმობდა ფოთის პორტის მხრიდან საზღვაო ტვირთის (კონტეინერის) გემიდან სატრანსპორტო საშუალებაში გადმოტვირთვის, პორტის კუთვნილ ტერიტორიაზე ტრანსპორტირების და აღნიშნულ ტერიტორიაზე დასაწყობების მომსახურებებზე ერთიანი, ინტეგრირებული ტარიფის დაწესებას. სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2016 წლის 24 ივნისის დროებითი განჩინებით, მოკვლევის დასრულებამდე შეაჩერა ფოთის პორტის ხსენებული ბრძანების ამოქმედება.

სააგენტომ მიიჩნია, რომ ფოთის პორტის მხრიდან დაგეგმილი „ახალი სქემის“ ამოქმედებით შეიზღუდება ნავსადგურიდან გარე ტერმინალებში კონტეინერების სატრანსპორტო გადაზიდვისა და სატერმინალო მომსახურების ბაზრები, ისეთი ფორმით, რომელიც საზიანოა მომხმარებლის ინტერესებისათვის. სააგენტომ იმსჯელა შეზღუდვის გამართლების საკითხებზეც, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების ასპექტში, თუმცა მიიჩნია, რომ ხსენებული ფორმით კონკურენციის შეზღუდვის ობიექტური გამამართლებელი გარემოებები სახეზე არ გვაქვს.

დადგინდა, რომ დაგეგმილი სახით კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის ამოქმედება გამოიწვევს ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ და ,,დ“ ქვეპუნქტების დარღვევას. თუმცა, განხილულ შემთხვევაში, არ დადასტურდა ფოთის პორტის მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი, ვინაიდან კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიჩნეული კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის ამოქმედება არ მომხდარა.[214]

ამგვარად, უზრუნველყოფის ღონისძიების დროულმა გამოყენებამ გამორიცხა ზიანის დადგომა და დარღვევის დამძიმება, ხოლო სააგენტოს შესაძლებლობა მისცა ეფექტურად ემოქმედა კონკურენციის დაცვის თვალსაზრისით. ასეთი პრეცედენტები ყოველდღიურად ადასტურებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ნორმატიულ დონეზე განმტკიცებული უფლებამოსილებების ეფექტური და გაბედული გამოყენება პრაქტიკაში.

[214] https://competition.ge/ge/page5.php?sb=582 [ბოლოს გამოხმობილია: 26.06.2022]

B. კონკურენციის დავების სასამართლო განხილვის სპეციფიკა

I. სასამართლოს როლი კონკურენციის დავის გადაწყვეტისას

1. სასამართლოების როლი ევროპულ სამართალში

a) ზოგადი მდგომარეობა

საერთო იურისდიქციის სასამართლოს პრეზიდენტმა/თავმჯდომარემ მარკ აეგერმა ასე დაახასიათა სასამართლოს საქმიანობა ბოლო 25 წლის განმავლობაში: 25 years of evolution, 25 years of revolution, 25 years of production.[215] ამაში ალბათ გასაკვირი არაფერია, რადგან ბოლო 25 წლის განმავლობაში მართლაც ყველაფერი ერთად ხდებოდა ევროკავშირის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მანამდე არნახული გაფართოების ტემპები, ახალი წევრები, ახალი გამოწვევები, ახალი რეგულაციები და ამ ყველაფერზე საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, ეკუთვნოდა და ეკუთვნის ევროპულ სასამართლოს, რომელიც უზრუნველყოფს ევროპული სამართლის, როგორც ერთიანი სამართლებრივი სისტემის ეფექტურ და გამართულ ფუნქციონირებას.

1/2003 რეგულაციის მე-16 მუხლი პირდაპირ აკისრებს წევრი სახელმწიფოების სასამართლოებს ვალდებულებას არ მიიღონ ევროპის კომისიის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები და პირიქით ხელი შეუწყონ ერთიანი ევროპული სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.[216]

ევროპის კავშირის მასშტაბით, 1/2003 რეგულაციის ამოქმედებამდე კომისიის როლი დომინირებდა, თუმცა ამ რეგულაციამ ხელი შეუწყო კონკურენციის დაცვის მექანიზმის დეცენტრალიზაციას და საკმაოდ აქტიური ფუნქცია მიანიჭა როგორც კონკურენციის ეროვნულ ორგანოებს, ასევე სასამართლოებს. TFEU 101-ე და 102-ე მუხლების პირდაპირი გამოყენება სასამართლოს აძლევს რეალურ ბერკეტებსა და შესაძლებლობას დაიცვან ევროპული კონკურენციის ერთიანი სტანდარტი და წესრიგი. წევრი სახელმწიფოების სასამართლოების როლს ძირითად სამი მიმართულებით ხედავენ: ა) სახელმწიფოს შეუძლია კონკრეტული სასამართლო განსაზღვროს

---

[215] ***Jaeger, Marc.,*** 25 Years of General Court: Looking Back and Forward, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.3.

[216] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:001:0001:0025:EN:PDF [ბოლოს გამოხმობილია 18.01.2018].

სპეციალურად კონკურენციის საკითხებისათვის; ბ) სასამართლოს შეიძლება მიენიჭოს უფლება გადახედოს და შეცვალოს/გააუქმოს კონკურენციის ეროვნული ორგანოს გადაწყვეტილებები და გ) როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს 101-ე და 102-ე მუხლები კერძო პირებს შორის დავაში და ამით ხელი შეუწყოს კონკურენციის სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურობის ზრდას.[217]

ამგვარად, ევროპის კავშირში ეროვნულ დონეზე მოქმედ სასამართლოებს შეუძლიათ გამოიყენონ 101-ე და 102-ე მუხლები კერძო პირებს შორის დავის განხილვისას. ეს შესაძლებლობა 2003 წლის დირექტივის მე-15 მუხლში და მოგვიანებით Court Cooperation Notice-ის მიხედვით განმტკიცდა და აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში.[218] მსგავსი მიდგომის გამოყენება, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება ქართული პრაქტიკიდან გამომდინარე, თუმცა გასათვალისწინებელია როგორც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების, ასევე იმ სამართლებრივი შედეგების გააზრების საკითხი, რომელსაც კერძოსამართლებრივ დავაში კონკურენციის სამართლის არსებითად საჯარო ხასიათის ნორმების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს. ასევე ბუნდოვნად გამოიყურება ამ ეტაპზე ის შედეგები, რაც მხარეთა მიერ ამ ნორმებზე მითითების ფარგლებს განსაზღვრავდა.

დღეს სადავო არავისთვის არის, რომ კონკურენციის სამართალმა გასაქანი მისცა ევროპის კავშირის მასშტაბით იურიდიული ბიზნესის ერთ-ერთი უმსხვილესი და შემოსავლიანი მიმართულების განვითარებას. დოქტრინაში რამდენიმე მიზეზს ასახელებენ: ა) 1996 წლის ლინიენსის პროგრამის ამუშავება, რამაც ბიძგი მისცა კარტელების უფრო ეფექტურ გამოძიებას; ბ) 1998 წლის ჯარიმის დაკისრების გაიდლაინების მოქმედება, რამაც კოლოსალური თანხების დაკისრება უზრუნველყო კარტელში მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის და გ) სასამართლოს საკმაოდ პროაქტიური როლი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო, რომ ყოფილიყო საქმის არსებითად განმხილველი უწყება და არა შეზღუდული გასაჩივრების მექანიზმი.[219]

---

[217] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.71.

[218] ***Wijckamans, Frank., Tuytschaever, Filip.,*** Vertical Agreements in EU Competition Law, Oxford University Press, Third Edition, Oxford, 2018, p. 10.

[219] 1995-2005 წლებში ევროპულმა სასამართლოებმა განიხილეს 226 სარჩელი. დაახლოებით 6% შემთხვევებში კომისიის გადაწყვეტილებები გაუქმდა სრულად, 56% შეეხო ჯარიმების ნაწილობრივ შემცირებას და მხოლოდ 38% შემთხვევებში დარჩა კომისიის გადაწყვეტილება ძალაში. 2006 -2010 წლებში საერთო იურისდიქციის სასამართლომ 71 საჩივარი განხილა. 13% შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილება გაუქმდა სრულად, 28% გადაწყვეტილებებისა ადგენდა ჯარიმის შემცირებას ხოლო 59% შემთხვევებში კომისიის გადაწყვეტილება სრულად დარჩა ძალაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმავე (2006-2010) წლების პერიოდში საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე შესული 25 აპელაციიდან 23 არ დაკმაყოფილდა. ***Siragusa, Mario., Rizza,***

სტატისტიკა ცალსახად მიუთითებს კომისიასა და სასამართლოებს შორის კოორდინაციასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებისაკენ სწრაფვაზე. ასეთი მიდგომა უფრო განჭვრეტადს ხდის კონკურენციის ნორმების გამოყენებასა და მათ აღსრულებას, რაც ნორმების ეფექტურობაზეც დადებითად აისახება.

კომისიის გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ სამართლებრივი გადახედვის მოთხოვნის უფლება აქვს როგორც უშუალოდ იმ პირს, ვისაც კომისიის გადაწყვეტილება ეხება, ასევე ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, ვის უფლებებზე და მოვალეობებზეც შეიძლება პოტენციურად აისახოს ეს გადაწყვეტილება.[220]

ნებისმიერ მესამე პირს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ინტერესი ევროპულ სასამართლოებში კონკურენციის საქმის განხილვასთან დაკავშირებით, შეუძლია მოტივირებული განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საქმეში მონაწილეობა. ამის გაკეთება შესაძლებელია საქმის მიღების შესახებ გამოქვეყნებიდან ექვსი კვირის განმავლობაში, ან არა უგვიანეს ზეპირი განხილვის დანიშვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. საქმეში უკვე მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გამოთქვან აზრი დაინტერესებული პირის საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით. ყველაზე ხშირად აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობა დოკუმენტების და საქმის მასალების ამ დაინტერესებული პირისათვის გაცნობასთან დაკავშირებით.[221]

ევროპულ სასამართლოებს უფლება აქვთ გააერთიანონ ისეთი საქმეები, რომლებიც მათ წარმოებაშია და ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. გაერთიანება შეიძლება მოხდეს მთლიანად ან ნაწილობრივ: ა) როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით; ბ) მხოლოდ ზეპირი განხილვის მიზნით; გ) ზეპირი განხილვისა და ერთიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით; დ) მხოლოდ ზეპირი განხილვისათვის.[222] ასეთი მიდგომა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას რომ მაქსიმალურად მოქნილი იყოს საქმეების გაერთიანებისას და ისარგებლოს დროისა და სხვა რესურსების ეკონომიის პრინციპით.

ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან ერთად სახელები შეეცვალა ევროპულ სასამართლო ინსტანციებსაც: The Court of First Instance გახდა General Court,

---

Cesare., EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 889.

[220] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare;.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 891.

[221] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 1003.

[222] *Ibid*, p.1001.

ხოლო European Court of Justice (ECJ) გადაიქცა Court of Justice of the European Union (CJEU). [223]

სხვა ფუნქციებთან ერთად, კონკურენციის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებების სასამართლო კონტროლს ახორციელებს საერთო იურისდიქციის სასამართლო (General Court) და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო (Court of Justice). [224]

ევროპაში არის სახელმწიფოები (მაგალითად ავსტრია) სადაც არსებობს როგორც საერთო სასამართლოები ასევე ე.წ. საკარტელო სასამართლოები Kartellgericht.[225]

b) საერთო იურისდიქციის სასამართლო

საერთო იურისდიქციის სასამართლო მიჩნეულია ერთ-ერთ ინსტიტუციად, რომლის ძირითადი ფუნქცია კონკურენციის სამართლის მიმართულებით ევროპის კომისიის გადაწყვეტილებების ეფექტური კონტროლია.[226]

რეგულაცია 88/591 მიერ 1988 წელს პირველად იქნა შემოღებული ე.წ. პირველი ინსტანციის სასამართლო CFI – the Court of First Instance. მოგვიანებით, 2009 წელს მას სახელი გადაერქვა და ეწოდა საერთო იურისდიქციის სასამართლო - General Court. კონკურენციის სამართლიდან გამომდინარე დავები ყოველთვის, დასაწყისიდანვე შედიოდა ამ სასამართლოს კომპეტენციაში.[227]

საერთო იურისდიქციის სასამართლო იყო ჩაფიქრებული როგორც სპეციალიზებული პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც დავების მხოლოდ განსაზღვრულ კატეგორიაზე გაავრცელებდა თავის იურისდიქციას.[228] შესაბამისად, ეს სასამართლო არ არის კლასიკური გაგებით პირველი ინსტანციის სასამართლო, სადაც ხდება ერთი მხარის სარჩელის და მტკიცებულებების საფუძველზე და მეორესგან მიღებული პასუხების გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღება. სასამართლოს უმთავრესი

---

[223] See Foreword in: ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016.

[224] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p.6. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[225] ***Rodger, Barry.,*** Institutions and Mechanisms to Facilitate Private Enforcement, in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.44.

[226] ***Prek, Miro., Lefevre, Silvere.,*** The General Court as the EU Competition Court? in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana.,(Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.48.

[227] *Ibid*, p. 39.

[228] ***Jaeger, Marc.,*** 25 Years of General Court: Looking Back and Forward, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.4.

ფუნქციაა ევროპის კავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტების შეფასება და მათი გაუქმება ან დადასტურება.[229] მიზანი ამ შემთხვევაშიც ერთიანი ევროპული სამართლებრივი სივრცის შენარჩუნებაა. როგორც უკვე აღინიშნა, 2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო ჩამოყალიბდა ევროპის კავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოდ.[230]

საერთო იურისდიქციის სასამართლოს და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ჰყავს 27 მოსამართლე (ანუ თითო მოსამართლე თითო წევრი სახელმწიფოდან) და რვა advocate general. ეს უკანასკნელნი საქმეებს არ იხილავენ, მაგრამ აქვთ ვალდებულება წარმოადგინონ საკუთარი პოზიციები სასამართლოების მიერ განსახილველ საქმეებთან, მათ შორის კონკურენციის დავებთან მიმართებაში.[231]

ევროპის საერთო იურისდიქციის სასამართლოს შეუძლია კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება თუ სახეზეა TFEU 263-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები: ა) გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს კომპეტენციის არარსებობა; ბ) არსებითი საპროცესო მნიშვნელობის მოთხოვნის/სტანდარტის დარღვევა; გ) ევროპის კავშირის ხელშეკრულებების ან მათ გამოყენებასთან დაკავშირებული ნორმების დარღვევა; დ) უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება (misuse of powers).[232]

საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცესი ორ ძირითად ეტაპს მოიცავს, ეს არის პოზიციების წერილობითი და ზეპირი წარმოდგენა,[233] რაც პრინციპში არ არის განსხვავებული ევროპის კონტინენტზე სასამართლო განხილვის კლასიკური ტრადიციისაგან. 2015 წლიდან მოქმედი წესები სასამართლოს, მომხსენებელი მოსამართლის პოზიციაზე დაყრდნობით ანიჭებს საკმაოდ ფართო დისკრეციას თვითონ გადაწყვიტოს, არის თუ არა საჭირო ზეპირი განხილვის გამართვა.[234]

საერთო ევროპული სასამართლოს კონტროლის ქვეშ ხვდება კომპეტენციის გენერალური დირექტორის მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი. ასევე, კომისიის მიერ

---

[229] *Ibid*, p. 11.
[230] *Ibid*, p.14.
[231] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.65.
[232] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 899.
[233] ***Aksamovic, Dubravka.,*** Juditial Review in EU and Croatian Competition Cases: The Procedure and Intensity of Judicial Review; in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.71.
[234] ***Aksamovic, Dubravka.,*** Juditial Review in EU and Croatian Competition Cases: The Procedure and Intensity of Judicial Review; in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.74.

დადგენილი ჯარიმები თითქმის ყოველთვის არის სასმართლოს მსჯელობის საგანი რადგან მხარეები აუცილებლად იყენებენ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას. ამავე დროს გენერალური დირექტორი ცდილობს გადახედოს საკუთარ უფლებამოსილებებს და ჩარევის ფარგლებს სასამართლოს უახლესი პრაქტიკის გათვალისწინებით.[235]

c) ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 263-ე მუხლი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრული მოცულობით სამართლებრივი გადასინჯვის უფლებამოსილებას აძლევს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს. თუმცა ევროპულმა სასამართლო პრაქტიკამ ცალსახად დაადგინა, რომ სასამართლო ზღუდავს კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვის ფარგლებს, თუ ეს გადაწყვეტილება ემყარება კომისიის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ ანალიზს ან ტექნიკურ შეფასებას, რომელიც სპეციალური ცოდნის მქონე პირების მიერ არის შესრულებული.[236]

2003 წლის დირექტივის 31-ე მუხლი ადგენს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ექსკლუზიურ კომპეტენციას ევროპის კომისიის მიერ ეკონომიკური აგენტებისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახედვასთან მიმართებაში.[237]

ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში გასაჩივრების საფუძვლებია: ა) საერთო იურისდიქციის სასამართლოს განსჯადობის არარსებობა და დასაშვებობის გადაწყვეტისას დაშვებული შეცდომები; ბ) საპროცესო დარღვევები; გ) მატერიალური სამართლის არასწორი გამოყენება რომელშიც მოაზრება როგორც სამართლის არასწორი გამოყენება, ასევე მოცემული სამართლებრივი შეფასების სათანადო დასაბუთების გარეშე გაზიარება.[238]

საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილება ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სამართლებრივ ნაწილში. საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გადახედვა, როგორც წესი, არ ხდება. სასამართლო მხოლოდ

---

[235] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p.6-7. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[236] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.523.

[237] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:001:0001:0025:EN:PDF [ბოლოს გამოხმობილია 18.01.2018].

[238] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 1040-1045.

სამართლებრივ შეფასებას აკეთებს. იშვიათია, რომ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უფრო მეტი ჯარიმა დააკისროს ეკონომიკურ აგენტებს, ვიდრე ეს საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში შეიძლება იყოს მოცემული.[239]

d) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

ევროპული სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს კომისიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას, მის სრულ გაუქმებას, ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ამ შემთხვევაში ამოსავალი პრინციპია ის, რომ სასამართლო ვერ გასცდება მოსარჩელის მოთხოვნას. არ შეიძლება მას მიეკუთვნოს იმაზე მეტი ვიდრე ითხოვდა, ან იმისგან განსხვავებული რამ, რასაც ითხოვდა.[240]

Tomkins-ის საქმეზე კომისიამ გაასაჩივრა საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტლება და მიუთითა, რომ სასამართლომ იმოქმედა Ultra Petita-ს (მიაკუთვნა მხარეს იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა) ინტერესების სასარგებლოდ, და დედა კომპანიას Tompkins ნაწილობრივ შეუმცირა ჯარიმა იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი შვილობილი კომპანია pegler კარტელში მონაწილეობას გულისხმობდა. საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ კომისიამ არასწორად დაადგინა pegler კარტელში მონაწილეობს დრო და აქედან გამომდინარე დაასკვნა, რომ ჯარიმა უნდა შემცირებულიყო. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ Tompkins ჯარიმა დაეკისრა მხოლოდ მისი შვილობილი კომპანიის კარტელში მონაწილეობისთვის, ხოლო უშუალოდ დედა კომპანიას კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებები არ დაუდასტურდა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დედა კომპანიის პასუხისმგებლობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე მეტი, ვიდრე ეს კარტელში უშუალოდ მონაწილე შვილობილი კომპანიის მიმართ დადგინდა. საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც დედა კომპანია და მისი შვილობილი წარადგენენ საჩივარს და ითხოვენ ჯარიმის შემცირებას შვილობილის კარტელში მონაწილეობის გაცილებით მცირე დროის გამო, ვიდრე ეს კომისიის მიერ იყო დადგენილი - არ შეიძლება ჩაითვალოს Ultra Petita-ად დედა კომპანიასთან მიმართებაში, რადგან მისი დაჯარიმების საფუძველიც სწორედ შვილობილი კომპანიის დარღვევებიდან გამომდინარეობდა და დამოუკიდებელი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი წინაპირობა არ გააჩნდა.[241]

---

[239] *Ibid*, p. 1036.
[240] *Ibid*, p. 1023.
[241] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.665.

ევროპული კანონმდებლობა ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მოთხოვნის უფლებასაც, თუ შესაგებელი სათანადო ვადის დაცვით არ იქნება წარდგენილი. Bank Fees for Currency Exchange in the Euro Zone-ის საქმეზე სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც ბიუროკრატიული ხარვეზის გამო კომისიამ შესაგებლის წარდგენა დააგვიანა. მხარემ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. სასამართლომ შეაფასა საქმის გარემოებები და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[242]

საერთო იურისდიქციის სასამართლოს საქმიანობის წესები ითვალისწინებს გადაწყვეტილების გამოტანიდან 10 წლის განმავლობაში ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო გადაწყვეტილების რევიზიის პროცედურას. რევიზიის საფუძველია მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც საქმის განხილვის მომენტში არ ყოფილა და ვერც იქნებოდა ცნობილი მხარისა და სასამართლოსათვის.[243]

2. სასამართლოს როლი საქართველოში

ამ სახელმძღვანელოს პირველ ტომში განხილული ქართული სასამართლო პრაქტიკა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ სასამართლოს როლი ქართული კონკურენციის სამართლის აღსრულების საკითხში უდავოდ მნიშვნელოვანია. ამიტომ ცალკეულ დეტალებზე აქ არ შევჩერდები და აღვნიშნავ რამდენიმე ასპექტს, რაც პრაქტიკაში გვხვდება და აქტუალურია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ბაზრის მონაწილეთა პასიურობა. ისინი ერიდებიან სასამართლოსათვის მიმართვას ან მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყენებენ ასეთ შესაძლებლობას. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ა) როგორც წესი, ეკონომიკური აგენტების ცოდნის დონე და კონკურენციის კულტურა საკმაოდ დაბალია. ხშირად მათ არც კი იციან, რომ ბაზრის სხვა მონაწილის ქმედება დარღვევაა და მისი გასაჩივრება შეიძლება; ბ) იურიდიული ბაზარი კონკურენციის სამართლის მიმართულებით საკმაოდ განუვითარებელი და ძვირია. არ არის დიდი იმ იურისტების რაოდენობა, ვინც შეიძლება ერკვეოდეს პრაქტიკულ დეტალებში და მეტნაკლებად ღირებული რჩევის მიცემა შეძლოს კლიენტებისათვის. ამავე დროს, ეს მომსახურება, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში საკმაოდ ძვირადღირებულია. (შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულიც კი). გ) ქართული ბიზნეს კულტურა არ არის მიდრეკილი ხმაურიანი გასაჩივრებებისკენ. ყველა ცდილობს კონკურენტებთან,

[242] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 1032.
[243] *Ibid*, p. 1033.

კლიენტებთან, თუ ბაზრის სხვა მონაწილეებთან არსებული პრობლემები უხმაუროდ, არაფორმალური კონტაქტების გამოყენებით მოაგვაროს. ეს ყველაფერი, ერთად აღებული, ხელს უშლის კონკურენციის ნორმების აღსრულებაში სასამართლოს როლის ზრდას და უარყოფითად აისახება კონკურენციის გარემოზე ქვეყნის მასშტაბით.

თავის მხრივ, სასამართლოც არ არის აქტიური კონკურენციის ნორმების საკუთარი ინიციატივით პირდაპირ და უშუალო გამოყენებაში. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ფაქტები ჩემთვის ცნობილი არ არის. სასამართლო ნაკლებად ცდილობს კონკრეტული შეფასებისას კონკურენციის სამართლის ნორმების გამოყენებას.

გამოსავალი შეიძლება იყოს როგორც ბაზრის მონაწილეთა შორის კონკურენციის სამართლის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში, ასევე მოსამართლეებისა და ადვოკატების ინტენსიურ გადამზადებაში. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს კონკურენციის სააგენტოს როლიც. ზოგიერთ შემთხვევაში მისი პასიურობა სასამართლოსაც გადაეცემა ხოლმე, რაც კონკურენციის ეფექტურობაზე და მის დაცვაზე დადებითად არ აისახება.

3. კონკურენციის დავის სასამართლო წესით განხილვის ძირითადი ევროპული პრინციპები

ევროპული სასამართლოები თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, კონკურენციის საქმეების განხილვისას აქტიურად იყენებენ როგორც ზოგად საპროცესო პრინციპებს, ასევე კონკრეტულად კონკურენციის სპეციფიკიდან გამომდინარე სტანდარტებსაც.

მაგალითად, Ne bis in dem პრინციპი კონკურენციის სამართალში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებსმიერ სხვა დარგში, რომელიც სამართალდამრღვევთათვის სანქციების დაკისრებას მოიაზრებს. თუ პირს უკვე შეერაცხა ბრალად კარტელთან დაკავშირებული კონკრეტული ქმედებები და ამისთვის მის წინააღმდეგ სანქციაც იქნა გამოყენებული, მაშინ იმავე დარღვევისათვის და იმავე საფუძვლებით ახალი პროცესის ინიცირება და სანქციის ხელმეორედ გამოყენება გამორიცხული უნდა იყოს.[244]

მხარეებისადმი თანასწორი მიდგომის საპროცესო პრინციპი დარღვეულად ითვლება, როდესაც მსგავსი ან იდენტური ფაქტობრივი შემადგენლობის შემთხვევაში კონკურენციის ორგანო ან სასამართლო აკეთებს განსხვავებულ შეფასებას, ან პირიქით განსხვავებული გარემოებები ფასდება ერთგვაროვნად საამისოდ არგუმენტირებული

[244] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.959.

და დასაბუთებული პოზიციის ჩამოყალიბების გარეშე.[245] ერთ-ერთი კრიტერიუმის მიხედვით, დარღვევა არსებითად ჩაითვლება, თუ მას შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.[246]

კონკურენციის სამართლიდან გამომდინარე წამოწყებული ნებისმიერი პროცესისათვის ასევე სავალდებულოა ბაზრის მონაწილეთა კერძო ხელშეუვალობის პრინციპის დაცვა. მათი კერძო ინფორმაცია და სივრცე ჩარევის ობიექტი შეიძლება გახდეს მხოლოდ ობიექტურად დასაბუთებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. მაგალითად, საერთო იურისდიქციის სასამართლომ გააუქმა კომისიის ერთ-ერთი თანამდებობის პირის მიერ მიღებული საპროცესო მნიშვნელობის გადაწყვეტილება მხოლოდ იმის გამო, რომ ამ მოხელემ (Hearing Officer) არ გაითვალსწინა ეკონომიკური აგენტის მოთხოვნა, დაცულიყო მისი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. საპროცესო დარღვევას ამწვევებდა ის ფაქტი, რომ მოცემული ეკონომიკური აგენტის მიმართ წარმოება არ მიმდინარეობდა და მას რაიმეს დარღვევაში ბრალი არ ედებოდა. [247]

4. სასამართლო პროცესის ევროპული თავისებურებანი კონკურენციის დავის განხილვისას

ევროპის სასამართლოების მიერ დავების განხილვა ორ ეტაპს მოიცავს. ეს არის წერილობითი და ზეპირი ეტაპები. წერილობითი ეტაპის დროს მხარეები ცვლიან ერთმანეთში და სასამართლოს აცნობენ საკუთარ პოზიციებს. ზეპირი განხილვისას მხარეები ზეპირად იცავენ საკუთარ პოზიციებს და პასუხობენ შეკითხვებზე, როგორც ერთმანეთს, ასევე მოსამართლეებს. მოწმეების დაკითხვა კონკურენციის პროცესებზე საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. სასამართლო კოლეგიას ჰყავს მომხსენებელი მოსამართლე, რომელიც წერს ე.წ. წინასწარ რეპორტს და ის ხდება მოსამართლეებს შორის მსჯელობის საგანი საქმის არსებითად და ზეპირად განხილვამდე.[248]

კონკურენციის დავებში ეკონომიკური აგენტი ევროპულ სასამართლოებში სავალდებულო წესით უნდა იყოს წარმოდგენილი ადვოკატების მიერ, ვისაც ამ სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული. მათ არ აქვთ უფლება საკუთარი პოზიციები მხოლოდ შიდა კორპორაციულ დონეზე არსებული

[245] *Ibid*, p.952.
[246] *Ibid*, p. 929.
[247] *Ibid*, p.972.
[248] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.973-974.

ძალებით დაიცვან. თუ სასამართლოში გაგზავნილ საჩივარზე არ იქნება დამოუკიდებელი იურისტის ხელმოწერა, რომელიც დაშვებულია შესაბამის სასამართლოში და ამავე დროს არ არის დასაქმებული კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიერ - ეს იმდენად მნიშვნელოვან დარღვევად მიიჩნევა, რომ შესაძლებელია ამის გამო საჩივარი საერთოდ განუხილველად დატოვოს სასამართლომ.[249]

ევროპის კომისიამ არაერთგზის მიუთითა, რომ კერძო პირებისათვის კონკურენციის ნორმების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად წევრი სახელმწიფოების სასამართლოები გაცილებით უფრო ეფექტურნი შეიძლება იყვნენ, ვიდრე თვითონ კომისია. უპირველეს ყოვლისა, წევრი სახელმწიფოების სასამართლოებს უფრო ეფექტურად შეუძლიათ გამოიყენონ უზრუნველყოფის ზომები; გარდა ამისა, მათ შეუძლიათ მოპასუხეებს დაზარალებულთა სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება დააკისრონ. კომისია ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. და ბოლოს, მათ შეუძლიათ მოითხოვონ წაგებული მოპასუხისათვის მოგებულის მიერ გაღებული იურიდიული მომსახურების ხარჯების დაკისრება, რაც კომისიის პრაქტიკაში არ გამოიყენება.[250]

საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურაში ორი ძირითადი ასპექტი გამოიკვეთება, რაც მას წევრი სახელმწიფოების სასამართლოებისაგან განასხვავებს: პირველი გულისხმობს სასამართლოს საქმიანობის რეგულირებას ექსკლუზიურად მხოლოდ ევროპის კავშირის აქტებით (რაც ეროვნულ დონეზე გამორიცხულია) და ასევე სასამართლოს საქმიანობაში წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო ენების გამოყენებასა და მათ პატივისცემას. ეს არც თუ ისე მარტივია წევრი სახელმწიფოების რაოდენობიდან და მათი ენების განსხვავებულობიდან გამომდინარე.[251]

ლიეტუვას სასამართლოები ცდილობენ თავიანთი პრაქტიკა ევროპულ პრეცენდენტებს დაამყარონ მაშინაც კი, როდესაც თვით განსახილველი საქმე ლოკალური მნიშვნელობისაა და მხოლოდ ეროვნული კონკურენციის სამართლის ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული.[252] ალბათ ურიგო არ იქნება, თუ ქართული სასამართლოებიც ასე მოიქცევიან და ამით კიდევ უფრო შეამოკლებენ და

---

[249] *Ibid,* p.975.

[250] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.76.

[251] ***Aksamovic, Dubravka.,*** Juditial Review in EU and Croatian Competition Cases: The Procedure and Intensity of Judicial Review; in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017p.71.

[252] ***Svetlicinii, Alexander.,*** Enforcement of the EU Competition Rules in Lithuania: Application of the "Effect on Trade" Concept in the Enforcement Practice of the National Competition Authority and Courts, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.103.

გაამარტივებენ ევროპულ სტანდარტთან ქართული კონკურენციის სამართლის ჰარმონიზაციის გზას.

როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობას სპეციალური სასამართლოები კონკურენციის დავების განხილვისათვის არ აქვთ და ეს ფუნქცია საერთო სასამართლოების კომპეტენციად მიიჩნევა.[253] იქ სადაც სპეციალიზაცია მეტნაკლებად სახეზეა, ორი ძირითადი სცენარი გვხვდება: კონკურენციის სასამართლო არსებობს ცალკე გამოყოფილი ინსტიტუციის სახით, არის არის სპეციალური კოლეგია/პალატა საერთო სასამართლოების შემადგენლობაში რომელიც მხოლოდ კონკურენციის დავების განხილვაზეა უფლებამოსილი.[254]

ერთ-ერთი კვლევა ადასტურებს ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში კონკურენციის დავების განხილვაში სააპელაციო სასამართლოების ჩართულობის ძალიან მაღალ ხარისხს.[255] ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა საჩივრდება, რაც კიდევ უფრო ზრდის კონკურენციის დავების განხილვის არც თუ მოკრძალებულ იურიდიულ ხარჯებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ შეიძლება გაესვას ხაზი სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების მნიშვნელობას, რაც ობიექტურად გამორიცხავს გასაჩივრებას მხარეთა მიერ, ხოლო თუ გადაწყვეტილება მაინც გასაჩივრდება, უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი შედეგის მოკლე დროში და ხარისხიანად დადგომას.

ერთ-ერთი კვლევის თანახმად, სასამართლოში გასაჩივრების ორი მესამედი წარუმატებელია, მხოლოდ 21% არის მთლიანად წარმატებული და დაახლოებით 11%-ზე ცოტა მეტი ნაწილობრივ წარმატებული.[256] სამიდან ორი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ცალსახად ადასტურებს ევროპული სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობას, რაც კონკურენციის სამართლის ეფექტური აღსრულების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს.

ევროპული სამართლის ნორმების აღსრულება დიდწილად დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების სასამართლოების მიერ ამ ნორმების პირდაპირ გამოყენებაზე და აქედან გამომდინრე იმ საპროცესო შესაძლებლობებზეც, რომელსაც კონკრეტული სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს და იძლევა.[257]

---

[253] ***Rodger, Barry.,*** Institutions and Mechanisms to Facilitate Private Enforcement, in: ***Rodger, Barr.,; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.26-27.

[254] *Ibid*, p.28-29.

[255] *Ibid*,p.107.

[256] *Ibid*,, p.150.

[257] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.10.

GlaxoSmithKline Services Unlimited vs. Commission-is საქმეზე ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელმა (GlaxoSmithKline) მიმართა კომისიას და მოითხოვა დისტრიბუციის ხელშეკრულების პროექტის დადასტურება. კომისიამ ხელშეკრულების ერთი ნაწილი ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 101-ე მუხლის გათვალისწინებით კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიიჩნია და გააბათილა. კომპანიამ სასამართლოს მიმართა. სასამართლომ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ კომისიის მიერ გაკეთებულ ეკონომიკურ ანალიზში ჩარევა არ მიაჩნია სწორად. მსგავსი არა-ინტერვენციონისტული მიდგომა სასამართლომ სხვა გადაწყვეტილებებშიც განავითარა.[258]

5. ექსტერიტორიულობის პრინციპი კონკურენციის სამართალში

ექსტერიტორიულობის პრინციპი სამართალში წარმოადგენს გამონაკლისს ტერიტორიულობის ზოგადი პრინციპიდან, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო თავისი ორგანოებისა და ამ ორგანოების მიერ აღსასრულებელი სამართლის ნორმების მოქმედებაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილია საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში. ექსტერიტორიულობა გულისხმობს კონკრეტული სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების კომპეტენციის გავრცელებას ამ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ განხორციელებულ მოქმედებებზე, თუკი ამ მოქმედებების შედეგები ამ სახელმწიფოშიც დგება. ჯერ კიდევ 1927 წელს Permanent Court of Justice France vs. Turkey-is საქმეზე ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ შესაბამისი საფუძვლების არსებობისას აღიარებული უნდა იყოს სახელმწიფოს უფლება გაავრცელოს საკუთარი (მათ შორის სასამართლოების) იურისდიქცია იმ პირებზე თუ ქონებაზე, ვინც მოცემულ მომენტში მის ტერიტორიაზე არ იმყოფებიან. ეს პრინციპი ასევე აისახა ამერიკული კონკურენციის სამართალში, როდესაც United States vs. Aluminium Co Of America-ის საქმეზე მეორე ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ (the second circuit) დაადგინა, რომ „ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია დააკისროს პასუხისმგებლობა პირს ქმედებისათვის, რომელიც მისი საზღვრების მიღმა მოხდა, მაგრამ შედეგი გავრცელდა მისი საზღვრების შიგნით და ყველა სხვა დანარჩენი სახელმწიფო ვალდებულია აღიაროს სხვა შტატების ასეთი უფლებები“. მოგვიანებით მტკიცების სტანდარტი კიდევ უფრო გართულდა, როდესაც სასამართლოები ითხოვდნენ არა მხოლოდ ამერიკის ტერიტორიაზე კონკრეტული ქმედების შედეგის (ეფექტის) დასაბუთებას, არამედ ასევე იმის მტკიცებასაც, რომ კონკრეტული საქმეს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი

[258] ***Ezrachi, Ariel;*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016, p.140.

ობიექტურად შეეძლო გამოეწვია. თუ სახელმწიფოს ინტერესი არ არსებობდა, მხოლოდ შედეგის დადგომის ფაქტი საკმარისად არ მიიჩნეოდა. [259]

ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიდგომა ამ თვალსაზრისით გაცილებით კონსერვატიული და თავშეკავებულია. ევროპული სტანდარტი აშკარა უპირატესობას ანიჭებს ტერიტორიულობის პრინციპს ექსტეროტორიულობასთან შედარებით. მაგალითად, Wood Pulp-ის საქმეზე სასამართლომ დაადგინა რომ ევროპის კავშირის იურისდიქცია შეიძლებოდა არსებობდეს იმიტომ, რომ ფასების ფიქსაციაში შემჩნეული კომპანია საკუთარ პროდუქტს ყიდდა ევროპის კავშირის ტერიტორიაზე, რაც აისახებოდა ევროპული ბაზრის მონაწილეების უფლებებსა და მოვალეობებზე, დაწყებული კონკურენტებით და დამთავრებული მომხმარებლებით. ამ მიდგომას იმპლემენტაციის დოქტრინას უწოდებენ. ხშირად ეფექტების და იმპლემენტაციის დოქტრინა კვეთს ერთმანეთს და შედეგიც იქ დგება, სადაც ეკონომიკური აგენტი კონკრეტული მიდგომის იმპლემენტაციას ახდენს, თუმცა განსხვავებულ მაგალითად მოჰყავთ ხოლმე ე.წ. ბოიკოტური კარტელები, როდესაც კონკრეტული ეკონომიკური აგენტი კარტელური თანამშრომლობის ფორმატში უარს აცხადებს კონკრეტულ ბაზარზე შესვლაზე და ამით ფაქტობრივად ინაწილებს ბაზარს კარტელში მყოფ სხვა სუბიექტებთან ერთად. ამით ის უარს ამბობს იმპლემენტაციაზე და შესაბამისად შედეგის ანუ ეფექტის თეორიის გარეშე მის მიერ ევროპული იურისდიქციის გამოყენება თითქოს გამორიცხული უნდა იყოს. [260]

ექსტერიტორიულობის საკითხი საკმაოდ სენსიტიურია და ევროპის კომისია ამ მიმართულებით საკმაოდ ფრთხილ მიდგომას არჩევს, თუმცა 101-ე მუხლის ჩანაწერი, რომელიც ევროპის წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებელობას გულისხმობს, არ აკონკრეტებს რომ კონკრეტული ეკონომიკური აგენტები, ვინც გავლენას ახდენენ, მაინცდამაინც ევროპის კავშირის რეზიდენტები უნდა იყვნენ, ან მის ტერიტორიაზე უნდა საქმიანობდნენ. სავსებით შესაძლებლად მიიჩნევა და არის საამისო პრეცედენტები, რომ გავლენის მოხდენა დადგენილად ჩაითვალოს ევროპის ტერიტორიასთან ყოველგვარი ფიზიკური შემხებლობის არსებობის გარეშეც. ასეთ დროს ევროპის კომისია თავისი ფუნქციის შესრულებაზე და ერთიანი ევროპული ბაზრის დაცვაზე უარს ვერ იტყვის.[261] ზემოაღნიშნული განსაკუთრებით ეხება აიტი ტექნოლოგიების განვითარებასა და აქედან გამომდინარე ელექტრონული

[259] ***Ezrachi, Ariel;*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016, p.627.
[260] *Ibid,* p.628.
[261] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.104.

საშუალებების გამოყენებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ინდუსტრიისათვის ფიზიკური გეოგრაფია თუ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრები საერთოდ არაფერს ნიშნავს და მისი გავრცელება ერთი წერტილიდან მთელი პლანეტის მასშტაბით წარმოუდგენლად მოკლე დროშია შესაძლებელი. ვირტუალური სივრცე იძლევა ამის შესაძლებლობას და არაფერია განსაკუთრებული იმაში, რომ მარეგულირებელმა ორგანოებმა, რომლებსაც კონკრეტული საჯარო თუ კერძო სიკეთეების დაცვა ევალებათ, ფეხი უნდა აუწყონ არსებულ რეალობას და ფორმალური ბარიერების არსებობის გამო უარი არ უნდა თქვან ამა თუ იმ საქმის სათანადოდ გამოკვლევაზე. სხვა საკითხია, რამდენად ექნება ევროპის კომისიას ან თუნდაც ნებისმიერ სხვა ეროვნულ კონკურენციის ორგანოს საკმაო ბერკეტები საიმისოდ, რომ არა მხოლოდ მოიკვლიოს და გამოიტანოს გადაწყვეტილება, არამედ ეფექტურადაც აღასრულოს ის. თუმცა ეს ნაწილი სხვა მსჯელობის საგანია. ეს საკითხი ასევე შეიძლება კავშირში იყოს შესაბამისი ბაზრის ცნებასთანაც. შესაბამისი ბაზრის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოო მომხმარებლის ფაქტორს. როგორც წესი მიმწოდებლები და საცალო ბიზნესში დასაქმებული ეკონომიკური აგენტები იქ ახდენენ საქონლისა და მომსახურების კონცენტრაციას, სადაც საამისო მოთხოვნა არსებობს და საიდანაც რეალიზაცია ყველაზე მომგებიანი და ეფექტურია. შესაბამისად საბოლოო მომხმარებლის ფაქტორი საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებისას შესაბამისი ბაზრის დადგენის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.[262]

Intel Corp vs. European Commission-ის საქმეში საერთო იურისდიქციის სასამართლომ უარყო მხარის არგუმენტები, რომ ეფექტის და იმპლემენტაციის თეორიები კუმულატიურად უნდა გამოიყენებოდეს და მიუთითა, რომ ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანის არსებობა საკმარისია ევროპული იურისდიქციის დასაფუძნებლად.[263] ქართული პრაქტიკისათვის ყველაზე მისაღებად ევროპული მიდგომის პირდაპირი გადმოღება გამოიყურება. ერთი მხრივ, ასეთი გადაწყვეტით საქართველო კიდევ ერთხელ დაადასტურებს DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მეორე მხრივ ის უკეთ შეძლებს კომპლექსურ საკითხებზე ევროპის კომისიასთან თუ ცალკეული სახელმწიფოების ორგანოებთან კოოპერაციას. ასეთი მიდგომის გამოყენება მისაღებად და რაციონალურად უნდა ჩაითვალოს ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან ასე შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს როგორც საჯარო, ასევე ბაზრის მონაწილეების კერძო ინტერესების ეფექტური

[262] ***Wijckamans, Frank., Tuytschaever, Filip.,*** Vertical Agreements in EU Competition Law, Oxford University Press, Third Edition, Oxford, 2018, p.161.

[263] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.637.

დაცვა. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამით ხელი შეეწყობა პრაქტიკის ერთგვაროვნებასა და განჭვრეტადობასაც.

6. ECHR

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების როლი და მნიშვნელობა კონკურენციის დავების გადაწყვეტისათვის განუხრელად იზრდება.[264]

ევროპული სასამართლოები გამოირჩევიან საკმაოდ დინამიური განმარტებებით, როდესაც საკითხი უფლებების ეფექტურად დაცვას ეხება. მაგალითად, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ მართალია, ევროპის კომისია არ შეიძლება ჩაითვალოს „ტრიბუნალად“ ECHR-ის მიზნებისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი ვალდებულია დაიცვას ზემოაღნიშნულ კონვენციაში განმტკიცებული ყველა ძირითადი პრინციპი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.[265]

ECHR-ს ჰქონდა შესაძლებლობა ემსჯელა კონკურენციის ორგანოების საქმიანობის კონვენციის 6(1) მუხლთან ურთიერთმიმართების საკითხებზე. მოსარჩელე ასაჩივრებდა იტალიის კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მიიჩნევდა რომ დაკისრებული ჯარიმა თავისი ოდენობით ლახავდა მის ფუნდამენტურ უფლებებს. საგულისხმოა, რომ სასამართლომ საჩივარი დასაშვებად ცნო სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-6 მუხლის მოთხოვნები დაცული იყო, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო სასამართლოში და სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა კანონთან შეუსაბამობის საფუძვლით გაეუქმებინა ან შეემცირებინა ჯარიმა.[266]

საერთო იურისდიქციის სასამართლოს პრაქტიკაზე ECHR-ის გავლენა პერმანენტულად იზრდება. ბოლო პერიოდში გადაწყვეტილებათა თითქმის მეოთხედი, რომელიც ზემოაღნიშნული სასამართლოს მიერ არის მიღებული რაიმე სახით მაინც იყო დაკავშირებული ECHR-ის პრაქტიკასთან და ციტირებდა ამ პრაქტიკას.[267]

7. სასამართლო ხარჯები

[264] ***Khan, Nicholas.,*** Kerse&Khan on EU Antitrust Procedure, Sixth Edition, Sweet&Maxwell, London, 2012, p.104.
[265] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.16.
[266] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.17.
[267] *Ibid*,p.18.

როგორც წესი, ევროპული სასამართლოებისათვის მიმართვა უფასოა. თუ საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე მხარის მიზეზით სასამართლოს წარმოეშობა გარკვეული ხარჯები, მაშინ შეიძლება მხარეს მოეთხოვოს ამ ხარჯების ანაზღაურება. ზოგადი წესის თანახმად, წაგებულმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მოგებულს ის ხარჯები, რომელიც გასწია. ხარჯები განაწილდება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც თითოეული მხარე გაიღებს საკუთარ ხარჯებს და არ მოხდება მისი მეორე მხარისათვის დაკისრება.[268]

II. კონკურენციის სამართლის კერძოსამართლებრივი აღსრულება (Private Enforcement)

1. კერძოსამართლებრივი აღსრულების არსი

ნებისმიერი პირი, ვისაც ზიანი მიადგება კონკურენციის ნორმების დარღვევით, უფლებამოსილია სამართლებრივი გზით მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება.[269] სამართლებრივი გზა გულისხმობს ზიანის სასამართლო/საარბიტრაჟო წესით მოთხოვნას, თუ შესაბამისი მართლწესრიგი და მისი კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას იძლევა და კონკურენციის ნორმების დარღვევაში ბრალი თვით იმ პირსაც არ მიუძღვის, ვინც ზიანზე მითითებით სარჩელის აღძვრას აპირებს.[270]

საპროცესო სამართლი, რომელმაც ევროპის კავშირის კონკურენციის ნორმების აღსრულება უნდა უზრუნველყოს, არ ხასიათდება ჰარმონიზაციის ისეთი მაღალი ხარისხით, როგორც მატერიალური სამართალი. უფრო მეტიც, წევრი სახელმწიფოების საპროცესო ნორმებს შორის სხვაობა და მათი სასამართლოების გაზრდილი როლი კონკურენციის ნორმების ინტერპრეტაციის საქმეში კიდევ უფრო არაერთგვაროვანს ხდის იმ საპროცესო სივრცეს, რომლის ფარგლებშიც პროცესი უნდა წარიმართოს.[271]

---

[268] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 1027.

[269] ***Butorac Malnar, Vlatka.,*** The *Kone* Case: A Missed Opportunity to Put the Standard of Causation Under the Umbrella of the EU, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.175.

[270] ***Turner, Jonathan.,*** Intellectual Property and EU Competition Law, Oxford University Press, Oxford, 2010, p.77.

[271] ***Pecotic- Kaufman, Jasminka., Petrovic, Sinisa.,*** The Enforcement of Eu Competition Law by National Courts, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.63.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ე.წ. საპროცესო ავტონომია ფართოდ არის აღიარებული. ის გულისხმობს სახელმწიფოების შესაძლებლობას ერთიანი და უნიფიცირებული ევროპული შედეგი მატერიალურ სამართალში დააყენონ იმ საპროცესო ნორმების მიხედვით, რომლიც მათი სამართლებრივი ტრადიციის შესაბამისია. აღნიშნულის მიუხედავად, ბოლო პერიოდში აშკარად შეინიშნება კონკურენციის სამართლის პროცესთან დაკავშირებული ნორმების დაახლოებისა და უნიფიკაციის ინტენსივობის ზრდა.[272]

ინგლისური სახელწოდება private enforcement-ის ძირითადად მომდინარეობს იქიდან, რომ კონკურენციის სამართლის ნორმების აღსრულება ხდება კერძო ინიციატივის საფუძველზე კერძო სამართლის სუბიექტებს შორის თანასწორობის საწყისებზე წარმოშობილი სამართლებრივი დავის ფარგლებში, რაც განსხვავდება ე.წ. public enforcement-ის პროცედურისაგან. ეს უკანასკნელი გულისხმობს საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების მიერ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების გამოყენებას კონკურენციის სამართლის ნორმების დაცვის მიზნით.[273]

„კერძოსამართლებრივი აღსრულება“ გულისხმობს სხვადასხვა სამართლებრივ მექანიზმებს, რომელიც კარტელით, დომინანტური მდგომარეობის გამოყენებით, ან კონკურენციის ნორმების სხვა დარღვევებით მიყენებული ზიანის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს ბაზრის იმ მონაწილეებს, ვინც ზემოაღნიშნული დარღვევების შედეგად დაზარალდნენ. ევროპის კავშირში მათი ეს მოთხოვნა შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც 101-ე და 102-ე მუხლების, ასევე ეროვნული კანონმდებლობის დონეზე მოქმედ რეგულირებებს. კერძო აღსრულება სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს: ა) ე.წ. დეკლარაციული სამართლებრივი მექანიზმები - გულისხმობს კონკურენციის ნორმების დარღვევით დადებული ხელშეკრულებისა თუ ნებისმიერი სხვა ფორმით არსებული გარიგების ბათილობის მოთხოვნას 101-ე მუხლზე და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის ნორმებზე მითითებით; ბ) მოქმედების აკრძალვა - თავის თავში მოიაზრებს დამრღვევისათვის გარკვეული ქმედების შეწყვეტის მოთხოვნას; გ) ზიანის ანაზღაურება -- ყველაზე გავრცელებული ფორმაა და ძირითადად კარტელით დაზარალებული პირების მიერ გამოიყენება. ბაზრის მონაწილეებს (როგორც ეკონომიკურ აგენტებს ასევე მომხმარებლებს) შეუძლიათ უჩივლონ კარტელის წევრებს და მოსთხოვონ მათი მართლსაწინააღმდეგო თანამშრომლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ასეთი სარჩელი, რომელიც კონკურენციის ნორმების დარღვევას

[272] ***Chmeis, Ahmad.,*** Kartellsanktionsrecht Verfahrensrechtliche Konvergenz innerhalb der Europäischen Union unter besonderer Berüchsichtigung des deustchen Rechts, Dunker & Humblot, Berlin, 2018, s.318.

[273] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.1.

შეიძლება ემყარებოდეს, შეიძლება ჩამოყალიბდეს კონკურენციის ორგანოში საჩივრის წარდგენის გარეშე, ან სახეზე იყოს ე.წ. Follow on action, რაც გულისხმობს კონკურენციის ორგანოს მიერ დარღვევის დადგენის შემდეგ სარჩელის წარდგენას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.[274] საგულისხმოა, რომ აქვე არაფერს ამბობენ პარალელურ პროცესებზე, ანუ კონკურენციის სააგენტოსა და სასამართლოში პროცესის ერთდროულად მიმდინარეობაზე, რასაც ქართულ პრაქტიკაში უკვე ჰქონდა ადგილი.[275]

კერძოსამართლებრივი აღსრულება თავისებურ შემავსებელ როლს ასრულებს კონკურენციის სამართლის საჯარო სფეროში და განიხილება, როგორც ბაზრის მონაწილეების კერძო ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალება.[276] ბოლო ათწლეულების წლის განმავლობაში კომისიამ განსაკუთრებით გააქტიურა მუშაობა კერძო აღსრულების ეფექტურობის ზრდისა და მისი წახალისების მიმართულებით.[277] ჩაითვალა, რომ 2004 წლამდე ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში კერძოსამართლებრივი აღსრულების მიმართულებით არსებული მიდგომები არ იყო ეფექტური და აუცილებელი იყო მათი დახვეწა. კომისიამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ დადებით ეფექტებს, რაც კერძოსამართლებრივი აღსრულების აქტიურად განვითარებას შეიძლება მოჰყვეს: ა) ეს მექანიზმი ზრდის კონკურენციის სამართლის აღსრულების ეფექტურობას, რადგან დამრღვევებს კიდევ უფრო მეტად აფიქრებს, რომ დარღვევის შედეგები შეიძლება მხოლოდ ჯარიმა არ იყოს; ბ) კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების ნებისმიერ მსხვერპლს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება; გ) ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება კონკურენციის ისეთი დარღვევებისათვის, რომლის გამოძიებაზეც კონკურენციის სააგენტომ უარი თქვა რესურსების სიმცირის, ან საკუთარი პრიორიტეტების სხვაგვარი განსაზღვრის მოტივით; დ) სასამართლოს სახელმწიფოების

---

[274] ***Siragusa, Mario; Rizza, Cesare;*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.781. იხ. ასევე: ***Rodger, Barry; Ferro, Miguel Sousa; Marcos, Francisco;*** Damages Actions in the Enforcement of EU Competitino Law, in: ***Rodger, Barry; Ferro, Miguel Sousa; Marcos, Francisco; (Editors)*** The EU Antitrust Damages Directive, Transposition in the Member States, Oxford University Press, Oxford, 2018, p.14-15.

[275] საქმე შეეხებოდა ტექნიკის ბაზარზე არსებულ ორ კომპანიას შორის დავას, კერძოდ, მოსარჩელე დაობდა, რომ მოპასუხის მხრიდან მისი, როგორც კონკურენტის ჩამოშორების მიზნით, კომპანიის ფეისბუქ გვერდის ინტენსიური „დარეპორტების" შედეგად მათი ფეისბუქ გვერდი გაუქმდა, რის შემდეგაც მოპასუხემ შექმნა ყალბი გვერდი მოსარჩელე კომპანიის სახელწოდებით, სადაც კომპანიის რეპუტაციის შემლახველ ინფორმაციას ავრცელებდა. შედეგად მოსარჩელე სასამართლოს გზით ითხოვდა 1.2 მლნ-მდე ლარის ზიანის ანაზღაურებას და პარალელურად კონკურენციის სააგენტოში წარდგენილი საჩივრის საფუძველზე დაობდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არსებობის თაობაზე.

[276] ***Ezrachi, Ariel;*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.599.

[277] ***Siragusa, Mario; Rizza, Cesare;*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 11.

უმრავლესობაში აქვს უფლება იურიდიული ხარჯები დააკისროს წაგებულ მხარეს. ასეთი რამ კონკურენციის ორგანოსათვის მიმართვის დროს თითქმის გამორიცხულია; ე) კერძოსამართლებრივ აღსრულებას შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა „ასწავლოს“ ბაზრის მონაწილეებს, მათ შორის მომხმარებლებსაც და ამით გაზარდოს კონკურენციის სამართლის „ცნობადობა“ და მისი ეფექტურობის ხარისხი თავისუფალი ბაზრის განვითარებისათვის.[278] აქ შეიძლება ორი საინტერესო მომენტი გამოიყოს: პირველი ის არის, რომ გ) პუნქტის თანახმად, კონკურენციის ნორმებზე მითითებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება ასევე ისეთ დარღვევებზე, რომელთა გამოძიებაზეც სააგენტომ უარი თქვა მათი მცირე მნიშვნელობის, ან სხვა პრიორიტეტული საქმეების გამო. გამოდის, რომ სააგენტოს უარი საჩივრის განხილვაზე დასაშვებობის ეტაპზე არ ნიშნავს იმას რომ კონკურენციის დარღვევა სახეზე არ არის. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სააგენტოს არ მიაჩნია ის მნიშვნელოვნად თვით დარღვევის არსის, ან საკუთარი პრიორიტეტებიდან გამომდინარე. პრიორიტეტებიდან გამომდინარე უარის თქმა კიდევ უფრო მეტის მტკიცების საშუალებას იძლევა. თავისუფლად არის შესაძლებელი, რომ სააგენტოს საქმიანობის რაღაც ეტაპზე უცებ გამოჩნდეს რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც მის ყურადღებას იმსახურებს. ამით სხვა საქმეების პრიორიტეტულობა უკანა პლანზე გადადის. ამ მსჯელობიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ესა თუ ის საქმე შეიძლებოდა სხვა პირობებში (იმის მიხედვით რამდენი საქმე და რა პრიორიტეტები აქვს სააგენტოს) გამხადარიყო ან არ გამხდარიყო კვლევის საგანი. ეს კიდევ უფრო მეტ კითხვის ნიშანს აჩენს ზოგადად სააგენტოს ეფექტურობასთან დაკავშირებით და კიდევ უფრო ზრდის კერძოსამართლებრივი აღსრულების მნიშვნელობას. მეორეც, თუ სააგენტო აჯარიმებს კარტელის მონაწილეებს, ეს ჯარიმა არის თავისებური კომპენსაცია, რომელსაც კარტელის წევრი იხდის მის მიერ ჩადენილი დარღვევებისათვის. თუ ამ კარტელის წევრის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის და მისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მაინც არსებობს (და ის ნამდვილად არსებობს), მაშინ გამოდის, რომ ერთი და იგივე დარღვევისათვის პირს შეიძლება ორჯერ მოუწიოს გადახდა. ასეთი მოცემულობა კერძოსამართლებრივ აღსრულებას გარკვეულ პრევენციულ ფუნქციასაც ანიჭებს.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ეფექტური კერძო აღსრულების განვითარებას ორი ძირითადი მიმართულებით აქვს დამატებითი და დადებითი შედეგი: ერთი მხრივ ის ხელს უწყობს კონკურენციის ნორმების მოქმედებაში მოყვანას საჯარო რესურსის გამოყენების გარეშე და მეორე მხრივ ზოგავს იმავე საჯარო რესურსებს და იძლევა მისი უფრო ეფექტური გამოყენების საშულებას იქ, სადაც კერძო აღსრულებას არ შეუძლია რეგულირების საკუთარ თავზე მთლიანად აღება, როგორც ეს ხდება ე.წ. hardcore cartel-

[278] *Ibid,* p. 783.

ს შემთხვევაში. სხვაგვარად რომ ითქვას, გამოთავისუფლებული რესურსი მიემართება უფრო ხისტი და საშიში დარღვევებისაკენ, რომელიც უპირობოდ მოითხოვს სწორედ საჯარო სამართლებრივ ჩარევას.[279]

ევროპის კავშირის მასშტაბით ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა ადასტურებს, რომ კერძო აღსრულების მოქმედების ფარგლები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე უბრალოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მისი როლი და მნიშვნელობა ინტენსიურად იზრდება და შესაბამისად როგორც ევროპის კავშირი, ასევე წევრი სახელმწიფოები ხელს უწყობენ მის განვითარებას.[280] ეკონომიკური ანალიზის როლი და მნიშვნელობა, ასევე მისი საჭიროება კერძოსამართლებრივი აღსრულების ეფექტური განხორციელებისათვის სადავო არ არის. როგორც სასამართლო პრაქტიკიდან, ასევე 2014 წლის დირექტივიდან ასეთი დასკვნა ცალსახად გამომდინარეობს.[281]

საბოლოო ჯამში, კერძოსამართლებრივი აღსრულება ავსებს საჯარო აღსრულების მექანიზმს და ეხმარება სახელმწიფოს თავისუფალი ბაზრის დაცვაში. მეორე მხრივ ეს საპროცესო საშუალება ბაზრის კონკრეტულ მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას კონკურენციის ნორმების აღსრულებაში დაინახონ არა დამრღვევის დასჯის აბსტრაქტული იდეალისტური ინტერესი, არამედ მათი ძალიან კონკრეტული და ხელშესახები სარგებელი მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის სახით.[282]

2. კერძოსამართლებრივი აღსრულების ევროპული რეგულირება

a) TFEU 101-ე და 102-ე მუხლები

ზოგიერთი შეფასებით, 101-ე მუხლი ხშირად გამოიყენება როგორც ერთგვარი ფარი კერძოსამართლებრივ დავებში, როდესაც მხარეს სურს გამორიცხოს სახელშეკრულებო

[279] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 6.

[280] ***Hodges, Christopher.,*** Fast, Effective and Low Cost Redress: How Do Public and Private Enforcement and ADR Compare? in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.255.

[281] ***Parcu, Pier Luigi., Rossi, Maria Alessandra.,*** The Role of Economics in EU private Antitrust enforcement: theoretical framework, empirical methods and practical issues, in: ***Parcu, Pier Luigi., Monti, Giorgio., Botta, Marco.,*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.62.

[282] ***Butorac Malnar, Vlatka.,*** The *Kone* Case: A Missed Opportunity to Put the Standard of Causation Under the Umbrella of the EU, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.188.

ვალდებულების შესრულება ამ ნორმისადმი წინააღმდეგობის საფუძვლით, ან დააყენოს შეგებებული მოთხოვნა იმ ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც ზემოაღნიშნული ნორმის დარღვევის შედეგად მიადგა. წევრი სახელმწიფოს სასამართლოები სრულიად თავისუფლები არიან 101-ე მუხლის ამგვარ გამოყენებაში.[283]

არსებობს სარჩელის სახე, რომელსაც პრაქტიკაში Euro Defense-ს უწოდებენ. ხშირად მხარე შეგებებული სარჩელით ითხოვს კონკრეტული ხელშეკრულების ბათილობას ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლებზე მითითებით. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც ამ მხარისაგან ხელშეკრულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ.[284]

b) 1/2003 რეგულაცია

2003 წლის რეგულაციის თანახმად, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან შექმნან კონკურენციის ნორმების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ეფექტური მექანიზმები და გამოიყენონ და განმარტონ TFEU 101-ე და 102-ე მუხლები ამ მიზნებისათვის. ამავე დროს, წევრი სახელმწიფოს კონკურენციის ეროვნული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს პრეიუდიციული ძალა ამავე სახელმწიფოს სასამართლოსათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა ვერ ექნება იგივე ძალა სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოსათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია გადაწყვეტილება განიხილონ, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო სხვა მტკიცებულებებთან ერთად და მათთან მჭიდრო კავშირში შეაფასებს.[285] თუმცა, ალბათ, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, კონკურენციის სამართლის უნივერსალური ევროპული ხასიათისა და შინაარსის გათვალისწინებით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ წევრ სახელმწიფოების სასამართლოებს შორის კონკურენციის ნორმების განმარტებისას არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები არსებობდეს. ევროპული მექანიზმი სწორედ ამ ნორმების ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფისკენაა მიმართული.

1/2003-ის რეგულაციის ერთ-ერთ მონაპოვრად ითვლება კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი ნორმების

---

[283] ***Wijckamans, Frank; Tuytschaever, Filip.,*** Vertical Agreements in EU Competition Law, Oxford University Press, Third Edition, Oxford, 2018, p. 25.

[284] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.596.

[285] ***Pecotic- Kaufman, Jasminka., Petrovic, Sinisa.,*** The Enforcement of Eu Competition Law by National Courts, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.56.

„დემოკრატიზაცია," ანუ წევრი სახელმწიფოების სასამართლოებისათვის ამ ზიანის ანაზღაურების საქმეების განხილვის პროცესში ევროპული კონკურენციის ნორმების (ძირითადად 101-ე და 102-ე მუხლების) გამოყენებისა და ინტერპრეტაციის უფლებამოსილების მინიჭება. 2003 წლის რეგულაციის ამოქმედებამდე 101-ე და 102-ე მუხლების გამოყენების ექსკლუზიური უფლებამოსილება ევროპის კომისიას ეკუთვნოდა.[286]

1/2003-ის რეგულაციის მე-16(1) მუხლი კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებას კონკურენციის ნორმების დარღვევის შესახებ სავალდებულოდ და მბოჭავად განიხილავს კერძოსამართლებრივ აღსრულებაზე პასუხისმგებელი სასამართლოებისათვის. თეთრი პუბლიკაცია (white paper) წევრ სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, რომ ეს ნორმა შიდა კანონმდებლობის მასშტაბითაც აამოქმედონ, თუმცა, ასე მხოლოდ წევრების ნაწილი მოიქცა.[287] საქართველოში ასეთი ნორმის მიღება ერთი მხრივ იქნებოდა კერძოსამართლებრივი აღსრულების ევროპულ სტანდარტთან დაახლოება, ხოლო მეორე მხრივ კონკურენციის ნორმების აღსრულების ეფექტურობის ზრდა. მით უმეტეს, რომ ნავთობპროდუქტების საქმეზე არც თუ წარმატებული ისტორიის შემდეგ კონკურენციის სააგენტოს ერთგვარი გაუბედავობა ეტყობა შესაბამისი ინდუსტრიებით დაინტერესების ნაწილში. ამ მიმართულებით კერძო აღსრულებას შეეძლო ახალი სიცოცხლე შეეტანა იმ პროცესში, რასაც პირობითად კონკურენციის ნორმების მოქმედებაში მოყვანა შეიძლება დავარქვათ.

c) კერძოსამართლებრივი აღსრულების ევროპული პრაქტიკის ევოლუცია

კერძოსამართლებრივი აღსრულების ისტორიულ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულმა სამმა რეპორტმა: 1. The Ashrust Study on Claims for Damages in Case of Infringement of EU Competition Rules 31 August 2004 - მაქსიმალურად მწვავედ ამახვილებდა ყურადღებას კერძოსამართლებრივი აღსრულების პრობლემებზე ევროპაში და ახასიათებდა მას, როგორც „საოცრად განსხვავებულს და სრულიად განუვითარებელს" (astonishing diversity and total underdevelopment). 2. 2005 წლის დეკემბერში კომისიამ გამოაქვეყნა Green Paper and Staff Working paper on Antitrust Damages Actions (Green Paper, Damage Actions for Breach of the EU Antitrust Rules. COM (2005) 672 final; Commission Staff working paper – Annex to

[286] *Ibid,* p.57.

[287] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 787.

the Green Paper, published on December 19 2005); და 3. 2008 წელს კომისიამ გამოაქვეყნა White Paper on Damages Actions for Breach of the [EU] Antitrust Rules. თეთრი პუბლიკაციით განისაზღვრა ის შესაძლო ზომები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო კერძოსამართლებრივი აღსრულების მექანიზმის, როგორც საჯარო სამართლებრივი პროცესის შემავსებლის სტიმულირებისათვის.[288] ამ სამმა დოკუმენტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კერძოსამართლებრივი აღსრულების ევოლუციაზე ევროკავშირის მასშტაბით.

Manfredi-ს საქმეზე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება იქცა ბიძგის მიმცემად კერძოსამართლებრივი აღსრულების განვითარებისათვის. ამ საქმეში იტალიის მოქალაქე Manfredi თავის თანამოქალაქეებთან ერთად უჩიოდა რამდენიმე სადაზღვევო კომპანიას, რომლებიც იმყოფებოდნენ რა ერთმანეთთან კარტელურ გარიგებაში, მიაყენეს ზიანი თავიანთ ბენეფიციარებს. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადასტურა, რომ, მოსარჩელეებს ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ ზიანის ანაზღაურება და მეტი სინათლე შეიტანა თვით „ზიანის“ განმარტებაში. ამ საქმეში სასამართლო გაცილებით წინ წავიდა, ვიდრე მის წინამორბედ საქმეში Caurage, სადაც ფორმალურად დადასტურდა ზიანის ანაზღაურების უფლების არსებობა ხელშეკრულების მხარისათვის, თუ მეორე მხარეს უმტკიცდებოდა კონკურენციის ნორმების დარღვევით ზიანის მიყენების ფაქტი.[289] Manfredi-ს საქმეზე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ცალსახად აღნიშნა,რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოიცავს როგორც რეალურად დამდგარ ზიანს, ასევე მიუღებელ შემოსავალს და პროცენტს, რომელიც უნდა დაერიცხოს ზემოაღნიშნულ თანხას მის სრულ ანაზღაურებამდე.[290] ასეთი მიდგომით, ევროპულმა სასამართლო პრაქტიკამ მაქსიმალურად გააფართოვა ზიანის ანაზღაურების ფარგლები და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა კერძო აღსრულებისადმი ცალსახა და უპირობო მხარდაჭერა.

GT- Link A/S vs. De Danske Satsbaner-ის (DSB) საქმეზე დანიის სასამართლოს მიერ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსათვის გაგზავნილ კითხვებს შორის იყო, ეკისრებოდა თუ არა პასუხისმგებლობა დანიის რკინიგზას ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 102-ე მუხლის შესაბამისად დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით მიყენებული ზიანისათვის და უნდა

[288] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.599-600.

[289] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p. 39. იხ. ასევე: ***Ashton, David;*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.25.

[290] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.182.

აენაზღაურებინა თუ არა ის კონტრაქტორისათვის, რომელიც რკინიგზის მიერ დაწესებული დისკრიმინაციული ფასების მსხვერპლი აღმოჩნდა. ევროპულმა სასამართლომ ამ შეკითხვას ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი პასუხი გასცა და დაადასტურა ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი დასაბუთებულება კერძოსამართლებრივი აღსრულების ევროპული სტანდარტის გათვალისწინებით.[291]

კერძოსამართლებრივი აღსრულების ევოლუციაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა Crehan-ის საქმემ, რომელსაც ამ საკითხებზე მსჯელობისას დღემდე ინტენსიურად ციტირებენ ხოლმე. Mr Crehan-ს ჰქონდა ორი პაბის იჯარის ხელშეკრულება Caurage ltd-სთან. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მოიჯარის ვალდებულებას ლუდი ძირითადად მეიჯარისგან შეეძინა. Mr. Crehan-ი იჯარას ვერ იხდიდა და მეიჯარე კომპანიამ მიმართა ინგლისურ სასამართლოს. მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი, მიუთითა, რომ ხელშეკრულება არღვევდა ევროპის კავშირის კონკურენციის ნორმებს და სწორედ ასეთი კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების გამო ვერ იხდიდა ქირას და თვითონაც მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. ინგლისური სამართალი არ აძლევს პირს უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ ის მართლსაწინააღმდეგო გარიგებიდან გამომდინარეობს. ინგლისის სააპელაციო სასამართლომ მიმართა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კითხვით, Mr. Crehan-ს სასარჩელო მოთხოვნაზე უარი იმ საფუძვლით, რომ ის ზიანს ითხოვდა კანონსაწინააღმდეგო გარიგებიდან, რამდენად არის ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. ევროპული ნორმების პირდაპირი ეფექტის ხაზგასმის შემდეგ, სასამართლო შემდეგ დასკვნებამდე მივიდა: - ზოგადი პრინციპის თანახმად, მხარე, რომელიც უთითებს კონკურენციის ევროპული ნორმების (მაგალითად 101-ე მუხლის) დარღვევაზე, უფლებამოსილი უნდა იყოს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება; - 101-ე მუხლი არ ითვალისწინებს პირისთვის ამ ნორმის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმას მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ეს პირი შესაბამისი გარიგების (რომლიდანაც ზიანის ანაზღაურებას ითხოვს) მხარეა; -- 101-ე მუხლი არ გამორიცხავს პირისთვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმას იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ კონკურენციის ნორმების დარღვევაზე მასაც ეკისრება პასუხისმგებლობა და დამდგარი შედეგი ძირითადად მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგია. ე.წ. „მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის“ (Significant Responsibility) პრინციპი მაშინ გამოიყენება, როდესაც საქმის გარემოებებიდან აშკარაა, რომ ზიანის ანაზღაურების მომთხოვნი მხარე თანაბრად ან

[291] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.605.

შეიძლება მეტადაც კი არის პასუხისმგებელი კონკურენციის ნორმების დარღვევაზე. [292] ეს საქმე ხშირად არის ციტირებული, როგორც ეფექტური კერძო აღსრულების ნათელი მაგალითი.[293] ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად აფართოვებს კერძო აღსრულების ფარგლებს და ზრდის მის ეფექტურობას. მეორე მხრივ მას ასევე აქვს პრევენციული ფუნქცია: კონკურენციის ნორმების დამრღვევი მხარე ერთი მხრივ შეიძლება ელოდოს სოლიდურ სანქციას სახელმწიფოსგან და მეორე მხრივ ზიანის ანაზღაურების სარჩელს სახელშეკრულებო, ან ნებისმიერი სხვა ურთიერთობის დროს დაზარალებული მხარეებისაგან. მსგავსი სასამართლო პრაქტიკის დანერგვა ქართულ სამართალშიც თავისუფლად არის შესაძლებელი.

კონკურენციის ნორმების დარღვევასთან მიმართებაში სასამართლო შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფარი (როდესაც სასამართლო იცავს ბაზარს კონკურენციის საწინააღმდეგო ჩარევებისაგან) და როგორც ხმალი - როდესაც სასამართლოს გამოყენება ხდება კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით. დოქტრინასა და პრაქტიკაში გამოყოფენ ორი სახის სარჩელს. პირველს უწოდებენ ე.წ. follow on სარჩელს, რაც გულისხმობს კონკურენციის შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოყენებას დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გასამყარებლად. ამ შემთხვევაში, ბაზრის კონკრეტული მონაწილე მტკიცებულებად იყენებს კონკურენციის ორგანოს მიერ უკვე მოკვლეულ მასალებს, დადგენილ ფაქტებს და მათზე მითითებით ითხოვს მოპასუხისგან/მოპასუხეებისგან ზიანის ანაზღაურებას; ე.წ. stand alone სარჩელი, გულისხმობს ისეთ საპროცესო მდგომარეობას, როდესაც მხარემ თვითონვე უნდა დაამტკიცოს როგორც ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობა, ასევე კონკურენციის ნორმების დარღვევა.[294]

---

[292] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.603.

[293] ***Wijckamans, Frank., Tuytschaever, Filip.,*** Vertical Agreements in EU Competition Law, Oxford University Press, Third Edition, Oxford, 2018, p. 26. იხ. ასევე: ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.18-19. m

[294] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.595. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში უკვე იყო შემთხვევა, რომელიც არც ერთ ზემოაღნიშნულ მოდელს არ განეკუთვნება: მხარემ პარალელურ რეჟიმში მიმართა როგორც სასამართლოს, ასევე კონკურენციის სააგენტოს. პირველ შემთხვევაში მხარე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით ითხოვდა, ხოლო კონკურენციის სააგენტოში წარდგენილი საჩივარი შეეხებოდა კონკრეტული პროდუქტის დისტრიბუციის ბაზარზე არსებულ კარტელს და კარტელის მთავარი მონაწილის მხრიდან გამოვლენილ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტებს. საგულისხმობა, რომ საბოლოო ჯამში სასამართლო და კონკურენციის სააგენტო დაახლოებით მსგავს დასკვნებამდე მივიდნენ: კონკურენციის სააგენტომ დაადასტურა არაკეთილსინდიერი კონკურენციის ფაქტის არსებობა, ხოლო სასამართლომ ზუსტად ამ ქმედებისათვის ზიანის ანაზღაურება დააკისრა მოპასუხეს. საქმის წარმოება შეწყდა მხარეთა მორიგების გამო,

Otis საქმეზე ევროპული სასამართლო კიდევ უფრო შორს წავიდა და მიუთითა, რომ ევროპის კომისიას აქვს უფლება აღძრას სარჩელი ევროპის კავშირის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ არსებობს შესაბამისი მტკიცებულებები, რომ ევროპის კავშირს, როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნსაც მიადგა ზიანი კონკურენციის შემზღუდავი ქმედებების შედეგად.[295]

d) დირექტივა მონოპოლიური საქმიანობით მიყენებული ზიანის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ (2014/104/EU)

i. დირექტივის მიღების მიზეზები

სხვადასხვა კვლევები, რეპორტები და სტატისტიკური მონაცემები ცალსახად მიუთითებენ, რომ კერძოსამართებრივი აღსრულება, როგორც კონკურენციის ნორმების მოქმედებაში მოყვანის მექანიზმი საკმაოდ ნელა ვითარდება ევროპის მასშტაბით. ამას ამბობს Peyer-ი გერმანიაზე და Rodger-ი გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე.[296] თუ ინგლისი და გერმანია იმყოფებიან ჩანასახის სტადიაზე კერძო აღსრულების თვალსაზრისით, შეიძლება მარტივად გაკეთდეს დასკვნა რამდენად საწყის ეტაპზეა ამ მექანიზმის ამოქმედება ზოგადად. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მსგავსმა სახელმწიფოებმა არ შეიძლება მნიშვნელოვანი წინსვლა აჩვენონ ამ თვალსაზრისით. ის ფაქტი, რომ ჩვენში ეს ყველაფერი სუფთა ფურცლიდან იწყება, გაცილებით მეტ შანსს და პერსპექტივას იძლევა ვისწავლოთ სხვების შეცდომებზე და ისე მივიღოთ კერძოსამართლებრივი აღსრულების ეფექტური გამოყენებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

ევროპულ დოქტრინაში აღიარებენ, რომ კერძო ინიციატივის და სამოქალაქო სარჩელების როლი კონკურენციის შეზღუდვით მიყენებული ზიანის ანაზღაურების

შესაბამისად სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებს საქმეზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა არ მიეცათ. 2017 წლის 8 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმე №2/30577 -16

[295] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.25.

[296] ***Danov, Mihail.,*** Cross-Border Aspects of EU Competition Law Enforcement: Comprehensive Reform Needed? in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.200.

საქმეში აშშ-ში გაცილებით დიდია, ვიდრე ევროპის კავშირში. ახალი დირექტივის შემუშავების საჭიროება ამ კონტრასტმაც განაპირობა.[297]

აშშ-ში Clayton Act-ის მე-4 პარაგრაფი აძლევს შესაძლებლობას ამერიკის მოქალაქეებს იჩივლონ სასამართლოში იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც დადგა Sherman Act-ის 1 და 2 პარაგრაფის დარღვევის შედეგად. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია, თუ დარღვევა, რომელიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობაა უშუალოდ კონკურენციის ნორმების უგულვებელყოფით არის გამოწვეული.[298] აშშ-ის მაგალითზე ხშირად ამტკიცებენ, რამდენად მნიშვნელოვანია კერძოსამართლებრივი აღსრულების განვითარებისათვის საჯაროსამართლებრივი პროცესი. პირველ ეტაპზე კერძოსამართლებრივი აღსრულების საქმეების 75%-ზე მეტი აშშ-ში მოჰყვა სწორედ კონკურენციის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ შესაბამისი საჯაროსამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებას (ე.წ. Follow-on actions).[299] ასეთი სარჩელები ამერიკაში საკმაოდ პოპულარულია და ზოგიერთ შემთხვევაში ერთი შეხედვით აბსურდულ შეფასებებსაც კი ემყარება. ერთ-ერთ ამერიკულ საქმეში, მოსარჩელე ფლობდა ბოულინგის ცენტრს. მოპასუხემ შეიძინა ერთერთი ასეთივე ცენტრი, რომელიც მაინცდამაინც კარგად არ მუშაობდა. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას მოუწევდა მძაფრი კონკურენცია შემსყიდველთან და ამის გამო აგრესული ფასების პოლიტიკის გატარება, რაც სხვა მსგავს, უფრო პატარა ცენტრებს დააზიანებდა. სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ სასამართლო და კანონი აშშ-ში ვერ დაიცავს ბიზნესს კონკურენციისაგან, როგორ აგრესიულადაც არ უნდა შეფასდეს ბაზარზე კონკურენტის ქმედება (ცხადია, აქ ტერმინი ''აგრესიული'' ნებისმიერ შემთხვევაში გულისხმობს კანონის ფარგლებში მოქმედებას).[300]

ii. დირექტივის მიღება

---

[297] ***Rodger, Barry., Ferro, Miguel Sousa., Marcos, Francisco.,*** Damages Actions in the Enforcement of EU Competitino Law, in: ***Rodger, Barry., Ferro, Miguel Sousa., Marcos, Francisco., (Editors)*** The EU Antitrust Damages Directive, Transposition in the Member States, Oxford University Press, Oxford, 2018, s.18-19.

[298] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.79-80.

[299] ***Rodger, Barry.,*** Institutions and Mechanisms to Facilitate Private Enforcement, in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.32.

[300] ***Monti, Giorgio.,*** Liability Issues not codified by the Damages Directive: how to fill gaps? in: ***Parcu, Pier Luigi., Monti, Giorgio., Botta, Marco.,*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.44.

დირექტივა 2014 წელს მიიღეს. წევრ სახელმწიფოებს დაევალათ მისი იმპლემენტაცია ნაციონალურ კანონმდებლობაში არა უგვიანეს 2016 წლის 27 დეკემბრისა.[301] დირექტივის მიღების სამართლებრივი საფუძველია ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 103-ე და 114-ე მუხლები.[302] დირექტივა მონოპოლიური საქმიანობით მიყენებული ზიანის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ე.წ კერძოსამართლებრივ აღსრულებას და სასამართლოს მეშვეობით კონკურენციის სამართლიდან გამომდინარე უფლებების დაცვის აუცილებლობას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აცხადებს.[303]

iii. დირექტივის მიზნები

დირექტივის მიღებით ევროპის კავშირმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი კონკურენციის ნორმების ეფექტური აღსრულების საქმეში კერძო ინიციატივის როლსა და მნიშვნელობას და მიზნად სწორედ ამ ინიციატივის ყოველმხრივი ხელშეწყობა დაისახა.

Crehan-ის საქმეზე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ კონკურენციის ნორმების დაარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მექანიზმი წევრი სახელმწიფოების სასამართლოების შესაქმნელია და მთლიანად მათ პრაქტიკაზეა დამოკიდებული.[304]

დირექტივის მიზანია კონკურენციის ნორმების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლის უნიფიკაცია წევრი სახელმწიფოების მასშტაბით. მის უმთავრეს დამსახურებად თვლიან კარტელის მსხვერპლთა მტკიცებულებებზე წვდომის სტანდარტის და ხარისხის გაუმჯობესებას, რამაც კიდევ უფრო უნდა გაზარდოს კერძოსამართლებრივი აღსრულებით დაინტერესებული ბაზრის მონაწილეთა რიცხვი.[305] ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში კონკურენციის სამართლის ნორმების ეფექტურ აღსრულებას ემსახურება.

---

[301] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p.25. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[302] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1 [ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

[303] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1 [ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

[304] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.18.

[305] ***Chirita, Anca, D,.*** The Disclosure of Evidence Under the "Antitrust Damages" Directive 2014/104/EU, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.172.

დირექტივის კიდევ ერთი მიზანია კონკურენციის ნორმების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლის უნიფიკაცია წევრი სახელმწიფოების მასშტაბით. მის უმთავრეს დამსახურებად თვლიან კარტელის მსხვერპლთა მტკიცებულებებზე წვდომის სტანდარტის და ხარისხის გაუმჯობესებას, რამაც კიდევ უფრო უნდა გაზარდოს კერძოსამართლებრივი აღსრულებით[306] დაინტერესებული ბაზრის მონაწილეთა რიცხვი.[307] ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში კონკურენციის სამართლის ნორმების ეფექტურ აღსრულებას ემსახურება.

iv. დირექტივით დადგენილი რეგულირების არსი

დირექტივის პრეამბულა ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლების აღსრულებაში ეროვნული სასამართლოების მნიშვნელობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს და ადგენს, რომ სასამართლოებმა პირდაპირ უნდა იხელმძღვანელონ ამ ნორმებით.[308] აღნიშნულის გათვალისწინებით, წევრი სახელმწიფოების უმრავლესობას აქვს საკუთარი შიდა კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ჩარჩო, რომელმაც კერძოსამართლებრივი აღსრულების ეფექტურად გამოყენება უნდა უზრუნველყოს. მაგალითად, ამ საკითხებს გერმანიაში არეგულირებს კანონი Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen (GWB), რომელიც შესაბამისი ცვლილებებით შესაბამისობაში მოვიდა 2014 წლის დირექტივასთან.[309] საფრანგეთი კერძოსამართლებრივ აღსრულებას სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლზე დაყრდნობით, ანუ დელიქტების ზოგად რეგულირებაზე მითითებით და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკით აწესრიგებს.[310]

დირექტივა აუცილებლად მიიჩნევს მოსარჩელეს ჰქონდეს ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რაც მის წვდომას ყველა შესაძლო მტკიცებულებაზე პროცესის დასაწყისში უზრუნველყოფს. ამან ხელი უნდა შეუწყოს ზიანის ანაზღაურების უფლების ეფექტურ რეალიზაციას. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს უნდა შეეძლოს მეორე მხარე დაავალდებულოს, წარადგინოს გარკვეული ინფორმაცია, დოკუმენტები და

---

[306] დაწვრილებით ლინიენსის შესახებ იხილეთ ამავე წიგნის - კონკურენციის სამართალი - ევროპული მოდელი საქართველოსთვის პირველ ტომში, თბილისი, 2020, გვ. 184.

[307] ***Chirita, Anca, D,.*** The Disclosure of Evidence Under the "Antitrust Damages" Directive 2014/104/EU, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.172.

[308] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1 [ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

[309] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.27-28.

[310] *Ibid*, p.29-30.

მტკიცებულებები. ეს უფლება სასამართლოს მკაცრი კონტროლის პირობებში უნდა განხორციელდეს. სასამართლომ საკითხის გადაწყვეტისას უნდა დაიცვას პროპორციულობის პრინციპი და უნდა შეაფასოს ის რისკები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მეორე მხარისათვის ამა თუ იმ ინფორმაციის, დოკუმენტისა თუ მტკიცებულების გაცნობის შედეგად. [311]

გარკვეული მტკიცებულებებზე ეკონომიკური აგენტების წვდომამ არ უნდა დააზარალოს კონკურენციის სამართლის საჯაროსამართლებრივი მექანიზმები. ასეთ დოკუმენტებში პირველ რიგში მოიაზრება ლინიენსის პროცედურასთან და მასში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია კომპანიებთან მიღწეული შეთანხმებების შესახებ, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე, კონფიდენციალურობის დაცვას საჭიროებს. დირექტივა პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ზიანის ანაზღაურების უფლების გარანტირებულობა აუცილებლად არ საჭიროებს კომისიაში არსებულ ფაილებში შემავალ უკლებლივ ყველა დოკუმენტთან აბსოლუტური წვდომის დაშვებას. სავსებით შესაძლებელია იმ დოკუმენტების ცალკე გამოყოფა, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის არის საჭირო. ამით არც საჯარო ინტერესი დაზარალდება.[312]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლინიენსისა და კერძო აღსრულების ურთიერთმიმართების საკითხი. ლინიენსის განცხადებაში მითითებული ინფორმაცია არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გადაეცეს კერძო აღსრულებით დაინტერესებულ სუბიექტს, ვინაიდან ეს მოსპობს იმ მოტივაციას, რომელიც ლინიენსის პროგრამაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტს შეიძლება ჰქონდეს კარტელის გამოვლენის თვალსაზრისით.[313] დირექტივის მიხედვით (მუხლი 6(6), წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასამართლომ არასდროს დაავალოს მხარეებს ლინიენსის პროგრამასთან და მორიგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის/დოკუმენტების წარდგენა. [314]

მუხლი 7(2) ადგენს, რომ კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილვის დასრულებამდე მხარეს არ უნდა ჰქონდეს სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის წარდგენისას ისეთი მტკიცებულების დართვის უფლება, რომელიც მან კონკურენციის

---

[311] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1 [ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

[312] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.525.

[313] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 791.

[314] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1 [ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

სააგენტოს მასალებიდან მიიღო და სხვა გზით ვერ მიიღებდა.[315] როგორც ჩანს, ევროპელი კანონმდებელი ამით ცდილობს კონკურენციის სააგენტოში მიმდინარე პროცესში მონაწილეობა მხარემ არ გახადოს არაკეთილსინდისიერი მანიპულაციის საგნად სასამართლოში.

დირექტივას ხშირად აკრიტიკებენ მისი ფრაგმენტული და ეპიზოდური ხასიათის გამო. საკითხების გარკვეული წრე საკმაოდ დეტალურად არის მოწესრიგებული, თუმცა ბევრი მნიშვნელოვანი კითხვა ისევ წევრი სახელმწიფოების საპროცესო სამართალს რჩება პასუხის გასაცემად. ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილ ჰარმონიზაციას და არ ზღუდავს ამ მიმართულებით არსებულ ძლიერ ასიმეტრიას.[316]

3. კერძოსამართლებრივი აღსრულების ცალკეული საპროცესო საკითხები ევროპულ პრაქტიკაში

ა) განსჯადობა

კონკურნციის სამართლიდან გამომდინარე დავების სპეციფიკა ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებს, რომ კონკურენციის შეზღუდვის სამართლებრივი შედეგები ცდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს და შესაბამისად წარმოიშობა იურისდიქციული საკითხები, რომელიც სათანადო ყურადღებას და საწყის ეტაპზე გადაწყვეტას მოითხოვს.[317]

რეგულაცია 44/2001 სრულად რელევანტურია კონკურენციის საქმეებისთვისაც, ვინაიდან ზემოაღნიშნული რეგულაცია აწესრიგებს კოლიზიურ საკითხებს, რათა წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურ აღსრულებას სხვა წევრ სახელმწიფოში ხელი არ შეეშალოს. ზოგადი პრინციპი - სარჩელის შეტანა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით ამ შემთხვევაშიც ძალაშია. დამატებით სარჩელის შეტანა შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით (თუ დავა ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს) და მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ადგილის მიხედვით - როდესაც საქმე დელიქტებს ეხება. შესაბამისად,

---

[315] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1 [ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

[316] ***Rodger, Barry., Ferro, Miguel Sousa., Marcos, Francisco.,*** Promotion and Harmonization of Antitrust Damages Claims by Directive 2014/104/EU? in: ***Rodger, Barry., Ferro, Miguel Sousa., Marcos, Francisco., (Editors);*** The EU Antitrust Damages Directive, Transposition in the Member States, Oxford University Press, Oxford, 2018, p.57.

[317] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.352.

ეს ნორმები ძალაში რჩება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხარე კონკურენციის ნორმების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას წევრი სახელმწიფოს სასამართლოში ითხოვს. რეგულაცია ასევე იძლევა კოლექტიური სარჩელის შეტანის შესაძლებლობას რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, როდესაც მათ (მოპასუხეებს) ადგილსამყოფელი სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში აქვთ. ასეთ შემთხვევაში კომპეტენტურია სასამართლო ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმ პირობით, რომ სარჩელები სხვადასხვა მოპასუხის წინააღმდეგ უნდა იყოს შინაგანად ურთიერთდაკავშირებული და გამომდინარეობდეს ერთგვაროვანი სამართლებრივი ურთიერთობიდან. გარდა ამისა, მათი ერთობლივი გადაწყვეტა უნდა იძლეოდეს საქმის გაჭიანურების თავიდან აცილების შესაძლებლობას და გარდა ამისა უნდა გამორიცხავდეს მსგავს საქმეზე წევრი სახელმწიფოების სასამართლოების მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. [318]

ევროპის კავშირში იურისდიქციული საკითხების გადაწყვეტას საკმაოდ მდიდარი ნორმატიული ბაზა არეგულირებს, რომელთაგან მთავარი და ცენტრალური დოკუმენტია EU law for Jurisdiction and Choice of Court Regulation (EU) 1215/2012. ეს რეგულაცია ძალაშია 2013 წლის 1 იანვრიდან და პრაქტიკულად გამოიყენება 20115 წლის 10 იანვრიდან. ამ რეგულაციით მოხდა მისი წინამორბედის Regulation (EC) No 44/2001-ის ჩანაცვლება. თავის მხრივ Regulation (EC) No 44/2001-მ ჩაანაცვლა 1968 წლის ბრიუსელის კონვენცია სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, რომელიც თავის მხრივ ასევე არეგულირებდა საერთაშორისო იურისდიქციის საკითხებს ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. Regulation (EU) No 1215/2012 ადგენს უნიფიცირებულ წესებს ყველა მოპასუხისათვის, რომელსაც აქვს ადგილსამყოფელი ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.[319] იურისდიქციული საკითხები კომპანიის მიმართ, რომლებსაც აქვს ადგილსამყოფელი ევროპის კავშრის წევრი სახელმწიფოების საზღვრებს გარეთ, არ დარეგულირდება ზემოაღნიშნული რეგულაციით. ამ საკითხზე ცალსახა პოზიცია დააფიქსირა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე - Land Berlin vs. Ellen Mirjam Sapir. თუმცა ამავე დროს, რეგულაციის ნორმები თავისუფლად გავრცელდება იმ კომპანიის შვილობილზე, რომელსაც არ აქვს ადგილსამყოფელი ევროპის კავშირის ტერიტორიაზე, თუ შვილობილი ამ ტერიტორიაზე არის დომიცილირებული.[320] რეგულაციის 63 (1) მუხლის თანახმად, A

[318] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.72-73.
[319] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.353-354.
[320] *Ibid*, p.356.

company or other legal person or association of natural or legal persons is domiciled at the place where it has its statutory seat, central administration, or principal place of business.[321] როგორც ჩანს, აქ გაერთიანდა იურიდიული პირების იურისდიქციასთან დაკავშირებული ყველა თეორია და ალტერნატივის სახით შესთავაზეს წევრ სახელმწიფოებს, რომ არ მომხდარიყო რომელიმე ერთი თეორიის მხარდაჭერა.

12/15/2012-ის რეგულაცია არ ვრცელდება საარბიტრაჟო შეთანხმებებზე, ასევე იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც დომიცილირებული არიან მესამე სახელმწიფოში და არა ევროპის კავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.[322]

CDC-ის საქმეზე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ცალსახად დააფიქსირა, რომ რეგულაციის 25-ე მუხლით განსაზღვრული განსჯადობის არჩევა მხარეთა შეთანხმებით ასევე შეიძლება შეეხოს სარჩელებს კონკურენციის ნორმების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან 25-ე მუხლის ჩანაწერი უნივერსალურია და ეხება ყველა სარჩელს განსაკუთრებული გამონაკლისების გარეშე. შესაბამისად არ არსებობს რაიმე საფუძველი, რის გამოც ის არ უნდა შეეხოს კონკურენციის ნორმების კერძო აღსრულების მიზნით აღძრულ სარჩელებსაც.[323]

25-ე მუხლის ფორმულირება იძლევა საფუძველს იმის მტკიცებისა, რომ განსჯადობის არჩევის შესახებ შეთანხმება მაქსიმალურად ზუსტი და კონკრეტული უნდა იყოს. მხარეებს არ შეუძლიათ დადონ შეთანხმება, რომელიც იქნება ზოგადი და მათ შორის არსებული ან მომავალში წარმოშობილი პოტენციური დავების განუსაზღვრელ რაოდენობას მიაკუთვნებს ამა თუ იმ სასამართლოს განსჯადობას. არჩევისას მხედველობაში უნდა იქნებს მიღებული ნორმის რედაქცია, რომელიც უთითებს particular legal relashiship-ზე. ეს ფორმულა განმარტებულია, როგორც მხარეთა მიერ განსჯადობის არჩევის შესაძლებლობა კონკრეტულ დავაზე, რომლის წარმოშობაც მათ შეეძლოთ თავისუფლად ევარაუდათ შეთანხმების მომენტში. შეთანხმება, რომელიც ტოვებს ეჭვის საფუძველს, რომ მხარეს მისი იურისდიქციული ბედის წინასწარ გათვალისწინება არ შეეძლო და არჩევა მოხდა ზოგადი და აბსტრაქტული ფორმულირებების საფუძველზე - ასეთი შეთანხმება ნამდვილად ვერ ჩაითვლება. შესაბამისად, როგორც ევროპული სასამართლო, ასევე advocate general ფიქრობენ რომ შეთანხმების ფორმულირება all disuputes ვერ გაითვალისწინებს კონკურენციის ნორმების დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების სარჩელს, თუ შეთანხმების დადების მომენტისათვის თვით კონკურენციის ნორმების დარღვევა არ იყო

[321] *Ibid*, p.357.
[322] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.357.
[323] *Ibid*, p.262-357.

დადგენილი.[324] შესაბამისად, ვერც მხარეები შეძლებდნენ მის გათვალისწინებას ადრე დადებულ შეთანხმებაში. ამიტომ საღ აზრთან ყველაზე ახლოსაა რეკომენდაცია, რომ არჩევისას მაქსიმალურად ზუსტად მოხდეს მითითება იმ პოტენციურ დავაზე, რომელიც შეიძლება მხარეთა შორის წარმოიშვას. მაგალითად თუ შეთანხმება უთითებს „ყველა დავაზე, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობას კონკურენციის ნორმების დარღვევის გამო, მაშინ განჭვრეტადობის ტესტი, რომელსაც ევროპული ნორამტიული რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა ადგენს, ჩაბარებული იქნება და განსჯადობის შესახებ შეთანხმებას პრობლემა არ შეექმნება.[325]

რეგულაცია 1215/2012 რომელიც არეგულირებს იურისდიქციულ საკითხებს კონკურენციის ნორმების დარღვევიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელებზე, პირდაპირ მიუთითებს, რომ მისი მოქმედება არ ვრცელდება საარბიტრაჟო შეთანხმებებზე. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ამ მიმართულებით თითქმის არ არსებობს რაც უფრო მეტ გაუგებრობას და გაურკვევლობას ტოვებს ამ სფეროში. ეს საკმაოდ ართულებს მდგომარეობას, რადგან პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ ხელშეკრულებები, რომელიც არებობს ბაზრის მონაწილეებს შორის, ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმებას. თუ კონკურენციის ნორმების დარღვევით გამოწვეული ზიანი ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დადგება და შესაბამისად მხარე თავის სარჩელში მიუთითებს სწორედ ამ ხელშეკრულებაზე, მაშინ სასამართლოების უმრავლესობა ევროპაში მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ეს დავა არბიტრაჟში გააგზავნოს განსახილველად, რამაც შეიძლება დამატებითი პრობლემები წარმოშვას. CDC-ის საქმეზე და 12 15/2012 რეგულაციის 25-ე მუხლის ფორმულირებასთან დაკავშირებით ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დაფიქსირებული პოზიციის შემდეგ (იხ. ზევით) წევრი სახელმწიფოების ეროვნული სასამართლოები მივიდნენ დასკვნამდე, რომ იგივე რეჟიმი გაავრცელონ საარბიტრაჟო შეთანხმებებზეც. არსებობს ეჭვი, რომ საკითხის ასე გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი ის ვერ იქნება თავსებადი ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს საარბიტრაჟო ტრადიციებთან.[326] 25-ე მუხლთან დაკავშირებით Advocate General და სასამართლოს აზრი ის იყო, რომ თუ შეთანხმების დადების მომენტში კონკურენციის ნორმების შეზღუდვა და აქედან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გათვალისწინებული ვერ იქნებოდა, მაშინ არბიტრაჟი ამ დავას ვერ განიხილავს. შესაბამისად, ეს მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის დავის არბიტრაჟისათვის გადაცემასთან მხოლოდ იმიტომ, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ხელშეკრულებაში ჯერ

[324] *Ibid*, p.358-359.
[325] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.359.
[326] *Ibid*, p.361.

კიდევ მაშინ გაითვალისწინეს, როდესაც კონკურენციის ნორმების დარღვევა დადგენილი არ ყოფილა. ჩემი აზრით, ქართულ სინამდვილეში უნდა მოხდეს დავის გადაცემა არბიტრაჟისათვის ნებისმიერ შემთხვევაში თუ ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის ხელშეკრულებაში წერია საარბიტრაჟო შეთანხმება და არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ის გარემოება, ხელშეკრულების დადების დროს კონკურენციის დავის გათვალისწინება იქნებოდა შესაძლებელი თუ არა. ჩემი მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება ორი არგუმენტი იყოს:

- 1215/2012 რეგულაციის გამოყენება არბიტრაჟის მიმართ ეწინააღმდგება თვით ამ რეგულაციას, რომელიც ცალსახად გამორიცხავს საარბიტრაჟო შეთანხმებას თავისი მოქმედების სფეროდან;
- განსჯადობის არჩევისას დაფიქსირებული ნების ვიწრო განმარტება ემსახურება იმ მიზანს, რომ შეიზღუდოს ფართო და უადგილო forum shopping, რაც შეიძლება გარკვეულწილად უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველი გახდეს სხვადასხვა სახელმწიფოში არსებული განსხვავებული საპროცესო წესების გამო. სასამართლოსაგან განსხვავებით, არბიტრაჟი კოსმოპოლიტური ინსტიტუტია, რომლის საერთაშორისო სტანდარტი მეტნაკლებად უნივერსალიზებულია. ამავე დროს არსებობს ე.წ. arbitration friendly approach რომელიც ავალდებულებს სასამართლოებს არ იყვნენ ფორმალურები და არ მიემხრონ ვიწრო განმარტებას, როდესაც საქმე დავის არბიტრაჟისათვის გადაცემას ეხება.

ზემოაღნიშნული ორი არგუმენტი საკმარისი უნდა იყოს ქართველი კანონმდებლისათვის (რომელსაც ასევე საჭაროდ აქვს განცხადებული დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებისადმი და განსაკუთრებით კი არბიტრაჟისადმი ლოალური და მეგობრული დამოკიდებულება), რომ არ მოხდეს საარბიტრაჟო შეთანხმების არეალის შეზღუდვა და მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა არბიტრებს მიანდონ, მით უმეტეს, თუ ეს ზიანი ბაზრის მონაწილეებს შორის არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოიშვა და ამ ხელშეკრულებაში სწორედ საარბიტრაჟო შეთანხმებაა გათვალისწინებული.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ არანაირი პრობლემა არ იქმნება და შესაბამისად არც კითხვის ნიშნები გაჩნდება იმ საარბიტრაჟო შეთანხმებასთან მიმართებაში, რომელიც ზიანის ანაზღაურების გარემოებების წარმოშობის შემდეგ დაიდება და სადაც პირდაპირ იქნება მითითებული, რომ კონკურენციის შეზღუდვიდან გამომდინარე ანაზღაურების საკითხებია სწორედ არბიტრების კომპეტენცია და არა უბრალოდ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები.

იურისდიქციული საკითხების სწორად გადაწყვეტაზე რომ ბევრია დამოკიდებული ყველაზე მეტად ამტკიცებს Deutsche Bahn-ის საქმე. საქმის გარემოებები შემდეგში მდგომარეობდა: Deutsche Bahn-ი და 29 სხვა მოსარჩელე ედავებოდა Morgan-ს და სხვა ხუთ მოპასუხეს. სარჩელს წინ უძღოდა ევროპის კომისიის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ მოპასუხეები იყვნენ კარტელში და ეს ყველაფერი, როგორც ერთიანი და განგრძობადი დარღვევა (Single and Continous Infringement) 1988 წლიდან 1999 წლამდე გრძელდებოდა. კომისიამ დააჯარიმა ყველა, Morgan გარდა, რომელმაც ჯარიმაზე იმუნიტეტი ლინენსის პროგრამაში აქტიური მონაწილეობის გამო მიიღო. 2009 წელს საერთო იურისდიქციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა დანარჩენი ხუთი მონაწილის სარჩელი და კომისიის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. კომისიის გადაწყვეტილებაში ცალსახად იყო მითითებული რომ კარტელი ფარავდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის EEA ს წევრ ქვეყნებს, აღმოსავლეთ ევროპას და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსაც კი. 2010 წელს სარჩელი შეტანილ იქნა ინგლისის სასამართლოში. მოსარჩელეთა და მოპასუხეთა სია ასე გამოიყურებოდა:

- მოსარჩელეები: 12- გერმანიიდან, 6- გაერთიანებული სამეფოდან, 5 - ნიდერლანდებიდან, 2-იტალიიდან, 2- პორტუგალიიდან, 2 - შვედეთიდან, 1- ესპანეთიდან, 1- ნორვეგიიდან.
- მოპასუხეები: 3- გერმანიიდან, ერთი გაერთიანებული სამეფოდან, 1- ავსტრიიდან, 1- საფრანგეთიდან.

კონკურენციის ტრიბუნალმა გაიზიარა მოპასუხეების არგუმენტი, რომ ინგლისის სასამართლოს არ ჰქონდა იურისდიქცია განეხილა ეს დავა, ვინაიდან ერთადერთი მოპასუხე გაერთიანებული სამეფოდან იყო Morgan და მის წინააღმდეგ გასული იყო სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა კონკურენციის ტრიბუნალის გადაწყვეტილება, თუმცა უზენაესმა სასამართლომ თავის მხრივ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიიჩნია დაუსაბუთებლად. ამგვარად, იურისდიქციული საკითხის გადაწყვეტაზე დაიხარჯა უამრავი დრო და რესურსი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მნიშვნელობას.[327]

ზემოაღნიშნული რეგულირება სრულად შეესაბამება კონკურენციის დავების სპეციფიკას: ა) ასეთი სარჩელები როგორც წესი ერთი და იმავე კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარეობს; ბ) კონკურენციის ნორმების დამრღვევი

[327] ***Danov, Mihail.,*** Cross-Border Aspects of EU Competition Law Enforcement: Comprehensive Reform Needed? in:***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.205-206.

ეკონომიკური აგენტები როგორც წესი სრულად და სოლიდარულად აგებენ პასუხს მათი შეთანხმებული და კოორდინირებული ქმედებებით მიყენებული ზიანისათვის.[328]

ა) ჯგუფური/კოლექტიური სარჩელები

კონკურენციის დარღვევები და მათი შედგები ხშირად კვეთს ერთი სახელმწიფოს საზღვრებს. ამის გამო საკმაოდ დიდია forum shopping-ის როგორც შესაძლებობა, ასევე როლი. ევროპის კაშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ამ თვალსაზრისით საკმაოდ დიდი კონკურენციაა. როგორც Sir Gerald Barling UK Competition Appeals Tribunal-ის პრეზიდენტი მიუთითებდა, რომ გაზრდილი კონკურენციის გამო ინგლისს მოუწევს ბრძოლა საერთაშორისო კონკურენციის დავებისათვის საუკეთესო ფორუმის როლის შესანარჩუნებლად. სასამართლოს მიერ შეთავაზებულ „ასორტიმენტში“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად რჩება კოლექტიური სარჩელები, როცა ცალკე აღებული თითოეული მოსარჩელის მოთხოვნა იმდენად მცირეა, რომ მისთვის იურიდიული ხარჯების გაწევის რაციონალური საფუძველი არ არსებობს. ამ სარჩელის შეტანის მექანიზმის არსებობა ზრდის კონკრეტული მართლწესრიგის როგორც საუკეთესო ფორუმის როლს და მნიშვნელობას კერძოსამართლებრივი აღსრულების თვალსაზრისით.[329]

პირველი ჯგუფური სარჩელი (class actions) აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში გამოჩნდა მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან. ამის შემდეგ ამ ინსტიტუტმა ევოლუციის საკმაოდ გრძელი გზა გაიარა და ახლა უკვე გავლენას ახდენს ევროპისა თუ სხვა კონტინენტების სამართლებრივი სისტემების ანალოგიური გზით განვითარებაზე.[330] ე.წ. Opt Out Class Actions[331] ითვლება „გავრცელებული“ და „დიდი მასშტაბის“ მქონე დელიქტებისათვის საუკეთესო გამოსავლად აშშ-ის სამართლებრივ სისტემაში.[332] როგორც უზენაესმა სასამართლომ ერთერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, საპროცესო

---

[328] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.74.

[329] ***Hviid, Morten., Peysner, John;.,*** Comparing Economic Incentives Across EU Member States, in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.207.

[330] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.340.

[331] Article 23 (b) (3) of the US Federal Rules of Civil Procedure.

[332] ***Andreangeli, Arianna.,*** A View From Across the Atlantic: Recent Developments in the Case-Law of the US Federal Courts in Class Clarification in Antitrust Cases, in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.224.

კანონმდელობაში ამ ინსტიტუტის გათვალისწინებით კონგრესმა შექმნა კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული საკუთარი უფლებების რეალიზაციის ისეთი მექანიზმი, რაც ერთი მხრივ, მოახდენს პრევენციას და მეორე მხრივ, ჩამოართმევს დამრღვევებს მათი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიღებული სარგებლის გამოყენების შესაძლებლობას.[333]

კოლექტიური სარჩელები, როგორც კონკურენციის დარღვევის უარყოფითი შედეგების განეიტრალების და ზიანის ანაზღაურების ეფექტური საშუალება ინტენსიური დებატების საგანია ევროპის კავშირში. დიდი ბრიტანეთის გარდა დანარჩენი ევროპა ტრადიციულად სკეპტიკურად არის განწყობილი class actions მსგავსი კოლექტიური სარჩელების მიმართ. ევროპელები თვლიან, რომ კონკურენციის სამართალში class actions ამერიკულ მოდელს აქვს გარკვეული წამახალისებელი ეფექტი და შეიძლება დადებითად აისახოს კონკურენციის ნორმების ეფექტურ აღსრულებაზე, თუმცა მას ხშირად ახასიათებენ როგორც „ტოქსიურ კოქტეილს“ რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს უფლების ბოროტად გამოყენებას და სასამართლო პროცესების ქაოსურ წახალისებას.[334]

ე.წ. ჯგუფური/კოლექტიური სარჩელების რეგულირებას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს შვედური, ფრანგული და ავსტრიული კანონმდებლობა. არსებობდა რჩევა, რომ გერმანელ კანონმდებელსაც მიებაძა ამ მაგალითისათვის.[335] უფრო მეტიც, ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ევროპის კავშირმა კოლექტიური სარჩელების წახალისების/მათი დაფინანსების მიზნით ფონდიც კი უნდა შექმნას.[336] ფონდის იდეა ითვალისწინებს დამატებით ბიუროკრატიულ მექანიზმს, რომლის დაფინანსებაც საქართველოს შემთხვევაში დაკავშირებული იქნებოდა გაუმართელებელ ხარჯებთან. გადასახდის გადამხდელის ფულით მოვანდომოთ მოსარჩელეს სარჩელის წარდგენა იქ, სადაც ობიექტური გარემოებების გამო მას ამის გაკეთება უბრალოდ არ უღირს, რაციონალურ გადაწყვეტად ვერ გამოდგება. თუ შესაბამისი ფინანსური დაინტერესება და მოტივაცია იქნება, ეს ბაზარი თავისი განვითარების გზებს თვითონ მოძებნის ყოველგვარი დამატებითი ჩარევების გარეშე.

---

[333] ***Andreangeli, Arianna.,*** A View From Across the Atlantic: Recent Developments in the Case-Law of the US Federal Courts in Class Clarification in Antitrust Cases, in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.226.

[334] ***Hodges, Christopher.,*** Fast, Effective and Low Cost Redress: How Do Public and Private Enforcement and ADR Compare? in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.275.

[335] ***Bernhard, Jochen.,*** Kartellrechtlicher Individualschutz durch Sammelklagen, Veröffentlichungen zum Vervahrensrecht, Mohr Siebek, Tübingen, 2010, p.348.

[336] *Ibid*, p.348.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება, რომელიც ასეთი სარჩელის დადებით მხარედ განიხილება, არის მისი შეტანის სიმარტივე.[337] თუმცა, საეჭვოა, სიმარტივე იყოს ის, რის გამოც ამ სარჩელის შეტანა ღირს. გააჩნია იმასაც, ვისთვის არის მარტივი ასეთი სარჩელის წარდგენა. თუ ის იგულისხმება, რომ წარდგენა მარტივია მოსარჩელეებისათვის, მაშინ ნამდვილად ასეა, რადგან მათ პირიქით სთავაზობენ ამ მომსახურებას დაინტერესებული იურისტები და მათგან მხოლოდ ხელმოწერას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ითხოვენ, სანაცვლოდ კი მოგების მიღების შემთხვევაში საკმაოდ სარფიან გარიგებასაც ჰპირდებიან. თუ სარჩელის შეტანას იურისტების მხრიდან შევხედავთ, ნათელი გახდება, რომ ამ ყველაფერს სჭირდება უზარამაზარი ენერგია, ადამიანური რესურსი და დრო რათა: ა) ყველა მოსარჩელე დაითანხმო სარჩელის შეტანაზე; ბ) ცალკე შეისწავლო თითოეული მათგანის ეპიზოდი, მსგავსებები და განსხვავებები სხვების ქეისებთან; გ) გაანალიზო, ხომ არ ამცირებს საქმის მოგების შანსს კონკრეტული მოსარჩელეების „გაწევრიანება“ მოსარჩელეთა ამ „გაერთიანებაში“ და შესაბამისად მოახდინო ამ რისკების მინიმიზაცია, ან ასეთი წევრების დელიკატური გაყვანა ავანსცენიდან; ამ ყველაფერს მარტივად ვინც შეხედავს, საქმეს წინ ნამდვილად ვერ წასწევს. თუმცა, ეს შეუძლებელი არ არის სათანდო ენთუზიაზმისა და მოტივაციის პირობებში, რაც ამერიკული მოდელის შემთხვევაში იურისტებს ნამდვილად არ აკლიათ. შესაბამისად, მათი მზაობა ნამდვილად ამარტივებს სარჩელის შეტანის შესაძლებლობას ცალკეული მოსარჩელეებისათვის და საბოლოო ჯამში მათი ინტერესების ეფექტურ დაცვას ემსახურება.

სადავოდ ნაკლებად ხდება ხოლმე თავად ის საკითხი, რომ კოლექტიური სარჩელები მართლმსაჯულებაზე ეფექტური წვდომის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მექანიზმია და მისი მნიშვნელობა მხოლოდ კონკურენციის დავებით არ შემოიფარგლება.[338] ეს მიდგომა ზიანის ანაზღაურების დირექტივამაც გაიზიარა.[339]

Collective Action, რაც ევროპულ პრაქტიკასა და ზიანის ანაზღაურების დირექტივაშიც გამოიყენება, თავისი სამართლებრივი შინაარსით განსხვავდება იმ მოდელისაგან, რასაც აშშ-ში class action ეწოდება. Class action არის სარჩელი, რომლის წარდგენაც ხდება პირთა იდენტიფიცირებული, ან არაიდენტიფიცირებული ჯგუფის მიერ. არაიდენტიფიცირებული ჯგუფის მიერ სარჩელის წარდგენა ძირითადად აშშ-ში განვითარებული და დამკვიდრებული მოდელია. არსებობს ასევე representative action,

---

[337] ***Andreangeli, Arianna.,*** A View From Across the Atlantic: Recent Developments in the Case-Law of the US Federal Courts in Class Clarification in Antitrust Cases, in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.225.

[338] *Ibid*, p.251.

[339] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.183.

როდესაც საქმის წარმოება ხდება რომელიმე ასოციაციის (მაგალითად მომხმარებელთა ასოციაციის მიერ) მიერ მისი წევრების სახელით.[340] ევროპაში არსებობს სარჩელის/მოთხოვნის უფლების გადაცემის/დათმობის პრაქტიკა - assignment of claims, რომელიც საკმაოდ წარმატებით გამოიცადა მსხვილი კარტელის საქმეების შემდეგ აღძრული სარჩელებით. ამ შემთხვევაში ერთი დაინტერესებული სუბიექტი იღებს მოთხოვნებს რამდენიმე პოტენციური მოსარჩელისაგან, აერთიანებს მათ ერთ მოთხოვნად და ასე წარადგენს სასამართლოში.[341]

ამერიკული მოდელი ერთამენეთისაგან განასხვავებს opt in და opt out სცენარებს. Opt in შემთხვევაში ცალკეული პირები მონაწილეობენ კოლექტიურ სარჩელში, თუ ისინი აშკარად გამოხატავენ ამაზე თანხმობას. Opt out შემთხვევაში თითოეული მონაწილე ითვლება სარჩელის მონაწილედ, სანამ თვითონვე არ დააფიქსირებენ საწინააღმდეგოს. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზღვარის გავლება პრაქტიკაში არც თუ ხშირად არის მარტივი. საკმაოდ გამოიყენება კომბინირებული ვარიანტები რაც ფორმალურ კლასიფიკაციას აძნელებს.[342]

ზოგადად, opt in სისტემა გაცილებით ართულებს პროცესის მენეჯმენტს როგორც მოსარჩელეების, ასევე მოპასუხეების პერსპექტივიდან. ის პირები, ვინც პირდაპირ არ გამოხატავს თანხმობას, რომ შეუერთდეს ჯგუფს, ინარჩუნებს უფლებას დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს.[343] ასეთი არჩევანი ზრდის მოსარჩელის მხრიდან ხარჯების გაწევის ალბათობას და ტვირთს, მეორე მხრივ კი არ აძლევს მოპასუხეს შესაძლებლობას ერთიანობაში შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა. ამით მორიგების შანსი მცირდება. მოპასუხე ფიქრობს, რომ მორიგებაზე წასვლა არ აწყობს, რადგან მისი მხრიდან კომპრომისის შემთხვევაში შეიძლება ცალკეული მოსარჩელეები უფრო წახალისდნენ და სარჩელების უფრო დიდი რაოდენობა, ან ახალი კოლექტიური სარჩელიც კი მიიღოს. ამიტომ სისტემა ისე უნდა მუშაობდეს, რომ იყოს ორიენტირებული ჯგუფის მაქსიმალურ გამსხვილებაზე. საბოლოო ჯამში ასეთი დამოკიდებულება დადებითად აისახება როგორც მოსარჩელეების, ასევე მოპასუხის და რაც მთავარია, სამართლებრივი ბალანსის მიღწევის ინტერესებზე.

---

[340] ამერიკული მოდელი მოსარჩელეების სიმრავლის არაერთ მოდიფიკაციას იცნობს, რომლებიც სასამართლო პრაქტიკამ ჩამოაყალიბა და განავითარა. მაგალითად, Group Actions refer broadly to those actions which are less than a class action but more than joinder and are not representative actions. Group action therefore implies some sort of collective management of a number of separate claims that is a case management tools. დაწვრილებით იხ. ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.286.

[341] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.344.

[342] *Ibid*, p.286-287.

[343] *Ibid*, p.288.

კარგი იქნებოდა, ამერიკული მოდელის გათვალისწინებით და ქართული საპროცესო კანონმდებლობის სპეციფიკის მხედველობაში მიღებით დაემატოს ახალი თავი სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, რომელიც მისცემს შესაძლებლობას მოქალაქეებს ერთი დიდი სარჩელით დაიცვან თავი დიდი კომპანიებისაგან.

b) პარალელური პროცესები სხვადასხვა სასამართლოში

ერთი და იმავე მხარეებს შორის ერთი და იმავე დავის განხილვის აკრძალვა აქტუალურია ევროპის კავშირში და ამ საკითხს 1512/2012 რეგულაცია არეგულირებს. წევრი სახელმწიფოების სასამართლოებს შორის მსგავსი სიტუაციის წარმოშობა გარდაუვალია. ზემოაღნიშნული რეგულაცია ამბობს, რომ სასამართლომ, რომელმაც გაიგო, რომ მისთვის მიმართვამდე წევრი სახელმწიფოს სასამართლო უკვე იხილავს დავას იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძვლით, უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტამდე.,[344] კონკურენციის შესახებ კანონი ადგენს, რომ ამ კანონიდან გამომდინარე დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. საინტერესოა ამ შემთხვევაში განსჯადობის დადგენა უნდა გავრცელდეს თუ არა ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე? ჩემი აზრით უნდა გავრცელდეს: ა) დავა არის რთული კატეგორიის და ბიზნესთან დაკავშირებული. შესაბამისად მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც არის ბიზნეს დავების განმხილველი კოლეგია, შეიძლება წარადგინონ ასეთი სარჩელი; ბ) გაცილებით უფრო მარტივი იქნება ამ დავების მენეჯმენტი, მოსამართლეთა გადამზადება და ა.შ. აქაც თუ განსჯადობა თბილისზე იქნება კარგია, რომ ზედმეტი პრობლემები უცნობი სფეროს ათვისების დროს თავიდან იქნეს აცილებეული. შესაძლებელია, რომ გარკვეული ეტაპის გავლის შემდეგ მიენიჭოს ქუთაისის და ბათუმის სასამართლოებს იგივე ფუნქცია. სხვა სასამართლოებთან მიმართებაში ეს გამორიცხული უნდა იყოს, მაინც ნებისმიერ შემთხვევაში. შესაბამისად განსჯადობის არჩევის წესი ამ დავებზე არ უნდა გავრცელდეს და მხარეებს არ უნდა მიეცეთ მაგალითად ჩოხატაურის სასამართლოს არჩევის შესაძლებობა.

[344] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.377.

c) უზრუნველყოფის ზომები

ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ უზრუნველყოფის ზომები, როდესაც ეს აუცილებელია ევროპის კავშირის სამართლით დაცული უფლებების ეფექტური განხორციელების მიზნით. თუ სასამართლო თვლის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აუცილებელი და გამართლებულია, მაგრამ ეროვნული სამართალი ამის საშუალებას არ იძლევა, მაშინ სასამართლომ პირდაპირ ევროპული სამართალი უნდა გამოიყენოს და მას მიანიჭოს უპირატესობა.[345]

განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნით აუცილებლად უნდა შევიდეს სასამართლოში ცალკე დოკუმენტის ფორმით და არა უადრეს ძირითადი სარჩელის შეტანისა. ეს ნიშნავს, რომ სარჩელის შეტანამდე უზრუნველყოფის ზომის მოთხოვნის უფლებას ევროპული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სარჩელის უზრუნველყოფის ზომების გამოყენების შესახებ განცხადების დასაშვებობა დამოკიდებულია ძირითადი სარჩელის დასაშვებობაზე. თუ ძირითადი სარჩელის განსახილველად მიღების საფუძვლები აშკარად არ არსებობს, მაშინ არც უზრუნველყოფის განცხადებისათვის შემდგომი მსვლელობის მიცემა მოხდება.[346] როგორც წესი, კარტელთან დაკავშირებულ საქმეებში ევროპული სასამართლოები ერიდებიან უზრუნველყოფის ზომების გამოყენებას.[347]

პრაქტიკამ უზრუნველყოფის ზომების მიღების სტანდარტი დაამკვიდრა, რომელიც რამდენიმე კრიტერიუმს მოიცავს და უზრუნველყოფის ზომების გამოყენების ზოგადი საპროცესო წინაპირობებისაგან ბევრით არ განსხვავდება. ეს კრიტერიუმებია ა) სარჩელის დასაბუთებულობა -- უნდა არსებობდეს გონივრული ვარაუდი, რომ სარჩელი როგორც საპროცესო, ასევე მატერიალური თვალსაზრისით დამაჯარებელია და მისი დაკმაყოფილების ალბათობა მაღალია; ბ) გადაუდებლობა -- უზრუნველყოფის ზომების მიღება გადაუდებელი აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული; გ) არსებითი და გამოუსწორებელი ზიანი -- საჩივრის ავტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ უზრუნველყოფის ზომების მიუღებლობას მოჰყვება გამოუსწორებელი და არსებითი ზიანი; დ) ინტერესთა ბალანსი - უზრუნველყოფის ისეთი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომელიც საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის ოპტიმალურ გამოსავალს უზრუნველყოფს. [348]

---

[345] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.596.

[346] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.991.

[347] *Ibid*, p.992.

[348] *Ibid*, p.996-999.

d) კონფიდენციალურობა

1/2003 რეგულაციის 15(1) მუხლი აძლევს უფლებას სასამართლოს, რომელიც იხილავს კერძოსამართლებრივ აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმეს, მოსთხოვოს კომისიას ამ საქმესთან დაკავშირებული იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც უშუალოდ საქმესთან არის კავშირში. ამ შემთხვევაში კომისიას აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრება იმ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, რომელიც მოთხოვნილია სასამართლოს მიერ. იგივე წესი ვრცელდება წევრი სახელმწიფოების კონკურენციის ორგანოებზეც.[349]

კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებასთან მიმართებაში არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რომელიც პრაქტიკამ გამოიმუშავა: ა) კომისიისთვის განდობილი ინფორმაციის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ 101-ე და 102-ე მუხლების შეფარდების მიზნებისათვის; ბ) ინფორმაცია უნდა გამოიყენონ მხოლოდ და უშუალოდ კონკრეტულ საქმესთან კავშირში; [350]

გერმანული GWB 90 (2) პარაგრაფი კიდევ უფრო შორს მიდის და Bundesrkartellamt-ს ანიჭებს უფლებას საჯარო ინტერესის დასაცავად მიაწოდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი მოსაზრებები შესაბამის სასამართლოს და კიდევ უფრო მეტი -- სასამართლოს თხოვნით მოსთხოვოს ახსნა განმარტებები ეკონომიკურ აგენტებს და საბოლოო ჯამში თავისი მუშაობის რეზულტატი წარუდგინოს სასამართლოს.[351] ზოგადად 90-ე მუხლის სულისკვეთება ავალდებულებს Bundesrkartellamt-ს მაქსიმალურად დაეხმაროს სასამართლოს, რომელსაც დავის განხილვისას კონკურენციის ნორმების გამოყენება და მათი ინტერპრეტაცია უწევს.

e) მტკიცების ტვირთი

i. მტკიცების ტვირთის შინაარსი კერძოსამართლებრივი აღსრულებისას

[349] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.271-274.
[350] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.211.
[351] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.275.

მტკიცების ტვირთის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია რომ პირს, რომელიც ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, ჰქონდეს დაუბრკოლებელი წვდომა შესაბამის მტკიცებულებებზე, რაც კონკურენციის ნორმების დარღვევას უკავშირდება. ასეთი მტკიცებულებები კი, როგორც წესი, თავმოყრილია კონკურენციის იმ ორგანოს ფაილში, რომელმაც იმუშავა საქმეზე და დაადგინა კონკრეტული დარღვევები, რისთვისაც დამრღვევს დაეკისრა შესაბამისი საჯარო სამართლებრივი სანქცია.[352]

British Horseracing Board vs. Victor Chandler International: BHB ბრიტანეთში ცხენების შეჯიბრს უწევს ადმინისტრირებას, და ქმნის ამ შეჯიბრებზე დაფიქსირებული შედეგების მონაცემთა ბაზას. ამ ბაზაზე დაშვებისათვის ბუკმეკერული კომპანიები გარკვეულ ანაზღაურებას იხდიან BHB სასარგებლოდ. VCI ერთ-ერთი ბუკმეკერული კომპანიაა, რომელმაც მოსარჩელეს თანხა არ გადაუხადა. ამ უკანასკნელმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მოპასუხისათვის დაკისრება. მოპასუხემ თავის შესაგებელში სხვა არგუმენტებთან ერთად მიუთითა, რომ BHB-მა დაარღვია ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 102-ე მუხლი, რადგან როგორც ამ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე კომპანიამ, გადამეტებული ფასები დაუწესა სხვა კომპანიებს და მათ შორის VCI-ს. მოსარჩელემ summary judgment-ის მისაღებად მიმართა The Court of Justice Chancery Division-ს. Justice Laddie-მ არ გაიზიარა VCI-ის მტკიცება და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ 102-ე მუხლის აზრით ფასების გადამატებულობა უნდა აისახოს ფასების აშკარა და არსებით უსამართლობაში. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ შეფასება „მაღალი“ ან „დაბალი“ ფასი ყოველი კონკრეტული ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით იმდენად ფარდობითია, რომ ამ თვალსაზრისით მსჯელობა კარგს არაფერს მოუტანს სასამართლოს, რომელმაც სამართლებრივი სტაბილურობის ფუნქცია უნდა შეასრულოს. ამავე დროს ამ კონკრეტულ საქმეში BHB-ი არის არასამეწარმეო სუბიექტი, რომელიც ზრუნავს ბრიტანული ცხენების შეჯიბრის ინდუსტრიის სწორი ფუნქციონირებისათვის, ხოლო მის მიერ მიღებული თანხები ხმარდება არა მხოლოდ საჯარო ინტერესს და ემსახურება საზოგადოებას, არამედ იმ კომპანიების (ბუკმეკერების) ინტერესებსაც, რომლებიც მოგებას ნახულობენ ამ საქმიანობაში, როგორც ამას აკეთებდა VCI. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ აშკარად და არსებითად არასამართლიანი ფასის დაწესებას მოსარჩელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მტკიცების ტვირთის განაწილებას იმ შემთხვევისათვის, როდესაც 102-ე მუხლის დარღვევაზე მითითება კერძოსამართლებრივი დავის ფარგლებში ხდება. როგორც წესი, ამ ყველაფრის

[352] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.87.

დადგენა საჭიროებს დიდ დროს, რესურსებს, საექსპერტო დასკვნებს ეკონომისტებისა და ბუღალტრებისაგან. უბრალო მითითებას მხარის მხრიდან (დაბრალებას) კი არაფერი უდგას წინ. ამიტომ ის მხარე, რომელიც უთითებს ასეთ დარღვევაზე ვალდებულია თვითონ დაასაბუთოს დეტალურად თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება მის მიერ მითითებული დარღვევა. ვინაიდან VCI-ს ასეთი დასაბუთება არ წარმოუდგენია BHB-ის საქმიანობაში სასამართლომ 102-ე მუხლის დარღვევა ვერ დაინახა.[353]

ზიანის ანაზღაურების მოცულობის დადგენასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი იმდენად მკაცრი არ უნდა იყოს, რომ მან გამოიწვიოს ზიანის ანაზღაურების უფლების ფაქტობრივი გაუქმება. ეს პრინციპი დირექტივაშიც გადავიდა, რომელიც პირდაპირ ადგენს, რომ ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრამ არ უნდა გახადოს უფლების რეალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელი ან განსაკუთრებით რთული.[354]

ii. დამტკიცებული ფაქტების გავლენა სხვა საქმეზე

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რაც მტკიცების ტვირთის განაწილებისას წარმოიშობა, უკავშირდება ერთ დამრღვევთან დადებულ სხვადასხვა ხელშეკრულებებს, რომელთა მოქმედების არეალიც საკმაოდ ფართოა. მაგალითად, თუ სასამართლო 101-ე და 102-ე მუხლებთან წინააღმდეგობის საფუძვლით ბათილად ცნობს A მიმწოდებელსა და B დილერს შორის დადებულ ხელშეკრულებას და პირველს დააკისრებს ზიანის ანაზღაურებას მეორის სასარგებლოდ, ხოლო A აქვს მსგავსი კონტრაქტები იმავე ან სხვა სახელმწიფოში მოქმედ სხვა დილერებთანაც, მაშინ ლეგიტიმურად ისმის კითხვა, რამდენად და როგორ აისახება A და B შორის სასამართლო განხილვის შედეგი სხვების კონტრაქტებზე. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სხვებისთვის ზემოაღნიშნული შედეგი შეიძლება იყოს მტკიცებულება, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ შეიძლება მტკიცების ტვირთის შებრუნებაც კი გამოიწვიოს და A დაავალდებულონ ამტკიცოს კონტრაქტის ნამდვილობა. თუ ის ამას ვერ შეძლებს, მაშინ კონტრაქტი ავტომატურად ჩაითვლება ბათილად კონკურენციის ნორმებისადმი წინააღმდეგობის გამო და შესაბამისი სამართლებრივი შედეგებიც დადგება.[355]

---

[353] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016, . 276.

[354] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.195.

[355] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.75.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში იყო ზემოაღნიშნული მიდგომის დატესტვის შესაძლებლობა. ერთ-ერთ ქსელურ სუპერმარკეტს სამმა სადისტრიბუციო კომპანიამ უჩივლა სამოქალაქო წესით და კონკურენციის ნორმებისადმი წინააღმდეგობის გამო ხელშეკრულების ცალკეული მუხლების ბათილობა მოითხოვა. სასამართლოს ამ საქმეზე სამართლებრივი შეფასების გაკეთება არ მოუწია, რადგან მხარეთა შორის წარმოებული ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ სამივე დისტრიბუტორმა შეძლო ახალი სახელშეკრულებო პირობების შეთანხმება ქსელთან და შესაბამისად საქმის წარმოებაც შეწყდა.[356] შესაბამისად, უპასუხოდ დარჩა შეკითხვა, რამდენად გამბედავი იქნებოდა ქართული სასამართლო ევროპული მიდგომის გაზიარებისას. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ რაიმე წინააღმდეგობა ქართულ სამართალში მტკიცების ტვირთის ევროპული პრაქტიკის გაზიარებასთან დაკავშირებით, არ არსებობს და ალბათ არც უნდა არსებობდეს.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განსაკუთრებით ეფექტურია ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებაში. ერთი იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობებია და მეორე ის, რომ ვერტიკალურ შეთანხმებებთან დაკავშირებული საჯარო სამართლებრივი დაცვის საშუალებები გაცილებით ნაკლებად ეფექტური და სუსტია. 2014 წლის დირექტივა ძირითადად კარტელის მსხვერპლთა დაცვაზეა ორიენტირებული და ეხმარება მათ მტკიცებულებების ხელმისაწვდომობაში. დირექტივა პირდაპირ არ მიუთითებს, რომ ვერტიკალური შეთანხმებები ასევე აყენებს ზიანს ბაზრის მონაწილეებს. ამიტომ ამ მონაწილეთა მტკიცების ტვირთია, რომ მათ შეძლონ ზიანის არსებობის დადასტურება იმისთვის, რომ დირექტივით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვა და პრივილეგიები მიიღონ.

iii. მიზეზობრივი კავშირი, როგორც მტკიცების ერთ-ერთი ელემენტი ევროპულ პრაქტიკაში

კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საქმეები თავისი კომპლექსურობით და სირთულით არაერთ პრაქტიკულ საპროცესო პრობლემას წარმოშობს. ასეთ პრობლემებს შორის განსაკუთრებით აქტუალურია კონკურენციის შეზღუდვასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა და დამტკიცება.

[356] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის საქმე N2/7988-21

ასეთი კავშირების იდენტიფიცირებას ზოგჯერ ურთულესი ეკონომიკური ანალიზის ჩატარება სჭირდება ხოლმე.

Kone Case-ი ავსტრიული სასამართლოს ერთ-ერთი პრეცედენტული საქმეა, რომელმაც საკმაოდ დიდი ყურადღება მიიქცია კერძო აღსრულების განვითარების თვალსაზრისით. 2007 წელს ევროპის კომისიამ ჯამში 992 მილიონი ევროს ჯარიმა დაკისრა Kone Otis Schindler and ThyssenKrupp-ს 101-ე მუხლის დარღვევისათვის და ლიფტებისა და ესკალატორების ბაზარზე კარტელში მონაწილეობისათვის. დადგინდა, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ ე.წ. bid rigging კარტელში ბელგიის, გერმანიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ლიფტებისა და ესკალატორების ინსტალაციისა და მათი შემდგომი მომსახურების ბაზარზე. საქმე ისტორიაში შევიდა როგორც „ლიფტების კარტელი“ (elevator cartel). 2008 წლის ოქტომბერში, ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ, როგორც სააპელაციო ინსტანციამ, ძალაში დატოვა კარტელის სასამართლოს (Kartellgericht) გადაწყვეტილება. ჯარიმას მხოლოდ Thyssenkrupp გადაურჩა, ისიც ლინიენსის პროგრამაში აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობის გამო. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 1980-იანი წლებიდან 2004 წლამდე ზემოაღნიშნული ეკონომიკური აგენტები იყვნენ კარტელურ გარიგებებში ერთმანეთთან, აკონტროლებდნენ რა ავსტრიული ბაზრის თითქმის ნახევარს. მათი ეს მოქმედება საბოლოო ჯამში ზიანს აყენებდა მომხმარებლებს ფასებზე არსებული კარტელური ბატონობის გამო. ავსტრიის რკინიგზის ერთ-ერთმა შვილობილმა კომპანიამ - ÖBB Infrastruktur-მა მიმართა სამოქალაქო სასამართლოს და მოითხოვა კარტელის წევრების მიერ მიყენებული ზიანის - რვა მილიონი ევროს ანაზღაურება. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას ზიანი მიადგა, კარტელში შემავალი კომპანიების უმრავლესობის მხრიდან როგორც მათ პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ კლიენტს (მომხმარებელს). ამავე დროს, თანხის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, 1.8 მილიონი ევრო მოთხოვნილ იქნა სხვა ეკონომიკური აგენტისაგან, რომელიც არ იყო კარტელის წევრი, მაგრამ კარტელის არსებობის გამო არსებითად მნიშვნელოვანი ფასნამატით მიჰყიდა თავისი ტექნიკა და მომსახურება მოსარჩელეს. (Umbrella Pricing). პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, თუმცა ეს გადაწყვეტილება აპელაციაში გაუქმდა. მოგვიანებით, ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ umbrella pricing მოცემულობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების კარტელის წევრებისათვის მოთხოვნა ვერ აკმაყოფილებს მიზეზობრივი კავშირის და მტკიცების იმ სტანდარტს, რომელსაც ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 1295-ე მუხლი ითვალისწინებს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კარტელის წევრებს ბრალად ვერ შეერაცხებათ კარტელის არაწევრის მიერ განხორციელებული ქმედება. უფრო მეტიც, სასამართლომ მიუთითა,

რომ ევროპული სამართლის ნორმა, რომელიც დაარღვიეს კარტელის წევრებმა, მიზნად არ ისახავს ბაზრის მონაწილეთა დაცვას Umbrella Pricing-ის შედეგად შექმნილი მდგომარეობისგან. გარდა ამისა, ზიანი კარტელის წევრებისათვის წინასწარ უნდა ყოფილიყო სავარაუდო, ისინი კი საერთოდ არ აკონტროლებდნენ და არც ფლობდნენ ინფორმაციას და შესაბამისად არც აინტერესებდათ კარტელის არაწევრის საქმიანობა და მისი რეაქცია ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე. შესაბამისად კარტელის მონაწილეებისათვის იმ გარემოების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომლის გაკონტროლება და რომელზე გავლენის მოხდენაც კარტელის წევრებს არ შეეძლოთ, სასამართლომ არ მიიჩნია დასაბუთებულად. ამით ფაქტობრივად ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ თქვა, რომ ავსტრიული კონკურენციის სამართლის მიზანი არ არის მომხმარებლების დაცვა umbrella pricing-ის შედეგად მიყენებული ზიანისაგან. ასეთმა შეფასებამ გააჩინა სერიოზული კითხვები, თუ რამდენად არის ავსტრიული სამართლის ასეთი განმარტება შესაბამისობაში ერთიან ევროპულ კონკურენციის სამართალთან.[357] ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ არ მიიჩნია დასაბუთებულად ავსტრიის სასამართლოს განმარტება და მიუთითა, რომ წევრი სახელმწიფოების უნივერსალური ვალდებულებაა დაიცვან მომხმარებლები და ბაზრის სხვა მონაწილეები 101-ე და 102-ე მუხლებით გამოწვეული ნეგატიური სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგებისაგან და შესაბამისად შეუქმნან მათ ყველა პირობა ზემოაღნიშნული ნორმების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით. ევროპული სასამართლოს აზრით, ფაქტობრივად ეჭვის ქვეშ დგება 101-ე მუხლის ეფექტურობა და მისი პირდაპირი დანიშნულება, თუ ის არ დაიცავს მომხმარებლებსა და ბაზრის სხვა მონაწილეებს მათ შორის Umbrella pricing-ის მოცემულობით გამოწვეული ნეგატიური შედეგებისაგან.[358]

iv. ზიანის ოდენობის დადგენის ტექნიკა და მეთოდები

მომხმარებლებისათვის კერძო აღსრულების უფლების აღიარება არ გულისხმობს იმის შესაძლებლობას, რომ მათ უბრალოდ გამოაკლონ კარტელის შედეგად დადგენილ ფასს ის ფასი, რომელიც იარსებებდა თავისუფალი კონკურენციის პირობებში და ის თანხა მოითხოვონ როგორც ზიანი. ასეთი მექანიკური გაანგარიშებები კონკურენციის სამართალში არ მუშაობს და სერიოზულად ვერ ჩაითვლება.

---

[357] ***Butorac Malnar, Vlatka.,*** The *Kone* Case: A Missed Opportunity to Put the Standard of Causation Under the Umbrella of the EU, in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p. 177-178.

[358] *Ibid*, p.178-179.

აუცილებელია შესაბამისი ეკონომიკური ანალიზი და მეთოდოლოგია, რომელმაც უნდა შეძლოს ზიანის ოდენობის მაქსიმალური სიზუსტით დადგენა და დასაბუთება.[359]

კვლევევის უმრავლესობა უთითებს, რომ ჯარიმები მაინც მცირეა იმისთვის, რომ სანქციის სახით გამოყენებულმა ჯარიმამ პრევენციის ფუნქციის შესრულება შეძლოს. ამიტომ მიიჩნევა, რომ კერძოსამართლებრივი აღსრულების ეფექტური მექანიზმების განვითარებას შეიძლება უფრო მეტი პრევენციული ეფექტი ჰქონდეს ვიდრე თუნდაც სანქციების ზრდას.[360]

კონკურენციის შეზღუდვის გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სარჩელების რაოდენობა განუხრელად იზრდება. განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ეს ე.წ. follow on სარჩელებზე. შესაბამისად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც მოსარჩელის მტკიცების ტვირთია და რაზეც შეიძლება ითქვას რომ გადამწყვეტად არის დამოკიდებული სარჩელის წარმატებისა თუ წარუმატებლობის საკითხი, ეს სწორედ ზიანის ოდენობის სარწმუნო დადასტურებაა.[361] როგორი ნათელი და ერთმნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მოპასუხის მიერ კონკურენციის ნორმების დარღვევა, თუ მოსარჩელე ვერ შეძლებს მის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობის კანონიერებისა და დასაბუთებულობის მტკიცებას, მაშინ სარჩელის დაკმაყოფილებას მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნება.

ამ მიმართულებით არსებული ლიტერატურა ძირითადად კარტელისგან მიყენებული ზიანის დათვლის მეთოდებზეა ფოკუსირებული.[362]

არსებობს მოსაზრება, რომ ევროპული დირექტივა, განსხვავებით ამერიკული პრაქტიკისაგან, არ მოითხოვს კერძო აღსრულების ინიციატორი მხარის მიერ პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტის დამტკიცებას. აშშ-ში ზიანის არსებობის ფაქტის გარეშე ეს არ გამოვა. თუმცა დირექტივის ტექსტიდან როგორ გამომდინარეობს ეს დასკვნა - ბუნდოვანია.[363]

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით მიყენებული ზიანის დადგენისათვის აუცილებელია იმ მდგომარეობის მოდელირება, რომელიც ბაზარზე იარსებებდა, რომ არ მომხდარიყო კონკურენციის შეზღუდვა დომინირებული

---

[359] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p. 789.

[360] ***Danov, Mihail.,*** Cross-Border Aspects of EU Competition Law Enforcement: Comprehensive Reform Needed? in: ***Tomljenovic, Vesna., Bodiroga-Vukobrat, Nada., Butorac Malnar, Vlatka., Kunda, Ivana., (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017, p.199.

[361] ***Maier-Rigaud, Frank., Schwalbe, Ulrich.,*** Quantification of Antitrust Damages, in: ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.402.

[362] *Ibid*, p.402.

[363] ***Monti, Giorgio.,*** Liability Issues not codified by the Damages Directive: how to fill gaps? in: ***Parcu, Pier Luigi., Monti, Giorgio., Botta, Marco.,*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.44.

მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ხარჯზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, რა სარგებელს ნახავდნენ ბაზრის დაზარალებული მონაწილეები და რა ფასს გადაიხდიდნენ შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაში საბოლოო მომხმარებლები.[364]

თუ კომპანიები ერთობლივად არღვევენ კონკურენციის ნორმებს, როგორც ეს კარტელის შემთხვევაში ხდება, მათ სოლიდარულად უნდა აგონ პასუხი და შემდგომში ერთმანეთის მიმართ უჩნდებათ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება თუ რომელიმე თვლის, რომ იმაზე მეტი გადაიხადა, ვიდრე მისი წილი შეიძლებოდა ყოფილიყო კარტელში მისი მონაწილეობის ხარისხის გათვალისწინებით.[365]

ერთ-ერთი ევროპული კვლევა ადასტურებს, რომ B2B დავების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ ხშირად არამონეტარული მოთხოვნებით გამოირჩევა. მაგალითად, მოსარჩელეები ხშირად ითხოვენ ამა თუ იმ ქმედების შეწყვეტას, ამ ქმედების კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებად აღიარებას (აღიარებითი სარჩელი, რომლის იურიდიული ინტერესიც იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლოა ასეთმა აღიარებამ ხელშეკრულების ან მისი ნაწილის ბათილობა გამოიწვიოს). ასევე საკმაოდ ხშირია კონკურენციის ნორმებზე დაყრდნობით მოპასუხეების მიერ სარჩელზე პასუხის გაცემა (სხვადასხვა მართლწესრიგში ეს „პასუხი“ შეიძლება იყოს შეგებებული სარჩელი, ან უბრალოდ შესაგებელი, სადაც მხარე საკუთარი პოზიციის დაცვას ცდილობს). ასეთ შეგებებულ სარჩელებში/შესაგებლებში კონკურენციის ნორმებზე მითითებით ითხოვენ იმ ხელშეკრულების ბათილობას, რომელიც მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, ან მის არასათანადოდ და არაჯეროვნად შესრულებას მოპასუხე იმით ხსნის, რომ კონკრეტული ხელშეკრულება ან მისი რომელიმე ნაწილი ბათილია კონკურენციის ნორმებთან წინააღმდეგობის გამო. ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია.[366]

ერთ-ერთ საქმეზე ლატვიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამომყენებელი მოპასუხის მიერ მიღებული მთელი შემოსავალი კი არ უნდა ჩაითვალოს იმ ზიანად, რომელიც მოსარჩელეს შეიძლება მიადგეს, არამედ მხოლოდ ის ზიანი, რომელიც უშუალოდ დომინანტური

---

[364] ***Maier-Rigaud, Frank., Schwalbe, Ulrich.,*** Quantification of Antitrust Damages, in: ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.445.

[365] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1 [ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

[366] ***Hviid, Morten., Peysner, John.,*** Comparing Economic Incentives Across EU Member States, in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.216.

მდგომარეობის ბოროტად გამოყენებიდან დადგა. ეს ზიანი უნდა დაითვალოს ბაზარზე წილების იმ განაწილებით, რომელიც არსებობდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებამდე. ამავე დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მოპასუხის მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალი, არამედ ის კონკრეტული მოგება, რომელიც ზიანის მიმყენებელმა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით მიიღო.[367] ზიანის ანაზღაურების ფარგლებისადმი ასეთი ფრთხილი დამოკიდებულება კონტინენტური ევროპის სამართლისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომელსაც ალბათ ვერც ქართული სასამართლო პრაქტიკა გაექცევა.

ვ) კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილების როლი მტკიცების პროცესში

1/2003 რეგულაციის 16 (1) მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც კომისიის მიერ კონკურენციის სამართლის სფეროში მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა წევრი სახელმწიფოების სასამართლოებისა და შესაბამისი ორგანოებისათვის და მათ არ აქვთ უფლება გამოიტანონ მისგან განსხვავებული გადაწყვეტილებები - არ ნიშანვს წევრი სახელმწიფოების სასამართლოების შეზღუდვას - დამოუკიდებლად გადაწყვიტონ კერძო სამართლებრივი საკითხები, მაგალითად ზიანის ოდენობა, ან მიზეზობრივი კავშირი დარღვევასა და ზიანის ოდენობას შორის და ა.შ.[368] ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო თავისუფალია და კომისიის გადაწყვეტილება არ გულისხმობს კერძო დავის განმხილველი სასამართლოს მიერ მისთვის რაღაც ოქროს მტკიცებულების მსგავსი ფუნქციის აკიდებას, რის შემდეგაც მხარეს თითქმის არაფრის დამტკიცება აღარ მოუწევს.

საგულისხმოა, რომ გერმანული კანონმდებლობა კიდევ უფრო ამყარებს მტკიცებულებათა არეალს და GWB 33-ე პარაგრაფზე და ZPO 286-ზე დაყრდნობით ადგენს, რომ გერმანული სასამართლოსათვის, რომელიც კონკურენციის ნორმების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების საკითხს იხილავს, სავალდებულოა როგორც ევროპის კომისიის, ასევე Bundeskartellamt-ის და წევრი სახელმწიფოების კონკურენციის ორგანოების შესაბამისი გადაწყვეტილებები.[369] როგორც მახსოვს, ამ შემთხვევაში

[367] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.187.
[368] *Ibid*, p.139.
[369] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.151.

ზოგიერთი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილებას და მის მიერ დადგენილ გარემოებებს სავალდებულოდ არ განიხილავს და არც მტკიცებულებით ღირებულებას ანიჭებს.

მაგალითად ესპანეთში სადავო არ არის, რომ კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრებულა, ან გასაჩივრდა, მაგრამ ძალაში დარჩა სასამართლოების მიერ, ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც მტკიცებულება ზიანის ანაზღაურების სარჩელისათვის. ეს პრაქტიკა ძალაში იყო როგორც 2014 წლის დირექტივის მიღებამდე, ასევე ამ დირექტივის შემდეგაც და არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მომავალში რაიმე რადიკალურად შეიცვლება.[370]

g) ბრალი

2014 წლის ევროპული დირექტივა არ იძლევა ერთიან და პირდაპირ პასუხს კითხვაზე, კერძო აღსრულების დროს, მოპასუხის ბრალის გამოკვეთა აუცილებელია, თუ მთავარია კონკურენციის შემზღუდავი ქმედების და ზიანის არსებობა და ბრალზე საუბარი არ შეიძლება იყოს. როგორც აღნიშნავენ, ამ მიმართულებით მოსაზრებები იყოფა. მაგალითად, Manfredi საქმეზე პირველად მოხდა სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმების და წინაპირობების გამოკვეთა და იქ სასამართლოს ბრალის საკითხი საერთოდ არ უხსენებია, თუმცა ამავე დროს ევროკავშირის ბევრი წევრი სახელმწიფოს ეროვნული სამართალი ბრალის არსებობას ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობად მიიჩნევს. გასათვალისწინებელია, რომ კონკურენციის შემზღუდავი ქმედების განხორციელებისას დამრღვევს შეიძლება არც ჰქონდეს გაცნობიერებული და რაც მთავარია არც შეეძლოს გაცნობიერება, რომ კონკრეტულ ბაზრის მონაწილეს აყენებს ზიანს. შეიძლება ეს ყველაფერი კომპლექსური კვლევის შედეგად დადგინდეს. [371] შესაბამისად ამ დროს გაჭირდება იმის მტკიცება, რომ დამრღვევი მოქმედებდა განზრახ ან თუნდაც უხეში გაუფრთხილებლობით კონკრეტულ პირებთან მიმართებაში, როდესაც ამ პირების არსებობის შესახებ შეიძლება დამრღვევმა საერთოდ არაფერი იცოდეს და კონკრეტულად და უშუალოდ ქმედებებს მათ წინააღმდეგ და მათი უფლებების დასარღვევად არც ახორციელებდეს.

---

[370] ***Maillo, Jeronimo.,*** Antitrust Damages claims in Spain: before and after the Damages Directive, in: ***Parcu, Pier Luigi., Monti, Giorgio., Botta, Marco.,*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p. 155.

[371] ***Monti, Giorgio.,*** Liability Issues not codified by the Damages Directive: how to fill gaps? in: ***Parcu, Pier Luigi., Monti, Giorgio., Botta, Marco.,*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.47-48.

h) გამოსაყენებელი სამართალი

წევრი სახელმწიფოს სასამართლო კონკურენციის დავის განხილვისას იყენებს თავის საპროცესო სამართალს (lex fori), ხოლო მატერიალური სამართლის განსაზღვრისათვის სრულად გამოიყენება რეგულაცია 864/2007 არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებული სამართლის შესახებ (ე.წ. Rome II Regulation). როდესაც კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები და მათი თანმხლები შედეგები რამდენიმე წევრ სახელმწიფოშია, რეგულაცია აძლევს უფლებას მოსარჩელეს აირჩიოს ერთი წევრი სახელმწიფოს სასამართლო, მიმართოს მას და გადაწყვიტოს, რომ ამავე სახელმწიფოს მატერიალური სამართლის მიხედვით სურს სარჩელის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში სხვა წევრ სახელმწიფოებში ჩადენილი ქმედებებიც სასამართლოს მიერ შეფასდება არჩეული მატერიალური სამართლის მიხედვით.[372] ფაქტობრივად სახეზე გვაქვს forum shopping, რომელიც ალბათ კონკურენციის სამართლისათვის იმდენად აქტუალური ვერ იქნება, რადგან ამ შემთხვევაში მატერიალური სამართლის ნორმები მაქსიმალურად ჰარმონიზებული და დაახლოებულია ერთმანეთთან. შესაძლოა განსხვავებული რეგულირება ზიანის ანაზღაურების ოდენობას ან სხვა ტექნიკურ საკითხებს შეეხებოდეს, რაც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს თვითონ მოსარჩელისათვის. ამიტომ მაინც რჩება გარკვეული ადგილი და სივრცე სარფიანი forum shopping-ისათვის.

გერმანულ სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველია BGB 249 პარაგრაფი, რომელიც ადგენს, რომ ზიანის ანაზღაურების შედეგად უნდა აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ხსენებული მუხლი ასევე იძლევა შესაძლებლობას მოთხოვნილ იქნეს მიუღებელი შემოსავალიც.[373] ევროპის კავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ მოთხოვნილი იქნეს მორალური ზიანის ანაზღაურებაც. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ფრანგულმა სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა 50 000 ევრო როგორზც ზიანი, 200 000 ევრო როგორც მიუღებელი შემოსავალი და 100 000 ევრო როგორც მორალური ზიანის ანაზღაურება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების დასაბუთება არც თუ ისე სოლიდურად გამოიყურება. სასამართლომ უბრალოდ აღნიშნა, რომ ეს ზიანი წარმოიშვა იმ რეპუტაციული პრობლემებისგან, რომელიც შეექმნა

[372] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.74.
[373] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.184.

მოსარჩელეს იმის გამო, რომ მოპასუხემ ბოროტად გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ბაზარზე და კონკურენციის ნორმების დარღვევით განდევნა მოსარჩელე ბაზრიდან.[374]

ევროპული და წევრი სახელმწიფოების სამართლის ერთობლივი გამოყენება პრაქტიკაში საკმაოდ საინტერესო სცენარების განვითარების საშუალებას იძლევა. მაგალითად, ლატვიურ Airbaltic-ის საქმეზე სამოქალაქო სასამართლომ დაადგინა 101-ე მუხლის დარღვევა მაშინ, როდესაც ლატვიის კონკურენციის ორგანომ ასეთი რამ ვერ აღმოაჩინა საქმეში. საქმე ეხებოდა რიგის აეროპორტის მიერ დისკაუნტის სისტემის შექმნისა და გამოყენებას Air Baltic-თან მიმართებაში. საგულისხმოა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, ფასდაკლების სისტემა გამოიეყენებოდა და მისი გამოყენების იდეა გაჩნდა კანონით დადგენილი სავალდებულო რეგულაციების შედეგად. რიგის აეროპორტი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან მისი ავტონომიური ქმედება სახეზე არ ყოფილა და ის მოქმედებდა სავალდებულო დანაწესის ფარგლებში. ამის მიუხედავად, Air Baltic-ს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 101-ე მუხლის დარღვევის გამო, ვინაიდან ჩაითვალა, რომ ფასდაკლება მიღებული იყო კონკურენციის ნორმების დარღვევით. ეს ყველაფერი მოხდა იმის ფონზე, რომ ლატვიურმა კონკურენციის ორგანომ Air Baltic-ის საქმიანობაში 101-ე მუხლის დარღვევის ნიშნები ვერ აღმოაჩინა. საბოლო ჯამში Air Baltic-ს დაეკისრა 16 მილიონი ევროს ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე FlyLAL-ი ითხოვდა რიგის აეროპორტისაგან და Air Baltic-ისაგან 58 მილიონი ევროს ანაზღაურებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც წარმოშობდა საკმაოდ ბევრ კითხვას ევროპული და ნაციონალური სამართლის ურთიერთმიმართების კუთხით, გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ შეაჩერა საქმის განხილვა და მიმართა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შესაბამისი პოზიციის დაფიქსირების მოთხოვნით.[375]

რაც შეეხება გამოსაყენებელი სამართლის არჩევას, ამ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, Rome II რეგულაცია მოქმედებს და კონკრეტულად მისი 6(3) მუხლი, რომლის თანახმადაც, კონკურენციის შეზღუდვიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების სარჩელების მიმართ გამოყენებული იქნება იმ წევრი სახელმწიფოს სამართალი, სადაც ევროპულ ბაზარს ზიანი მიადგა, ან პოტენციურად შეიძლებოდა მისდგომოდა კონკურენციის შემზღუდავი ქმედებით. თუ კონკურენციის შემზღუდავმა ქმედებამ ერთიან ევროპულ ბაზარს ზიანი რამდენიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიაყენა, მაშინ

[374] *Ibid*, p.184.
[375] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.187.

შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, რომლის სასამართლოც განსჯადია და რომელსაც მიმართა მხარემ, იმ პირობით, რომ ბაზრისათვის ზიანის მიყენება ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზეც მოხდა.[376]

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ არ შეიცავს რეგულირებას კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სარჩელების საერთაშორისო განსჯადობასა და გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება გარდაუვალია. მით უმეტეს, რომ ბაზრის გლობალიზაცია ნამდვილად წარმოშობს ახლო მომავალში ისეთ საქმეებს, სადაც კონკურენციის შეზღუდვიდან გამომდინარე კერძო სამართლებრივი დავების საზღვრები საქართველოს გასცდება, ან პირიქით, ქართული ბაზარი შეიძლება მოექცეს უცხოური სასამართლოების ყურადღების ცენტრში, რაც დღის წესრიგში დააყენებს ქართული სამართლის გამოყენების საჭიროებას.

i) სოლიდარული პასუხისმგებლობა

როდესაც კონკურენციის ნორმების დარღვევაზე რამდენიმე სუბიექტი ერთდროულად იქნება დამრღვევად მიჩნეული, ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს ასეთი ქმედებით მიყენებული ზიანისათვის. კონკურენციის სამართლისათვის ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ დაზარალებულს შეუძლია უჩივლოს ნებისმიერ დამრღვევს და მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება. ასეთი მიდგომა ევროპული სამართლის უნივერსალური პრინციპია და ძირითადად მხარდაჭერილია წევრი სახელმწიფოების სასამართლოების მიერაც.[377]

სოლიდარული პასუხისმგებლობისაგან გამონაკლისი არსებობს SME კომპანიების მიმართ. ისინი პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ მათ მიერ უშუალოდ მიყენებულ ზიანზე, თუ: ა) SME ეკონომიკური აგენტის წილი ბაზარზე 5%-ზე ნაკლებია; ბ) სოლიდარული პასუხისმგებლობის მასზე გავრცელებამ შეიძლება არსებითად დააზარალოს კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობა.[378]

ევროპის კავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, დედა კომპანია პასუხს აგებს შვილობილის ქმედებებისათვის, თუ ეს უკანასკნელი მოქმედებდა უშუალოდ მისი ინსტრუქციების შესასრულებლად და თუ შვილის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე დედა კომპანიას არსებითი და გადამწყვეტი გავლენა

---

[376] *Ibid*, p.390.
[377] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.221.
[378] *Ibid*, p.227.

ჰქონდა. იგივე პრინციპის გავრცელება კონკურენციის შეზღუდვით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე ცალსახად გაზიარებული არ არის. ლოგიკურია, რომ თუ დედა კომპანია იზიარებს კონკურენციის სამართლიდან გამომდინარე საჯაროსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ჯარიმდება, მაშინ მან იგივე ბედი უნდა გაიზიაროს კერძოსამართლებრივი აღსრულების პროცესშიც. კორპორაციული საფარვლის გარღვევისა და კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეული შედეგების კვალიფიკაციისადმი სხვადასხვა მართლწესრიგების განსხვავებული მიდგომა ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა.[379]

j) პროცენტი

სასამართლო გადაწყვეტილებით შეიძლება მხარეს ასევე დაეკისროს პროცენტის გადახდა, რაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საპროცესო კანონმდებლობით და მაშასადამე განსხვავებულადაც რეგულირდება.[380]

ჯერ კიდევ Manfredi-ს გადაწყვეტილებამ აღიარა დაზარალებულის უფლება მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებელს. როგორც წესი, პროცენტის გადახდა დაკავშირებულია მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრასთან, რომელიც შემდგომში უნდა გამრავლდეს კონკრეტულ დროის პერიოდზე. მოგვიანებით დირექტივაში კოდიფიცირებული იქნა, რომ პროცენტი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ზიანის მიმყენებელი ქმედების განხორციელების მომენტიდან ზიანის რეალურად ანაზღაურებამდე. როგორც წესი, კარტელების უმრავლესობა რამდენიმე წელი, ზოგჯერ ათწლეულებიც კი არსებობს, ვინაიდან მათი აღმოჩენა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. შემდგომში საკმაოდ დიდი დრო, როგორც წესი რამდენიმე წელი სჭირდება ხოლმე კონკურენციის ორგანოს მიერ მის დადგენას და სასამართლოში ამ პოზიციის დაცვას. მხოლოდ ამის შემდეგ დაწყებული კერძო აღსრულების პროცესიც ამა თუ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობების და ზოგადად მსოფლიოში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით დროში საკმაოდ იწელება. შესაბამისად, ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეიძლება პროცენტი იქნეს მოთხოვნილი შეიძლება საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდეს.[381] სასამართლომ ამ კუთხით აუცილებლად უნდა

---

[379] ***Monti, Giorgio.,*** Liability Issues not codified by the Damages Directive: how to fill gaps? in: ***Parcu, Pier Luigi., Monti, Giorgio., Botta, Marco.,*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.49.

[380] ***Schrieber, Till., Krüger, Karsten., Burke, Padriac.,*** Practical Challenges for cross-border follow on actions, in: ***Parcu, Pier Luigi., Monti, Giorgio., Botta, Marco.,*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p. 25.

[381] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.262-264.

გაითვალისწინოს და დაიცვას სამართლიანი ბალანსი ზღვრული ოდენობის განსაზღვრისათვის, რათა დროზე გამრავლების შემდეგ ისეთი ციფრი არ მიიღოს, რომელიც უფრო punitive damages ანაზღაურებას დაემსგავსება ვიდრე პროცენტს.

Punitive damages მოთხოვნა ევროპის კავშირში კონკურენციის ნორმების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების საქმეზე, ისევე როგორც ალბათ სხვა ნებისმიერ საქმეზე გამორიცხულია.[382]

k) სასამართლო ხარჯები

კერძო აღსრულების ერთ-ერთ დიდ დაბრკოლებად ითვლება იურიდიული ხარჯები და შედეგის წინასწარ განსაზღვრის სირთულე. ევროპული სახელმწიფოების ნაწილი ამ პრობლემის გადაჭრას იურიდიული მომსახურების რეგულირებით ცდილობს. კერძოდ იურიდიულ ფირმებს ენიჭებათ უფლება მოითხოვონ ე.წ. წარმატების მაღალი ჰონორარი და არ გადაახდევინონ წინასწარ თანხა იმ პირებს, ვისაც კონკურენციის შეზღუდვით მიყენებული ზიანის სასამართლო წესით ანაზღაურება სურთ.[383]

აშშ-ში კონკურენციის დავებზე იურისტების contingency fees დაშვებულია და უფრო მეტიც, კერძო აღსრულების წახალისების მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა, თუმცა ევროპის კომისია მსგავს ანაზღაურებას იურისტებისათვის მიუღებლად მიიჩნევს. დოქტრინაში გამოთქმულია აზრი (რომელიც განსაკთრებით დიდ ბრიტანეთშია პოპულარული), რომ ეს ანაზღაურება მხოლოდ წაადგება კერძო ინიციატივას და კერძო აღსრულებას კონკურენციის სამართალში.[384]

Contingency Fee, რომელსაც ინგლისში უწოდებენ conditional fee-ს ევროპის კავშირის სახელმწიფოების უმრავლესობის საპროცესო კანონმდებლობით მოსარჩელეს მოპასუხე არ უნაზღაურებს. მოსარჩელეს, რომელიც მოიგებს პროცესს, მოპასუხემ შეიძლება აუნაზღაუროს გარკვეული ხარჯები გონივრულობის ფარგლებში, ან საქმის გარემოებების გათვალისწინებით მოსამართლემ საერთოდ არ დააკისროს მეორე მხარეს იურიდიული მომსახურების ხარჯები. კონტრასტს ქმნიდა და ქმნის ინგლისური კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს მსგავსი სახის ანაზღაურების დაკისრებას მეორე მხარისათვის (რაც გულისხმობს იურისტისთვის გადასახდელი ბონუს თანხის

---

[382] *Ibid*,, p.202.

[383] ***Schrieber, Till., Krüger, Karsten., Burke, Padriac.,*** Practical Challenges for cross-border follow on actions, in: ***Parcu, Pier Luigi., Monti, Giorgio., Botta, Marco.,*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.38.

[384] ***Rodger, Barry.,*** Institutions and Mechanisms to Facilitate Private Enforcement, in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.59.

მოპასუხეზე დაკისრებას). ყოველ შემთხვევაში, ეს პრაქტიკა შეუფერხებლად ვითარდებოდა 2000-2013 წლების განმავლობაში. ზოგჯერ სასამართლო აკისრებდა იურიდიული მომსახურების ხარჯების ორმაგად ანაზღაურებასაც კი. ამ დროს მოპასუხემ იცის, რომ მოსარჩელის იურისტი განსაკუთრებით მოტივირებულია და ეს მას მორიგების ხასიათზე აყენებს ხოლმე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს პროცესიდან გამომდინარე რისკები - მათ შორის იურიდიული მომსახურების ხარჯების ორმაგად ანაზღაურების პერსპექტივაც.[385]

ერთ-ერთი კვლევა სასამართლოსათვის მიმართვას კონკურენციის ნორმების აღსრულების მოთხოვნით ადარებს ლატარიას, სადაც ყველაფერს განსაზღვრავს ის ხარჯები, რომელიც შესაბამისი რეზულტატის მისაღებად არის აუცილებელი. საგულისხმოა, რომ მოგების შანსები და ხარჯების რაოდენობა დამოკიდებულია არა იმდენად საქმის შინაარსსა და მის სამართლებრივ ბუნებაზე, რამდენადაც იმ იურისდიქციაზე, სადაც სარჩელის შეტანა იგეგმება.[386]

1) ხანდაზმულობის ვადები კერძოსამართლებრივი აღსრულების პროცესში

2014 წლის დირექტივა მონოპოლიური საქმიანობით მიყენებული ზიანის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ არ იძლევა კონკრეტულ მითითებას ხანდაზმულობის ვადაზე, თუმცა მიანიშნებს, რომ ეს ვადა საკმარისი და გონივრული უნდა იყოს უფლების განსახორციელებლად. გარდა ამისა, დირექტივა სპეციალურად უსვამს ხაზს, რომ ხანდაზმულობის ვადა უნდა შეჩერდეს, თუ მხარეები შემათანხმებელი პროცედურის გამოყენებას (მაგალითად მედიაციის) მოინდომებენ.[387]

ზემოაღიშნულის გათვალისწინებით, კერძოსამართლებრივ აღსრულებასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადები ევროპის კავშირში, ისევე როგორც კერძო აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების უმრავლესობა, წევრი სახელმწიფოების სამართლით წესრიგდება და შესაბამისად შეიძლება განსხვავებული იყოს. ასეთი

---

[385] ***Hviid, Morten., Peysner, John.,*** Comparing Economic Incentives Across EU Member States, in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.218-219.

[386] *Ibid*, p.202.

[387] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1 [ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

მიდგომა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ჯერ კიდევ Manfredi-ს საქმეზე დააფიქსირა.[388]

4. კერძოსამართლებრივი აღსრულება საქართველოში

ა) კერძოსამართლებრივი აღსრულების სამართლებრივი საფუძველი საქართველოში

საქართველოში საკმაოდ გავრცელებული სტერეოტიპის თანახმად, ნებისმიერი სიახლის დანერგვა აუცილებლად საკანონმდებლო ცვლილებით უნდა დაიწყოს. კერძოსამართლებრივი აღსრულება ის იშვიათი გამონაკლისია, რასაც ეფექტური გამოყენებისათვის რაიმე განსაკუთრებული საკანონმდებლო ბაზა ნამდვილად არ სჭირდება.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ბათილად აცხადებს გარიგებას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს. კონკურენციის შესახებ კანონის მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) და მე-7 მუხლები აქტიურად და ხაზგასმით იყენებენ ტერმინებს „აკრძალულია“ და „დაუშვებელია“, რაც ამარტივებს ამ ნორმების დარღვევით დადებული გარიგების კვალიფიკაციას 54-ე მუხლით. კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების წინააღმდეგობა სახეზე იქნება თუ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული გარიგება კარტელის ან დომიმანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნიშნებს შეიცავს.

გარიგების ბათილობასთან ერთად თანხის მოთხოვნის პირდაპირი სამართლებრივი საფუძველი იქნება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები. ეს ნორმები საქართველოში იძლევიან როგორც უშუალოდ უსაფუძვლოდ მიღებული ქონების, ასევე მასთან დაკავშირებული დამატებითი სარგებლის მიღების შესაძლებლობასაც (სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლები).

ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა სრულიად მზად არის კერძოსამართლებრივი აღსრულების უზრუნველყოფისათვის და რაიმე დამატებითი ცვლილებები ამ მიმართულებით ამ ეტაპზე გადაუდებელ აუცილებლობად არ გვევლინება.

ამავე დროს, ნამდვილად არ იქნებოდა საფუძველს მოკლებული, საქართველოს საკუთარი ინიციატივით მოეხდინა 2014 წლის ევროპული დირექტივის ინტეგრაცია ჩვენს კანონმდებლობაში. ეს ერთი მხრივ იქნებოდა ჰარმონიზაციისა და დაახლოების კიდევ

[388] ***Ashton, David.,*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.236.

ერთი წარმატებული მაგალითი, ხოლო მეორე მხრივ რეალურად შეუწყობდა ხელს კერძოსამართლებრივი აღსრულების პრაქტიკის განვითარებას.

b) კერძოსამართლებრივი აღსრულების მდგომარეობა საქართველოში

კერძოსამართლებრივი აღსრულებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა საქართველოში ნამდვილად არსებობს, თუმცა კონკურენციის ნორმების აღსრულების ეს უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული მექანიზმი ჩვენთან ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ასეთ მოცემულობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

v. კონკურენციის ორგანოს პასიურობა

ნავთობპროდუქტების კარტელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე გახმაურებელი და ძვირადღირებული პროცესი იყო, რომელშიც საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მონაწილეობა მიუღია. ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ყველა ეკონომიკური აგენტის მიერ გასაჩივრებისა და სასამართლო პროცესების დასრულების შემდეგ კონკურენციის სააგენტოს საქმიანობაში უფრო მეტი სიფრთხილე და პასიურობა შეინიშნება. სააგენტო მაქსიმალურად ცდილობს თავი შეიკავოს ამა თუ იმ ინდუსტრიაში ჩარევისაგან. პირველ ეტაპზე ეს სათანადო საპროცესო ბერკეტებისა და მექანიზმების არარსებობას ბრალდებოდა, თუმცა ბოლო პერიოდის ცვლილებებმა ამ არგუმენტს მნიშვნელობა დაუკარგა. აღნიშნულის მიუხედავად, სააგენტო დღემდე ვერ ახერხებს კონკურენციის დამცველის ლიდერისა და წარმმართველის როლის თამაშს. მისი აქტიურობა ძირითადად კვლევებით შემოიფარგლება, რომლებსაც კონკრეტული რეაგირება ნაკლებად მოჰყვება ხოლმე. როდესაც კონკურენციის დარღვევების გამოვლენა და მათი დადგენა ვერ ხდება, კერძოსამართლებრივი აღსრულების განვითარებაც ნაკლებად შესაძლებლად გამოიყურება.

vi. კერძოსამართლებრივი აღსრულების შესახებ ცოდნის გავრცელების საჭიროება

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც ეკონომიკური აგენტების, ასევე მათი იურისტების უმრავლესობა ნაკლებად არის ინფორმირებული კერძოსამართლებრივი აღსრულების შესაძლებლობის შესახებ. როგორც მედიაში, ასევე სხვადასხვა კონფერენციებზე თუ შეხვედრებზე ბიზნესი ხშირად უჩივის სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირების ნაკლებობას, თუმცა თითქმის არასდროს მახვილდება ყურადღება იმაზე, რომ მათ დამოუკიდებლადაც შეუძლიათ კონკურენციის ნორმების

აღსრულება. დომინანტურ მდგომარეობაზე და კარტელზე მითითებით ამა თუ იმ გარიგების ბათილობის მოთხოვნის შესახებ სასამართლო დავების ზრდას და პრაქტიკის შექმნას შეუძლია დამოუკიდებლად შექმნას, ისეთი მექანიზმი, რომელიც კონკურენციის დაცვას და ეკონომიკურ-სამართლებრივი ბალანსის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

ამ მიმართულებით სტატისტიკისა თუ სხვა მონაცემების არარსებობის გამო, შეუძლებელია იმის დადგენა, კონკრეტულად რა ინტენსივობით იყენებენ ეკონომიკური აგენტები კონკურენციის შესახებ კანონს არსებული გარიგებების გასაბათილებლად. თუმცა ის საქმეები, რაც ასე თუ ისე ცნობილია, აშკარად მიუთითებს ქართული კერძოსამართლებრივი აღსრულების არაეფექტურობაზე.

ერთ-ერთ საქმეში დავა წარმოიშვა მაღალტექნოლოგიური პროდუქტის ქართველ დისტრიბუტორებს შორის. სხვა მოთხოვნებთან ერთად, მოსარჩელე მოპასუხეებს კარტელურ გარიგებაშიც ადანაშაულებდა და ითხოვდა აქედან გამომდინარე მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. საინტერესო ის არის, რომ მხარეები სააპელაციო ინსტანციაში მორიგდნენ და საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე არ გამოსულა.[389]

კიდევ ერთ საქმეში საკვები პროდუქტების მწარმოებლები და დისტრიბუტორები კონკურენციის ნორმებზე მითითებით ითხოვდნენ სუპერმარკეტების ერთ-ერთ უმსხვილეს ქსელთან დადებული ხელშეკრულების ცალკეული მუხლების ბათილობას.

სასამართლო პროცესის ჩანიშვნა იმდენად გაიწელა, რომ მოსამზადებელი სხდომის გამართვამდე მხარეებმა ერთმანეთთან მოლაპარაკება მოახერხეს და ხელშეკრულების მუხლები დეტალურად შეათანხმეს, რის შემდეგაც მოსარჩელეებმა უარი თქვეს სარჩელზე.[390] შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან რაიმე პრეცედენტი ვერც ამ სფეროში შეიქმნა.

განსაკუთრებით საინტერესო და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც პირველი ასევე მეორე შემთხვევა აქტიურად შუქდებოდა ბიზნეს თემებზე მომუშავე მედია საშუალებების მიერ. ეს ფაქტი აშკარად ადასტურებს საზოგადოების და ბიზნესის მზაობას და ინტერესს მსგავსი პროცესებისადმი. ახლა ჯერი სასამართლოზე და მხარეთა იურისტებზეა, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ დასაბამი მისცენ ჩვენი ქვეყნისათვის აქამდე უცნობ, მაგრამ საერთაშორისოდ გამოცდილი და აპრობირებული მექანიზმის წარმატებულ დანერგვას საქართველოში.

C. კონკურენცია და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები.

[389] აიტექნიკის განჩინების ნომერი, რომლითაც მხარეები აპელაციაში მორიგდნენ.
[390] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის საქმე N2/7988-21

I. ზოგადი მდგომარეობა

ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების[391] ფოკუსში ქართული ბიზნესისთვის უმნიშვნელოვანესი ორი სფერო - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები და კონკურენციაც მოექცა.[392] უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ორივე მიმართულების საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩო ასე თუ ისე ჩამოყალიბდა. ახლა უკვე მათ პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის დროა.

მედიაციის, არბიტრაჟის და ზოგადად დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების როლსა და მნიშვნელობას კონკურენციის სამართლის კერძოსამართლებრივი აღსრულების (private enforcement) ნაწილში ეჭვქვეშ არავინ აყენებს.[393] თუმცა, ჯერჯერობით ამ მექანიზმების ჩართულობა კონკურენციის დაცვის საქმეში არც თუ მაღალი ხარისხისაა.

II. მოლაპარაკებები/მორიგება

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის დადებითი მხარეები კონკურენციის დავების შემთხვევაშიც იგივეა, რასაც ზოგადად აღნიშნავენ ხოლმე: ეფექტურობა, ნაკლები ხარჯი, მოქნილობა და სისწრაფე.[394]

უნდა დავიწყოთ იმით, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის სამართლიდან გამომდინარე დავების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მორიგებით მთავრდება.[395] აქ გასაკვირი არაფერია, რადგან მსხვერპლი კომპანიები კონკურენციის დამრღვევების წინააღმდეგ სარჩელებს ძირითადად ამ დარღვევების შესაბამისი ორგანოების მიერ (ევროპის კომისია, წევრი ქვეყნის კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო) დადგენის შემდეგ აღძრავენ ხოლმე. როცა ქმედების კვალიფიკაცია და დარღვევის არსებობა სადავო აღარ არის, მხარეებს მხოლოდ კომპენსაციის

---

[391] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:02014A0830(02)-20180601
[ბოლოს გამოხმობილია [30.06.2022]

[392] Section 3 of Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part

[393] ***Rodger, Barry;*** Private Enforcement Context and Project Background in: ***Rodger, Barry; (Editor),*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.13.

[394] ***ცერცვაძე გიორგი.,*** მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, თბილისი, 2010 გვ. 39

[395] ***Ashton, David;*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, p.6.

ოდენობაზე უწევთ მსჯელობა, რაც მორიგების მიღწევის შესაძლებლობებს არსებითად ზრდის.

კონკურენციის ნორმების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის მხარეთა შეთანხმებით მოგვარება არა მხოლოდ ეფექტურად უზრუნველყოფს კონკურენციის სამართლის აღსრულებას, არამედ ზოგავს იმ შთამბეჭდავ იურიდიულ ხარჯებს, რომლის გაწევაც ორივე მხარეს მოუწევდა საქმის სასამართლოში წარმართვის შემთხვევაში.[396]

ბრექსიტამდელ ინგლისში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების როლი კონკურენციის დავების (იგულისხმება კერძო აღსრულების ფარგლებში არსებული დავები ძირითად B2B საქმეებში) გადაწყვეტის საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვნად ითვლებოდა. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 2000-2005 წლებში 43 დავა, რომელიც გამომდინარეობდა კონკურენციის ნორმების დარღვევიდან მორიგებით დასრულდა. კვლევამ ასევე გამოავლინა საკმაოდ საინტერესო ტენდენცია: ვერტიკალური ხელშეკრულების ე.წ. სუსტი მხარეები ეძებენ თავიანთ მსხვილ მომწოდებლებს უკვე გამოვლენილი კარტელის წევრებს შორის და თუ ასეთს აღმოაჩენენ, პირდაპირ მიმართავენ მათ და იწყებენ მოლაპარაკებებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულებების შესაბამისი მუხლების შეცვლის მოთხოვნით. ასეთი მოლაპარაკებები და მათი შედეგები კონფიდენციალური რჩება, მაგრამ ასეთი პრაქტიკის გავრცელებულობა სწორედ მის ეფექტურობაზე მიუთითებს.[397]

არსებობს მთელი რიგი წამახალისებელი გარემოებები, რის გამოც შესაძლოა კონკურენციის ნორმების დამრღვევ კომპანიას უღირდეს კონფიდენციალური მოლაპარაკებების წარმოება და მათთვის კომპენსაციის გადახდა: ა) ასეთი ქმედება, როგორც წესი, შეესაბამება ხოლმე ბიზნეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, რომელსაც დიდი კომპანიების უმეტესობა იცავს. ეს არის თავისებური „საქმის კეთება სწორად“ რაც compliance პროგრამებით[398], (რომლებსაც ეს კომპანიები საკმაოდ აქტიურად იყენებენ) არის ხოლმე განსაზღვრული; ბ) კომპანია, რომელიც სარგებლობს მაღალი რეპუტაციით ბაზარზე, კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგების ლიკვიდაციისათვის

---

[396] ***Hodges, Christopher;*** Fast, Effective and Low Cost Redress: How Do Public and Private Enforcement and ADR Compare? in: ***Rodger, Barry; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.216.

[397] ***Hodges, Christopher.,*** Fast, Effective and Low Cost Redress: How Do Public and Private Enforcement and ADR Compare? in: ***Rodger, Barry;., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.256.

[398] Compliance - კომპანი(ებ)ი პასუხისმგებლობები არიან შეიმუშაონ და განახორციელონ სათანადო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის კონკურენციის წესებთან შესაბამისობას. იხ. ევროკავშირის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://ec.europa.eu/competition-policy/antitrust/compliance_en> [ბოლოს გამოხმობილია 04.03.2022]; ***ცერცვაძე გიორგი,*** კონკურენციის სამართალი - ევროპული მოდელი საქართველოსთვის ტომი I, თბილისი, 2020, გვ. 123.

მოლაპარაკებების წარმოებით და კომპენსაციის გადახდით იცავს საკუთარ რეპუტაციას და უფრო მეტიც, აუმჯობესებს კიდეც მას. შედარებით პატარა კომპანიები, ან ბაზრის ისეთი მონაწილეები, რომლებიც სახარბიელო რეპუტაციით მაინცდამაინც არ გამოირჩევიან, იშვიათად მიდიან მსგავს გადაწყვეტილებამდე, რადგან მათთვის მენტალურადაც წარმოუდგენელი და მიუღებელია ფულის გადახდა საკუთარი ნებით, როცა ამას არავინ აიძულებს; გ) ნებაყოფლობითმა ქმედებამ და მოლაპარაკებებში აქტიურად მონაწილეობამ შეიძლება შეამციროს კონკურენციის ორგანოების მიერ დაკისრებული/დასაკისრებელი სანქციები. ეს შეღავათი შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვან ციფრებშიც გამოიხატოს და როგორც წესი, ასეც ხდება ხოლმე. ლინიენსის[399] პროგრამაში მონაწილეობის მთავარი წამახალისებელი ფაქტორიც სწორედ მოსალოდნელი ფულადი სანქციების თავიდან აცილებაა და ბიზნესისთვის ასეთ შეთავაზებას შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდეს; დ) და ბოლოს, კომპანიები ნებაყოფლობით მოლაპარაკებებში მონაწილეობით აღწევენ იურიდიული ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას, რაც მათ წინააღმდეგ დაწყებული სასამართლო პროცესების პირობებში გაცილებით მეტი იქნებოდა. კვლევები ადასტურებენ, რომ მედიაცია, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სწრაფად გავრცელებადი და განვითარებადი საშუალება შეიძლება დაეხმაროს მხარეებს ზემოაღნიშნული მოლაპარაკებების უფრო ეფექტურად წარმოებაში. ევროპის კავშირის მასშტაბით უკანასკნელი ათწლეული განსაკუთრებით გამოირჩევა მედიაციის და სხვა მსგავსი საშუალებების როლისა და მნიშვნელობის მკვეთრი ზრდით.[400]

III. მედიაცია

ევროპის კავშირის მასშტაბით, უკანასკნელი ათწლეული განსაკუთრებით გამოირჩევა მედიაციის და სხვა მსგავსი საშუალებების როლისა და მნიშვნელობის მკვეთრი ზრდით.[401]

ერთ-ერთი მოდელი, რომელიც საკმაოდ პოპულარულია ევროპაში ითვალისწინებს შემდეგს: ა) დავის შეთანხმებით დასრულებას ეხმარება რამდენიმე მედიატორისგან შემდგარი პანელი და მათი შერჩევა ხდება მედიაციის კერძო პროვაიდერის მიერ შეთავაზებული სიიდან; ბ) აუცილებელია ყველა მხარის თანხმობა. მხარეები უნდა შეთანხმდნენ არა მხოლოდ მედიაციის გამოყენებაზე, არამედ იმაზეც, იქნება თუ არა

[399] დაწვრილებით ლინიენსის შესახებ იხილეთ ამავე წიგნის - კონკურენციის სამართალი - ევროპული მოდელი საქართველოსთვის პირველ ტომში, თბილისი, 2020, გვ. 184.
[400] ***Hodges, Christopher;.,*** Fast, Effective and Low Cost Redress: How Do Public and Private Enforcement and ADR Compare? in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.262-263.
[401] *Ibid*, p.263.

მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება მხარეებისათვის სამართლებრივად მბოჭავი. გ) მისი გამოყენება მოხდება მხოლოდ ე.წ. follow on claims შემთხვევაში; დ) მედიატორების პანელს მოუწევს კონკრეტული პროცედურის შემუშავება ყოველი კონკრეტული საქმისათვის, მაგრამ მათ ეს ყველაფერი ისე უნდა გააკეთონ, რომ შეძლონ სხვა პოტენციური მოსარჩელეების მოზიდვაც და მათი ჩართვა მოლაპარაკებებში; ე) პანელს შეიძლება წარედგინოს მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.[402] ამ უკანასკნელი მოთხოვნის იდეა ბუნდოვანია. მედიაცია როგორც წესი კონფიდენციალური პროცესია და მას ყველაზე კარგად შეუძლია უზრუნველყოს ნებისმიერი წარდგენილი მონაცემის კონფიდენციალურობა.

2012 წელს გაერთიანებული სამეფოს სამთავრობო უწყებებმა ცალსახად და არაორაზროვნად დააფიქსირეს კონკურენციის დავების გადაწყვეტაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. ინგლისი ყველანაირად ცდილობს ხელი შეუწყოს მის ეფექტურად გამოყენებას კონკურენციის სამართლის სივრცეში.[403]

ნიდერლანდებში შეიქმნა საკმაოდ საინტერესო მექანიზმი კონკურენციის სფეროში ჯგუფური სარჩელების შეთანხმებით დასრულებისათვის. აქ ჯგუფური სარჩელების მედიაციით დარეგულირების საკითხს სპეციალური კანონი არეგულირებს. ამ კანონის თანახმად, მოსარჩელეების წარმომადგენელი (როგორც წესი რომელიმე ასოციაცია ან სხვა ტიპის არასამთავრობო ორგანიზაცია) ერთვება მოლაპარაკებაში შესაბამის მოპასუხეებთან და აღწევს შეთანხმებას. ამის შემდეგ სააპელაციო სასამართლო ავრცელებს საჯაროდ ინფორმაციას მიღწეული შეთანხმების შესახებ და ნიშნავს საქმის მოსმენას, სადაც დაინტერესებულ მხარებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ამ მოსმენის შემდეგ, სასამართლო, თუ მიზანშეწონილად ჩათვლის ამტკიცებს მორიგებას და აძლევს ასოციაციის წევრებს (ანუ ცალკეულ მოსარჩელეებს) ვადას, რომ ან დაეთანხმონ დამტკიცებულ მორიგებას, ან შეიტანონ დამოუკიდებელი სარჩელი მოპასუხეების წინააღმდეგ. სტატისტიკა ადასტურებს ამ პროცესის წარმატებულობას. 2005 წლიდან 2014 წლამდე ამ პროცედურის გამოყენებით ექვსი უმსხვილესი საქმე დასრულდა მორიგებით.[404]

წარმოდგენილი მაგალითები ნამდვილად შთამბეჭდავია საიმისოდ, რომ ის ქართველი მოსამართლეებისა და ბიზნეს იურისტების ყურადღების ცენტრში მოექცეს.

---

[402] *Ibid*, p.265.

[403] ***Hodges, Christopher;.,*** Fast, Effective and Low Cost Redress: How Do Public and Private Enforcement and ADR Compare? in: ***Rodger, Barry., (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014, p.264.

[404] *Ibid,* p.266.

ასეთი პროცედურის საქართველოში დანერგვა ალბათ საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

IV. არბიტრაჟი

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კონკურენციის სამართლის ევროპული ნორმების არბიტრების მიერ გამოყენება ძალიან იშვიათად ხდებოდა. ძირითადად არბიტრებს აბრკოლებდათ ამ ნორმების მკვეთრად გამოკვეთილი საჯარო სამართლებრივი ხასიათი და შესაბამისად მათ უჭირდათ ხელშეკრულების ბათილობის დადგენა ან ზიანის ანაზღაურების დაკისრება ამ ნორმებზე მითითებით.[405]

თუმცა ახლა არბიტრაჟის, როგორც კერძო აღსრულების ერთ-ერთი მექანიზმის როლი კონკურენციის სამართალში სადავო აღარ არის.[406] Mitsubishi Motors Corp v. Soler Chrysler Plymouth-ის საქმეზე აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 1985 წლის გადაწყვეტილება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გახმაურებული გადაწყვეტილებაა არბიტრაჟის ისტორიაში. სასამართლომ ხუთი ხმით სამის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ საერთაშორისო კონტრაქტში ჩართული საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილია და აღსრულებას ექვემდებარება მაშინაც, როდესაც არბიტრაჟმა უნდა გადწყვიტოს აშშ-ის კონკურენციის კანონმდელობიდან გამომდინარე დავა.[407] 1996 წელს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ Eco Swiss-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით ცალსახად დაადასტურა, რომ კონკურენციის ნორმების დარღვევიდან გამომდინარე დავა შეიძლება განიხილოს არბიტრაჟმა.[408]

1/2003 რეგულაციის[409] მიერ კონკურენციის სამართლის აღსრულების დეცენტრალიზაციის ტენდენციის გაძლიერებამ გაცილებით მეტი როლი და მნიშვნელობა მიანიჭა არბიტრაჟის მიერ კონკურენციის დავების განხილვასა და გადაწყვეტას. პრაქტიკაში მაინც რჩება საპროცესო საკითხები, რაზეც ერთიანი მიდგომა ჯერ კიდევ არ არსებობს. ევროპის კავშირის მასშტაბით ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებისაკენ მიდრეკილება და საარბიტრაჟო პროცედურის სუპრანაციონალური

---

[405] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.1082.

[406] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.1075-1076.

[407] ***Lowenfeld, F Andreas.,*** Lowenfeld on international arbitration, Collected Essays Over Three Decades Juris Publishing Inc., 2005, p.123.

[408] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.1083.

[409] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32003R0001 [ბოლოს გამოხმობილია 03.03.2022]

ხასიათი იძლევა საკმაოდ თამამი პროგნოზის გაკეთების საშუალებას, რომ არბიტრაჟი შეძლებს კონკურენციის დავების გადაწყვეტის ერთიანი, ეროვნული განსხვავებებისაგან თავისუფალი სამართლებრივი პლატფორმის შექმნას.[410]

არბიტრაჟის და კონკურენციის ნორმების გადაკვეთა შესაძლოა რამდენიმე მიმართულებით მოხდეს: ა) TFEU 101-ე და 102-ე მუხლების[411] გამოყენება არბიტრაჟის მიერ კონკურენციის მითითებული ნორმების კერძო აღსრულებისას; ბ) კერძო აღსრულება ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შერწყმის კონტროლს ან 1/2003 რეგულაციის მე-9 მუხლით დადგენილ მოწესრიგებას. გ) სახელმწიფო მხარდაჭერასთან დაკავშირებული საკითხების ((TFEU მუხლი 107) კერძო აღსრულება.[412]

კონკურენციის სამართლის სპეციფიკიდან და თვით არბიტრების სტილიდან გამომდინარე, კონკურენციის ნორმების გამოყენება საარბიტრაჟო დავაში განსხვავებულად შეიძლება მოხდეს. საარბიტრაჟო განხილვაში არბიტრების როლი კონკურენციის მოსამართლესთან შედარებით პასიურია. არბიტრები მხოლოდ იმ ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასებას ახდნენ, რომლებიც მხარეებმა მათ წარუდგინეს და ისინი თავისი ინიციატივით ამ პროცესში უფრო აქტიურად ვერ ჩაერთვებიან. თუმცა არსებობენ არბიტრაჟები და არბიტრები, სადაც ე.წ. fact finding პროცედურაში არბიტრების როლი გაცილებით აქტიურია. თუ გამოსაყენებელ საპროცესო სამართალს და საარბიტრაჟო წესებს საწინააღმდეგო არაფერი აქვთ (და მხარეებიც ამაზე თანახმანი არიან) არბიტრს შეუძლია დამოუკიდებლად წამოსწიოს კონკურენციის ნორმების გამოყენების საკითხი. საბოლოო ჯამში არბიტრაჟმა უნდა გაითვალისწინოს როგორც საარბიტრაჟო განხილვის ადგილის, ასევე იმ ადგილის სასამართლოს პრაქტიკა და მიდგომა, სადაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უნდა მოხდეს.[413]

არბიტრების კომპეტენცია კონკურენციის სამართლის აღსრულების თვალსაზრისით შეიძლება საკმაოდ ფართო იყოს. არბიტრაჟს შეუძლია მხარეებს დააკისროს როგორც გარკვეული ქმედების შესრულება, ასევე სადავოდ გამხდარ ხელშეკრულებაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, ან მთელი ხელშეკრულების მოდიფიცირება კონკურენციის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შეიძლება მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება ან პირგასამტეხლოს გადახდა, რომელიც აღემატება

[410] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.1112.

[411] ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე და 102-ე მუხლები არეგულირებს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს და დომინანტურის მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

[412] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.1076.

[413] *Ibid,* p.1093.

შესაძლო ზიანს (extra compensatory damages). ჩამოთვლილი ფართო უფლებამოსილებებიდან რისი გაკეთება შეუძლია არბიტრს და რისი არა - დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების საარბიტრაჟო პრაქტიკასა და კანონმდებლობაზე.[414]

არსებობს მოსაზრება, რომ ევროპის კავშირის ტერიტორიაზე არბიტრი ვალდებულია საკუთარი ინიციატივით წამოსწიოს საკითხი კონკურენციის ნორმების გამოყენების შესახებ. ICC-ის პრაქტიკაში არბიტრის მიერ კონკურენციის ნორმების გამოყენების საკუთარი ინიციატივით წამოწევის საკითხი ეჭვის ქვეშ არასდროს დამდგარა.[415] ამ ნორმების იგნორირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას შეიძლება საფრთხე შეექმნას საჯარო წესრიგისადმი წინააღმდეგობის საფუძვლით. მას შემდეგ, რაც არბიტრი გადაწყვეტს რომ კონკრეტული დავის განხილვისას კონკურენციის სამართლის ნორმები უნდა გამოიყენოს, მან ამის შესახებ აუცილებლად უნდა მისცეს ინფორმაცია მხარეებს და შეუქმნას სათანადო პირობები, რომ მათ შეძლონ საკუთარი აზრის დაფიქსირება საკითხთან დაკავშირებით. საპროცესო თანასწორობის პრინციპის დაცვის გარეშე შესაძლოა გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხე შეექმნას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავა გადაწყდეს შესაბამისი სამართლის ნორმების გამოყენების გარეშე, ანუ ex aequo et bono, ეს არ ათავისუფლებს არბიტრს საჭიროების არსებობისას კონკურენციის ნორმების პირდაპირი გამოყენებისაგან. [416]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არბიტრის პასუხისმგებლობის საკითხი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, თუ არბიტრს არ გამოუყენებია TFEU 101-ე და 102-ე მუხლები, მაგრამ მათ გამოყენებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ხელშეკრულების ბათილობა და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, მაშინ არბიტრი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურ აგენტად, რომელმაც თვითონ დაარღვია კონკურენციის სამართალი და დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა. ამ დროს მიუთითებენ ხოლმე Treuhand-ის საქმეზე, სადაც კონსულტანტი Treuhand-ს ასევე მიჩნეულ იქნა დამრღვევად. მიუხედავად იმისა, რომ ის იყო კონსულტანტი და პირდაპირ არ საქმიანობდა შესაბამის ინდუსტრიაში, კოორდინაციას უწევდა კარტელის წევრების საქმიანობას და ეხმარებოდა მათ მაქსიმალური და არალეგალური მოგების მიღებაში კონკურენციის ნორმების დარღვევით. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ ამ გადაწყვეტილების ანალოგიით არბიტრი ასევე შეიძლება ჩაითვალოს „ეკონომიკურ აგენტად“ რომელიც არღვევს კონკურენციის სამართლის ნორმებს. ამ პასუხისმგებლობის თავიდან აცილება არბიტრს

[414] *Ibid,* p.1095.
[415] *Ibid,* p.1097.
[416] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.1097.

ორი გზით შეუძლია: ა) უარი თქვას შესაბამის საქმეში მონაწილეობაზე საკმარისი კვალიფიკაციის არ ქონის გამო და მისცეს ამაზე შესაბამისი განმარტებები მხარეებს და ბ) მიიღოს პირობითი გადაწყვეტილება კონკურენციის ნორმების დარღვევაზე, მოუწოდოს მხარეებს რომ მიმართონ შესაბამის კომპეტენურ ორგანოს კონკურენციის ნორმების დარღვევის დადგენის თვალსაზრისით, შემდგომში თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს/დააკორექტიროს ამ ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად და გამოიყენოს ეს უკანასკნელი როგორც მტკიცებულება მის მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში.[417] ეს უკანასკნელი პროცედურა გაცილებით მოუქნელად გამოიყურება, ბუნდოვანია და ნაკლებად პრაქტიკული. მხარეები არ შეიძლება იყვნენ ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში დაინტერესებულნი, რომელიც მოგვიანებით რაღაც მიზეზების გამო შეიძლება შეიცვალოს.

როდესაც არბიტრაჟს უწევს მსჯელობა კონკურენციის ნორმების დარღვევიდან გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხებზე ე.წ. follow on damages საქმეზე არბიტრაჟი ვალდებულია მხედველობაში მიიღოს კომისიის, ან რომელიმე წევრი სახელმწიფოს კონკურენციის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება. რაიმე ჩანაწერი, რომელიც ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებებს არბიტრაჟის საბოლოო შედეგისათვის პრეიუდიციულ ძალას მიანიჭებდა - არ არსებობს.[418]

Masterfood-ის საქმეზე დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოები, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ან მისი ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვისას ვალდებულნი არიან პრიორიტეტი მიანიჭონ კონკურენციის ორგანოების მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც ძალაშია და გასაჩივრებული არ არის, თუ ეს ეხება იმავე მხარეებს შორის დავის წარმოებას. პრაქტიკაში ტრიბუნალი ეყრდნობა და იზიარებს კომისიის გადაწყვეტილების სულისკვეთებას. ერთადერთი, რაც მხარეს დარჩენია, ისაა, რომ ამტკიცოს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კომისიის მიერ დადგენილ დარღვევასა და იმ ზიანს შორის, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვს.[419]

პარალელური პროცესები როგორც სასამართლოსთან ასევე არბიტრაჟთან მიმართებაში დასაშვებია. სხვაგვარად რომ ითქვას, არ არსებობს წინააღმდეგობა, რომ საქმეს იხილავდეს კომისია, ან კონკურენციის სააგენტო და პარალელურ რეჟიმში მიდიოდეს დავა იმავე მხარეებს შორის სასამართლოში, ან არბიტრაჟში. გაცილებით პრობლემურია, თუ დავა მიმდინარეობს პარალელურად სასამართლოსა და

[417] *Ibid*, p.1096.
[418] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.1097.
[419] *Ibid,* p.1099.

არბიტრაჟში.[420] მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება, თუ დავუშვებთ, რომ დავა მიმდინარეობს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში, სადაც გასაჩივრებულია კომისიის გადაწყვეტილება და პარალელურ რეჟიმში ეს დავა მიდის არბიტრაჟში. ალბათ საღ აზრთან ყველაზე ახლოს იქნება, თუ არბიტრაჟი შეაჩერებს საქმის განხილვას და სასამართლოს საბოლოო შეფასებას გაითვალისწინებს თავისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ერთ-ერთი მოსაზრებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა დაელოდოს კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას და ამის შემდეგ მიიღოს თავისი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომისიის განხილვაში მყოფი საქმე არ წარმოადგენს acte clair[421]-ს.[422]

არბიტრაჟებს არ აქვთ უფლება ე.წ. preleminary references გაუგზავნონ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს TFEU 267-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა არბიტრაჟი, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლის მოთხოვნების გათვალისწინებით, არ არის შეზღუდული, რომ სთხოვოს საკუთარი მოსაზრება/პოზიცია როგორც ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, ასევე ევროპის კომისიას, ან წევრი სახელმწიფოების კონკურენციის ორგანოებს. ამ ორგანოების რეაქცია დამოკიდებულია შესაბამისი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე და ამ ორგანოების თანამშრომლობის სურვილზე.[423] არბიტრაჟს მათი დავალდებულება არ შეუძლია. მხარეთა კერძო ავტონომია გამორიცხავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ასე მოქცევას, მხარეთა თანხმობის არარსებობის შემთხვევაში.[424]

იმის გათვალისწინებით, რომ არსებობენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლის „მინიმალისტები“ და „მაქსიმალისტები“ და როგორც სასამართლოებს, ასევე აკადემიურ საზოგადოებას არ აქვს ერთიანი და ჩამოყალიბებული უნივერსალური პოზიცია ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, არბიტრებს ყოველთვის ურჩევენ განსაკუთრებით ფრთხილად იყვნენ კონკურენციის ნორმების გამოყენებისა და განმარტებებისას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში.[425] ამაში უჩვეულო არაფერია. კონკურენციის სამართალი საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად განიხილება და მისმა არასწორმა ინტერპრეტაციამ, ან

---

[420] *Ibid,* p.1098.

[421] Acte Clair - ევროკავშირის სამართლის დოქტრინის მიხედვით, იგულისხმება ევროკავშირის ორგანოების, კომისიის ან სასამართლოს მიერ მიღებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საკმარისად ნათელია გამოყენების მიზნებისათვის და დამატებით განმარტებას არ საჭიროებს.

[422] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.1099.

[423] *Ibid,* p.1099.

[424] *Ibid,* p.1101.

[425] *Ibid,* p.1105.

საერთოდ იგნორირებამ საარბიტრაჟო განხილვის საბოლოო რეზულტატთან დაკავშირებით უაღრესად არასასურველი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს.

D. სხვადასხვა კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებული საპროცესო საკითხები ევროპულ პრაქტიკაში

I. კარტელთან დაკავშირებული საქმის წარმოების საპროცესო საკითხები ევროპულ პრაქტიკაში

1. პროცესის ინიცირება კომისიის მიერ

ევროპის კომისიის ვალდებულებაა კარტელების აღმოჩენა და მათი დასჯა, ვინაიდან კარტელი კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ ყველაზე უხეშ დარღვევად განიხილება.[426]

კომისიას კარტელთან დაკავშირებული პროცედურის დაწყება სამი ძირითადი გზით შეუძლია: ა) საკუთარი ინიციატივით (ex officio); ბ) საჩივრის საფუძველზე. საჩივარი შეიძლება წარადგინოს საბოლოო მომხმარებელმა, ბაზრის სხვა მონაწილემ, ერთ-ერთმა კონკურენტმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელმაც უნდა მიუთითოს ბაზრის არასათანადო ფუნქციონირებასა და დარღვევის არსებობაზე; და გ) Linienecy-ს ფარგლებში კარტელის ერთ-ერთი წევრის მხრიდან მომართვის საფუძველზე.[427] პირველი, ანუ კომისიის მხრიდან ინიციატივა, როგორც წესი, უკავშირდება საჯარო სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციას. (ტელერეპორტაჟი, სტატია ბეჭდურ ან ელექტრონულ მედიაში და ა.შ.) ასევე შესაძლებელია პროცესების დაწყება ევროპარლამენტის წევრების მხრიდან დაინტერესებისა და მომართვის შემთხვევაში. საქმის დაწყების საფუძველი არც თუ იშვიათად ხდება წევრი თუ არაწევრი სახელმწიფოების კონკურენციის ეროვნულ ორგანოებთან ინფორმაციის ინტენსიური ურთიერთგაცვლა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევაში კომისია თვითონ იწყებს

[426] https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf p.16. [ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

[427] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.144.

მოქმედებას, რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის საპროცესო საკითხი, რაც უფლებების დამატებითი დაცვის გარანტიებისა და ბერკეტების არსებობას შეიძლება ითვალისწინებდეს, არ წარმოიშობა.[428]

რაც შეეხება საჩივარს, მისი წარდგენა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს ან სხვა ნებისმიერი ფორმით არსებულ გაერთიანებას. საჩივრის წარდგენის უფლება აქვთ ასევე წევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც საკუთარი იურიდიული ინტერესი და შემხებლობა საქმესთან კომისიის წინაშე სარწმუნოდ უნდა დაადასტურონ. ასეთ შემთხვევაში, ეროვნულ და კავშირის დონეზე კომპეტენტური ორგანოების არსებობის გათვალისწინებით, საჩივრის შემტანმა პირმა კარგად უნდა განსაზღვროს, ვინ არის უფლებამოსილი მისი საჩივრის განხილვაზე და მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინოს ეს საჩივარი. საჩივრის შემტანი პირის მიერ საკუთარი იურიდიული ინტერესის დამტკიცება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი საპროცესო ასპექტია, რომელსაც სერიოზული სამართლებრივი შედეგები მოჰყვება. მაგალითად, თუ კომისია დაადგენს, რომ მას საქმის განხილვის ინტერესი არ აქვს და ვერც საჩივრის შემომტანი პირი დაასაბუთებს დაცვის ღირსი იურიდიული ინტერესის არსებობას, მაშინ საჩივარი საერთოდ განუხილველი დარჩება. [429] საჩივრის შემტანმა პირმა უნდა გამოიყენოს და შეავსოს ოფიციალურად დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი, ე.წ. Form C. ეს ფორმა უნდა შეიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რაც ზოგადად უკავშირდება საჩივარს, ფაქტობრივ გარემოებებს მტკიცებულებებზე მითითებას და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფორმაში საჩივრის ავტორს ასევე შეუძლია მიუთითოს კომისიას უზრუნველყოფის ზომების გამოყენების საჭიროების შესახებ. ფორმალურად, საჩივრის ავტორს არ აქვს მოთხოვნის/შუამდგომლობის დაყენების უფლება, მაგრამ მას მაინც აქვს უფლება კომისიას მოახსენოს და დაუსაბუთოს მისი აზრით რომელი უზრუნველყოფის ზომის გამოყენება იქნებოდა მიზანშეწონილი და რატომ.[430]

ევროპის კომისიის პრაქტიკა უშვებს ასევე ანონიმურ საჩივარსაც, თუმცა ის საპროცესო თვალსაზრისით საჩივრად არ განიხილება და არც შესაბამის საპროცესო უფლებებს ანიჭებს მის ავტორს. თუ საჩივრის ავტორს სურს მისი ვინაობა კონფიდენციალური იყოს, მაშინ კომისია ვალდებულია გაითვალისწინოს მისი ეს თხოვნა და დაიცვას კონფიდენციალურობა. როგორც წესი, კონფიდენციალურობის მოთხოვნას საჩივრის ავტორთა მხრიდან ადგილი აქვს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და შერწყმის კონტროლის საქმეებზე. თუმცა, ეს არ გამორიცხავს

[428] *Ibid,* p.145

[429] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.145-146.

[430] *Ibid,* p.153.

კარტელზე ანალოგიური სცენარის განვითარების შესაძლებლობას. მაგალითად, შესაძლებელია რომ მომხმარებელს, რომელიც დამოკიდებულია კარტელის მონაწილეებზე თავისი საქმიანობით, არ სურდეს საკუთარი ვინაობის გამხელა. ანონიმური საჩივარი კომისიისთვის ჩაითვლება საკუთარი ძალებით მიღებულ 'სხვა კონფიდენციალურ ინფორმაციად". რაც მთავარია, ამ შემთხვევაში მთლიანად კომისიის შეხედულებაზეა დამოკიდებული, გაითვალისწინებს და მიიღებს თუ არა მხედველობაში საჩივარს და დაიწყებს თუ არა საქმის წარმოებას მასში დაფიქსირებული ინფორმაციის საფუძველზე.[431] 773/2004 რეგულაციის ზოგიერთი ინტერპრეტაციის თანახმად, გარკვეული გარემოებების არსებობისას შეიძლება კომისიას არც მოეთხოვოს ანონიმური განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის მკაცრად კონფიდენციალურად შენახვა. მაგალითად, ეს რეგულაცია უთითებს რომ კომისიას შეუძლია გაასაჯაროვოს ნებისმიერი ფაქტი თუ ინფორმაცია, რაც მას საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებაში დაეხმარება.[432] შესაბამისად, ადვილად გამოსაცნობია, რომ არავის შეუძლია მისცეს ანონიმს იმის გარანტია, რომ მისი ვინაობის გამხელა კომისიას საკუთარი მტკიცების ტვირთის წარმატებით დასაძლევად არ დასჭირდება.

საჩივრის შეტანის შემდეგ პროცედურა ორ საფეხურად გრძელდება: ა) პირველ საფეხურზე წარმოდგენილი საჩივრისა და დამოუკიდებლად მოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, უნდა განაგრძოს თუ არა მუშაობა კონკრეტულ საქმეზე (ქართული პერსპექტივიდან ამ ეტაპს შეგვიძლია პირობითად დასაშვებობის ეტაპი ვუწოდოთ). თუ კომისია გადაწყვეტს, რომ საჩივარს შემდგომი მსვლელობა არ უნდა მიეცეს, ის მოტივირებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს საჩივრის ავტორს და მისცემს მას შესაძლებლობას დააფიქსიროს თავისი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით; ბ) თუ კომისია გადაწყვეტს, რომ საჩივარი იმსახურებს შემდგომ ყურადღებას და ღირს კონკრეტული საქმის საფუძვლიან შესწავლაში დროისა თუ სხვა რესურსების ინვესტირება, მაშინ ის აგრძელებს მოკვლევას და იყენებს მისთვის საამისოდ მინიჭებულ უფლებამოსილებებს, რათა საბოლოოდ დაასრულოს განხილვა. კომისიის რესურსები შეუზღუდავი არ არის. ევროკავშირის ტერიტორია და მისი ბაზარი კი არც ისე პატარაა. ამიტომ სწორედ კომისიის გადასაწყვეტია და მისი ექსკლუზიური დისკრეციის სფეროს მიეკუთვნება, რომელ საქმეს მიიჩნევს შემდგომი გაგრძელების ღირსად და რომელს - არა. მას ყველა მიმართული საჩივრის ბოლომდე, ორივე საფეხურის გავლით კვლევის ვალდებულება არ აქვს და არც შეიძლება ასეთი

[431] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.154.
[432] *Ibid,* p.155.

ჰქონდეს.[433] კომისიას ასევე უფლება აქვს უარი თქვას საქმის განხილვაზე იმ საფუძველით, რომ კონკრეტული საქმისადმი არ არსებობს ევროპის კავშირის დასაბუთებული ინტერესი, ან იმავე საქმეს და იმავე საფუძვლებით უკვე იხილავს სხვა მართლწესრიგში მოქმედი კონკურენციის ორგანო.[434] ევროკავშირის ინტერესის არარსებობა საკმარისად და სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული და როგორც აღინიშნა, საჩივრის ავტორს აუცილებლად უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

კომისიის უარი საჩივრის შემდგომ განხილვასთან დაკავშირებით ექვემდებარება კონტროლს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და საერთო იურისდიქციის სასამართლოს მხრიდან. როგორც წესი, სასამართლო ამ ფუნქციის განხორციელებას საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება და კომისიას დეტალურად უწევს ხოლმე საკუთარი პოზიციის დასაბუთება.[435]

2. საჩივრის განხილვის პროცედურა

საჩივრის არსებითი განხილვა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: ა)Fact Finding-ის ფაზა, როდესაც კომისია ცდილობს მოაგროვოს მტკიცებულებები და მიიღოს ისინი როგორც ბაზრის მონაწილეებისგან, ასევე სხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებებისაგან და ბ) შემდგომი ეტაპი, როდესაც კომისია ძირითადად მხარეებს აცნობს საკუთარი საქმიანობის შედეგებს და აძლევს მათ შესაძლებლობას გამოთქვან საკუთარი აზრი კომისიის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა თუ შეფასებების შესახებ. ამ პროცესში კომისიასთან თანამშრომლობა, მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტებისა თუ ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციისა და ახსნა-განმარტების მიწოდება ეკონომიკური აგენტების ვალდებულებაა და არა უფლება. თითოეული ეკონომიკური აგენტი ვალდებულია მაქსიმალურად ღიად და გამჭვირვალედ ითანამშრომლოს კომისიასთან და შეუქმნას მას საკუთარი ფუნქციის შესრულებისათვის ხელსაყრელი პირობები. [436]

ინფორმაციის მიუწოდებლობა ეკონომიკური აგენტის მიერ შეიძლება გახდეს მხოლოდ ამ დარღვევისათვის სანქციის გამოყენების საფუძველი.[437] ეს სანქცია

[433] *Ibid,* p.156.
[434] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.159-161.
[435] *Ibid,* p.28-162.
[436] *Ibid,* p.165.
[437] *Ibid,* p.193.

შესაძლოა საკმაოდ სოლიდურ ჯარიმაშიც გამოიხატოს. ამ შემთხვევაში, ეკონომიკურ აგენტს არ აქვს უფლება ინფორმაციის წარდგენაზე უარი იმით დაასაბუთოს, რომ ეს ინფორმაცია ევროკავშირის საზღვრებს გარეთაა და მისი მიღება და დამუშავება დროს მოითხოვს.[438]

კომისიას უფლება აქვს შევიდეს ეკონომიკური აგენტის ოფისში, მისი საქმიანობის სხვა ადგილებზე, საწყობებში და ა.შ. გაეცნოს ბაზრის მონაწილეთა საბუღალტრო წიგნებსა და ჩანაწერებს, გადაიღოს მათი ასლები, დალუქოს კონკრეტული სათავსოები, სადაც მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ან სხვა მტკიცებულებები შეიძლება ინახებოდეს. მოსთხოვოს ახსნა-განმარტება ეკონომიკურ აგენტს, მის მენეჯმენტს და თანამშრომლებს და მიიღოს ეს ახსნა-განმარტება მის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ჩართოს ეროვნულ დონეზე მოქმედი კონკურენციის ორგანოები და მოითხოვოს მათი მხარდაჭერა.[439]

Right to be heard[440] კარტელთან დაკავშირებული წარმოებისას განიმარტება, როგორც ეკონომიკური აგენტის უფლება მიიღოს და გაეცნოს ყველა სახის მტკიცებულებას, რაც კი მის წინააღმდეგ (თუ სასარგებლოდ) შეიძლება იყოს საქმეში და გამოთქვას მათთან დაკავშირებით საკუთარი აზრი. ადმინისტრაციული პროცესის და მათ შორის კონკურენციის სამართლიდან გამომდინარე პროცედურების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ კომისია (ან ნებისმიერი სხვა კონკურენციის ორგანო) გვევლინება მხარედ და მეორე მხრივ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სწორედ მის ფუნქციებში შედის. ამიტომ, მხარის საპროცესო უფლების უხეშ დარღვევად მიიჩნევა კომისიის მიერ ისეთი მტკიცებულებების იგნორირება ან მტკიცებულებათა სიიდან ამორიცხვა, რაზეც მხარეს შეეძლო თავისი დაცვის სტრატეგია დაემყარებინა. ამ შემთხვევაში სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის მნიშვნელობა არ აქვს, კომისიამ კეთილსინდისიერი შეცდომა დაუშვა თუ მხარის უფლებების გაცნობიერებულ და განზრახ დარღვევასთან გვქონდა საქმე. საპროცესო დარღვევა, რაც მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას იწვევს, მაინც სახეზე იქნება.[441] განზრახვას, გაუფრთხილებლობასა და შეცდომას შორის სხვაობას მნიშვნელობა აღარ ექნება უკვე გაუქმებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, თუმცა ის შეიძლება ცალკე მსჯელობის საგანი გახდეს სამოხელეო დანაშაულის თვალსაზრისით და გამოიწვიოს კონკურენციის ორგანოების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. თუმცა, უნდა

[438] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.197.
[439] *Ibid*, p.207-214.
[440] მხარის უფლება სრულყოფილად და შეუზღუდავად წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია პროცესში.
[441] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.229.

დავეთანხმოთ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რომ ეს ნაწილი კონკურენციის სამართალში დამდგარ შედეგს უკვე ვეღარ შეცვლის. გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში გაუქმდება და პროცესი თავიდან ჩატარდება.

Right to be heard უფლების გამოყენება შეუძლიათ როგორც იმ ეკონომიკურ აგენტებს, ვის საქმიანობასაც იძიებს კონკურენციის ორგანო, ასევე საჩივრის ავტორებს და მესამე პირებს, ვინც შეძლებენ საქმისადმი მათი „საკმარისი ინტერესის“ დამტკიცებას. ერთიანი და უნივერსალური მიდგომა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულ ინტერესად - არ არსებობს. როგორც წესი, ეს შეიძლება იყოს ის სუბიექტი, ვის ინტერესებსაც ზიანი მიადგა კონკურენციის სამართლის დარღვევის შედეგად. მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული ასოციაციები თავისუფლად შეიძლება ჩაითვალონ ასეთ სუბიექტებად.[442] მათ ხელში გარკვეულწილად თავს იყრის ის ინფორმაცია, რომელიც სააგენტოს მხრიდან რეაგირების საფუძველი შეძლება გახდეს.

Right to be heard უფლების გამოყენება კომისიის მიერ ან მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდული არ არის დროში და ექვემდებარება მხოლოდ ერთადერთ - გონივრულობის კრიტიერუმს. ნებისმიერ სუბიექტს, ვისაც საქმისადმი საკუთარი ინტერესის დასაბუთება შეუძლია, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გააცნოს კომისიას საკუთარი პოზიცია, წარუდგინოს ამ პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ისარგებლოს შესაბამისი საპროცესო უფლებებით.[443]

კარტელის გამოძიების პროცესში კონკრეტული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა ინდივიდუალური ანალიზს საფუძველზე უნდა მოხდეს. სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე ინფორმაცია ან მისი შემცველი დოკუმენტი ჩაითვალოს კომერციულ საიდუმლოებად ერთი ეკონომიკური აგენტისათვის, მაგრამ არ ჩაითვალოს ასეთად მეორისათვის.[444] ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის ორგანოს მხედველობიდან არ გამორჩეს მესამე პირის ინტერესების დაცვა. შესაძლოა, კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც ეკონომიკურ აგენტთან აღმოჩნდა და შესაბამისად კონკურენციის ორგანოს ჩაუვარდა ხელში, მოიცავდეს არა მხოლოდ ამ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის, არამედ სხვა პირის კომერციულ საიდუმლოებას. არ შეიძლება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ინფორმაცია არ არის საქმეში ჩართული ეკონომიკური აგენტის ინფორმაცია, არ ჩაითვალოს კომერციულ საიდუმლოებად და ამით მოხდეს მესამე პირის ინტერესების დაზარალება. რაც შეეხება სხვა საიდუმლოს, მასში პრაქტიკაში ყველაზე ხშირად

[442] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.231.
[443] *Ibid*, p.232.
[444] *Ibid*, p.247.

მოიაზრებენ ანონიმური საჩივრების ავტორების ინტერესს დარჩნენ ანონიმურად და ასევე ნებისმიერი სხვა (სახელმწიფო, სამხედრო და ა.შ.) საიდუმლოებას.[445]

3. კომისიის გადაწყვეტილება კარტელთან დაკავშირებით

კარტელის შესახებ გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს მოცემული ინდუსტრიისათვის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას. ამავე დროს, სულ უფრო ხშირდება დოქტრინის ციტირება კომისიის გადაწყვეტილებებში. იმ საქმეებში, რომლებიც უკვე დადგენილი პრაქტიკის მიხედვით წყდება, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის მითითება საკმარისად ითვლება. თუმცა, გადაწყვეტილებები, რომლებიც თვით ადგენენ პრაქტიკას კონკრეტული მიმართულებების მიხედვით, აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული სამართლისა თუ ეკონომიკის მეცნიერებაში გამოთქმული შესაბამისი ანგარიშგასაწევი თუ ავტორიტეტული მოსაზრებებით. სიტყვამრავალი დასაბუთებების ნაცვლად გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მკვეთრ და მაქსიმალურად ნათელ მითითებას კონკრეტულ მტკიცებულებებზე და ამ მტკიცებულებების შეფასებას. და ბოლოს, გადაწყვეტილება ნათლად და არაორაზროვნად უნდა უთითებდეს სანქციაზე, რომლის გამოყენებაც ხდება და მის ოდენობაზე, თუკი საქმე გვაქვს ფულადი ჯარიმის დაკისრებასთან.[446]

კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება კარტელის აღმოჩენისა და მისი წევრებისათვის შესასრულებლად სავალდებულო მითითებების მიცემის, ან მათთვის სანქციების დაკისრების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს დადგენილი წესის მიხედვით. გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს დაჯარიმებული ეკონიმიკური აგენტების ვინაობა და მათთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობა.[447] ზემოაღნიშნულთან ერთად კომისია პერიოდულად აქვეყნებს პრეს რელიზებს კარტელისათვის დაჯარიმებული სუბიექტებისა და მათთვის დაკისრებული ჯარიმების ოდენობის შესახებ.[448]

4. სანქცია კარტელთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში

[445] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.247-248.
[446] *Ibid,* p.283-284.
[447] *Ibid,* p.295-296.
[448] *Ibid,* p.301.

კარტელის წევრობისათვის ჯარიმა კომისიის გადაწყვეტილებაში შეიძლება იყოს პერიოდული და ფიქსირებული. ეს უკანასკნელი განისაზღვრება წინა წლის ბრუნვის 10%-მდე ოდენობით. პერიოდული სანქცია მაშინ გამოიყენება, როდესაც კომისია დამრღვევ ეკონომიკურ აგენტს აკისრებს გარკვეული მოქმედების შესრულებას გარკვეულ ვადაში და იქვე განუსაზღვრავს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმას, რომელიც შეიძლება იყოს წინა წლის საშუალო დღიური ბრუნვის 5%-მდე ოდენობით.[449] თუ შევადარებთ ქართულ რეალობას, ჯარიმები აშკარად დიდია და სწორად და დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს ქართველი კანონმდებლის გადაწყვეტილება, რომ ქართული კონკურენციის სამართლის ევროპულთან ჰარმონიზაცია გაგებული არ ყოფილიყო, როგორც პირველ რიგში ევროპული სანქციების შემოტანა. სანქციის განსაზღვრის ასეთი მოქნილი და ფართო უფლებამოსილება კიდევ უფრო ზრდის კონკურენციის ორგანოს პასუხისმგებლობას - ჰქონდეს პასუხი სანქციის ამა თუ იმ ოდენობით გამოყენებაზე და გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბოს ყველა ის კრიტერიუმი და მიუთითოს შესაბამის მეთოდოლოგიაზე, რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს სანქციების განსაზღვრა.

მესამე პირი, რომელიც თვითონ არ საქმიანობს იმ ინდუსტრიაში/სფეროში, სადაც კარტელის არსებობა დადასტურდა, მაგრამ მონაწილეობდა და ხელს უწყობდა კარტელის მუშაობას, პასუხისმგებელია კარტელისათვის, მაგრამ სანქციის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული დარღვევის სიმძიმე, მისი ჩართულობა ცალკეულ აქტივობებში რაც კარტელის მოქმედებას უწყობდა ხელს და ა.შ.[450] კონკრეტული ფორმულა, ტაბულა ან ალგორითმი, რომელიც სანქციის განსაზღვრისას დაეხმარებოდა კონკურენციის ორგანოს, არ შეიძლება არსებობდეს შემთხვევების უკიდურესად ინდივიდუალური ხასიათის გამო. თუმცა, სანქციის ოდენობის განსაზღვრისას ალბათ მაინც უნდა შემუშავდეს სანქციის გამოთვლისა და კონკრეტული ციფრის გამოყვანის გარკვეული მეთოდოლოგია, რის გარეშეც დაკისრებული სანქცია დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება და შეიძლება მისი გაუქმების საფუძველიც გახდეს.

კარტელში მონაწილეობისას ესა თუ ის ბაზრის მონაწილე შეიძლება განსხვავდებოდეს ჩართულობის ხარისხით, ინიციატივის გამოჩენით და ა.შ. პასიური მონაწილეობა და ამ მონაწილეობის განსვავებული ხარისხი არ ახდენს გავლენას კვალიფიკაციაზე, თუმცა აუცილებლად უნდა აისახოს სანქციის ნაწილზე. სანქცია უნდა განისაზღვროს კონკრეტული ბაზრის მონაწილის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ამ

---

[449] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.281.

[450] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.157.

ქმედების უარყოფითი ზეგავლენისა და კარტელის საერთო სურათში მისი ადგილის გათვალისწინებით.[451]

კარტელის ყველა მონაწილეს ერთგვაროვანი როლი ვერ ექნება მის ფუნქციონირებაში. ამიტომ ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც პრაქტიკაში შეიძლება შედეგის მომტანი აღმოჩნდეს - არის კარტელის აქტიურად მოქმედი წევრების მიმართ უფრო მკაცრი სანქციის გამოყენება, ვიდრე პასიური წევრების მიმართ. ეს შეიძლება იყოს ერთგვარი პრევენციის საშუალება, რაც ეკონომიკურ აგენტებს მეტ საფუძველს მისცემს დაფიქრიდნენ, სანამ კარტელში ინიციატივების გამოჩენასა და დარღვევების აქტიურ დაგეგმვასა და განხორციელებას დაიწყებენ. თუკი აქტიური ქმედება ნაკლები იქნება, მაშინ კარტელიც ვერ იქნება ძლიერი და მას შედეგად გაცილებით ნაკლები ზიანი მოჰყვება, ვიდრე აქტიური ქმედების პირობებში შეიძლებოდა მოჰყოლოდა.[452]

პრევენციის მიზნით მეთოდოლოგია ორი ალტერნატივის სახით შეიძლება არსებობდეს: სანქციების მაქსიმალური გამკაცრება და კარტელის გამოვლენის შედარებით დაბალი მაჩვენებელი და პირიქით, სანქციის შემცირება და სამაგიეროდ კარტელების გამოვლენის მაჩვენებლის ზრდა. ვინაიდან ეს უკანასკნელი რესურსების მაქსიმალურ მობილიზებასთან და ხარჯვასთან არის დაკავშირებული, შესაბამისად პირველი უფრო რაციონალურად გამოიყურება პრევენციის თვალსაზრისით, თუმცა ეს მთლად ასე არ არის. როდესაც სანქციები მაღალია, ხოლო რესურსი შეზღუდული, ეკონომიკური აგენტები განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ კონკურენციის ორგანოებისა თუ სასამართლოს მხრიდან ნებისმიერ შეცდომას, რომელიც მათ წარმოუდგენლად ძვირი უჯდებათ. გარდა ამისა, შეუსაბამოდ მაღალი ჯარიმები მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის პრევენციას ემსახურება, ეწინააღმდეგება სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპს.[453]

როდესაც აშკარაა, რომ ფორმალურად კარტელში მოქმედებდა შვილობილი კომპანია, მაგრამ ყველა გადაწყვეტილებაზე გავლენას დედა კომპანია ახდენდა, კომისიას შეუძლია ისინი განიხილოს, როგორც single economic entity და შესაბამისად სანქცია დააკისროს დედა კომპანიასაც, რომელსაც შესაძლოა ფორმალური თვალსაზრისით, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს კარტელში პირდაპირი მონაწილეობა არც უდასტურდებოდეს.[454]

---

[451] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.28-29.

[452] *Ibid,* p.680.

[453] *Ibid,*, p.681.

[454] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.654-655.

როცა კარტელში რამდენიმე სუბიექტი ერთდროულად მონაწილეობს, მაშინ კომისია ეყრდნობა რა სანქციის განსაზღვრის მიზნით 2018 წელს შემუშავებულ გაიდლაინებს, ჰყოფს ამ კომპანიებს სიდიდის მიხედვით, შემდგომში კი იყენებს გარკვეულ თანასწორობის საწყისებზე დაფუძნებულ ფიქსირებულ ჯარიმებს თითოეულ ჯგუფში შემავალი კომპანიების მიმართ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველას მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპი არ დაირღვეს.[455]

5. კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება

თუ მხარე ასაჩივრებს კომისიის გადაწყვეტილებას სასამართლოში, კომისიას შეუძლია გადაავადოს ჯარიმის აღასასრულებლად მიქცევა, თუ მხარე დათანხმდება, რომ გადაიხდის გასული დროისათვის გარკვეულ პროცენტს, რაც დგინდება კომისიის მიერ და წარმოადგენს საბანკო გარანტიას, რომელიც ფარავს როგორც პროცენტს, ასევე ძირ თანხას. თუ ეკონომიკური აგენტი ეთანხმება ჯარიმის გადახდას, მაგრამ არ აქვს საამისოდ აუცილებელი სახსრები რომ ერთანად და სრულად დაფაროს დაკისრებული თანხა, მას შეუძლია მიმართოს კომისიას თანხის განაწილვადების მოთხოვნით. კომისია საპასუხოდ ეკონომიკურ აგენტს უდგენს მისთვის მეტნაკლებად მისაღებ გადახდის გრაფიკს, რომლის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს ჯარიმის გადახდა.[456] ეს წესი განსხვავდება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკისაგან. ნავთობპროდუქტების კომპანიების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ სააგენტოს არც საბანკო გარანტია მოუთხოვია და არც თანხის პროცენტი.

გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილში ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია დაკისრებული ჯარიმის ხარჯში გამოქვითვის საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ წევრი სახელმწიფოების ერთგვაროვანი მიდგომა ამ კუთხით ჩამოყალიბებული არ არის და წევრი სახელმწიფოები არ არიან ვალდებულნი, რომ თავიანთი საგადასახადო პოლიტიკა შეათანხმონ, გამოდის, რომ ჯარიმის დაბეგვრის განსხვავებული საგადასახადო რეჟიმის გამო ამ ჯარიმას სხვადასხვა ეკონომიკური ეფექტი მოჰყვება ევროპის კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში იმის მიუხედავად, რომ თვითონ ეს ჯარიმა ერთიანი ევროპული ორგანოს მიერ არის დადგენილი. ნიშანდობლივია, რომ ევროპულმა სასამართლოებმა არ გაიაზარეს ეკონომიკური აგენტების საჩივარი და მითითება, რომ ასეთი არაერთგვაროვანი საგადასახადო მიდგომა შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებს და არ უნდა იქნეს გამოყენებული. ევროპულ სასამართლოებს

[455] *Ibid,* p.955.
[456] *Ibid,* p.303.

მიაჩნიათ, რომ საგადასახადო პოლიტიკა და ჯარიმის დაბეგვრის მეთოდოლოგიის განსაზღვრა წევრი სახელმწიფოებს პრეროგატივაა და ამაში ევროპის კომისია ან ევროპული სასამართლოები ვერ ჩაერევიან. ისინი ვერ აიძულებენ წევრ სახელმწიფოებს შეცვალონ თავიანთი საგადასახადო რეჟიმები.[457] მიდგომა აშკარად დისკრიმინაციული და მკვეთრად უარყოფითი ელფერის მქონეა. ცხადია, სათანადო მონდომებისა და პოლიტიკური ნების გამოვლენის შემთხვევაში კომისიას არ უნდა გასჭირვებოდა თუნდაც რეკომენაციის დონეზე წევრი სახელმწიფოების ძალისხმევის კოორდინაცია და ამ საკითხზე ერთიანი ევროპული მიდგომის (თუნდაც მაქსიმალურად პრო-საბიუჯეტო და არა ბინზესზე ორიენტირებულის) შემუშავება.

II. შერწყმის (კონცენტრაციის) კონტროლის საპროცესო საკითხები ევროპულ პრაქტიკაში

1. ევროპის კომისიის კომპეტენცია შერწყმის (კონცენტრაციის) კონტროლისას

ა) შერწყმის კონტროლის კომპეტენციის გამიჯვნა ევროპულ და ეროვნულ ორგანოებს შორის

2004 წლის რეგულაციამ პროცესები უფრო მოქნილი გახადა. კერძოდ, შეიცვალა კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღების ვადები და ეკონომიკურ აგენტებს მიეცათ მეტი დისკრეცია, აერჩიათ როდის და როგორ შეეტყობინებინათ კომისიისათვის შერწყმის შესახებ. ამით მათ საშუალება მიეცათ ერთი მხრივ, უკეთ მომზადებულიყვნენ ამ პროცესისათვის და მეორე მხრივ, უფრო ეფექტურად დაეგეგმათ და განეკარგათ როგორც კონკრეტულად შეტყობინების, ასევე ზოგადად დაგეგმილი ტრანზაქციის ხარჯები. კომისიის მიერ ტრანზქაციაზე მსჯელობის პროცესში მხარეებს ეკრძალებათ ნებისმიერი ისეთი მოქმედება, რაც შერწყმის რეალურად განხორციელებას გამოიწვევს.[458]

---

[457] ***Siragusa, Mario., Rizza, Cesare.,*** EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012, p.304.

[458] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.79. იხ. ასევე: ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.699.

ევროპის 1/2003 რეგულაცია არ გამოიყენება შერწყმის კონტროლის მიმართ, რომელსაც ევროკავშირის სხვა აქტები არეგულირებენ.[459] შერწყმის კონტროლის ევროპულმა რეგულაციამ 1/2003 რეგულაციისაგან განსხვავებული გზა აირჩია. თუ ეს უკანასკნელი აღიარებს ე.წ. შერეულ კომპეტენციას და ანაწილებს როლებს კომისიასა და კონკურენციის ეროვნულ ორგანოებს შორის, შერწყმის კონტროლისას ასეთი კომპეტენციები მკვეთრად გამიჯნულია და როგორც წესი კომისია ნაკლებად ერევა ისეთ საქმეებში, რომელსაც ევროპულ კავშირთან, მის ბაზართან და წევრებს შორის ვაჭრობასთან არ არის დაკავშირებული.[460] კომისიის უფლებამოსილება გაცილებით შორსაც მიდის და გარკვეულწილად გამომრიცხავი კომპეტენციის სამართლებრივ შინაარსს იძენს, ვინაიდან კომისიას აქვს უფლება აუკრძალოს წევრი სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებს ისეთი გარიგების დაბლოკვა ან დადასტურება, რომელიც ევროპული კომპეტენციის ფარგლებში თავსდება. მაგალითად The BCSH./Champalimaud-ის საქმეზე კომისიამ საკმაოდ ხისტად იმოქმედა და აუკრძალა პორტუგალიას ერთ-ერთი ტრანზაქციის დაბლოკვა, რომლის დადასტურების საკითხსაც თვითონ იხილავდა. უფრო მეტიც, განხილვის პროცესში კომისიამ შეაჩერა პორტუგალიის მიერ მიღებული გარიგების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მოქმედება და ეს გააკეთა სანამ თვითონ გარიგების დადასტურების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდოდა.[461] 1999 წელს დაფიქსირებული ეს პრეცენდენტი ცალსახად მოწმობს კომისიის ექსკლუზიური კომპეტენციის არსებობას ისეთ კონცენტრაციაზე, რომელიც ევროპის კავშირის წევრებს შორის ვაჭრობის ინტერესებთან და შერწყმის რეგულაციით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობაშია. კომპეტენციების გამიჯვნა არ ნიშნავს ჩაკეტილ კარს კომისიასა და თავისუფალი კონკურენციისათვის მომუშავე ორგანოებს შორის. ეროვნული ორგანოები და კომისია ორი ძირითადად მიმართულებით თანამშრომლობენ: პირველი ეს არის ეროვნული ორგანოების ჩართულობა და მათი დახმარება კომისიის საქმიანობაში და მეორე გულისხმობს კომისიისათვის ეროვნული ორგანოს ქვემდებარე საქმის გადაცემას, როდესაც შეიძლება არსებობდეს კომისიის მიერ დავის განხილვის ლეგიტიმური ინტერესი.[462]

შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ ისინი აკმაყოფილებენ Community Dimension კრიტერიუმს, ეკონომიკური აგენტ(ებ)ი ექცევიან ექსკლუზიურად European

[459] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.12.
[460] *Ibid,* p.706-707.
[461] *Ibid,* p.708.
[462] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.711.

Merger Regulation სფეროში, შესაბამისად, მათ მიმართ არ გამოიყენება ეროვნული კანონმდებლობის ნორმები ან ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლები. ასეთი რეგულირება ემსახურება ეფექტური მექანიზმის შექმნას, რაც გამორიცხავს განსხვავებულ პირობებში წარმოშობილი ნორმების გამოყენებასა და მათ შორის წინააღმდეგობიდან გამომდინარე გაურკვევლობების თავიდან აცილებას. კომისიას შესაძლებლობა ეძლევა ერთი მხრივ არ დააბრკოლოს ბიზნესის ბუნებრივი მოთხოვნა შერწყმაზე, და მეორე მხრივ განახორციელოს ეფექტური კონტროლი. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომისია უფლებამოსილია კონკრეტული საქმე გადასცეს წევრი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, თუკი დარწმუნდება, რომ შერწყმა გავლენას მოახდენს რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამა თუ იმ ინდუსტრიაში არსებულ ბაზარზე.[463] European Merger Regulation (მუხლი 22) ასევე იძლევა წევრი სახელმწიფოს კონკურენციის სააგენტოს მიერ კონკრეტული საქმის ევროპის კომისიაში გადამისამართების შესაძლებლობას, თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ შერწყმის პოტენციურ გარიგებას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.[464]

ეკონომიკურ აგენტს, რომლის კონცენტრაციასაც კომისია სწავლობს, შეუძლია მოტივირებული შუამდგომლობით მოითხოვოს საქმის წევრი სახელმწიფოს კონკურენციის უწყებისათვის გადაცემა და დაასაბუთოს, რომ მისი გარიგება გავლენას ახდენს ერთი კონკრეტული წევრი სახელმწიფოს ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე და ამდენად საქმის განხილვაც სწორედ მას უნდა დაექვემდებაროს. ასეთი შუამდგომლობით ხორციელდება საპროცესო ეკონომიის პრინციპი და მხარე, რომელსაც შესაძლოა, პირველ ეტაპზე მართლაც მეტი ინფორმაცია თუ მტკიცებულებები ჰქონდეს კომისიასთან შედარებით, დაეხმაროს კომისიას საქმის ქვემდებარობის მიხედვით განაწილებაში. და პირიქით, ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ მოსთხოვონ კომისიას ისეთი გარიგების შესწავლა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს community dimension კრიტერიუმს, თუმცა შესაძლებელია რომ ერთი და იგივე დროს გახდეს მინიმუმ სამი წევრი სახელმწიფოს კონკურენციის ორგანოს განხილვის საგანი.[465] ეს ნორმა მიუთითებს, რომ მხოლოდ ფინანსური (ბრუნვის) კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს კონკრეტულ გარიგებაზე საერთო ევროპული იურისდიქციის დაფუძნების ერთადერთი წინაპირობა. მთავარი, როგორც ჩანს არის საერთო ევროპულ ბაზარზე გარიგების გავლენა, რაც სამ სახელმწიფოსთან

[463] *Ibid,*. p.400.
[464] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016, p.401.
[465] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016, p.401.

კონკრეტული შერწყმის ტრანზაქციის კავშირით ფუძნდება. სხვათა შორის, ვაჭრობაზე გავლენის კრიტერიუმთან დაკავშირებული პრობლემა ანალოგიურად იჩენს თავს კარტელების საქმის განხილვის დროსაც. Javaco vs. Yves Saint Laurent საქმეში Javaco იყო YSL პროდუქციის დისტრიბუტორი უკრაინასა და რუსეთში. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ დისტრიბუტორს არ ჰქონდა უფლება პროდუქცია გაეყიდა ევროპის კავშირის ტერიტორიაზე და უნდა ემოქმედა მხოლოდ ხელშეკრულებით მისთვის გამოყოფილ სახელმწიფოებში. დაისვა კითხვა, ახდენდა თუ არა ეს ხელშეკრულება ზეგავლენას წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე. პირველ ინსტანციაში სასამართლო გადაიხარა იქითკენ, რომ სახეზე იყო პარალელური ექსპორტის აკრძალვა და აქედან გამომდინარე შესაძლებლობა, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე ზეგავლის მოხდენა პოტენციურად ვერ გამოირიცხებოდა, თუმცა შემდგომ ინსტანციაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ყოფილიყო კონკურენციის შემზღუდავი ქმედება, მაგრამ მისი შეფასება ვერ მოხდებოდა წევრთა შორის ვაჭრობაზე გავლენის მოხდენის კონტექსტში. საბოლოო ჯამში დოქტრინასა და პრაქტიკაში დადასტურებული და გაზიარებულია მიდგომა, რომელიც მსგავსი შემთხვევების მკვეთრად გამოკვეთილ ინდივიდუალურობას უსვამს ხაზს და საქმის კონკრეტული გარემოებების შესწავლის გარეშე უნივერსალური დასკვნების გაკეთებას გაცილებით მეტი სიფრთხილით ეკიდება.[466]

კომისიისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ European Merger Regulation ითვალისწინებს ორი ფაზისაგან შემდგარ პროცედურას. პირველ ფაზაში კომისიამ შეიძლება მიიჩნიოს, რომ კონკრეტული ტრანზაქცია მას არ ექვემდებარება შესამოწმებლად, დართოს ნება მის განხორციელებაზე ან პირობით დაუშვას გარიგების დასრულება მე-6 მუხლის მიხედვით. თუ გარიგება უფრო მეტ კითხვებს წარმოშობს, კომისია გადადის მეორე ფაზის კვლევაზე. ამ შემთხვევაში საჭიროა უფრო მეტი დრო და შესწავლაც უფრო კომპლექსურად მიმდინარეობს. შედეგი ამ შემთხვევაშიც სამი ალტერნატივის სახით დგება, როგორც პირველი ფაზის ბოლოს.[467]

b) წინასწარი შეტყობინება შერწყმის კონტროლის პროცესში (Pre notification)

2004 წლის რეგულაციით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმი გულისხმობს გარიგების დადებამდე მის შეტყობინებას კომისიისათვის, რომელმაც უნდა

[466] ***Wijckamans, Frank., Tuytschaever, Filip.,*** Vertical Agreements in EU Competition Law, Oxford University Press, Third Edition, Oxford, 2018, p.93-94.

[467] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.401.

დაადასტუროს ან უარყოს კონკურენციის სამართლის პერსპექტივიდან მოთხოვნილი გარიგების განხორციელების შესაძლებელობა.[468]

შეტყობინების პროცედურის დაწყებამდე კომისიასა და შესაბამის ეკონომიკურ აგენტს შორის კომუნიკაცია განვითარების პირველ ეტაპზე საკმაოდ არაფორმალური იყო, თუმცა მოგვიანებით მოხდა პრაქტიკის თავისებური განზოგადება კომისიის მიერ გამოცემულ საუკეთესო პრაქტიკის გაიდლაინებში. ამ გაიდლაინების მიხედვით, ეს ეტაპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და განაპირობებს შემდგომი ურთიერთობების ორივე მხარისათვის მაქსიმალურად მისაღებ და კომფორტულ ფორმატში წარმართვას.[469] დროული კომუნიკაცია შეტყობინების წინა ეტაპზე კონკურენციის გენერალური დირექტორის ოფისს ეხმარება საკუთარი სამუშაო გრაფიკის უკეთ დაგეგმვაში, ქეისის სირთულისა და კომპლექსურობის ხარისხის ინდეტიფიცირებაში, რის შემდეგადაც შესაბამისად ხდება ქეისებზე სამუშაო ძალისა და დროის გადანაწილება.[470]

პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომით შეტყობინება უნდა მოხდეს შერწყმაში მონაწილე ყველა სუბიექტის მიერ ერთობლივად. ყველა სხვა შემთხვევაში შეტყობინების ვალდებულება ეკისრება იმ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც გეგმავს სხვა სუბიექტებზე კონტროლის მოპოვებას.[471]

პრაქტიკაში შეიძლება იყოს შემთხვევა ე.წ. „კონფლიქტური შეტყობინებისა," რაც გულისხმობს შესაბამის ბაზარზე მოქმედი დამოუკიდებელი მხარებიის მიერ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გარიგების დადასტურების მოთხოვნას კომისიისათვის. ასეთ შემთხვევაში კომისიას აქვს დისკრეცია განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები, შეაფასოს ერთ-ერთი მათგანი მეორეს მხედველობაში მიღების გარეშე, ან მოგვიანებით შეაფასოს მეორე პირველის შედეგების გათვალისწინებით.[472] ასეთი მიდგომა პრაქტიკულად არ გამოიყურება და შესაძლოა სერიოზული საფრთხეც შეუქმნას იმ ფუნქციის რეალურად და ეფექტურად შესრულებას, რასაც გარიგების დადასტურების პროცედურა ემსახურება. შესაძლოა გაცილებით უფრო რთული, მაგრამ უფრო ლოგიკური იქნებოდა კომისიის მიერ პარალელური ტრანზაქციების ერთიან კონტექსტში შეფასება და დადგენა, როგორი იყო ბაზარზე მდგომარეობა გარიგებების არსებობამდე და როგორი იქნება თუ კომისია ორ (ან შეიძლება მეტ) გარიგებასაც დაადასტურებს. კონტექსტიდან ამოგლეჯილად გამოიყურება კომისიის მიერ

---

[468] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.700-701.

[469] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.169.

[470] *Ibid,*, p.170.

[471] *Ibid*, p.170.

[472] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.185.

მინიჭებული პრიორიტეტის მიხედვით ერთის შედეგების მეორის მიმართ გათვალისწინება, როდესაც პირიქით ეფექტი არ არსებობს. ამით თეორიულად მხარეს ერთმევა უფლება ამტკიცოს, რომ მისი ტრანზაქცია დადასტურდებოდა, თუ კომისია პარალელური ტრანზაქცი(ებ)ის დადასტურებაზე იტყოდა უარს. ასეთი მტკიცება უკვე აღარ დაიშვება რადგან პირველი დადასტურებულია და ის რომ პირველი დადასტურებულია მხოლოდ კომისიის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით უნდა აიხსნას. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი რომ პარალელური ტრანზაქციების ერთ კონტექსტში განხილვას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ისინი ერთი და იმავე (ან თუნდაც მოსაზღვრე) ინდუსტრიაში საქმიანობენ, რაც არ გამორიცხავს ჯვარედინი გავლენების არსებობას ამ კომპანიების ყოველდღიურ საქმიანობაზე. თუ პარალელური ტრანზაქციები ერთმანეთთან საერთოდ შეხებაში არ მყოფ კომპანიებს შეეხება, ცხადია ამ შემთხვევაში პრიორიტეტის კომისიის დისკრეციის შესაბამისად მინიჭება შედარებით რაციონალურად გამოიყურება.

c) პროცესის ეტაპები

შერწყმის კონტროლის ევროპული პროცესი ამერიკული გავლენით ორი ფაზისაგან შედგება, პირველი ფაზა მოიცავს საწყის მოკვლევას და როგორც წესი საქმეების დიდი უმრავლესობა ამ ფაზაზე სრულდება, თუმცა თუ კომისია ჩათვლის რომ მას დამატებით კვლევის განხორციელება სჭირდება საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, ის ამის შესახებ ატყობინებს მხარეს. პროცედურა დღეების სიზუსტით განსაზღვრავს კომისიისთვის მიცემულ ვადას ამა თუ იმ ფაზის დასრულებისათვის, კომისიას როგორც მხარის თხოვნით ასევე საკუთარი ინიციატივით აქვს ამ ვადების გაგრძელების უფლება.[473]

როგორც უკვე აღინიშნა, ორი ფაზის არსებობა ამერიკული სამართლის (Hart-Scott-Rodino Act 1976) გავლენით აიხსნება. პირველი ფაზა იწყება შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით, რომელსაც, როგორც წესი, წინ უძღვის არაფორმალური კონსულტაციები კომისიასა და ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს შორის. თუ წარდგენილი შეტყობინება და მისი თანმხლები ინფორმაცია არ არის სრულყოფილი კომისიის მიერ ჩასატარებული ანალიზისა და მოკვლევის მიზნებისათვის, კომისია მიუთითებს შესაბამის ხარვეზებზე და განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა იყოს შევსებული ხარვეზი. თუ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ შეიცვალა რაიმე გარემოება, ეკონომიკური აგენტები ვალდებულნი არიან გონივრულ ვადაში, დაყოვნების გარეშე მიაწოდონ ინფორმაცია კომისიას ნებისმიერი ასეთი ცვლილების შესახებ.[474] თავდაპირველად კომისიის მიერ

[473] *Ibid,* p.174-176.

[474] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.752.

შერწყმის კონტროლის დაწყებასთან ერთად ძალიან მცირე რაოდენობა განაცხადებისა მიიჩნეოდა არასრულყოფილად. განაცხადების რაოდენობის ზრდასთან ერთად ეს ტრენდი მცირედით შეიცვალა, თუმცა 90-იანი წლების ბოლოდან ძველი პრაქტიკა აღდგა და კომისია საკმაოდ იშვიათად ახარვეზებს კომპანიების მიერ წარდგენილ განაცხადებებს.[475] დახარვეზებული განაცხადების რაოდენობის შემცირება იმითაც უნდა იყოს განპირობებული რომ უკვე დაგროვდა გარკვეული ცოდნა, გამოცდილება და პრაქტიკა, რაც მხარეების მაღალკვაფიციური წარმომადგენლების ჩართულობასთან ერთად თითქმის გამორიცხავს ფორმალური ხარვეზების შესაძლებლობას, თუ მიწოდებული ინფორმაციის არასულყოფილება მხარის არაკეთილსინდისიერი და ნაკლებად კოოპერაციული მიდგომით არ არის განპირობებული.

პროცესის შემდეგი ეტაპია კომისიის შიგნით ტრანზაქციაზე მომუშავე გუნდის შექმნა და მის წევრებს შორის შესაბამისი როლების განაწილება, რასაც მოსდევს უშუალოდ ბაზრის ანალიზის, ე.წ. „ბაზრის ტესტის“ გაკეთება.[476] პროცესი გრძელდება შეხვედრებით როგორც კონკურენტებთან, ასევე სამმხრივ ფორმატში კონკურენტებისა და უშუალოდ ტრანზაქციაში ჩართული პირების მონაწილეობით. არსებობს შესაბამისი გაიდლაინები, რომლებიც მეტანკლებად ზუსტად განსაზღვრავენ, როგორი ფორმატისა და შინაარსის შეხვედრებია საჭირო როგორც ტრანზაქციაში ჩართულ პირებთან, ასევე ბაზრის სხვა მონაწილეებთან იმისთვის, რომ კომისიამ მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი როლის ეფექტურად შესრულება.[477] ამას მოჰყვება ე.წ. პირველი ფაზის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება იმ შემთხვევაში თუ კომისია ჩატარებული ანალიზის შედეგად წარმოდგენილ გარიგებას კონკურენციის თვალსაზრისით რაიმე პრობლემასთან ვერ აკავშირებს. მეორე ფაზა საჭიროდ მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი ფაზის დროს ჩატარებულმა ანალიზმა გამოკვეთა კითხვები და წარმოშვა ეჭვი, რომ ტრანზაქცია შეიძლება ვერ აკმაყოფილებდეს თავისუფალი კონკურენციის მოთხოვნებს.[478]

შერწყმის პროცესის კონტროლისას შეიძლება წამოიჭრას მთელი რიგი საკითხებისა რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია: ა) ეკონომიკური აგენტები ტრანზაქციის დაგეგმვის პროცესში ხშირად გადიან კონსულტაციებს კომისიასთან. კონკრეტული ინფორმაციის მიღების და ანალიზის შემდეგ კომისიამ შეიძლება დაასკვნას, რომ გარიგება მისი კომპეტენციის მიღმაა და შემოწმებას არ ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში თუ მხარეები მოითხოვენ კომისიას შეუძლია გასცეს შესაბამისი წერილობითი დასტური; ბ)

[475] *Ibid,* p.752-753.
[476] *Ibid,* p.753.
[477] *Ibid,* p.754-755.
[478] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.759.

პროცედურული საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოითხოვს თუ არა მხარე ტრანზაქციის შეჩერების გამორიცხვას სანამ კომისიაში მიმდინარე პროცედურები არ დამთავრდება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი დასაბუთების წარდგენა. გ) როგორც წესი, საკუთარი ფუნქციის ეფექტურად შესრულების მიზნით კომისია ცდილობს მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია და მოახდინოს დოკუმენტებისა და სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებების სრულყოფილი ინსპექტირება, რაც ეკონომიკური აგენტებისათვის გარკვეულ დისკომფორტთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მხარეს შეუძლია მოითხოვოს კომისიისაგან მსგავსი ვალდებულებისაგან გათავისუფლება თუ დაასაბუთებს, რომ კონკრეტული ინფორმაცია დოკუმენტი თუ სხვა სახის მტკიცებულება არ არის რელევანტური კონცენტრაციასთან მიმართებაში და მისი წარდგენა აუცილებელობას არ წარმოადგენს; დ) ხომ არ არის შესაძლებელი გამარტივებული პროცედურის (short form notification) გამოყენება; ე) წინასწარი დისკუსიები გარიგების სტრუქტურასთან და შინაარსთან დაკავშირებით ყოველთვის პროდუქტიულია და ეხმარება როგორც კომისიას, ასევე ეკონომიკურ აგენტებს ეფექტურად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა და ორმხრივად მისაღები და სასარგებლო შედეგი დადონ; ვ) კომისია შეიძლება შევიდეს დიალოგში წევრი ქვეყნების ეროვნულ ორგანოებთან რომელთა ტერიტორიასაც შეიძლება შეეხებოდეს მისი ინტერესის სფეროში მოხვედრილი ტრანზაქცია.[479]

European Merger Regulation 8(2) მუხლის თანახმად, ტრანზაქციაში ჩართულ ეკონომიკურ აგენტს შეუძლია შესთავაზოს კომისიას გარკვეული ვალდებულების საკუთარ თავზე აღება და სამომავლო ტრანზაქციის მოდიფიცირება, რამაც უნდა გამორიცხოს პოტენციური შერწყმის ანტიკონკურენციული ეფექტი. როგორც წესი, კომპანიები ასეთ შეთავაზებებს განსაკუთრებით ღიად პირველი ფაზის დასასრულისკენ აკეთებენ, რათა პირობითი დასტური მაინც მიიღონ და ამით გამორიცხონ საკუთარი ბიზნეს გეგმების შეფერხება. მთავარი კრიტერიუმი შეთავაზებული ღონისძიებებისადმი მარტივად ფორმულირებადია: ალტერნატიულმა სცენარმა შესაძლებელი უნდა გახადოს კონკურენციის რისკების თავიდან აცილება. განასხვავებენ ტრანზაქციაში ჩართული ეკონომიკური აგენტის მიერ ამა თუ იმ ინდუსტრიიდან გასვლას (ბიზნესის გაყიდვას) და "სხვა ღონისძიებებს". პირველი მარტივია და უკავშირდება იმ ბაზარზე კომპანიის ინტერესების არარსებობას, რომელზეც განსაკუთრებით სენსიტიურად შეიძლება აისახოს შერწყმის უარყოფითი ეფექტი. „სხვა ღონისძიებების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელი შეიძლება იყოს და გამომდინარეობდეს კონკრეტული ტრანზაქციის

[479] *Ibid,* p.750-751.

სპეციფიკიდან და ხასიათიდან.[480] ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული მოქმედებების შესრულების მონიტორინგის მიზნით კომისია ნიშნავს სპეციალურ წარმომადგენელს (trustee). ეკონომიკურ აგენტს შეუძლია კომისიას შესთავაზოს ასეთი წარმომადგენლის ერთი ან რამდენიმე კანდიდატურა. დანიშვნაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია. წარდგენილი კანდიდატი უნდა იყოს შესაბამის სფეროში კომპეტენტური და გამოცდილი პირი და შეეძლოს მონიტორინგის ფუნქციის ეფექტური განხორციელება და ამავე დროს ის დამოუკიდებელი უნდა იყოს კომპანიებისაგან და არ ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი ნებისმიერ იმ ქმედებასთან მიმართებაში, რომლის მონიტორინგის მიზნითაც ინიშნება.[481]

გარიგების დადასტურების პროცესის მეორე ფაზაში ასევე ხშირად გამოიყენება peer review panel, რომელიც DG Competition-ის ოფისის მაღალკვალიფიციური და შესაბამისი გამოცდილების მქონე თანამშრომლები არიან. 2004 წლის რეფორმის შემდეგ დამატებული უფროსი ეკონომისტის პოზიცია შესაძლებლობას იძლევა ამ ეკონომისტთან შეიქმნას ეკონომიკაში დოქტორის ხარისხის მქონე კომპეტენტური ექსპერტების კოლეგია, რომელიც არ გამორიცხავს სპეციალიზაციის გათვალისწინებით აკადემიურ სფეროში წარმატებული და ცნობილი პირების ექსპერტებად ჩართვას საქმეში, თუ ამისი საჭიროება არსებობს.[482]

მეორე ფაზის მიმდინარეობისას დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ზეპირი განხილვაც, თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევენ.[483] მხარეებს ასევე აქვთ უფლება კომისიას შესთავაზონ პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი გზები კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით. ეს შეიძლება იყოს ბაზარზე არსებული ბარიერების მოხსნა ახალი კონკურენტების შესასვლელად, ან ბაზარზე არსებული წილის ხელოვნური შემცირება. თუ კომისია შეთავაზებულ ღონისძიებებს საკმარისად მიიჩნევს, მაშინ შესაძლებელია ტრანზაქციაზე თანხმობის გაცემა შესაბამისი პირობების შესრულების დათქმით.[484] კომისიის მიერ წამოყენებული მოთხოვნა შეიძლება იყოს სტრუქტურული (მაგალითად შეეხებოდეს ბაზრის სტრუქტურას) ან ე.წ. „ქცევითი“ რომელიც ეკონომიკური აგენტებისაგან გარკვეული ქმედებების შესრულების ვალდებულებას მოიაზრებს საკუთარ თავში.[485]

---

[480] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. P.407.

[481] *Ibid,* p.408.

[482] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.193.

[483] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.765.

[484] *Ibid,* p.770.

[485] *Ibid,* p.773. პროცესის ფაზების შესახებ დაწვრილებით იხ: ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.306-307.

პირველი ფაზის განმავლობაში კომპანიების ჩართულობა არც თუ ისე მაღალია. შესაძლოა კომისიის ინიციატივით გაიმართოს ე.წ. state of play meeting, სადაც კომისია თავის კითხვებს თუ კომენტარებს გაუზიარებს ტრანზაქციის მხარეებს. ეს შეხვედრა სრულ ნებაყოფლობითობაზეა დაფუძნებული და მკაცრი პროცედურული ნორმებით რეგულირებული არ არის.[486]

მეორე ეტაპი შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი შედეგით დამთავრდეს:

- გარიგება არ უქმნის საფრთხეს კონკურენციას იმ ფორმითა და შინაარსით, როგორც მისი შეტყობინება მოხდა კომისიისათვის და აქედან გამომდინარე გადაწყვეტილებით ხდება მისი დადასტურება;
- გარიგება, კომისიის მიერ განსაზღვრული „პირობებით“ და „ვალდებულებებით“ და იმ ფორმით და შინაარსით, როგორც ეს მოდიფიცირებული იქნა კომისიის მიერ, არ უქმნის საფრთხეს კონკურენციას და შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მისი დადასტურების შესახებ;
- გადაწყვეტილება რომლითაც კონკრეტული გარიგების დადასტურების კონტროლი შეიძლება გადაეცეს ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოს მისივე შუამდგომლობის საფუძველზე;
- გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც კომისია ვერ დაადასტურებს გარიგებას და აცხადებს, რომ მისი განხორციელება მართლსაწინააღმდეგოდ შეუშლის ხელს კონკურენციას შესაბამის ბაზარზე.[487]

კომიისიის მიერ დანიშნულ ზეპირ განხილვაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ, როგორც მხარეებმა, ასევე მესამე პირებმაც, თუკი კომისიის მიერ დანიშნული შესაბამისი პირი (hearing officer) ამას მიზანშეწონილად და დასაბუთებულად მიიჩნევს. ამ პირებს შეუძლიათ ჰყავდეთ ადვოკატები, ან სხვა წარმომადგენლები (რომლებიც არ არიან ადვოკატები). ამ უკანასკნელთა დაშვებაც პროცესზე ისევ hearing officer მიერ ხდება.[488]

კომისიას აქვს სრული უფლება კონცენტრაციის კონტროლის პროცესის ეფექტურობისათვის განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტების, საქონლის საწყობების და ა.შ. ინსპექტირება და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია მისი ინტერესის სფეროში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით. კომისიის გადაწყვეტილება ინსპექტირების განხორციელების შესახებ ჩვეულებრივ ექვამდებარება სასამართლო კონტროლს.[489]

---

[486] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.312-313.
[487] *Ibid,* p.319.
[488] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.319.
[489] *Ibid,* p.351.

d) მხარეთა საპროცესო უფლებები შერწყმის კონტროლისას

მხარეთა წრე, ვინც ვალდებულია შეატყობინოს კომისიას, უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ტრანზაქციის მოცულობის, მისი შინაარსისა და სამართლებრივი თუ ეკონომიკური ბუნების გათვალისწინებით.[490]

მას შემდეგ, რაც კომისია გამოსცემს ე.წ. statement of objections – SO, სადაც დეტალურად არის აღწერილი მისი მოსაზრებები და პოტენციური რისკები გარიგებასთან დაკავშირებით, მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ამომწურავად უპასუხოს კომისიას SO მიერ დაფიქსირებულ ყველა არგუმენტს. შესაბამისი პასუხების სრულფასოვნად წარდგენის მიზნით SO გამოცემის შემდეგ კომისიამ მას უნდა მისცეს სრული შესაძლებლობა და უფლება გასცეს პასუხი კომისიის მოსაზრებებს და არგუმენტებს და ამ მიზნით უნდა მოხდეს ტრანზაქციის მხარეების დაშვება კომისიის მასალებთან .[491]

ტრანზაქციის მხარეებს აქვთ შემდეგი საპროცესო უფლებები:

- მოითხოვონ და მიიღონ კომისიისგან დასაბუთებელი SO, რომელიც მისცემს შესაძლებლობას ჩამოაყალიბონ საკუთარი შეთავაზებები და არგუმენტაციას კომისიის პოზიციასთან დაკავშირებით;
- SO მიღების შემდეგ მოითხოვონ და მიიღონ წვდომა კომისიის შესაბამის ფაილზე, რომელიც მათ ტრანზაქციას შეეხება;
- სრული მოსმენა და გათვალისწინება მხარეების მიერ შესაბამისი ვადის დაცვით დაფიქსირებული მათ მიერ შეთავაზებული შესრულებებისა და მათზე შესაბამისი პასუხის მიღება;
- გარანტია, რომ კომისია არ შეცვლის ან უარს არ იტყვის საკუთარ გადაწყვეტილებაზე, გარდა ძალიან მკაცრად განსაზღვრული პირობებისა და შემთხვევებისა.[492]

e) შერწყმისას კომისიის მიერ გამოყენებული სტანდარტის ევოლუცია

როდესაც საუბარია „უფრო მეტად ეკონომიკურ მიდგომებზე“ პირველ რიგში ეს სწორედ მტკიცების სტანდარტს შეეხება და სწორედ მტკიცების სტანდარტი უნდა იყოს

[490] *Ibid,* p.289.
[491] *Ibid,* p.321.
[492] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.321.

მორგებული ამ მიდგომაზე.[493] უნივერსალური პრინციპის თანახმად, კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ იმ ფაქტებს, მტკიცებულებებსა თუ შეფასებებს, რაზეც მხარეს მიეცა კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა.[494] ამაში პრინციპში გასაკვირი არაფერია ვინაიდან ეს ნებისმიერი შეჯიბრებითობაზე დაფუძნებული სამართლებრივი პროცესისთვის დამახასიათებული კონსტიტუციური ნიშანია, თუკი ამ პროცესს აქვს პრეტენზია რომ სამართლიანობის პრინციპებზეა დამყარებული.

შერწყმის კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობის პირველ ეტაპზე კომისია აქტიურად იყენებდა ე.წ. SLC (substantial lessening of competiton) ტესტს, რომელიც საკმაოდ აბსტრაქტული იყო და საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. SLC-ის ტესტის უპირატესობა, როგორც აღნიშნავენ, შეიძლება მდგომარეობდეს ეკონომიკური ანალიზის ელემენტების წინ წამოწევაში, რაც უფრო მოქნილსა და ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულს ხდის პროცედურას.[495] მოგვიანებით მისი ჩანაცვლება მოხდა ე.წ. *დომინანტობის ტესტით,* რომელიც უფრო მეტ კონკრეტიკას შეიცავდა კრიტერიუმებთან მიმართებაში. ორივე მიდგომის კრიტიკული ანალიზისა და ინტენსიური დებატების შედეგად, განვითარების მესამე ეტაპი დაიწყო, რომელიც საბოლოოდ სინთეზირდა SIEC (Significant impediment to effective competition) ტესტში. ნებისმიერ შემთხვევაში, კომისიამ ჯერ კიდევ რეფორმის საწყის ეტაპზე გამოქვეყნებულ მწვანე პუბლიკაციაში მიუთითა, რომ უმთავრესი მიზანი და შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელო პრინციპიც უნდა ყოფილიყო შერწყმის პროცესის კონტროლის პროცედურის გამჭვირვალობა და ეფექტურობა. კომისიის პრიორიტებებს შორის ასევე იყო მისი გადაწყვეტილებების განჭვრეტადობა და სამართლებრივი პროგნოზის შესაძლებობა, რაც გამორიცხავდა კომპანიებისათვის ზარალის მიყენებას ერთი მხრივ და დაზოგავდა როგორც მხარეების, ასევე კომისიის რესურსებსაც მეორე მხრივ.[496]

განსხვავებული სტანდარტების გამოყენების პროცესი უმტკივნეულო არ ყოფილა. მაგალითად, ალბათ არ ღირდა კომისიის მხრიდან SLC ტესტზე გადასვლა, მაშინ როდესაც წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა დომინანტობის ტესტს ანიჭებდა უპირატესობას. ამით ირღვეოდა წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის სამართლის ჰარმონიზაციის უნივერსალური და საყოველთაოდ აღიარებული ვალდებულება, რაც საკმაოდ ბევრ უხერხულობას ქმნიდა პრაქტიკაშიც. დებატების

[493] ***Kalintiri, Andriani.,*** Evidence Standards in EU Competition Enforcement, The EU Approach, Hart, Oxford, 2019, p.34.
[494] *Ibid,* p.179.
[495] *Ibid,* p.67.
[496] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.62.

დროს იმაზეც მახვილდებოდა ყურადღება, რომ რეალურად ტესტები დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და მხოლოდ ინტერპრეტაციულ და დეტალურ განსხვავებებზე ორიენტირებულობის გამო იმის ჩვენება, რომ მიდგომები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა - უბრალოდ საღ აზრს იყო მოკლებული. [497]

შერწყმის კონტროლის პროცესში ზოგჯერ ძალიან რთულდება ამა თუ იმ ჰიპოთეზის შესაბამისი მტკიცებულებების მოძიება. მსგავსი გამოუვალი მდგომარეობის დროს ყველა ეჭვი უნდა გადაწყდეს შერწყმის სასარგებლოდ. ანუ უნდა ჩაითვალოს რომ შერწყმა შეესაბამება თავისუფალი კონკურენციისათვის აუცილებელ მოთხოვნებს.[498]

რაც შეეხება სასამართლოს მიერ კომისიის გადაწყვეტილების გადახედვის სტანდარტს, სასამართლო ამოწმებს, კომისიის მიერ გადაწყვეტილების საფუძვლად დადებული მტკიცებულებები არის თუ არა ზუსტი, დამარწმუნებელი და სანდო, შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი სამართლებრივი შეფასების გასაკეთებლად და შეუძლია რომ გამოდგეს იმ არგუმენტების დასასაბუთებლად რაც კომისიას აქვს თავის გადაწყვეტილებაში მოყვანილი. ეს დასკვნა დოქტრინაში ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის განზოგადების საფუძველზეა გაკეთებული.[499]

f) ტრანზაქციის მიტოვება (abandmonment) და „გაცოცხლება“ (resurrection)

ტრანზაქციის მხარეებს შეუძლიათ კომისიის მიერ პროცედურის დასრულებამდე აცნობონ მას, რომ აღარ სურთ გარიგების განხორციელება, რაც დაწყებული პროცესის გადაწყვეტილების გარეშე დასრულებას გამოიწვევს. მსგავსი მოთხოვნა მხარეების მხრიდან სხვადასხვა მოტივით შეიძლება იყოს განპირობებული. შესაძლოა, ერთმანეთის პოზიციების შესწავლის პროცესში, რომელიმე მათგანმა ან ყველამ ერთად დაკარგონ გარიგების დასრულების ინტერესი, ან მიხვდნენ, რომ კომისია აშკარად არ დაადასტურებს მათ გარიგებას რაც რეპუტაციულ და სხვა რისკებს გამოიწვევს; ან დაადასტურებს, მაგრამ ისეთი პირობებით, რაც გარიგებას უკარგავს ეკონომიკურ ღირებულებას, რის გამოც ის კარგავს მხარეთათვის მიმზიდველობას.[500]

როდესაც კომისიის საქმიანობა გადასულია მეორე ფაზაში, მხოლოდ ფორმალური უარი (withdrawal) საკმარისი არ არის. შესაბამისი მტკიცებულებებით კომისია უნდა

[497] *Ibid,* p.63.
[498] *Ibid,* p. 202.
[499] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.355.
[500] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.317.

დარწმუნდეს, რომ მხარეებმა გადაწყვიტეს გარიგების „მიტოვება“ და აღარ აპირებენ მის განხორციელებას (abandonment).[501]

ტრანზაქციის დადასტურების მეორე ფაზის დაწყების შემდეგ, კომისია გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მხარეებს არ დაუდასტურებიათ, რომ მათ „მიატოვეს“ გარიგება და აღარ აქვთ მისი დასრულების ინტერესი. დამკვიდრებული პრაქტიკით, დადასტურებული გარიგების მოდიფიცირება არ იწვევს პროცედურულ ჯაჭვში ცვლილებებს. საპირისპირო შედეგი დადგება, თუ მხარეები მიტოვებული გარიგების „გაცოცხლებას“ გადაწყვეტენ. ამ შემთხვევაში დადასტურების პროცედურის გავლაც თავიდან მოუწევთ.[502]

g) მესამე პირების მონაწილეობა პროცესში

თუ საქმის გარემობებიდან გამომდინარე აუცილებლად მიიჩნევს, კომისიას შეუძლია თავისი statement of objections გაუგზავნოს მესამე პირებს და ასევე სთხოვოს საკუთარი პოზიციის წარმოდგენა კონკრეტული ტრანზაქციის დადასტურების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. მესამე პირებს უფლება აქვთ ღიად დააფიქსირონ საკუთარი პრეტენზიები გარიგების კონკურენციის სამართალთან შესაბამისობის კუთხით. თუ ისინი კომისიას მხარეებისაგან განსხვავებულ პოზიციას მიაწვდიან, მაშინ მათი ვალდებულება იქნება ამ პოზიციის სარწმუნოდ დადასტურება და შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარება. მტკიცებულებები ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, მაქსიმალურად შემჭიდროებულ გონივრულ ვადებში უნდა იყოს წარდგენილი.[503]

საქმის ზეპირი და ნებისმიერ შემთხვევაში არასაჯარო განხილვა გაიმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ტრანზაქციაში ჩართული მხარები მოითხოვენ. სხვა შემთხვევაში ასეთი განხილვა არ ინიშნება. არის შემთხვევები, როდესაც ასეთ განხილვას მესამე პირები ითხოვენ ხოლმე.[504]

h) მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთი გულისხმობს მტკიცებულებების სახეს და მოცულობას, რომელიც მხარემ უნდა წარმოადგინოს იმისთვის, რომ მოიგოს საქმე. შერწყმის კონტროლის

---

[501] *Ibid,* p.327.
[502] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.192.
[503] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.194.
[504] *Ibid,* p.182.

პროცესში მტკიცების ტვირთი გულისხმობს ალბათობის გარკვეულ ხარისხს, რომელიც კომისიამ სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს იმისთვის, რომ გარიგება დაიბლოკოს. რაიმე ზღვარზე ან კრიტერიუმებზე შერწყმის ევროპულ რეგულაციაში პირდაპირი მითითება არ გვხვდება. პრაქტიკაში ხშირად მიუთითებენ, რომ კომისიის არგუმენტები უნდა იყოს დამაჯერებელი, ლოგიკური და თანმიმდევრული. ალბათობის ხარისხი, რომელზეც კომისიის გადაწყვეტილებაში შეიძლება იყოს საუბარი, სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. სასამართლო მსგავსი გადაწყვეტილებების შეფასებისას ხშირად იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა: in all likelihood, probably, most likely და ა.შ. [505]

მაგალითად, Kali and Salz საქმეზე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ კომისიის გადაწყვეტილება არ იყო ლოგიკური, თანმიმდევრული და მტკიცებულებებით საკმარისად გამყარებული. Airtours-ის გადაწყვეტილებაში საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ კომისიის გადაწყვეტილება არ იყო დამყარებული ლოგიკურ და თანმიმდევრულ შეფასებებზე და შეიცავდა მტკიცებულებებისაგან აშკარად დაშორებულ მცდარ შეფასებებს. Schneider საქმეზე იმავე სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობდა კომისიის შეფასებებისათვის სათანადო მტკიცებულებები.[506] Tetra Laval/Sidel საქმეზე საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ კომისია დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ შერწყმა in all likelihood მისცემდა მხარეებს შესაძლებლობას მიღწული დომინანტური მდგომარეობა კონკურენციის საწინააღმდეგოდ ბოროტად გამოეყენებინათ.[507]

EDP vs. Commission საქმეზე სხვა საკითხებთან ერთად Energias de Portugal (EDP) სადავოდ ხდიდა ასევე მტკიცების ტვირთს, რომელიც კომისიამ დააკისრა. კერძოდ, კომპანია თვლიდა, რომ მას არ ეკისრებოდა იმ ღონისძიებების ეფექტურობის მტკიცების ტვირთი, რომელიც მან შესთავაზა კომისიას კონკურენციისათვის უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით. ევროპის კავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.[508] ალბათ ამაში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, რადგან კონკრეტული ქმედების კომპანიის მიერ შეთავაზების ფაქტიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ამ შეთავაზების ეფექტურობის მტკიცების ტვირთი. სხვა საქმე იქნებოდა კომისიას თვითონ რომ განესაზღვრა გარკვეული ქმედებები და მათი ეფექტურობის მტკიცება მხარის ვალდებულებად ექცია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც წესი, საპროცესო თვალსაზრისით, მტკიცების ტვირთი

[505] *Ibid,* p.196.
[506] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.197.
[507] *Ibid,* p.197.
[508] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.494.

ძირითადად მიჰყვება იმ საპროცესს ხაზს, რაც ზოგადად არსებობს. სხვა საქმეზე იმავე სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ „შეთავაზებულმა ღონისძიებებმა არა მხოლოდ უნდა გამოიწვიოს კონკურენციის გარკვეული პროპორციით წახალისება, არამედ მან საერთოდ უნდა აღმოფხვრას, მისი შეზღუდვის თეორიული შესაძლებლობაც კი. თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ ჩაითვლება, რომ ზომის მიზანშეწონილობა მხარემ ვერ დაამტკიცა.[509]

გადაწყვეტილებების ჩამონათვალმა ძალიან შორს რომ არ წაგვიყვანოს, შეიძლება ითქვას, რომ კომისიის მტკიცების ტვირთი არაფერს ახალს და განსხვავებულს არ გვთავაზობს და ის შეიძლება თავისუფლად შევადაროთ ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცების ტვირთის ქართულ ადმინისტრაციულ პროცესში არსებულ სტანდარტს, რომელიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლშია მოცემული.

ამავე დროს, კომისიას არ მოეთხოვება შერწყმასთან დაკავშირებული მოვლენების აბსოლტური გარდაუვალობა ამტკიცოს. მხედველობაში მისაღებია ფართო დისკრეციის ის ხარისხი, რომელიც მისი ყოველდღიური საქმიანობის თანმდევია. მაგალითად, მთლიანად კომისიის დისკრეციის სფეროში შედის, ჩათვლის თუ არა საჭიროდ მეორე ფაზის ამოქმედებას[510] და შესაბამისად, ამ თვალსაზრისით რამე განსაკუთრებული მტკიცების ხარისხის მოთხოვნა ალბათ რთული იქნება. ეს მსჯელობა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ თუნდაც კვლევის მეორე ფაზის ამოქმედების დროს კომისია არ არის ვალდებული ამ ფაზის გამოყენების, ან მასზე უარის თქმის გადაწყვეტილება საერთოდ შეფასების გარეშე დატოვოს და მხარეს არ გააცნოს შესაბამისი არგუმენტები. ცხადია, მხარეს ასევე აქვს სრული უფლება დარჩეს საკუთარ აზრზე ამ ფაზის გამოყენებასთან დაკავშირებით და თავისი ეს მოსაზრებები გამოიყენოს სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში თუ მოგვიანებით ამის საჭიროებას დაინახავს.

2006 წელს Impala-ს საქმეზე საერთო იურისდიქციის სასამართლომ მიუთითა, რომ ტრანზაქციის აკრძალვისას და მისი დადასტურებისას კომისიის მტკიცების ტვირთი არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.[511]

კომისიას შეუძლია დასაბუთებაში მიუთითოს თავის ძველ გადაწყვეტილებებზე, თუმცა ყველა საქმის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, ის შეზღუდული არ არის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებული დასკვნებით და შეუძლია საჭიროდ

[509] *Ibid,* p.494.
[510] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.197.
[511] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.353.

ჩათვალოს ახალი კვლევა ან სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს ფაქტებსა და მტკიცებულებებს, თუ ამას უფრო სწორად და დასაბუთებულად მიიჩნევს.[512]

i) ჯარიმები გარიგების დადასტურების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის.

შერწყმის კონტროლი გულისხმობს შერწყმასთან დაკავშირებული განზრახვის დაფიქსირებისას სამომავლო გარიგების ex ante შემოწმებას. შერწყმაში მონაწილე კომპანიები ვალდებულნი არიან კომისიას წარუდგინონ ე.წ. CO-ს ფორმით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს შერწყმასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც აუცილებელია კონკურენციაზე მისი პოტენციური გავლენის შესაფასებლად. ასეთი დოკუმენტების წარუდგენლობა, ან არასწორი (შეცდომაში შემყვანი) დოკუმენტის წარდგენა განიხილება როგორც არსებითი დარღვევა და მოჰყვება ჯარიმა კომპანიის ბრუნვის 1%-მდე ოდენობით. სანქციის განსაზღვრა შესაძლებელია ზემოაღნიშნული ვალდებულების როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით დარღვევისას. სუბიექტები, რომლებიც დაიწყებენ კონცენტრაციის პროცესს შეტყობინებამდე, ან შეტყობინების შემდეგ შესაბამისი პროცედურის დასრულებამდე, ექვემდებარებიან ჯარიმას ბრუნვის 10%-მდე ოდენობით.[513] სანქციების სიდიდე კიდევ ერთხელ მიუთითებს და უსვამს ხაზს იმ მნიშვნელობას, რაც შერწყმის კონტროლის სწორად განხორციელებას აქვს თავისუფალი კონკურენციისა და ზოგადად იმ მიზნების მიღწევისათვის, რასაც ევროპის კომისია ისახავს კონკურენციის სფეროში.[514]

თუ კომისია დაადგენს, რომ გარიგების დადასტურებამდე ფაქტობრივად მხარეებმა უკვე მოახდინეს მისი აღსრულება, მას შეუძლია მხარეებს დააკისროს ჯარიმა მათი ბრუნვის 10%-მდე ოდენობით. ჯარიმის ოდენობა იქნება ბრუნვის 1% მდე, თუ შესაბამისი მხარე, შეცდომაში შემყვან, არაზუსტ და არასათანადო ინფორმაციას მიაწვდის კომისიას. შერწყმის რეგულაცია ასევე იცნობს ჯარიმას ინფორმაციის მიწოდებისათვის განსაზღვრული ვადების ყოველი გადაცილებული დღისათვის, რაც შეიძლება შეადგენდეს დღიური ბრუნვის 5%-მდე ოდენობას.[515]

---

[512] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.171.
[513] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.400.
[514] *Ibid,* p.400.
[515] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.194.

2000 წელს კომისიის პრაქტიკაში დაფიქსირდა საკმაოდ საინტერესო პრეცენდენტი არა გარიგებაში უშუალოდ მონაწილის, არამედ მესამე პირის დაჯარიმებისა, რომელსაც სანქცია ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო დაეკისრა. ეს იყო ასევე პირველი შემთხვევა, როდესაც კომისიამ გამოიყენა პერიოდული სანქცია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის რამაც ჯამში 950 000 ევრო შეადგინა.[516]

1998 წელს კომისიამ პირველად დააკისრა ეკონომიკურ აგენტს ჯარიმა სავალდებულო გარიგების ამ შეტყობინების და კომისიის მხრიდან დადასტურების გარეშე განხორციელებისათვის.[517] ცხადია, დაჯარიმების პრეცენდენტმა ეკონომიკურ აგენტებს უკვე ნათლად დაანახა ის რისკები, რაც კონცენტრაციასთან მიმართებაში შეიძლება არსებობდეს თუ კონკურენციის სამართალთან შესაბამისობის ნაწილი კომპანიებს წესრიგში არ ექნებათ. შეიძლება ითქვას რომ დაჯარიმების პრეცენდენტმა თვისობრივად ახალი ბიძგი მისცა კონკურენციის სამართლის ამ მიმართულების განვითარებას. შესაბამისად, პრაქტიკაში მიზანშეწონილად ითვლება რისკების გამოსარიცხად კომისიისათვის მიმართვა მაშინაც, როდესაც ტრანზაქციის მხარეები ვერ თანხმდებიან, არსებობს თუ არა შეტყობინების ვალდებულება მათ მიერ დაგეგმილ გარიგებასთან მიმართებაში.[518]

j) გარიგების დადასტურების პროცედურის სამართლებრივი და ეკონომიკური ეფექტი

ზოგადი წესის თანახმად, კომისიის მიერ გარიგების დადასტურებამდე მხარეებს არ აქვთ უფლება დაასრულონ გარიგება, თუმცა მოქმედი წესი ითვალისწინებს გამონაკლისსაც და მხარეს უფლება აქვს კომისიას მიმართოს მოთხოვნით და მოითხოვოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გარიგების აღსრულება, თუ თავის ასეთ მოთხოვნას სათანადოდ დაასაბუთებს. EUMR-ის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ეს უფლება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში და სათანადო ეკონომიკური დასაბუთებით დაიშვება. მაგალითად შეიძლება გამოდგეს შემთხვევა, როდესაც კონკრეტული შერწყმის ეკონომიკური რენტაბელურობა მხარეებისათვის პირდაპირ არის დაკავშირებული გარიგების დროის მოკლე მონაკვეთში დასრულებასთან.[519]

---

[516] *Ibid,*, p.195.
[517] ***Blanco Luis Ortiz (Editon).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.701.
[518] ***Blanco Luis Ortiz (Editon).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.701.
[519] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.189.

როგორც უკვე აღინიშნა, მხარეს არ აქვს უფლება აღასრულოს შერწყმის გადაწყვეტილება შეტყობინებამდე ან კომიიის მიერ შეტყობინების განხილვის პროცესში. კომისიის მიერ გარიგების დადასტურების შემდეგ მხარე დროში შეზღუდული არ არის როდის დაასრულებს გარიგებას.[520] ამ მიდგომას შეიძლება გარკვეული ხარვეზიც ჰქონდეს. თუ მხარე განუსაზღვრელი დროით გაწელავს შერწყმის პროცესს, შესაძლოა ბაზარზე მდგომარეობა შეიცვალოს, რაც საფუძველს გამოაცლის კომისიის მიერ გაკეთებულ დასკვნებსა და ანალიზს. შესაბამისად, მხარეს უნდა ჰქონდეს გარკვეული ვალდებულება და განესაზღვროს ზღვარი დროში რომლის განმავლობაშიც გარიგების დასრულება სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს.

ჯარიმა შერწყმის კონტროლის ნაწილში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის წინა წლის ბრუნვის 10%-მდე თანხით განისაზღვრება, რაც საკმაოდ მაღალია.[521]

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ეკონომიკური აგენტები თვითონ აღიარებენ European Merger Regulation-ის ნორმების დარღვევას. ასე მოიქცა მაგალითად Samsung, როდესაც კომისიას შეატყობინა, რომ AST Research Inc-ის შერწყმის პროცესი ისე დაიწყო, რომ კომისიას ამის შესახებ ინფორმაცია დროულად არ მიაწოდა. კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში პირდაპირ მიუთითა, რომ Samsung ევროპისთვის ძალიან მნიშვნელოვანი კომპანიაა, ამავე დროს გარიგებას არანაირი ზიანი არ მიუყენებია ევროპის კონკურენციისათვის და კომპანიამ საკუთარი ნებით გააკეთა განაცხადი კონცენტრაციაზე. აქვე კომისიამ ხაზის გაუსვა, რომ ისეთი კომპანია როგორიც არის Samsung ვერ მიუთითებს იმაზე, რომ მისთვის არ იყო ცნობილი კონცენტრაციის ევროპული რეგულირებებისა და განსაკუთრებით European Merger Regulation-ის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიის წინააღმდეგ გამოყენებული ჯარიმა სიმბოლური ოდენობით შემოიფარგლა.[522] გაცილებით მკაცრი იყო კომისია უდიდესი დანიური კომპანიის AP Moller-ის მიმართ, რომელმაც სამი კონცენტრაცია ისე გააკეთა, რომ კომისიისთვის საერთოდ არაფერი უცნობებია. კომისიამ თითოეული დარღვევისათვის 219 000 ევროანი ჯარიმის გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო და მიუთითა, რომ იმ მასშტაბის კომპანიისათვის, როგორიც არის AP Moller, კომისიის გარეშე ასეთი გარიგებების დასრულება მოწმობს ამ უკანასკნელის უხეშ გაუფრთხილებლობაზე და კომისიის მხრიდან რეაგირების გარეშე ვერ დარჩება.[523]

---

[520] *Ibid,* p.173.
[521] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.305.
[522] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.422-423.
[523] *Ibid,* p.422-424.

Deutsche BP-მა სრული კონტროლი დაამყარა ასევე გერმანულ კომპანიაზე სახელით Erdölchemie GmbH. Deutsche BP კომისიას წარუდგინა აშკარად არასწორი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. კომისიამ დაადგინა, რომ Deutsche BP-ის ეს განზრახ არ ჩაუდენია, თუმცა კომისიის მიერ დადგენილი ფორმის შევსებისას აშკარად გაუფრთხილებლად მოქმედებდა. ფორმაში დეტალურად არის ჩამოყალიბებული ის კითხვები, რაზეც აპლიკანტს უწევს პასუხის გაცემა. European Merger Regulation-ი მსგავსი შემთხვევებისათვის პირდაპირ ითვალისწინებს ჯარიმას 1000-დან 50000 ევრომდე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ინფორმაციის განზრახ დამალვასა და კომისიის შეცდომაში შეყვანის მცდელობას ადგილი არ ჰქონია და კომპანიის ქმედება გაუფრთხილებლობის ფარგლებს არ გასცდენია.[524]

k) კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო გადასინჯვის პროცედურა

შერწყმა/კონცენტრაციასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება გასაჩივრდეს ევროპის კავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოში. ამ შემთხვევაში სასამართლო იყენებს „აშკარა შეცდომის“ (manifest error) წესს რაც იმას ნიშნავს, რომ ის კომისიის დასკვნებს სამართლებრივად აფასებს და დადგენილი ფაქტების გამორკვევაში ნაკლებად ერთვება ხოლმე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომისიას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც მისი გადაწყვეტილების რეციპიენტებს მიადგა აშკარად კანონსაწინააღმდეგო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების შედეგად.[525] ასეთი რეგულირება ერთი მხრივ ეხმარება კომისიას, რომ მაქსიმალურად ფრთხილად იყოს გადაწყვეტილებების მიღებისას და მეორე მხრივ წარმოადგენს დამატებით გარანტიას ეკონომიკური აგენტებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ იქით მოსთხოვონ კომისიას პასუხი მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფორმით. მსგავსი რეგულირების ქართულ პრაქტიკაში შემოღება დაეხმარებოდა ქართულ ეკონომიკას და სასამართლოს ახალი პრეცედენტების შექმნისა და განვითარების კუთხითაც, რაც უდავოდ დადებითად აისახება კონკურენციის დასავლური კულტურის დამკვიდრებაზე ქვეყანაში.

შერწყმის კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სასამართლო გადასინჯვის ფუნქცია კომისიის ჩარევის ოპტიმალური დაბალანსების მიზანს

[524] *Ibid,* p.425.
[525] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.409.

უკავშირდება.[526] ერთი მხრივ ხელი არ უნდა შეეშალოს ბიზნესის ბუნებრივ განვითარებას (შერწყმა ამ ბუნებრივობის ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ელემენტია) და მეორე მხრივ ეს ბუნებრივი პროცესი არ უნდა იქცეს ბაზარზე კონკურენციის საწინააღმდეგო ტენდენციების გამომწვევად ან მათ გამაძლიერებელ ფაქტორად. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით ყველაზე კარგად აჩვენებს და განსაზღვრავს შერწყმის კონტროლის მიმართ არსებულ საჯარო ინტერესსა და შესაბამის პრიორიტეტებს.

შერწყმის კონტროლის პროცესში კომისიას რამდენიმე სახის გადაწყვეტილების მიღების განსხვავებული ვარიანტები აქვს, რაც ჰბადებს კითხვას, არის თუ არა შესაძლებელი ყველა მათგანის სასამართლოში გასაჩივრება ამ უკანასკნელი იურიდიული ცნების კლასიკური გაგებით. მაგალითად, შერწყმის რეგულაციის მე-6 მუხლი, კომისიას აძლევს უფლებას მიიღოს გადაწყვეტილება, რომ კონკრეტული ტრანზაქცია სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, მიღებული ტრანზაქცია შესაბამისობაშია თავისუფალი კონკურენციის მოთხოვნებთან პირველი ფაზის დასრულების შემდეგ მიღებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით და ასევე შეიძლება არსებობდეს გადაწყვეტილება მეორე ფაზის აუცილებლობასთან მიმართებაში. პირველი ფაზის ფარგლებში გარიგების დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება თავისი არსით საბოლოოა და დაინტერესებული პირების მიერ მისი სასამართლოში გასაჩივრების ფორმალური შესაძლებლობა ეჭვის ქვეშ ვერ დადგება. განსხვავებულად დგას საკითხი დანარჩენ ორ შესაძლო ვარიანტთან მიმართებაში. მაგალითად Austiran Newspaper-ის საქმეზე კომისიის უარი მისი იურისდიქციის არსებობაზე გასაჩივრდა ევროპის კავშირის სასამართლოების ორივე ინსტნაციაში. თუმცა სასამართლო პრაქტიკა საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდება მეორე ფაზის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან მიმართებაში. ევროპულ სასამართლოებს მიაჩნიათ, რომ მათი გასაჩივრება არ უნდა დაიშვებოდეს. სწორედ ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული ორივე ევროპული ინსტანციის მიერ Schneder Electric-ის საქმეზე. ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ შერწყმის კონტროლის ფარგლებში კომისიის მიერ დაკისრებული ნებისმიერი ჯარიმა შეიძლება გახდეს სასამართლოს მსჯელობის საგანი.[527]

ერთ-ერთ საქმეზე Cementbouw vs. Commission მხარე ამტკიცებდა, რომ თუ კონცენტრაციის პროცესში მოხდა ისეთი ცვლილებები, რომ გარიგება ვეღარ დაკვალიფიცირდება კონცენტრაციად კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის, ეს

[526] ***Ibid,*** p.789.

[527] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.791-792.

ავტომატურად გამორიცხავს კომისიის იურისდიქციას. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ ასეთი განმარტება სწორი არ არის და კომისიამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს საქმე იმის მიუხედვად, თუ რა სახის ცვლილებები განხორციელდება კონკრეტულ შემთხვევაში.[528]

გასაჩივრებით დაინტერესებული პირები შეიძლება იყვნენ შეტყობინების გამგზავნი ეკონომიკური აგენტი ან მისი რომელიმე კონკურენტი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული გარიგების დადების პროცედურაში, ასევე შეიძლება სარჩელის წარდგენა სასამართლოში მომხმარებლების, აქციონერების, პროფკავშირების და ნებისმიერი სხვა პირის მიერ, ვისაც შეუძლია რომ გარიგების მიმართ მისი ინტერესი და მასზე გარიგების პოტენციური გავლენა სარწმუნოდ დაასაბუთოს.[529]

სასამართლოს ამ შემთხვევაშიც შეუძლია გამოიყენოს უზრუნველყოფის ზომები ისევე როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევებში. Nestle /Perrier-ის საქმეში არ დაკმაყოფილდა პროფკავშირების მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით რადგან ჩაითვალა, რომ პროფკავშირებმა ვერ დაასაბუთეს თუ კონკრეტულად რა გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება გამოეწვია დასაქმებულისათვის კომისიის მიერ დადასტურებულ ტრანზაქციას.[530]

2001 წლიდან საერთო იურისდიქციის სასამართლოს დაემატა ე.წ. Fast Track Procedure რომელიც გულისხმობს გარკვეული საქმეების დაჩქარებული წესით განხილვას. ასეთ დავებში შეიძლება შერწყმის კონტროლის საქმეებიც მოხვდეს, თუმცა ამისთვის აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების შესრულება. პირველ რიგში, ობიექტურად უნდა საბუთდებოდეს სწრაფი განხილვის ინტერესი. ავტომატურად, მხოლოდ მხარის ან მხარეების სურვილის შესაბამისად მისი გამოყენება ვერ მოხდება.[531]

TFEU 263-ე მუხლი ითვალისწინებს ევროპის კავშირის შესაბამისი სტრუქტურების (მათ შორის ევროპის კომისიის მიერ მიღებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების გაუქმების შესაძლებლობას, თუ სახეზეა შემდეგი საფუძვლები: ა) შესაბამისი კომპეტენციის არარსებობა; ბ) შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღების საპროცესო წესების არსებითი დარღვევა; გ) TFEU შესაბამისი ნორმების ან ევროპის კავშირის სამართლის სხვა ნორმების დარღვევა; დ) უფლებამოსილების გადამეტებით და მისი ბოროტად გამოყენებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება. ცხადია, ეს ჩამონათვალი ძალაშია ევროპის კომისიის მიერ კონკურენციასთან, მათ შორის

[528] *Ibid,* p.419.
[529] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.797-800.
[530] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.807.
[531] *Ibid,* p.811.

შერწყმის კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმართაც.[532] არსებითი საპროცესო დარღვევების გამო საერთო იურისდიქციის სასამართლომ გააუქმა კომისიის გადაწყვეტილება Schneider 1-ის საქმეზე და მიუთითა, რომ გადაწყვეტილება ემყარებოდა ისეთ არგუმენტაციას და დასაბუთებებს, რომელიც თავის დროზე ბუნდოვნად და არასათანადოდ იყო კომისიის მიერ ჩამოყალიბებული statement of objections მეშვეობით. შესაბამისად, მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა პასუხი გაეცა იმ არგუმენტებზე, რომელიც საბოლოო ჯამში კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად.[533]

კომისიის გადაწყვეტილება გააუქმოს მის მიერ გაცემული დასტური ტრანზაქციაზე ჩვეულებრივ ექვემდებარება გასაჩივრებას. თუმცა მსგავსი რამ (როგორც გაუქმება, ასევე მისი გასაჩივრება) საკმაოდ იშვიათად ხდება. მაგალითად, 2010 წლამდე კომისიამ მხოლოდ ერთი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და მხარეების მიერ არც ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებულა.[534] შესაბამისად სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით ან არ არსებობს, ან საკმაოდ მწირია.

როგორც უკვე აღინიშნა, კომისიის გადაწყვეტილება მეორე ფაზის დაწყების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ.[535] პრინციპში, ალბათ აქ საკამათო და განსხვავებული მოსაზრების დასაფიქსირებელი არგუმენტები ძნელად მოსაძებნია. სადავო არ უნდა იყოს, რომ კომისიას უნდა მიეცეს სრული შესაძლებლობა ყოველმხრივ შეისწავლოს კონკრეტული ტრანზაქცის ეფექტები კონკურენციაზე და ისე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. შესწავლის საჭიროების საწინააღმდეგო არგუმენტს ევროპული სამართლის ლოგიკა ვერ შეეთავსება.

TFEU 340-ე მუხლი პირებს აძლევს უფლებას მოითხოვონ კომისიის, ან ევროპის კავშირის სხვა ინსტიტუციების უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებით მიღებული ზიანის ანაზღაურება. თუმცა, ამ მიმართულებით ევროპის სასამართლოები საკმაოდ ფრთხილად მოქმედებენ და მაღალ სტანდარტს ადგენენ მტკიცებისათვის. ბალანსის დაცვა ამ მიმართულებით აუცილებელია, რადგან ყოველი გაუქმებული გადაწყვეტილება კომისიისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლად თუ იქცა, მაშინ ამ ორგანოს დაეკარგება ის გამბედაობა და თავდაჯერებულობა, რაც აუცილებელია მისი ყოველდღიური საქმიანობისა და ფუნქციების წარმატებით განხორციელებისათვის. ამიტომ მხარეს ამ დროს უწევს მტკიცების ტვირთის საკმაოდ მაღალი სტანდარტის დაკმაყოფილება. ამით მიიღწევა მეტნაკლებად მისაღები და

[532] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.351.
[533] *Ibid,* p.357.
[534] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.365.
[535] *Ibid,* p.366.

ოპტიმალური ბალანსი, როდესაც 340-ე მუხლით მინიჭებული უფლება მხოლოდ ქაღალდზე არ რჩება და ის ნამდვილად აძლევს შესაძლებლობას დაზარალებულ სუბიექტებს აღიდგინონ დარღვეული უფლებები, ხოლო მეორე მხრივ უქმნის კომისიას იმის გარანტიას, რომ მისი საქმიანობა (რომელიც რა თქმა უნდა დაზღვეული ვერ იქნება შეცდომებისაგან) არ გახდება სასამართლოს მხრიდან ხშირი და მარტივად თავდასხმის საფუძველი და მას მიეცემა საკუთარი ფუნქციების სტაბილურად და თავდაჯერებულად განხორციელების შესაძლებლობა.[536]

როდესაც კომისიის გადაწყვეტილება ევროპული სასამართლოების მიერ უქმდება, მისი უკანონობა დამატებით მტკიცებას აღარ საჭიროებს. მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტი გულისხმობს პირველ რიგში იმას, რომ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კომისიამ გააუქმა, არ და ვერ გახდება მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. პრაქტიკაში გამოკვეთილია ორი დამატებითი კრიტერიუმი, რომლის დაკმაყოფილებაც ამ შემთხვევაში აუცილებელია: ა) არსებითი, მნიშვნელოვანი და უხეში დარღვევა კომისიის მხრიდან, რომელიც უგულვებელყოფს იმ ნორმებს, რომელიც კონკრეტული მხარეების უფლებების დაცვის გარანტიას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ იკვეთებოდეს განსაკუთრებულად უხეში დარღვევა, უგულვებელყოფა ნორმებისა და დასაბუთების სტანდარტისა, რამაც ზიანი გამოწვია; ბ) მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მიზეზობრივი კავშირის სათანადო დასაბუთება. პირდაპირ და უშუალოდ უნდა დგინდებოდეს, რომ ზიანი, რომელიც მიადგა მოსარჩელეს გამოიწვია კომისიის მხრიდან ზემოაღნიშნული უხეში დარღვევით ჩადენილმა კონკრეტულმა ქმედებებმა. თუ მაგალითად, კომისია შეეცადა დაესაბუთებინა მისი გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებებით, მაგრამ მისი საბოლოო შეფასებები სასამართლომ არ ცნო სამართლებრივად სწორად, ეს ჯერ კიდევ არ არის კომისიისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.[537] სასამართლო გადაწყვეტილებიდან პირდაპირ უნდა იკვეთებოდეს, რომ კომისიას არსებული მტკიცებულების საფუძველზე აშკარად და არაორაზროვნად შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, რაც ზიანის მიყენებას თავიდან ააცილებდა მხარეს, მაგრამ შესაბამისი რაციონალური დასაბუთების გარეშე კომისია ასე მაინც არ მოიქცა, რამაც ზიანის დადგომა გამოიწვია. პრინციპში, ნათელია სასამართლოს ინტერესი, რომელიც ცდილობს კომისიის მოქმედების თავისუფლება მაქსიმალურად დაიცვას, თუმცა მეორე მხრივ რამდენად გარანტირებულია ისედაც ფართო უფლებამოსილებებისა და დისკრეციის მქონე ორგანოს დაცვის დამატებითი მექანიზმებით აღჭურვა სადავო შეიძლება იყოს. განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ეს

[536] *Ibid,* p.371.
[537] ***Rosenthal, Michael., Thomas, Stefan.,*** European Merger Control, Beck, München, 2010, p.372-374.

ქართულ რეალობაზე, სადაც მსგავსმა დამოკიდებულებამ შეიძლება კონკურენციის ორგანო აქციოს აუღებელ ბასტიონად, რომელიც ნაკლებად იგრძნობს საფრთხეს (და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობასაც) საიმისოდ, რომ თავისი საქმიანობისას მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინოს და არ დაუშვას ბიზნესისათვის ზიანის გამომწვევი დაუსაბუთებელი და გაუგებარი გადაწყვეტილებების პრაქტიკის განვითარება. უნდა დავეთანხმოთ ყველას, ვინც თვლის რომ ამ შემთხვევაში ბალანსის დაცვა არც ისე მარტივად გამოიყურება.

ბალანსის დაცვის მაგალითად ხშირად მოჰყავთ The Schneider/Legrand-ის შერწყმის პერიპეტიები. ამ საქმეში Schneider (ფრანგული კომპანია) საქმიანობდა ელექტრონული მოწყობილობების სექტორში, ხოლო Lagrande - ასევე ფრანგული კომპანია დაბალი ვოლტაჟის მცირე მოწყობილობების წარმოებისა და დისტრიბუციის სფეროში. კომისიამ დაბლოკა შერწყმა და დაადგინა, რომ ის გამოიწვევდა დომინანტური პოზიციის გაძლიერებას მთელ რიგ სექტორებში და მათ ბოროტად გამოყენებას. საერთო იურისდიქციის სასამართლომ არა მხოლოდ გააუქმა, არამე მწვავედ გააკრიტიკა კომისიის გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ შეფასებები და ანალიზი შერწყმის შედეგად წარმოქმნილი ახალი ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების შესახებ მთელ რიგ შემთხვევებში გადაჭარბებული იყო და ეფუძნებოდა კომისიის მიერ არასწორი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რამაც ხელოვნურად გაზარდა ის მაჩვენებლები, რომლებზე დაყრდნობითაც კომისია დომინანტური მდგომარეობის გაძლიერებასა და მათი ბოროტად გამოყენების საფრთხეზე საუბრობდა. სასამართლომ მიუთითა, რომ კომისიამ არსებითად შელახა ეკონომიკური აგენტების დაცვის უფლება, რადგან თავდაპირველი statement of objections და კომისიის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურ აგენტებს არ მიეცეთ საშუალება ზუსტად სცოდნოდათ, კონკრეტულად რას ედავებოდა მათ კომისია, რომ ამის შემდეგ შესაბამისი არგუმენტაცია წარმოედგინათ მტკიცებულებებთან ერთად და ამით საკუთარი პოზიცია დაეცვათ. საქმე ამით არ დასრულებულა, მოცემული მომენტისათვის შერწყმის გეგმა უკვე განხორციელებული იყო და კომისიამ მოსთხოვა კომპანიებს რომ პროცესი უკან დაებრუნებინათ. კომისიის ეს გადაწყვეტილება გააუქმა სასამართლომ და მიუთითა, რომ რადგან ტრანზაქციის დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება გაუქმებული იყო, კომისიას არ ჰქონდა პროცესის შებრუნების მოთხოვნის უფლება. Shcneider-მა კიდევ ერთხელ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ტრანზაქციის დაბლოკვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ დააკმაყოფილა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც დაცვის უფლების ეფექტური განხორციელების შეზღუდვამ გამოიწვია. ეს მოიცავდა ხარჯებს გარიგების დამატებითი დადასტურებისათვის, რაც კომპანიას უნდა

გაეწია კომისიაში ხელახალი საქმის წარმოებისას, და ნაწილი იმ ზიანისა, რაც ფასის შემცირების გამო მიადგა კომპანიას (Schneider იძულებული იყო დათანხმებულიყო ფასის შემცირებაზე რათა თავიდან აეცილებინა გარიგების ჩაშლა). სასამართლომ სპეციალურად განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების სრულად დაკისრება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ევროპის კავშირის შესაბამისი ორგანოების აშკარა და უხეში განზრახვა უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისია მოქმედებდა თავისი დისკრეციის ფარგლებში და ამ ფარგლებში მოქმედებისას დაუშვა ფატალური შეცდომები, რაზეც ეკონომიკური აგენტები არ უნდა ყოფილიყვნენ პასუხისმგებელნი. შესაბამისად, სასამართლომ უარი განაცხადა აენაზღაურებინა ზიანი იმ ოდენობით, რასაც მხარები მიიღებდნენ შერწყმა რომ დადასტურებული ყოფილიყო და კომისიას უარი არ ეთქვა. ამიტომ ანაზღაურდა განახლებული პროცედურის ხარჯები და ფასთა სხვაობის 2/3. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ გადაწყვეტილება ნაწილობრივ გააუქმა, რადგან ვერ დაინახა მიზეზობრივი კავშირის კომისიის გადაწყვეტილებებსა და ფასის შემცირებას შორის. თუმცა სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ კომისიას უნდა აენაზღაურებინა განახლებული პროცედურის ხარჯები.[538]

1) შერწყმის კონტროლის ევროპული სტატისტიკა

1990 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში კომისიამ განიხილა 5486 ტრანზაქცია. მათგან 194 განხილვა არ შედიოდა კომისიის კომპეტენციაში; 4818 დადასტურდა განხილვის პირველ სტადიაზე; 230 გარიგებას მიეცა პირობითი დასტური პირველი ფაზის დასასრულს; 220 გარიგებასთან დაკავშირებით კომისიამ გამოიყენა განხილვის მეორე ფაზა და მათგან მხოლოდ 24 კონცენტრაცია დაიბლოკა.[539] ეს ციფრები ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მეტყველებენ კომისიის უაღრესად ფრთხილ და მოქნილ დამოკიდებულებაზე. დაბლოკილი გარიგებების უმნიშვნელო რაოდენობა მოწმობს, რომ კომისია ცდილობს გამოიყენოს ეს ბერკეტი როგორც უკიდურესი ღონისძიება, როდესაც სცენარის სხვაგვარად განვითარების ყველა შესაძლებლობა ამოწურულია. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნეს ბალანსი ერთი მხრივ ბიზნესის ნორმალურ განვითარებასა და მეორე მხრივ თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფის ინტერესებს შორის. სადავო არავისთვის არის და არაერთხელ

[538] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.54-55.
[539] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.401.

დადასტურებულა კონკრეტული მაგალითებით, რომ ტექნიკურ განვითარებასთან და ახალი, აქამდე არნახული შესაძლებლობების გაჩენასთან ერთად ზემოაღნიშნული ბალანსის მიღწევა თითქმის ყოველდღიურად რთულდება. ასეთ პირობებში სახელმწიფო ორგანოებს მოქმედებისას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ, რაც კომისიის საქმიანობის სტატისტიკაშიც არის ასახული.

პირველად კომისიამ შერწყმა 1991 წელს დაბლოკა, ამის შემდეგ მისი ჩარევის ხარისხი ევროპულ ბაზარზე კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. 2001 წელს ხუთი შერწყმა დარჩა კომისიის თანხმობის გარეშე. სამი მათგანი საერთო იურისდიქციის სასამართლოში გასაჩივრდა და ორ შემთხვევაში სასამართლომ კომისიის შეფასებები სწორად არ მიიჩნია. სწორედ აღნიშნულმა პრაქტიკამ გამოავლინდა შერწყმის კონტროლის ნორმატიული რეგულირების რეფორმირების საჭირობა და საბოლოო ჯამში 2004 წელს ახალი რეგულაციის მიღება მოჰყვა შედეგად.[540]

III. სახელმწიფო მხარდაჭერის საქმის განხილვის პროცედურული საკითხები ევროპულ პრაქტიკაში

1. კომისიის კომპეტენცია სახელმწიფო მხარდაჭერის საქმეებზე

კონტროლის „პრევენციული“ ფორმა გულისხმობს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებას წევრი სახელმწიფოს მიერ შესაბამისი მხარდაჭერის პროგრამის ამოქმედებამდე. მხოლოდ კომისიის მხრიდან შესაბამისი ავტორიზაციის შემთხვევაში არის შესაძლებელი ასეთი პროგრამის ამოქმედება.[541]

კომისიამ წევრ სახელმწიფოებს მოსთხოვა, რომ მას აცნობონ ისეთი ზომების შესახებაც, რომელიც ამ წევრების შეფასებით არ შედის 107 (2) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევათა ჩამონათვალში.[542] მოქმედი პროცედურული რეგულაციები ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს წარადგინონ ყოველწლიური რეპორტი მხადაჭერის იმ პროგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც კომისიის პირობითი გადაწყვეტილებების თანახმად რაიმე განსაკუთრებული შეტყობინების ვალდებულებას არ დაექვემდებარა. ასეთი რეპორტის წარუდგენლობა კომისიის მხრიდან შესაბამისი განმეორებით მოთხოვნის მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან

[540] ***Kokkoris, Ioannis., Shelenski, Howard.,*** EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014, p.30.
[541] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.901.
[542] *Ibid,* p.878.

განიხილება დარღვევად და კომისიას უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ზომები კონკრეტულ სახელმწიფოსთან მიმართებაში.[543]

კომისიას არ აქვს მხოლოდ წინასწარი კონტროლის ან უკანონო მხარდაჭერის აღმოჩენის ვალდებულება. ის ასევე ახორციელებს პერმანენტულ კონტროლს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მთელ პროცესზე. შესაძლოა თავდაპირველად მინიჭებული ავტორიზაცია კომისიას გასაუქმებელი გაუხდეს და პირიქით იმის გათვალისწინებით თუ როგორ შეცვლის ეს მხარდაჭერა მდგომარეობას დროსა თუ კონკრეტულ სივრცეში.[544] ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია კომისიამ დაადგინოს, რომ საქმე აქვს უკვე მოქმედ მხარდაჭერის პროგრამასთან და არა სხვა რამესთან, რადგან მხოლოდ მოქმედი პროგრამის ფარგლებშია შესაძლებელი მხარდაჭერის განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან.[545] წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება სახელმწიფოს მხრიდან შეტყობინების ვალდებულების დარღვევა, აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.

2. სახელმწიფო მხარდაჭერად კვალიფიკაციის კრიტერიუმები

კომისია თავის დოკუმენტებში ცალსახად უთითებს, რომ მთავარი ნებისმიერ შემთხვევაში ის ეფექტია, რომელიც სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებს მოჰყვება. ეფექტის შეფასებისას უნდა მოხდეს იმ მდგომარეობის შესწავლა, რომელიც იარსებებდა, რომ არ მომხდარიყო სახელმწიფო რესურსების გამოყენებით უპირატესობის მინიჭება. ასეთი შეფასება იძლევა საფუძველს დადგინდეს კონკრეტული ეფექტი, რომელიც სახელმწიფო რესურსების გამოყენებას მოჰყვა ბაზარზე და როგორ აისახა ასეთი გამოყენება ბაზრის კონკრეტულ მონაწილეებზე. თუ სახელმწიფო დაამტკიცებს, რომ უპირატესობის მინიჭება მოხდა წმინდა კომერციულ საწყისებზე და მსგავსი უპირატესობის მიღება ასევე შეიძლება სხვა კერძო ინვესტორებისაგან, რომლებსაც შეიძლება აწყობდეთ კონკრეტული კომერციული პირობები, მაშინ ეს ვერ ჩაითვლება სახელმწიფოს მხარდაჭერად კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის. ასეთი შემთხვევების იდენტიფიცირებისათვის ფართოდ იყენებენ „საბაზრო ეკონომიკის ოპერატორის ტესტს“ ან „საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი ინვესტორის პრინციპებს“. ასეთ დროს სახელმწიფოს ქმედებები უნდა შედარდეს იმ ქმედებებთან,

[543] *Ibid,* p.973.
[544] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.961-962.
[545] *Ibid,* p.965.

რომელსაც საბაზრო პირობებში განახორციელებდა და შესთავაზებდა მოგებით დაინტერესებული კერძო ინვესტორი.[546]

„შერჩევითობის“ (selectivity) კრიტერიუმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო მხარდაჭერის კვალიფიკაციისას. შერჩევითობა გულისხმობს ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის შერჩევითობის პრინციპით გამოვლენას და მათთვის უპირატესობის მინიჭებას.[547] ამ კრიტერიუმს ვერ დააკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტი თუ პროგრამა, რომელიც თანაბრად ვრცელდება ბაზრის ყველა მონაწილეზე.

შემდეგი კრიტერიუმი - კონკურენციის შეზღუდვა, ან პოტენციურად შემზღუდავი მდგომარეობის შექმნა პრაქტიკაში განსაკუთრებულ სირთულეებს ნაკლებად უკავშირდება. როდესაც სახეზეა შერჩევითობის საფუძველზე ერთი კონკურენტისათვის უპირატესობის და სარგებლის მინიჭება ისე, რომ მეორე იგივე პირობებით ვერ სარგებლობს, შეიძლება ჩაითვალოს რომ სახეზეა სახელმწიფო მხარდაჭერა კონკურენციის სამართლის გაგებით.[548]

მას შემდეგ, რაც კომისია ჩათვლის, რომ ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, ის შეტყობინებას უგზავნის შესაბამის წევრ სახელმწიფოს, და ითხოვს სახელმწიფო მხარდაჭერის შეწყვეტას. თუ სახელმწიფო ასეთი მხარდაჭერის გაცემამდე არ შეატყობინებს კომისიას და არ მიიღებს მის თანხმობას, ნებისმიერ შემთხვევაში მისი ქმედება შეფასდება როგორც კონკურენციის სამართლის ევროპული ნორმების დარღვევა.[549]

3. სახელმწიფო მხარდაჭერის საქმის განხილვის პროცედურული საკითხები

ა) სახელმწიფო მხარდაჭერის საქმის განხილვა კომისიის მიერ

TFEU 108-ე მუხლი ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოს მხრიდან დახმარების კონტროლის სპეციალურ პროცედურას, რომელიც ევროპის კომისიის მიერ ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ფორმით.[550] ამ შემთხვევაში

---

[546] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.641.
[547] *Ibid,* p.641.
[548] ***Ezrachi, Ariel.,*** EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016. p.642.
[549] *Ibid,* p.642.
[550] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.880.

კომისიის ფუნქციების ექსკლუზიურია და ასეთი კონტროლის განხორციელება კომისიის ვალდებულებაა და არა უფლება.[551]

სახელმწიფოს მიერ დარღვევის დაფიქსირების შემდეგ პროცედურა იწყება წევრი სახელმწიფოსათვის ფორმალური შეტყობინებით - შესაბამისი წერილის გაგზავნით.[552]

სახელმწიფოს, რომლისგანაც კომისია ითხოვს გარკვეულ ქმედებას, ან მისგან თავის შეკავებას, შეუძლია შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება.[553]

იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის მიერ კონტროლის შესაბამისი პროცედურა წინ უძღვის მხარდაჭერის შესახებ წევრი სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას, ურთიერთობის სუბიექტებად მიიჩნევიან წევრი სახელმწიფო და კომისია და შესაბამისად როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ურთიერთობები და დისკუსია სწორედ მათ შორის მიმდინარეობს. მხარდაჭერის რეციპიენტი საქმეში ნაკლებად ერთვება, ვინაიდან ის კომისიის მიერ თანხმობის გაცემამდე ჯერ კიდე არ შეიძლება იწოდებოდეს რეციპიენტად.[554] თვით საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, და იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივად კომისია ერევა წევრი სახელმწიფოს ორგანოების მიერ მისაღები გადაწყვეტილების ფორმატში, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი საკმაოდ სენსიტიურია და სხვა (განსაკუთრებით კერძო სამართლის სუბიექტების) მონაწილეობა ამ პროცესში ალბათ მაინცდამაინც არ წაადგება ამ პროცესის ეფექტურობას.

სახელმწიფოს მიერ შეტყობინების ვალდებულება ასევე ვრცელდება მხარდაჭერის პროგრამაში ნებისმიერ არსებით ცვლილებაზე, თუ ეს ცვლილება არ ატარებს ფორმალურ, ადმინისტრაციულ ან წმინდა სამართლებრივ ხასიათს, რაც არ ცვლის მის ეკონომიკურ ეფექტს და შინაარსს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეტყობინება არ მოითხოვება.[555]

კომისიას აქვს სრული უფლება კითხვები დაუსვას ნებისმიერ დაკავშირებულ მხარეს, რაც მას დაეხმარება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში, ხოლო ეს პირები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ კომისიასთან სახელმწიფო მხარდაჭერის იმ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც პოტენციურად შეიძლება მათ შეეხებოდეს ან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული იყოს მათ საქმიანობასთან.[556]

---

[551] *Ibid,* p.881.
[552] *Ibid,* p.837.
[553] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.843.
[554] *Ibid,* p.885.
[555] *Ibid,* p.902.
[556] *Ibid,* p.923.

კომისია მოქმედი და ახალი პროგრამების შეფასებისას შეიძლება შეცდეს, ამიტომ ცოცხალ პროცესში საკუთარი პოზიციის ცვლილება მას შეუძლია და ამაში უჩვეულო არაფერია, რადგან სხვა პერსპექტივიდან და შესაბამისი მონიტორინგის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ისეთი ფაქტები და გარემოებები, რაც პირდაპირ ჩათვლის კონკრეტულ პროგრამას ახალ ან უკვე მოქმედ პროგრამად. შესაბამისად ამ მხრივ კომისიას უნდა ჰქონდეს გარკვეული ლავირების პრაქტიკული შესაძლებლობა.[557]

ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს თანახმად, კომისიას არ აქვს უფლება უარი თქვას სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ავტორიზაციაზე მხოლოდ პროცედურული დარღვევების გამო. ასეთი რამ მხოლოდ არსებითი და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის პირობებშია შესაძლებელი.[558]

კომისიას აქვს უფლება მოითხოვოს მოკვლევის დროის გახანგრძლივება, თუ აღმოჩნდება ახალი ფაქტები და გარემობები, რომელთა შესახებაც მოკვლევის დაწყებისა და მისი მიმდინარეობის პროცესში ცნობილი არ იყო.[559]

b) სახელმწიფო მხარდაჭერის საქმის განხილვა სასამართლოს მიერ

ევროპული კავშირის სასამართლოსათვის მიმართვა შეუძლია როგორც სახელმწიფოს, ასევე ევროპის კომისიასაც თუ ეს უკანასკნელი მივა დასკვნამდე, რომ სახელმწიფო არ დაემორჩილა მის გადაწყვეტილებას მხარდაჭერის შეწყვეტასთან და მის დაბრუნებასთან დაკავშირებით.[560]

ასოციაციას ორ შემთხვევაში შეუძლია სახელმწიფო მხარდაჭერაზე კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება: თუ მის ერთ ან მეტ წევრს აქვს locus standi (პირდაპირი ინტერესი) მიმართოს სასამართლოს, რადგან დავა ეხება მის ინტერესებს), ან როდესაც კომისიის გადაწყვეტილება ეხაბა უშუალოდ მისი, როგორც ასოციაციის საქმიანობას.[561]

c) უზრუნველყოფის ზომები

მართალია, უზრუნველყოფის ღონისძიებებზე პირდაპირი მითითება არ გვხვდება და ასეთი რამ პრაქტიკაშიც იშვიათია, თუმცა 106-ე მუხლის მიზნებისათვის კომისიას ასევე

---

[557] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.967.
[558] *Ibid,* p.936.
[559] *Ibid,* p.919.
[560] *Ibid,* p.974-975.
[561] *Ibid,* p.1009.

შეუძლია მოსთხოვოს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უზრუნველყოფის ზომების მიღება.[562]

მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფის ზომების გამოყენება სახელმწიფოსთან მიმართებაში TFEU მიერ პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ანიჭებს კომისიას ასეთ უფლებას, რადგან მას ხელშეკრულებით აქვს დაკისრებული ეფექტური კონტროლისა და მონოტორინგის ვალდებულება. სათანადოდ დასაბუთებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც სახელმწიფოს ანიჭებს გარკვეული ქმედების შესრულების ან ამ ქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას შეიძლება ჩაითვალოს სწორედ კომისიის ფუნქციების განხორციელების ეფექტურ საშუალებად.[563]

d) მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთი, რომ მხარდაჭერის პროგრამა შესაბამისობაშია ევროპული თავისუფალი ბაზრის პრინციპებთან, ეკუთვნის სახელმწიფოს და პოტენციურად შეიძლება ასევე ეკუთვნოდეს ამ პროგრამის ბენეფიციარ სუბიექტსაც. ამავე დროს კომისიას აქვს ვალდებულება საკუთარი ეჭვები პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოხატოს ნათლად და გარკვევით, რათა შესაბამის სახელმწიფოს მიეცეს საკუთარი არგუმენტების წარმოდგენისა და კომისიის არგუმენტების გაბათილების რეალური და ეფექტური შესაძლებობა.[564]

4. კომისიის გადაწყვეტილება სახელმწიფო მხარდაჭერის საქმეზე და მისი აღსრულება

მართლსაწინააღმდეგო მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება მისი შეცვლის/მოდიფიკაციის შესახებ. ერთიანი ევროპული გადაწყვეტილებებისადმი წევრი სახელმწიფოების ლოიალურობის პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოს ნებაყოფლობით შეასრულოს კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება.[565]

---

[562] *Ibid,* p.838.
[563] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.956.
[564] *Ibid,* p.920.
[565] *Ibid,* p.940.

როდესაც კომისია გადაწვეტილებით ადგენს, რომ სახელმწიფომ უკან უნდა დაიბრუნოს უკანონო მხარდაჭერის სახით გაცემული თანხა/აქტივები, როგორც წესი არ ხდება ზუსტი ოდენობის განსაზღვრა კომისიის მიერ. ეს უკვე კონკრეტული ბენეფიციარისა და სახელმწიფოს საქმეა შეასრულონ კომისიის გადაწყვეტილება ისე, რომ სახელმწიფოს მხრიდან უკანონო მხარდაჭერის შედეგები განეიტრალდეს.[566]

Decision not to raise objections გულისხმობს კომისიის მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომლის თანახმადაც წევრი სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი აქტივობა არ შეიძლება შეფასდეს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამად, ან შეიძლება შეფასდეს ასეთად, მაგრამ დადგინდეს, რომ ის სრულ შესაბამისობაშია ევროპის კავშირის თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების პრინციპებთან და საფრთხეს არ უქმნის კონკურენციას.[567] ეს გადაწყვეტილება პრინციპულად სახელმწიფოს სასარგებლოა და მისი გასაჩივრება ამ სახელმწიფოს ან ბენეფიციარების მხრიდან გამორიცხულია. მესამე პირები ჩართულნი არ არიან კომისიის შესაბამის პროცედურაში, ამიტომ ერთადერთი რაც მათ რჩებათ, ეს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობაა. ევროპული კანონმდებლობა ამას არ გამორიცხავს და სუბიექტებს ანიჭებს გასაჩივრების უფლებას.[568]

წევრ სახელმწიფოს შეუძლია პროცედურის მიმდინარეობის პროცესში გამოიხმოს თავისი მოთხოვნა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შესახებ. ასეთ შემთხვევაში კომისია მიიღებს ე.წ. non objection decision.[569]

როგორც წესი, კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პრობლემები ნაკლებად ექმნება ხოლმე აღსრულების თვალსაზრისით, რადგან კომისიის უარის შესრულება სახელმწიფოების მიერ ნებაყოფლობით ხდება. გაცილებით უფრო რთულია ე.წ. არაკანონიერი მხარდაჭერის პროგრამების კონტროლი, როდესაც სახელმწიფო შესაბამის ქმედებებს ახორციელებს კომისიისათვის შესაბამისი შეტყობინების გარეშე.[570]

სახელმწიფოები ვალდებული არიან, რომ უკვე გაცემული მხარდაჭერის გამოთხოვა განახორციელონ ყოველგვარი დამატებითი გაჭიანურების გარეშე. თუ წევრ სახელმწიფოს მისი მოქმედი კანონმდებლობა არ აძლევს სწრაფი და ეფექტური გამოთხოვის (recovery) შესაძლებლობას, მაშინ ეროვნული სასამართლოს ვალდებულებაა არ გამოიყენოს/თავი აარიდოს თავისი შიდა კანონმდებლობის ამ მუხლის გამოყენებას, რადგან ამ შემთხვევაში TFEU-ს შესაბამის ნორმებს აქვთ

[566] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p.954.
[567] *Ibid,* p.914.
[568] *Ibid,* p.915.
[569] *Ibid,* p.929.
[570] *Ibid,* p.933.

პირდაპირი მოქმედების ეფექტი და სწორედ მათი გამოყენების ხარჯზე უნდა მოხდეს ერთიანი ევროპული სტანდარტის დაცვა.[571]

[571] ***Blanco Luis Ortiz (Editor).,*** EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013, p p.988-989.

E. ბიბლიოგრაფია

I. ნორმატიული მასალა

1. საქართველო

a) კანონები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921; „ივერთა მხარე“, თბილისი 1990.

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, 6148-Ის, 25/05/2012

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 26/06/1997

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდესი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, სსმ, 39(46), 23/07/1999

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-5 საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე - საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა

საქართველოს კონკურენციის ეროვნული კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანება ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კონკურენციის ეროვნული კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანება კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კონკურენციის ეროვნული კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანება - საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები

b) საერთაშორისო ხელშეკრულებები

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 27/06/2014

2. ევროპა

a) ევროპის კავშირის ნორმატიული აქტები

Directive 2014/104/EU of the European Parliament and of the Council of 26 November 2014 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States and of the European Union Text with EEA relevance

EEC Council: Regulation No 17: First Regulation implementing Articles 85 and 86 of the Treaty, 06/02/1962

Council Decision of 24 October 1988 establishing a Court of First Instance of the European Communities (88/591/ECSC) EEC, Euratom

Council Regulation (EC) No 44/2001 of 22 December 2000 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters

Council Regulation (EC) No 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty (Text with EEA relevance)

Regulation (EC) No 864/2007 of the European Parliament and of the Council of 11 July 2007 on the law applicable to non-contractual obligations (Rome II)

Regulation (EU) No 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters (recast)

Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 15 (2) of Regulation No 17 and Article 65 (5) of the ECSC Treaty, 14/01/1998

Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 23(2)(a) of Regulation No 1/2003 (Text with EEA relevance), 01/09/2006

Commission Notice on the co-operation between the Commission and the courts of the EU Member States in the application of Articles 81 and 82 EC (Text with EEA relevance), 07/04/2004

b) ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ნორმატიული აქტები

Zivilprozessordnung, 30. Januar 1877, Bundesrepublik Deutschland

Gesetz Gegen Ordnungswidrigkeiten, 25. März 1952 , Bundesrepublik Deutschland

Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen (GWB), 27. Juli 1957, Bundesrepublik Deutschland

3. აშშ

Sherman Antitrust Act (Sherman Act) enacted in 1890 by the United States Congress

Clayton Antitrust Act enacted in 1914 by the United States Congress

4. სხვა

UK Competition Act 1998 (Competition Act)

II. დოქტრინა

1. ქართული

ცერცვაძე გიორგი., იაკობსი მორის., (რედაქტორები), ავტ. მაჩაიძე ოთარ, ციცქიშვილი მარი, თურმანიძე ნანა, ბერაძე სალომე, თურაზაშვილი თათია, კვეტენაზე ქეთევან, ბიწაძე ლიკა, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის სამართლებრივი და ეკონომიკური გავლენა, თბილისი 2022.

ცერცვაძე გიორგი., კონკურენციის სამართალი - ევროპული მოდელი საქართველოსთვის ტომი I, თბილისი, 2020.

ცერცვაძე გიორგი., მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, თბილისი, 2010.

2. დასავლური

Aksamovic, Dubravka; Juditial Review in EU and Croatian Competition Cases: The Procedure and Intensity of Judicial Review; in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Andreangeli, Arianna; A View from Across the Atlantic: Recent Developments in the Case-Law of the US Federal Courts in Class Clarification in Antitrust Cases, in: ***Rodger, Barry; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014.

Ashton, David; Competition Damages Actions in the EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018.

Art, Jean-Yves; Ibanez Colombo, Pablo; Judicial Review in Article 102 TFEU in: in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Bacon, Kelyin; (Editor) European Union Law of State Aid, Third Edition, Exford Univeristy Press, Oxford, 2017.

Barennes, Marc; The Role of the Settlement Procedure and Liniency Programme in the European Commission's Fight Against Cartels, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Bellis, Jean-Francois; Kasten, Tim; Will Efficiencies Plae An Increasengly Important Role In The Assesment of Conduct Under Article 102 TFEU? in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Bernardeu, Ludovic; Fines and Fundamental Rights: New Challenges, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Bernhard, Jochen; Kartellrechtlicher Individualschutz durch Sammelklagen, Veröffentlichungen zum Vervahrensrecht, Mohr Siebek, Tübingen, 2010.

Blanco Luis Ortiz (Editor), EU Competition Procedure, Third Edition, Oxford Univeristy Press, Oxford, 2013.

Butorac Malnar, Vlatka; The *Kone* Case: A Missed Opportunity to Put the Standard of Causation Under the Umbrella of the EU, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Chesaites, Nicola; Tax Incentives as State Aid, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Chirita, Anca; D. The Disclosure of Evidence Under the "Antitrust Damages" Directive 2014/104/EU, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Chmeis, Ahmad; Kartellsanktionsrecht Verfahrensrechtliche Konvergenz innerhalb der Europäischen Union unter besonderer Berüchsichtigung des deustchen Rechts, Dunker & Humblot, Berlin, 2018.

Colomo, Pablo Ibanez; The Shaping of EU Competition Law, Cambridge University Press, Cambridge, 2018.

Danov, Mihail; Cross-Border Aspects of EU Competition Law Enforcement: Comprehensive Reform Needed? in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Etro, Federico; Kokkoris, Iohannis; Toward an Economic Approach to Article 102 TFEU in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Ezrachi, Ariel; EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, fifth edition, Hart Publishing, Oxford, 2016.

Ezrachi, Ariel; EU Competition Law, Analytical Guide to the Leading Cases, sixth edition, Hart Publishing, Oxford, 2018.

Frese, Michael, J. Sanctions in EU Competition Law, HART Publishing, Oxford, 2014.

Friant-Perrot, Marine; Vulnerable Consumer in the UCPD and Other Provisions of EU Law, in: ***Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun;*** The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Fumagalli, Chiara; Padilla, Jorge; Polo, Michele; Damages for Exclusionary Practices: A Primer, in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Garde, Amandine; Can the UCP Directive Really Be a Vector of Legal Certainity? in: ***Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun;*** The European Unfair Commercial Practices

Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Geradin, Damien; Layne-Farrar, Anne; Petit, Nicolas; EU Competitino Law and Economics; Oxford Univeristy Press, Oxford, 2012.

Geradin, Damien; Is the Guidance Paper on the Commission's Enforcement Priorities in Enforcing Article 102 TFEU Useful? in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010,

Gonzalez Diaz, Enrique; The notion of Ancillary Restraints under EC Competition Law, Fordham International Law Journal, Volume 19, Issue 3, 1995. http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1476&context=ilj [ბოლოს გამოხმობილია: 23.01.2018]

Hodges, Christopher; Fast, Effective and Low-Cost Redress: How Do Public and Private Enforcement and ADR Compare? in: ***Rodger, Barry; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014.

Hviid, Morten; Peysner, John; Comparing Economic Incentives Across EU Member States, in: ***Rodger, Barry; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014.

Jaeger, Marc; 25 Years of General Court: Looking Back and Forward, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Jephcott, Mark; Spec, Lic; Law of Cartels, Jordan Publishing, Bristol, 2011.

Kalintiri, Andriani; Evidence Standards in EU Competition Enforcement, The EU Approach, Hart, Oxford, 2019.

Katsoulakos, Yannis; Ulph, David; Optimal Enforcement and Decision Strucutures for Competition Policy: Economic Considerations. in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Keirsblick, Bert; Pre-emption of National Prohibitions of Sale Below Cost: Some Reflections on EU Law Between the Past and the Future, in: ***Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun;*** The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Keirsblick, Bert; The New European Law of Unfair Commercial Practices and Competition Law, HART Publishing, Oxford, 2011.

Khan, Nicholas; Kerse&Khan on EU Antitrust Procedure, Sixth Edition, Sweet&Maxwell, London, 2012.

Kokkoris, Ioannis; Are We Understanding Article 102 TFEU? in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Kokkoris, Ioannis; Shelenski, Howard; EU Merger Conrol, A Legal and Economic Analysis, Oxford Univeristy Press, Oxford, 2014.

Komninos, Azimakis, P. Czapracka, Katarzyna; IP Rights in the EU Microsoft Saga, in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Koutsias, Marios; Willett, Chris; UK Implementation of the Unfair Commercial Practices Directive, in: ***Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun;*** The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Kreuschitz, Viktor; Bermejo, Nuria; The Role of National Courts in the Enforcement of the European State Aid Rules, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Leber, Marius; Dynamische Effizienzen in der EU Fusionskontrolle, Zum Prognoseproblem im Kartellrecht am Beispiel von Mobilfunkfusionen; Nomor, Baden Baden, 2018.

Lianos, Ioannis; Is the Availability of Appropriate Remedies A Limit To Competition Law Liability Under Article 102 TFEU? The Mischiefs of Discretionary Remedialism In Competition Law, in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Liszt, MariJana; Culinovic Herc, Edita; Certain Aspects of State Aid to Services of General Economic Interests, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors);*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Maier-Rigaud, Frank; Schwalbe, Ulrich; Quantification of Antitrust Damages, in: ***Ashton, David;*** Competition Damages Actions in The EU, Law and Practice, Second Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018.

Maillo, Jeronimo; Antitrust Damages claims in Spain: before and after the Damages Directive, in: ***Parcu, Pier Luigi; Monti, Giorgio; Botta, Marco;*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018.

Marsden, Philiph; Some Outstanding Issues from the European Commission's Guidance in Article 102 TFEU: Not-So Faint- Echoes of Ordoliberalizm, in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Marinova, Miroslava; Fidelity Rebates in Competition Law, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2019.

Micklitz, W. Hans: A Common Approach to the Enforcement of Unfair Commercial Practices and Unfair Contract Terms, in: ***Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun;*** The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Montag, Frank; Hirsch, Günter; Säcker, Franz Jürgen; (Editors) Competition Law: European Community Practice and Commentary, Sweet&Maxwell, London, 2008.

Monti, Giorgio; Liability Issues not codified by the Damages Directive: how to fill gaps? in: ***Parcu, Pier Luigi; Monti, Giorgio; Botta, Marco;*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018.

Namyslowska, Monika; The Blacklist of Unfair Commercial Practices: The Black Sheep, Red Herring or White Elephant of the Unfair Commercial Practices Directive, in: ***Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun;*** The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Pavillon, Charlotte; The Interaction between the Unfair Commercial Practices Directive and Self Regulation: The Case of Codes of Conduct, in: ***Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun;*** The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Parcu, Pier Luigi; Rossi, Maria Alessandra; The Role of Economics in EU private Antitrust enforcement: theoretical framework, empirical methods and practical issues, in: ***Parcu, Pier Luigi; Monti, Giorgio; Botta, Marco;*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018.

Pecotic- Kaufman, Jasminka; Petrovic, Sinisa; The Enforcement of Eu Competition Law by National Courts, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Poelzig, Dörte; Private and Public Enforcement of the UCP Directive? Sanctions and Remedies to Prevent Unfair Commercial Practicies, in: ***Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun;*** The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Prek, Miro; Lefevre, Silvere; The General Court as the EU Competition Court? in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Poscic, Ana; State Aid and Gambling Services, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Rodger, Barry; Collective Redress Mechanisms and Consumer Case Law, in: ***Rodger, Barry; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014.

Rodger, Barry; Ferro, Miguel Sousa; Marcos, Francisco; Damages Actions in the Enforcement of EU Competitino Law, in: ***Rodger, Barry; Ferro, Miguel Sousa; Marcos, Francisco; (Editors)*** The EU Antitrust Damages Directive, Transposition in the Member States, Oxford University Press, Oxford, 2018.

Rodger, Barry; Ferro, Miguel Sousa; Marcos, Francisco; Promotion and Harmonization of Antitrust Damages Claims by Directive 2014/104/EU? in: ***Rodger, Barry; Ferro, Miguel Sousa; Marcos, Francisco; (Editors);*** The EU Antitrust Damages Directive, Transposition in the Member States, Oxford University Press, Oxford, 2018.

Rodger, Barry; Concluding Remarks, in:***Rodger, Barry; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014.

Rodger, Barry; Institutions and Mechanisms to Facilitate Private Enforcement, in: ***Rodger, Barry; (Editor);*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014.

Rodger, Barry; Private Enforcement Context and Project Background in: ***Rodger, Barry; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014.

Rodger, Barry; The Empirical Data Part 1: Methodology, Case Law, Courts and Processes, in: ***Rodger, Barry; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014.

Rodger, Barry; The Empirical Data Part 2: Provisions Relied Upon, Remedies and Success, in: ***Rodger, Barry; (Editor)*** Competition Law Comparative Private Enforcement and Collective Redress Across the EU, Kluwer Law International, Alphen Aan den Rijn, 2014.

Rodger, Barry; MacCulloch Angus; Competition Law and Policy in the EU and UK, Fifth Edition, Routledge Publishing, London, 2015.

Rosenthal, Michael; Thomas, Stefan; European Merger Control, Beck, München, 2010.

Säcker, Franz Jürgen; Montag; Frank; (Editors) European State Aid Law, A commentary, C.H.Beck, München, 2016.

Schrieber, Till; Krüger, Karsten; Burke, Padriac; Practical Challenges for cross-border follow on actions, in: ***Parcu, Pier Luigi; Monti, Giorgio; Botta, Marco;*** Private Enforcement of EU Competition Law, The Impact of the Damages Directive, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018.

Schwalbe, Ulrich; Zimmer, Daniel; Law and Economics in European Merger Control, Oxford University Press, Oxford, 2009.

Siragusa, Mario; Rizza, Cesare; (Editors) EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book One, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012.

Siragusa, Mario; Rizza, Cesare; (Editors) EU Competition Law, Cartels and Collusive Behaviour, Restrictive Agreements and Practices Between Competitors, Volume III, Book Two, Second Edition, CLAEY&CASTEELS, Deventer, 2012.

Schulz, Max; Kartellrecht als „Regulierungsinstrument“ Eine Untersuchung der Kartellrechtsanwendung durch die Eurpäische Komission im Energiesektor unter besonderer

Berücksichtigung der Zusagenetscheidung nach Art 9 VO 1-2003, Carl Heymanns Verlag, Köln, 2018.

Svetlicinii, Alexander; Enforcement of the EU Competition Rules in Lithuania: Application of the "Effect on Trade" Concept in the Enforcement Practice of the National Competition Authority and Courts, in: ***Tomljenovic, Vesna; Bodiroga-Vukobrat, Nada; Butorac Malnar, Vlatka; Kunda, Ivana; (Editors)*** EU Competition and State Aid Rules, Public and Private Enforcement; Springer, Berlin, Heidelberg, 2017.

Turner, Jonathan; Intellectual Property and EU Competition Law, Oxford University Press, Oxford, 2010.

Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun; The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Ventoruzzo, Marco; Mock, Sebastian; (Editors) Market Abuse Regulation, Commentary and Annotated Guide, Oxford University Press, Oxford, 2017.

Vogel, Louis; Vogel, Joseph; European Distribution Law, LawLex/Bruylant, Paris, 2017.

Waelbroeck, Denis; The Assessment of Efficiencies Under Article 102 TFEU And The Commissions Guidance Paper in: ***Etro, Federico; Kokkoris, Iohannis;*** Competition Law and the Enforcement of Article 102, Oxford Univeristy Press, Oxford, 2010.

Weber, Franziska; Law and Economics of Enforcing Misleading Advertising Laws: Incentives of Bona and Mala Fide Traders Asssessed, in: ***Van Boom, Willem; Garde, Amandine; Akseli, Orkun;*** The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, ASHGATE, Farnhem, 2014.

Whelan, Peter; The Criminalizatoin of European Cartel Enforcement, Theoretical, Legal and Practical Challenges, Oxford University Press, Oxford, 2014.

Wijckamans, Frank; Tuytschaever, Filip; Vertical Agreements in EU Competition Law, Oxford University Press, Third Edition, Oxford, 2018.

III. სასამართლო პრაქტიკა

1. ქართული

2017 წლის 8 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმე №2/30577 -16

2017 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმე N3/6455-15

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმე N2/7988-21

2. ევროპული

a) ევროპის კავშირის სასამართლოები

Case Judgment No. 9, S.S. Lotus, France v. Turkey, Permanent Court of International Justice, 7 September 1927

Case 127-73, Belgische Radio en Televisie and société belge des auteurs, compositeurs et éditeurs v SV SABAM and NV Fonior, ECLI:EU:C:1974:25, 30 January 1974

Joined cases 19 and 20-74, Kali und Salz AG and Kali-Chemie AG v Commission of the European Communities, ECLI:EU:C:1975:58, 14 May 1975

Case 136/79, National Panasonic (UK) Limited v Commission of the European Communities, ECLI:EU:C:1980:169, 26 June 1980

Case 246/81, Nicholas William, Lord Bethell, v Commission of the European Communities, ECLI:EU:C:1982:224, 10 June 1982

Case 145/83, Stanley George Adams v Commission of the European Communities, ECLI:EU:C:1985:448, 7 November 1985

Case T-30/89, Hilti AG v Commission of the European Communities, ECLI:EU:T:1991:70, 12 December 1991

Case No IV/M.190 - Nestlé/Perrier, Commission Decision, 22 July 1992

Joined cases C-89/85, C-104/85, C-114/85, C-116/85, C-117/85 and C-125/85 to C-129/85, A. Ahlström Osakeyhtiö and others v Commission of the European Communities, ECLI:EU:C:1993:120, 31 March 1993

Case C-242/95, GT-Link A/S v De Danske Statsbaner (DSB), ECLI:EU:C:1997:376, 17 July 1997

Case C-306/96, Javico International and Javico AG v Yves Saint Laurent Parfums SA (YSLP), ECLI:EU:C:1997:525, 28 April 1998

Case C-119/97 P, Union française de l'express (Ufex), formerly Syndicat français de l'express international (SFEI), DHL International and Service CRIE v Commission of the European Communities, ECLI:EU:C:1999:116, 4 March 1999

Case C-126/97, Eco Swiss China Time Ltd v Benetton International NV, Judgment of the Court of 1 June 1999

Case C-140/97, Walter Rechberger, Renate Greindl, Hermann Hofmeister and Others v Republik Österreich, ECLI:EU:C:1999:306, 15 June 1999

Case C-199/92 P, Hüls AG v Commission of the European Communities, ECLI:EU:C:1999:358, 8 July 1999

Case C-344/98, Masterfoods Ltd v HB Ice Cream Ltd, ECLI:EU:C:2000:249, 14 December 2000

Case COMP/M.2416, Tetra Laval/Sidel, 2004/124/EC, 30 October 2001

Case COMP/F-1/38.338 — PO/Needles, Pursuant to Article 15 of Commission Decision 2001/462/EC, ECSC of 23 May 2001

Case C-453/99, Courage Ltd v Bernard Crehan and Bernard Crehan v Courage Ltd and Others, ECLI:EU:C:2001:465, 20 September 2001

Case T-45/98, Jrupp Thyssen Stainless v Commission, ECLI:EU:T:2001:288, 13 December 2001

Joined cases T-236/01, T-239/01, T-244/01 to T-246/01, T-251/01 and T-252/01, Tokai Carbon Co. Ltd and Others v Commission of the European Communities, ECLI:EU:T:2004:118, 29 April 2004

Case C-204/00 P, Aalborg Portland and Others v Commission, ECLI:EU:C:2004:6, 7 January 2004

Case T-22/02, Sumitomo Chemicals v Commission, ECLI:EU:T:2005:349, 6 October 2005

Case T-87/05. EDP - Energias de Portugal, SA v Commission of the European Communities, ECLI:EU:T:2005:333, 21 September 2005

Case T-282/02, Cementbouw Handel & Industrie BV v Commission of the European Communities, ECLI:EU:T:2006:64, 23 February 2006

C-295/04 Judgment of the Court (Third Chamber) of 13 July 2006. Vincenzo Manfredi v Lloyd Adriatico Assicurazioni SpA (C-295/04), Antonio Cannito v Fondiaria Sai SpA (C-296/04) and Nicolò Tricarico (C-297/04) and Pasqualina Murgolo (C-298/04) v Assitalia SpA

Case T-464/04, Independant Music Publishers and Labels Association (Impala, association internationale) v Commission of the European Communities, ECLI:EU:T:2006:216, 13 July 2006

Case T-201/04, Microsoft Corp. v Commission of the European Communities, ECLI:EU:T:2007:289, 17 September 2007

Case C-511/06 P, Archer Daniels Midland Co. v Commission of the European Communities, ECLI:EU:C:2009:433, 9 July 2009

Case C-501/06 P, GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission of the European Communities, ECLI:EU:C:2009:610, 6 October 2009

Case C-440/07 P, European Commission v Schneider Electric SA, ECLI:EU:C:2010:324, 9 June 2010

Case C-280/08 P, Deutsche Telekom AG v European Commission, ECLI:EU:C:2010:603, 14 October 2010

Case C-550/07 P, Akzo Nobel Chemicals Ltd and Akcros Chemicals Ltd v European Commission, ECLI:EU:C:2010:512, 14 September 2010

Case T-141/08, E.ON Energie AG v European Commission, ECLI:EU:T:2010:516, 15 December 2010

Case T-382/06, Tomkins plc V European Commission, ECLI:EU:T:2011:112, 24 March 2011

Case C-199/11, Europese Gemeenschap v Otis NV and Others, ECLI:EU:C:2012:684, 6 November 2012

Case C- 586/12P, Koninklijke Wegenbouw Stevin v Commission, ECLI:EU:C:2013:863, 13 December 2012

Case T-201/11, Si.mobil telekomunikacijske storitve d.d. v European Commission, ECLI:EU:T:2014:1096, 17 December 2014

Case C-295/12 P, Telefónica SA and Telefónica de España SAU v European Commission, ECLI:EU:C:2014:2062, 10 July 2014

Case C-352/13, Cartel Damage Claims (CDC) Hydrogen Peroxide SA v Evonik Degussa GmbH and Others, ECLI:EU:C:2015:335, 21 May 2015

Case C-583/13 P, Deutsche Bahn AG and Others v European Commission, ECLI:EU:C:2015:404, 18 June 2015

Case C-194/14 P, AC-Treuhand AG v European Commission, ECLI:EU:C:2015:717, 22 October 2015

Case C-162/15 P, Evonik Degussa GmbH v European Commission, ECLI:EU:C:2017:205, 14 March 2017

Case C-413/14 P, Intel Corp. v European Commission, ECLI:EU:C:2017:632, 6 September 2017

Case C-88/15 P, Ferriere Nord SpA v European Commission, ECLI:EU:C:2017:716, 21 September 2017

Case M.9005, BOOKING HOLDINGS / HOTELSCOMBINED Commission decision

b) წევრი სახელმწიფოების სასამართლოები

SA.56943 (2020/N) COVID-19: Recapitalization of Air Baltic – Latvia

Kone AG and Others v ÖBB-Infrastruktur AG, Judgment of the Court (Fifth Chamber), 5 June 2014

3. ამერიკული

United States v. Aluminum Co. of Am., March 12, 1945, U.S. Court of Appeals

Mitsubishi Motors Corp. v. Soler Chrysler-Plymouth, Inc., July 2, 1985, U.S. Supreme Court

4. სხვა

BHB Enterprises plc v. Victor Chandler (International) Ltd, England and Wales High Court, May 27, 2005

Safeway Stores Ltd and Others v Twigger and Others [2010] EWCA Civ 1472, [2011] 2 All ER 841

Kier Group plc v Office of Fair Trading [2011] CAT 3

IV. კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებები

https://competition.ge/ge/page5.php?sb=582
[ბოლოს გამოხმობილია 31.12.2019].

https://admin.competition.ge/uploads/a87be650e7d64307afda293742f7ad25.pdf
[ბოლოს გამოხმობილია 29.06.2022].

https://admin.competition.ge/uploads/def47d73b32b4cf0a9538ce94addd593.pdf
[ბოლოს გამოხმობილია 29.06.2022].

V. ელექტრონული წყაროები

https://ec.europa.eu/info/sites/info/files/comp_sp_2016_2020_en.pdf
[ბოლოს გამოხმობილია 16.01.2018].

http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/competition/Full%20Text.pdf
[ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104&rid=1
[ბოლოს გამოხმობილია 17.01.2018].

http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:001:0001:0025:EN:PDF
[ბოლოს გამოხმობილია 18.01.2018].

https://www.steptoe.com/assets/htmldocuments/88_-_Single_continuous_infringement.pdf
[ბოლოს გამოხმობილია 20.01.2018].

http://www.uni-koeln.de/wiso-fak/weiz/ss02/uebung-jw-folien10.pdf
[ბოლოს გამოხმობილია 24.02.2018].

http://www.jonesday.com/Antitrust-Alert--EU-Appoints-New-Chief-Competition-Economist-12-14-2010/
[ბოლოს გამოხმობილია 19.03.2018].

http://ec.europa.eu/competition/antitrust/actionsdamages/quantification_study.pdf
[ბოლოს გამოხმობილია 28.07.2018].

https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex:31962R0017
[ბოლოს გამოხმობილია 27.01.2021].

https://www.internationalcompetitionnetwork.org/members/?location=south-america
[ბოლოს გამოხმობილია 11.06.2022].

https://admin.competition.ge/uploads/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf?fbclid=IwAR01q-W-v80wPh5gs3xXYPb7avlPtz-RObiH-nkJD3q-IThkPz88eWv84MQ
[ბოლოს გამოხმობილია 26.06.2022].
https://admin.competition.ge/uploads/bcfad7454b1748f493bb6cdd96115fd6.pdf
[ბოლოს გამოხმობილია: 24.06.2022]

https://admin.competition.ge/uploads/7b60176e75f04087a9f7899908ea61df.pdf
[ბოლოს გამოხმობილია: 22.06.2022]

https://admin.competition.ge/uploads/f378cc39831d4686878cb52e7b84e4ad.pdf
[ბოლოს გამოხმობილია: 22.06.2022]

https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:12012E/TXT:en:PDF
[ბოლოს გამოხმობილია 16.07.2022].